

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ციური ფუტკარაძე

**ისტორიულ პირთა მხატვრული სახეები XIX საუკუნის ქართულ
მწერლობაში**

**ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაცია**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გურამ ბახტაძე

ბათუმი, 2021

შინაარსი

| | |
|--|---|
| შესავალი..... | 3 |
| თავი I. ისტორიული და ავტორთა თანამედროვე პირები რომანტიკოსთა შემოქმედებაში..... | 8 |
| § 1. ალექსანდრე ჭავჭავაძე..... | 8 |
| §2. ალექსანდრე ორბელიანი..... | 24 |
| §3. გრიგოლ ორბელიანი..... | 43 |
| §4. ვახტანგ ორბელიანი..... | 81 |
| 5. ნიკოლოზ ბარათაშვილი..... | 100. Error! |
| Bookmark not defined. | |
| თავი II. ისტორიულ პირთა მხატვრული სახეები ილიასა და აკაკის თხზულებებში..... | 127 |
| §1. ილია ჭავჭავაძე | 127 |
| §2. აკაკი წერეთელი | 143 |
| თავი III. ისტორიულ პირთა მხატვრული სახეები ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა- ფშაველას თხზულებებში ----- | 177 |
| §1. ალექსანდრე ყაზბეგი..... | 177 |
| §2. ვაჟა-ფშაველა | 186 |
| ზოგადი დასკვნები | 206 |
| გამოყენებული | |
| ლიტერატურა..... | 213Error! Bookmark not defined. |

შესავალი

ქვეყნის კულტურის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი მისი ლიტერატურაა. რამდენადაც მდიდარია ქვეყნის ლიტერატურა, იმდენად მდიდარია მისი კულტურა. სწორედ ჩვენი ქვეყნის ლიტერატურაა ის ფენომენი, რამაც საქართველო სხვა კულტურულ ერთა შორის დააყენა, ქართული ლიტერატურის განვითარების ამ საქმეში ძველი ქართული მწერლობიდან მოყოლებული, უდავოდ დიდი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის ლიტერატურამ.

როგორც აკაკი ბაქრაძე ამბობს: “ქართველმა ხალხმა სიტყვაკაზმულ მწერლობას განსაკუთრებული მისია დააკისრა, იგი ერის წინამძღოლად აღიარა. ეს განაპირობა ქართველი ხალხის ისტორიულმა ცხოვრებამ. ჩვენს ერს ხშირად და დიდხანს უხდებოდა ცხოვრება ნაციონალური ხელისუფლების თვინიერ, დამპყრობლის უღელქვეშ. ასეთ პირობებში ორად ორი ძალა იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას - ქრისტიანული რელიგია და მწერლობა“ (ბაქრაძე, 1990: 3).

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებული პოლიტიკა აქტიურად ესწრაფოდა ქართული ცნობიერების ჩაკვლას, ხოლო ქვეყანა იბრძოდა ეროვნული სულისა და ხერხემლის შენარჩუნებისთვის, ამ ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლამ უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო და ეროვნული კულტურის განვითარება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. თუმცა საქართველოს ისტორიის მანძილზე მუდმივად არსებობდა დაბრკოლებები, რომელიც ჩვენი კულტურის განვითარების გზაზე ამ რიტმს აფერხებდა. XIX საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედებას შემოუნახავს სახელები ქართველი გმირებისა, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს საქართველოს ისტორიის

შექმნაში, რომლებიც იბრძოდნენ ეროვნული მთლიანობისა და თვითმყოფადი კულტურის განვითარებისთვის.

„ერის პირქვე დამხობა, გაწყალება იქიდამ იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან - მომასწავლებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა. წარსული - მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო - მომავლისა” (ჭავჭავაძე, 1984: 608).

XIX საუკუნის 30-იანი წლების პოლიტიკა გახდა გადამწყვეტი მნიშვნელოვანი მოვლენა, რამაც განაპირობა ქართული ლიტერატურის აზროვნების ხასიათი. მთელი საუკუნის მანძილზე ქართული მწერლობა იღვწოდა ეროვნული ყოფიერების გაცნობიერებისათვის, ამ პერიოდის ლიტერატურის შესწავლას ასევე განუსაზღვრელი ზოგადმეცნიერული მნიშვნელობა აქვს. მწერლობა მუდამ იყო და იქნება მწერალთა ფართო სპექტრის ინტერესის საგანი. ლიტერატურაში თავიანთ პასუხებს პოულობენ არა მარტო ლიტერატურის თეორეტიკოსები, კრიტიკოსები და ისტორიკოსები, არამედ სხვა დარგის სპეციალისტებიც. ამ მხრივ აღნიშნული პერიოდის ქართული ლიტერატურა საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევა.

როგორც კრიტიკოსი ჯანსულ ღვინჯილია ამბობს: „მთელი ეს დრო სულიერ შიმშილს ეჭირა. შინაგანად არისტოკრატიული ბუნების, დახვეწილი სულითა და მისწრაფებით ქართველი ხალხი თამარისა და დავით აღმაშენებლის, რუსთაველისა და იოანე პეტრიძის ეპოქაზე ოცნებობს, იმ სილამაზით მცხოვრებ სახელმწიფოსა და კულტურაზე ფიქრობს, მთელი ეს დრო შინაგანად ემზადება უკეთესი დროისათვის და დიდი სათქმელის გასამჟღავნებად“ (ღვინჯილია, 1989: 180).

მეცხრამეტე საუკუნის ახალი განმაცოცხლებელი იდეების გარემოცვაში, უპირველესად, პოეტებსა და მწერლებს თავისი ხალხის მომავლის ასაშენებლად, ყველაზე საიმედოდ მიაჩნდათ ეს გზა და რაც მთავარია, იგი აღმოაჩნდა წარსულს, როგორც კოლოსარულ ენერგიას და ღირსეული ქართველობის მოდელს - ისტორიულ წყაროებში და ცნობებში მთვლემარეს. წარსულის ნარატივი იქმნება

ცხოვრების წესის გასასაზღვრავად და დასასაბუთებლად, თანამედროვე გამოწვევებზე პასუხების მოსამებნად. “გოეთეს აზრით, წარსულის გმირის მოქმედება შთამომავლობამ უნდა დაასრულოს, თუ მისი კეთილშობილური სახე შეინახება და გადაეცემა თაობებს, ხოლო თაობათა ხსოვნა, პირველ ყოვლისა, სწორედ ხელოვნებამ უნდა ასაზრდოოს და ამაშიცაა მისი დიდი როლი და მიზანი” (მინაშვილი, 2009: 101).

ისტორიული თემით დაინტერესება XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა, ისტორიულ თემებზე შექმნილ ნაწარმოებთა სიმრავლე ამ დროისათვის სრულიად ბუნებრივია, ავტორები საგანგებოდ ავლებენ პარალელს წარსულსა და აწმყოს შორის, წინაპრებსა და შთამომავლობას შორის. არა იმისთვის, რომ გააიდეალონ წარსული, არამედ იმისათვის, რომ უჩვენონ საზოგადოებრიობას, რა შინაგანი ჰარმონიის მფლობელი იყო ქართველი კაცი, როგორი ზნესრული კეთილშობილი, რაინდი. შეუძლებელია აქვე არ გავიხსენოთ დიდი ილიას უკვდავი სიტყვები: „რომელია სომაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელი სიფუცე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია, და თი იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენი ცსოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა - რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?“ (ჭავჭავაძე, 1984: 610-611).

ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის სინამდვილისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ეროვნული თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული ტკივილები და მნიშვნელოვანი სოციალური ძვრები, რომლებიც დიდად უწყობდა ხელს ქართველი ხალხის თვითშეგნების გაღვიძებასა და პროგრესის ძლიერ სტიმულს წარმოადგენდა, ამიტომაც სრულიად ბუნებრივია XIX საუკუნის ლიტერატურაში ეროვნულ-პატრიოტული მოტივის განვითარება, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის ისტორიულ პირთა სახეების გაცოცხლება. ლიტერატურა ხომ პირუთვნელი ამსახველია ჩვენი ცხოვრებისა და ხშირად უფრო ობიექტური ამსახველი, ვიდრე ისტორია. „ხელოვნებას ჩვენამდე მოაქვს ჭეშმარიტება და რა თქმა უნდა, ის ასევე გვაზიარებს ისტორიულ და სოციალურ ჭეშმარიტებას. ხელოვნების ჭმნილებები წარმოადგენს დოკუმენტებს, რადგან მათ აქვთ მარადილი ღირებულება“ (უელევი, უერენი, 2010: 133).

XIX საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეროვნულ-პატრიოტულ მოტივს, სადაც იკვეთება აშკარა უკმაყოფილო დამოკიდებულება არსებული პოლიტიკისადმი. ამ დროისათვის ქართველი ხალხი მწვავედ განიცდის თვითმპყრობელური სახელმწიფო რეჟიმის სიმკაცრეს, რამაც განაპირობა ამ დროის მწერლობაში ისტორიული თემის წინ წამოწევა, ისტორიული გმირების თავდადების მაგალითების მოყვანა. “ჩემი აზრით, ისტორიულ თემას, როგორც მხატვრული ნაწარმოების მასალას, ორ შემთხვევაში მიმართავს მწერალი. პირველად მაშინ, როცა სურს, ამა თუ იმ ხალხის ისტორიის სული გადმოსცეს, ხოლო მეორე მაშინ, როცა ისტორიული მასალა გამოადგება იმისთვის, რომ ალეგორიის მოშველიებით გამოთქვას აზრი“ (ბაქრაძე, 1986: 145). ისტორიულ პირთა სახეების გაცოცხლებით კი ჩვენი მწერლები და პოეტები ქართველ საზოგადოებრიობას მაგალითს უსახავენ, რანი ვიყავით და რა გზით უნდა ვიაროთ მომავალში.

თემის აქტუალობა: ნაშრომი ეძღვნება ისტორიულ პირთა მხატვრული სახეების ასახვას XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში. ისტორიული პირები ჩვენი ცხოვრების ცოცხალ სიმბოლოებს წარმოადგენენ, მათი გახსნა-გაშიფვრა საშუალებას გვაძლევს წავიკითხოთ დიდგზაგამოვლილი ხალხის სული, ისინი მნიშვნელოვან კონცეფციას ატარებენ თავიანთ თავში. ისტორიის მაგალითები გვეხმარება „წარსულ ნერგზე ახალ ნამყნის“ გაცოცხლებასა და მომავლისაკენ უფრო ძლიერა ნაბიჯებით სვლაში. უკეთესად შევისწავლოთ და შევიგრძნოთ ჩვენი თვითმყოფადი კულტურა, რაც სხვებისაგან განგვასხვავებს და ინდივიდუალობას გვანიჭებს მსოფლიო კულტურულ ერთა შორის. ისტორიის შესწავლა აგრეთვე გვეხმარება დავინახოთ, როგორ უძლებდა ჩვენი ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში მკაცრ გამოცდებს, როგორ იზრდებოდა და ვითარდებოდა, რომ ამ კულტურის მქონე ხალხს უფლება არა აქვს არ დაიცვას იგი, არ გაუფრთხილდეს და არ იზრუნოს მის წინსვლაზე. საკვლევი თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მოცემული საკითხი მონოგრაფიულად ჯერ არავის შეუსწავლია.

თემის მიზანია წარმოვაჩინოთ ისტორიულ პირთა მხარვრული სახეები XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში, შევეცდები გადმოვცე, რატომ იყო აქტუალური იმ დროის ლიტერატურაში ისტორიული თემაზე შექმნილი ნაწარმოებები და რა

დამსახურება მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ისტორიის მაგალითებს ქართველი კაცის ცხოვრებაში XIX საუკუნის ავბედითი ისტორიის მანძილზე.

სამეცნიერო სიახლე და შედეგები. საკვალიფიკაციო ნაშრომი, ისტორიულ გმირთა მხატვრული სახეები XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში უაღრესად ნმიშვნელოვანი თემაა. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის წვლილი დიდია იმაში, რომ საქართველომ სცნო და იპოვა თავისი დაკარგული სახე. საქართველოს ისტორიული წარსულის წინა პლანზე წამოწევა XIX საუკუნის დასაწყისისა და II ნახევრის მწერლებისათვის ქმედითი იარაღი აღმოჩნდა ეროვნულ გამაერთიანებელი მოძრაობის გზაზე. ძველი კულტურისა და ისტორიის პრორაგანდამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებაში, ეროვნული თავისთავადობის დაცვაში. ისტორიულ გმირთა მხატვრული სახეების წარმოჩენა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში და მოცემული ეპოქის მონუმენტური შესწავლა ავსებს იმ ნაკლს, რომელიც ამ მხრივ ქართულ მეცნიერებაში არსებობს, მოცემული თემის არჩევაც სწორედ ამან განაპირობა.

კვლევის მეთოდები. ნაშრომში ძირითადად გამოვიყენე ინტერტექსტუალური კვლევისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. მისი გამოყენება განპირობებული იყო კვლრვის მიზნებისა და დანიშნულებიდან გამომდინარე.

თავი I. ისტორიული და ავტორთა თანამედროვე პირები რომანტიკოსთა შემოქმედებაში

შ1. ალექსანდრე ჭავჭავაძე

ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართული პატრიოტული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენელია. მისმა პოეზიამ სიცოცხლეშივე მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. როგორც აპოლონ მახარაძე წერს, მისი ლექსები თბილისელ მოქალაქეთა შორის სუფრის სიმღერებად იყო ქცეული. მის პოეზიას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ილია და აკაკიც.

ალექსანდრე ჭავჭავაძის რომანტიზმს განსაზღვრას ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობები, რომელშიც საქართველო მე-19 საუკუნიდან მოექცა. საქართვლოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და რუსული მართვა-გამგეობის დამკვიდრება მისი პესიმიზმის ძირითად საზრდოს წარმოადგენდა. სწორედ, ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში გაისმა ძლიერი ეროვნულ-სოციალური პროტესტი: „წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ კრულნი!“ (ქართული მწერლობა, 1992: 36) ან „ფოთოლზე უფრო მეტი ჭირი შემოგვხვევია, მაღალი, შარავანდ მფენი მთებიც ჩავიდნენ, მზესავით რომ გვედგნენ თავზე. ყველაფერი წყვდიადმა და ბნელმა მოიცვა.“ (იგივე: 45)

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებში ისმის ეპოქის მაჯისცემა, ღრმა პატრიოტიზმი, დაფიქრება ქვეყნის წარსულზე, აწმოსა და მომავალზე. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრს ვხვდებით. გერონტი ქიქოძე მის შესახებ წერს: „ყველაზე ნაკლებ რადიკალურად განწყობილი ეროვნულ საკითხებში ქართველ რომანტიკოსებს შორის ალექსანდრე ჭავჭავაძეა, ის რამდენიმედ მაინც დაკავშირებულია კოსმოპოლიტურად მოაზროვნე მე-18 საუკუნესთან, აღზრდილია რუსეთის, საფრანგეთისა და ირანის კულტურის ტრადიციებზე. მისი მამა, ერეკლე მეფის დიპლომატიური წარმომადგენელი რომანოვების სამეფო კარზე, გარკვეული რუსოფილი იყო.“ (ქიქოძე, 1963: 80-81).

შეუძლებელია ეროვნული ტკივილების, საქვეყნო დარდისა და ვარამის გამომხატველად არ მივიჩნიოთ ის მწერალი, რომლის კალამსაც ეკუთვნის ლექსები:

„ვაჰ, დრონი, დრონი“, „გოგჩა“ „ისმინეთ, მსმენნო!“, „ვაჰ სოფელსა ამას“, „პყრობილისაგან თანაპყრობილის მიმართ“ „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“ და სხვები. ამავე ავტორის ხელიდანაა გამოსული ისეთი ღრმა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ხასიათის თხზულება, როგორიცაა „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801 -დან 1832-მდე“.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელს მიაწერენ ქართულ ლიტერატურაში ევროპული იდეების შემოტანას: „ევროპის ახალი ლიტერატურის მოტივებისაკენ პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ალექსანდრე ჭავჭავაძემ გადადგა ქართულ მწერლობაში. მის ლირიკაში მკვეთრად შეინიშნება დასავლეთ ევროპის კლასიციზმის ხანის ლიტერატურით დაინტერესებაც და თვით რომანტიზმის ესთეტიკური შემოქმედების გაზიარება მოღვაწეობის პირველ ნახევარშივე. ეს საკმაოდ კარგად ჩანს ალექსანდრე ჭავჭავაძის მგრძნობელობით ლექსებში.“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969: 68).

სანამ უშუალოდ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედება ისტორიული პიროვნებების სიუხვით არ გამოირჩევა, თუ არ გამოვრიცხავთ ლექსებს „ჰე, საქართველო პტოლომეს დროს აღყვავებული!“, სადაც პოეტი აქებს საქართველოს ისტორიაში გამორჩეულ მეფეთა - დავითის, თამარისა და ერეკლეს დროინდელ საქართველოს და ლექს „კავკასია“, სადაც პოეტი ქებით მოიხსენიებს თავის თანამედროვეს, რუსეთის მეფის მოხელეს ციციანოვს, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ აგრეთვე გაგვეხილა პოეტის ისტორიულ-დოკუმენტური თხზულება „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“, რომელიც, როგორც ვიცით, ალექსანდრე ჭავჭავაძემ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველს მოხსენების სახით წარუდგინა.

კავკასია თხემით პონტოს ზღვას მიყრდნობია, ”თხემით ტერფამდეო“, ისე ამბობს პოეტი, სამშობლოს თითქოს სხეულივით გრძნობს. ეს მიწა მისთვის ჩვეულებრივი საარსებო მატერია კი არ არის, მისი სულის ნაწილი, მისი ფესვებია. მთებს გვერდს უმშვენებს საოცრად ლამაზი ბუნება, მაღალი მთებიდან მოედინებიან მრისხანე მდინარეები, რომლებიც რწყავენ შორეულ ველ-მინდვრებს.

საოცარია პოეტისეული კავკასიის განსაზღვრება. მთებზე შემდგარი მთები, თავლწინ წარმოგვიდგება უზარმაზარი, ხელებგაშლილი, წელში მოხრილი გოლიათი, მისი ყინულიანი ბორცვები ცამდე აღმართულა, აქ ზოგიერთი მთა ყინულიან ტვირთს ზვავებად ჩამოჰყრის. კავკასიის გოლიათი წევს ორ ზღვას შორის და „შემცველია დიდ საკვირველებათა“. კავკასიის პეიზაჟის სიდიადესა და სილამაზეში პოეტი მეტაფორულად გვიჩვენებს ერის ისტორიულ ძლევამოსილებას.

ამ მთებზე მოვლენილი ქარიშხალი წარლვნას მოგვაგონებს, გორები იგლიჯება. თავად მარადიული კავკასია „ზოგთა ჰმუსრავს, ზოგთ ჰბადებს, ვით ღმერთი მბრძანებელი“. ზგოჯერ, მზე შარავანდედად დაადგება ამ მთების მწვერვალებს. დამდნარი ყინულის წვეთები ბრილიანტივით ათასფრად ბრწყინავენ. მთების ძირში ამწვანებული მდელოები და ია ვარდები იზიდავენ ცხოველებს. ამ ულამაზესი ბუნების წიაღში თავისუფლად დანავარდობენ ბუნების მკვიდრნი, ცხოველები. აქ ირემს არ ელოდება მკვლელი, მყუდროდ გაჰყურებს ღრუბლებს. ირემზე უფრო მკვირცხლი ჯიხვი მაღალი მთებიდან შესცეკრის მყინვარს და უღიმის მწვერვალებს, რომელზე ასვლაც არ ძალუმს.

„კავკასიის პეიზაჟის სიდიადესა და მომხიბვლელობაში, პოეტი მეტაფორულად გვიჩვენებს ქართველი ერის სიდიადესა და ძლევამოსილებას, რაც ტრაგიკულად იმსხვრევა. ლექსში რომანტიკულადაა წარმოსახული კავკასია, სადაც მითიური პრომეთე - ამირანია მიჯაჭვული, რომელსაც ყორანი გულს უკორტნის“ (იგივე: 73).

„ესე არს თვით მთა იგი, სად პრომეტეს დაბმულსა

ღმერთთა მიერ შერისხვით ყორანი ჰხოვდა გულსა.

მთა, რეცა განგებ ზღუდედ აღშენებული სალად,

დასაბამით სოფლისა ცნობილი შეუვალად“

(ქართული მწერლობა, 1992:62).

ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ კარგად შემოგვინახა თქმულება-გადმოცემები და პოეტური ნიმუშები მიჯაჭვულ ამირანზე. ამირანის ძლიერების წყარო უფალია, მაგრამ ამირანს ქვეყნად როცა არავინ დარჩა მოურეველი, მაცხოვარი გამოიწვია

ორთაბრძოლაში, იმის დამარცხება მოინდომა, ვინც ძალა მიანიჭა, რისთვისაც უფალმა კლდეზე მიჯაჭვით დასაჯა.

„ღმერთთა მიერ შერისხული“ პრომეთე რომანტიკოსი პოეტისათვის ასოცირდება კავკასიის ბედთან. პოეტის მწუხარებას საზღვარი არა აქვს, როცა ხედავს მის სამშობლოს როგორ „ჰსცემდნენ“, „ჰგლეჯდნენ“, „ხელოვნებით მეხნი“:

„შეიჭრნენ ჩრდილოს ვაშტნი, წიაღსა გრანიტთასა,
არ ჰრიდეს ღელეთ სიღრმეს, არც სიმაღლეს მთათასა.
ფოლადნი, ქვათ მკვეთელნი, ათასთა შინა ხელთა,
ხელოვნებითნი მეხნი, მედგრად მჩენელნი ცეცხლთა,
ჰსცემდენ, ჰგლეჯდენ, ქუხოდენ და კავკასი მკვნესარედ.
ეხოთა მიერ წყლუთა თვისთა ცხად ჰყოფდა მწარედ“.

(ქართული მწერლობა: 62)

ეს მთა თითქოს ქვეყნისთვის ზღუდედ, საზღვრად, გალავნად გაუჩენია უფალს, რომელიც თავისი არსებობის დღიდან ცნობილია მიუვალობით, მაგრამ, როგორც პოეტი ამბობს, როცა რუს მხედართ შორის აღზრდილი, შეუდრეველი და მამაცი ციციშვილი ამ მთას მოადგა, თავად მთამ გაუღო კარი და აჩვენა შარაგზები.

ჩრდილოეთიდან შემოსულები ვერც მდინარეების სიღრმემ შეაშინა და ვერც მთების სიმაღლემ. მედგარი ცეცხლის გამჩენელმა ხელოვნურმა მეხმა შუაზე გაარღვია უდრევი კავკასიონი, გაიხსნა გზა და იშვა ივერიელთა სასოება, რადგან ამ გზით შემოვიდა განათლება.

შემთხვევითი არ არის, რომ კავკასიის მაღალ მთაზე მიჯაჭვული ამირანის გვერდით ავტორი ახსენებს ციციანოვს. თითქოს, ლექსში გამოსჭვივის აზრი, რომ ციციანოვმა ხელი შეუწყო საქართველოში განათლების შემოტანას:

„განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთა სასოება,

რომ მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“

(ქართული მწერლობა, 1992: 62).

ციციანოვს პოეტი ახსენებს ასევე თხზულებაში „საქართველოს მოკლე ისტორიული წარკვევი“. რა ცნობებს გვაწვდის ისტორია ციციანოვის პიროვნების შესახებ.

ციციანოვი დაიბადა ქალაქ მოსკოვში. იგი იყო პაპუნა ციციშვილის შვილიშვილი, რომელიც ვახტანგ მეექვსესთან ერთად გადაიხვერა რუსეთში. პავლეს დედა, ელისაბედ ბაგრატიონ-დავითაშვილი, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წარმომადგენელი იყო. პავლეს მამას, დიმიტრი ციციშვილს, სამშობლო მუდამ ახსოვდა. რუსეთში მშობლიური კულტურის გამდიდრება-გაძლიერებაზე ზრუნავდა და თავის თარგმნილ მათემატიკურ სახელმძღვანელოებს საქართველოში აგზავნიდა. თავად პავლე ციციანოვი კი გარუსებული გახლდათ და ერთგულად ემსახურებოდა ცარიზმის თვითმპურობელურ პოლიტიკას.

ციციანოვი ნათესავადაც ეკუთვნოდა გიორგი XII-ს მეუღლეს, მარიამ დედოფალს, მაგრამ გარუსებული გენერლისათვის ამას ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. მრისხანე მთავარი, მართალია, უმთავრესად ძალადობდა და დაშინების გზით მოქმედებდა, მაგრამ ხშირად დიპლომატური მანევრითაც აღწევდა მიზანს. მან მკაცრად შეაფასა რუსეთიდან გამოგზავნილი უღირს მოხელეთა საქმიანობა საქართველოში და იმპერატორს მათი გაწვევა ურჩია. ამასთანავე, ქართული სამეფოს ყოფილი მოხელე-თავადებიც მოიმადლიერა. მისი წარდგენით მათ დაენიშნათ პერსონალური პენსიები და მიენიჭათ წოდებები. დროებით უკვე გაუქმებული მოურავის ინსტიტუტიც აღადგინა, რითაც შემოირიგა მრავალი განზე გამდგარი ქართველი თავადი, მისი ინიციატივთ შეიქმნა დებულება სათავადო-საგუბერნიო კრების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სამ წელიწადში ერთხელ გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურთა წინამდლოლების არჩევას, დაიწყო რუსლი კანონების ქართულ ენაზე თარგმნა, იგი ზრუნავდა საქართველოში რუსული საგანმანათლებლო სისტემის დანერგვაზე, რუსული ენის შესასწავლად მოითხოვდა სკოლის გახსნას, სახელმძღვანელოებსა და მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელთა გამოგზავნას. საინტერესოა ისიც, რომ ციციანოვის პროექტში რუსულთან ერთად სავალდებულოდ იყო მიჩნეული ქართულის შესწავლაც. ითხოვდა, რომ წარჩინებული მოსწავლეები მთავრობის დაფინანსებით რუსეთის უნივერსიტეტებში გაეგზავნათ სწავლის გასაგრძელებლად.

„პავლე ციციანოვის ინიციატივით საქართველოში გაიხსნა კეთილშობილთა პანსიონატი; მის სახელთანაა დაკავშირებული საგზაო და საფოსტო კომუნიკაციების მშენებლობა; სელის, მატყლისა და ტყავის გადასამუშავებელი წარმოების დაარსება; აფთიაქის გახსნა (1804); აღა-მაჰმად-ხანის დროს განადგურებული თბილისის სტამბის აღდგენა; თეატრის გახსნა“.

მიუხედავად იმისა, რომ ციციანოვის საქართველოში ყოფნას მრავალი სასარგებლო წამოწყება მოჰყვა, იგი საქათველოს ისტორიაში შევიდა, როგორც რუსული რეჟიმის განმტკიცებისათვის თავდადებული მებრძოლი.

<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000698/>

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექს „ჰესის „საქართველო“, „ხელნაწერს, (ასლს) „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“ აქვს მინაწერი: „თქმული თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან ტანბოვს“. ლექსის შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი ტამბოვის პირველ, ან საზოგადოდ, გადასახლებას კი არ გულისხმობს, არამედ 1832 წლის შეთქმულებისთვის მზადებას“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969:70).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ალექსანდრე ჭავჭავაძის დამოკიდებულება 1832 წლის შეთქმულებისადმი. იშვიათია მისი დროის მოაზროვნე ქართველი, რომელიც ამ შეთქმულების მონაწილე არ ყოფილიყოს. ალექსანდრე ჭავჭავაძე - მღელვარე ეპოქის დიდი ქართველი - შეუძლებელიც იყო გულგრილი დარჩენილიყო შეთქმულებისადმი. 1832 წლის შეთქმულება ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკაში იჩენს თავს. ლექსისა და „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევის“ დასაწყისის კონცეფცია ერთია: პტოლომეს დროსა და, საზოგადოდ, წარსულში საქართველო აყვავებული იყო, პოეტის დროს კი დაცემულია.

ლექსში „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“ ალექსანდრე ჭავჭავაძე რომანტიკულად ახასიათებს საქართველოს დიადი წარსულის დამხობასა და სანაცვლოდ „შავი დროის“ გამეფებას. ეს ლექსი საბრძოლო შემართებითა და ეროვნულ-პოლიტიკური რადიკალიზმით ყველაზე მეტად გამორჩეული ქმნილებაა ალექსანდრე ჭავჭავაძის მთელს შემოქმედებაში.

ლექსის დასაწყისში პოეტი იხსენებს საქართველოს დიდებულ წარსულს. მისი თქმით, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ პტოლომეს დროიდან ყვაოდა, მაგრამ ძველი

დიდება „შავმა დრომ“ ფეხით გათელა. „შავმა დრომ“ ვარდი დააჭინო, ჩვენი ქვეყნის სიდიადე დაამდაბლა, ოქროს საუკუნე არაბებისა და სხვა მტრების შემოსევამ გააქრო:

ჰე, საქართველო, პტოლომეს დროს აღყვავებულო,
მშვენიერ იყო, მარა რა? ვით ამა სოფლის ყოველი,
კეთილი, მოსაწონელი, შავმე დრომ ფერხთით გასთელა,
დააჭინო, ვარდი წალკოტში, მით ჩემი გულიც მოსთვლილა,
„გაჰქრა დავითის ხმლის ელვა, ჩაჰქრა თამარის ლამპარი,
ოქროს დრო უამმა შესცვალა აგარეანთა სბროლამა,
შეიქმნა ვაი- ვიშიში, საქრისტიანოს რბევა და
ქართველთა სისხლის დინება, გული შეზარა სრევამა“.

(ქართული მწერლობა, 1992: 64).

პოეტი დანანებით ამბობს, რომ ძველი, აყვავებული საქართველო ისტორიის საკუთრებაა, მტერი დღესაც მოსვენებას არ აძლევს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ჩამქრალა „დავითის ხმლის ელვა“, აღარც „თამარის ლამპარი“ გვინათებს. ალექსანდრე ჭავჭავაძის იდეალი დავითისა და თამარის საქართველოა, აწმყოთი შეწუხებული პოეტი დავითისა და თამარის საქართველოს განადიდებს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ხოტბას ასხამს ერეკლე მეფის გმირობას, რომელმაც არაერთხელ დაღვარა სისხლი ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლაში. პოეტის თქმით, მეფეს ცდა არ დაუკლია საქართველოს დასაცავად, მაგრამ „მზრუნველი დარჩა ეულადო“, ამბობს იგი, მეფე უძლური აღმოჩნდა ქვეყნის უამრავი მტრის წინააღმდეგ, რამაც გადააწყვეტინა ქვეყნის ბედი და „როსნი მოიხმო საშველად“ - საქართველო რუსეთს შეუერთა.

მტარვალს მიზნად დაუსახავს ქრისტიანული ქვეყნების რბევა. მტერი მოადგა საქართველოს და სისხლის გუბეები დააყენა. საქართველო სისხლისგან იცლებოდა საუკუნეთა მანძილზე, მეფე ერეკლემ ცდა არ დააკლო, მაგრამ „ვერ შეჰქრა მისი კარიბჭე“, პოეტი ცდილობს გაამართლოს ერეკლეს ისტორიული ნაბიჯი, მაგრამ

დარბევა და ძალადობა, რასაც ქართველი ერი მონარქისტული რუსეთის ბიუროკრატი მოხელეებისაგან განიცდიდა, პოეტს აღაშფოთებს:

„მათ ნაცვლად მმობის, ერთობის, დაგვტოვა დანასხეულად.“

(იგივე: 64).

ალექსანდრე ჭავჭავაძე ასე ღიად არსად არ საუბრობს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე. ის ამბობს, რომ რუსეთმა არ შეასრულა საქართველოსთან დადებული პირობა და „დაგვტოვა დანასხეულად“, სიკვდილთან პირისპირ. რუსეთის ხელისუფლებამ ერეკლე მოატყუა, „მახვილდებულად მოვიდა, მზაკვრულად მიგვცა გვემასა.“ ჩვენი ქვეყანა პირფერობით, მოტყუებით ჩაიგდო ხელში, ისარგებლა ქვეყნის უმწეო მდგომარეობითა და „ყელსა სარაზი შეგვაბა, მიმოძგანარედ მთვლემარსა.“

ავტორის თქმით, ამაში ჩვენც ვართ დამნშავენი, რადგან მტერმა ისარგებლა ჩვენი მოდუნებით, მთვლემარე მდგომარეობით, ვერ შევაფასეთ სწორად ჩვენი ნაბიჯი, ვერ გამოვიჩინეთ საჭირო სიმამაცე, ვენდეთ მტრის სიტყვიერ პირობას, „ლაქათთა იწყეს ლაქათი“, ლაქლაქი სანდო სიტყვად მივიჩნიეთ, მტერს ჩვენი ტერიტორია სჭირდებოდა, ამიტომ გულუხვად გვპირდებოდა უკეთეს მერმისს, თანაც, სიტყვიერ დაპირებაზე მარტივი რა უნდა იყოს: „ძვალი არა აქვს ენასა.“ ამ შეცდომამ ჩვენს ხალხს უხვად ადინა ცრემლი და ახალ-ახალი ჭირი, სადარდებელი გაუჩინა. მაგრამ არ ვართ „ზორაყნიო“ (თუთიყუში), ამბობს პოეტი, რომ რასაც ჩაგვძახებენ, ის ამოვძახოთ, ან „ზრზენას“ ჩვეულნი, როცა ვხედავთ, რომ მტერს მიზნად დაუსახავს ქართული სული ჩაკლას, ქართველი სხვა ერით ჩაანაცვლოს. ამ ყველაფერს „ჯდომა-თვლემით“ ვერ ვუპასუხებთ, ამას „სიკვდილი გვიჯობს“, ამბობს პოეტი. თუ ბრძოლა დაგვჭირდა, ხმალს ისევ ავიღებთ:

„მზაკვარს ხმლით გავუსწორდებით, ვჰფუცავთ ჩვენ ხრმალთა კვეთასა.“

(იგივე: 64).

პოეტს სწამს, რომ კავკასიონზე ისევ ამოანათებს თავისუფლების მზე და ქართველი კაცი ისევ დაიბრუნებს ნანატრ თავისუფლებას, პოეტის ერთადერთი სატკივარიც ეს არის, რომ „სამკვიდრო დავკარგეთ“ (მუსტა ზადი). (იგივე: 36) პოეტს

მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ იბრძოლოს მამულის გამოსახსნელად: „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა, უპოვრად ვუწყებ მღერასა“ (იგივე: 64).

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვისას კრიტიკოსი აკავი კენჭოშვილი აღნიშნავს: „XIX საუკუნის დამდეგს, თავის სამოქალაქო ლირიკაში ალექსანდრე ჭავჭავაძე საქართველოს ცხოვრების იმ მოვლენებს ეხება, რომელთაც შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგი ისტორიულ წარსულად წარმოსახავს“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969: 70).

პოეტის ერთადერთი სურვილი სამშობლოს თავისუფლება და მის კეთილდღეობაზე ზრუნვაა. მისთვის სიკვდილის ტოლფასია, რომ მამულიშვილების „თრევა-სრევას“ უმზიროს. აქ ჩანს ალექსანდრე ჭავჭავაძის თავისუფლებისმოყვარე ქართული სული, რომელსაც მტკიცედ გადაუწყვეტია „მზაკვართან“ შებრძოლება და „ქართლის“ გათავისუფლება, რომლის ყველაზე დიდი სურვილია „მნათი აღმოჰდეს კავკასია“. აღნიშნული ლექსი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკის რომანტიკულ-პატრიოტული სულის თვალსაჩინო ნიმუშია.

ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში გარკვეული ცვლილებები ხდება, თავს იჩენს ისტორიულ ვითარებასთან უნებლივ შეგუება და პატრიოტული სევდის ზრდა, რაც მკვეთრად გამოიკვეთება მის ისტორიულ-დოკუმენტურ თხზულებაში „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801-დან 1831 წლამდე.“ ამ ნარკვევს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დროის საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზროვნების გასაგებად. ავტორი თანაუგრძნობს საქართველოს რუსეთთან შეერთებას. იმპერატორისადმი მიწერილ წერილში სხვანაირად არც შეიძლებოდა, მაგრამ აშკარად იკვეთება პოეტის პატრიოტული სულისკვეთება.

მოცემულ თხზულებაში ავტორი გვევლინება საქართველოს ბედზე, აწმყოსა და მომავალზე დაფიქრებულ, მზრუნველ მამულიშვილად, რომელსაც შესწევს უნარი თვალი გადაავლოს წარსულს, შეაფასოს აწმყო და დასახოს ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო გეგმა. პოეტს სურს რუსეთის იმპერატორმა სწორად შეაფასოს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა, კერძოდ, აქ მყოფი რუსი

მოხელეების თვითნებობა და თავგასულობა, რამაც გამოიწვია ხალხის ამბოხი, ხოლო მავანმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და რუსეთის ხელისუფლების საწინააღმდეგო ქმედებად მონათლა. მოცემულ თხზულებაში ავტორი წარმოაჩენს საქართველოს მდიდარ ისტორიულ წარსულს, საუბრობს იმაზე, რომ საქართველო არის დიდი კულტურის, მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყანა, რომ ჩვენი ურთიერთობა მიზნად უნდა ისახავდეს მხოლოდ პოლიტიკურ უსაფრთხოებას და საქართველომ საშინაო საქმეებში უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა. პოეტი დასაწყისში საუბრობს საქართველოს დიდებაზე, რომლსაც დაუპირისპირა რუსეთის მმართველობისდროინდელ საქართველოში აღზევებული უკეთურებანი და ბოროტებანი. წერილი აგრეთვე ყურადღებას იპყრობს საქართველოში იმდროინდელი რეალური სურათის აღწერითა და ისტორიულ პირთა სახელების სიუხვით.

ეს ნაწარმოები საერთო ტონითა და მიზანდასახულობით უახლოვდება ჩვენი პოეტის სევდიანი განწყობილებით დატვირთულ პოემებს: „ვაჰ, დრონი, დრონი“, „უწყალო სენმან“, „ოჰ წარმავალნო“, „ისმინეთ მსმენნო“, „ეჰა ჩემო ოცნებავ“, „გოგჩა“ და სხვა, რომელნიც გოდების, მოთქმის, ოხვრის, ჭმუნვის, ურვის, ოცნებისა და საზოგადოდ, სამგლოვიარო სევდის ნიშნით არიან წარმოდგენილნი. პოეტი ძველ, დიდებულ საქართველოზე საუბრობს „გოგჩაშიც“, წარსულის აღწერისას გამოყენებულ ეპითეტებშიც : „ქალაქნი დიდებულნი“, „პალატნი ჩინებულნი“, მათნი ბინადარნი „ბედნიერნი“ და „კმაყოფილნი“, ახასიათებენ არა მარტო კონკრეტულ ობიექტებს, არამედ თვითონ წარსულსაც. ე. ი. იგულისხმება, რომ წარსული დიდება იყო „დიდებული“, ჩინებული“, „ბედნიერი“. ამგვარი ეპითეტები წარმოადგენენ იდეალიზებული წარსულის ნიშნებს.

აწმყოს აღწერისას ალექსანდრე ჭავჭავაძე მიმართავს ისეთ ეპითეტებს, რომლებიც გამოხატავენ ლირიკული გმირის დამოკიდებულებას აწმყოს მიმართ: „საგლოვო ნაშთნი“, „ქვანი შავნი“, „დღეს დახავსილნი“.

ალექსანდრე ჭავჭავაძე წერილს საქართველოს ისტორიის გახსენებით იწყებს და მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ისტორიულ წყაროთა დიდი ნაწილი მოისპო და არც დღეს გამოჩენილა ვინმე, ვინც აღწერდა მიუკერძოებლად. ალ.

ჭავჭავაძე საუბრობს ძველ იბერიაზე, კოლხიდაზე და მათ შემადგენელ ნაწილებზე. მწუხარებით აღნიშნავს, რომ ძველი, აყვავებული საქართველოსგან დღეს მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი და ცნობებს მის სიძლიერეზე ბიზანტიელ ისტორიკოსთა წყაროებში თუ შევხვდებით. აგრეთვე აღნიშნავს, რომ მონასტრებში არსებულ ცნობებს დღესაც ვერ მიუჰყრია მკვლევართა ყურადღება ენის უცოდინრობის გამო, მაგრამ პოეტი ამაყობს იმით, რომ საქართველოს ჰქონდა მდიდარი კულტურა.

ავტორი საუბრობს მეოთხე საუკუნის საქართველოზე, როცა მივიღეთ ქრისტიანული სარწმუნოება და საქართველოს საზღვრები გადაჭიმული იყო შავსა და კასპიის ზღვებს შორის და მოსახლეობა 16 მილიონს აღემატებოდა, მეექვე საუკუნიდან საქართველო დროდადრო კარგავდა და ისევ იბრუნებდა თავის ტერიტორიებს. 1089 წელს დავით აღმაშენებელმა ისევ აღადგინა ძველი საზღვრები, 1223 წლამდე გრძელდება ოქროს ხანა. 1413 წელს ალექსანდრე პირველის მიერ აყვავებული საქართველო დააქუცმაცეს მისმა შვილებმა სამთავროებად, შემდგომი მნელბედობის უამს საქართველო იცლებოდა სისხლისაგან უამრავი მტრის თავდასხმის გამო, საშველი კი არსად ჩანდა, „მხვნელი მიწას იარაღასხმული ხნავდა, ჭირნახულს ომის პირობებში იღებდა, მაგრამ ხალხს ქედი არ მოუხრია ალ-ყურანის წინაშე, რომლის დამკვიდრებას ცდილობდნენ ოსმალებიცა და სპარსელებიც“ (ქართული მწერლობა, 1992:84). საგულისხმოა, რომ ქართველი ხალხი მაინც ინარჩუნებდა სარწმუნეობას, მებრძოლ სულსა და სიყვარულს მშობლიური ქვეყნისადმი. „თუ ხალხი გაუხეშდა და ზოგიერთი უცხო ჩვეულება შეითვისა, აღნიშნავს პოეტი, ამის მიზეზი მნელბედობა იყო. მთლიანად აღიგავნენ პირისაგან მიწისა მთელი სოფლები, მთავართა ციხე-კოშკები და მრეწველობით აყვავებული ქალაქები. მაგრამ მათი ნანგრევები დღესაც კვებავენ ქართველთა სიამაყის გრძნობას“ (იგივე: 84).

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევებმა შეცვალა საქართველოს ბედი, ერეკლე მეორემ გადაწყვიტა მფარველობა რუსეთისგან მიეღო, რომ შური ეძია სპარსეთზე.

გიორგი XIII-ს შემდეგ სამეფო სახლის მრავალრიცხოვან წევრთა ტახტისთვის ქიშპობა საქართველოს უკანასკნელი ძალები გამოაცალა. 1800 წელს ბატონიშვილი ალექსანდრეს ოცი ათასი ლეკით შემოჭრის შემდეგ მეფე გიორგი იცავდა თავისი

ხალხის ღირსებასა და სარწმუნოებას, ქვეყნის მმართველობა მიანდო რუსეთს, ამ გადაწყვეტილებას ხალხი სიხარულით შეხვდა. საზოგადოების მმართველნი პირნი პირადი ანგარიშებით ხელმძღვანელობდნენ, ამავე გზას ადგა თვადაზნაურობა, რომელიც ორ პარტიად იყო გაყოფილი. ერთნი გიორგი მეცამეტეს სიკვდილის შემდეგ მოუთმენლად ელოდნენ რუსეთის მმართველობის დამკვიდრებას და არ უნდოდათ ტახტზე ბატონიშვილი დავითი ასულიყო, მეორე პარტიას მეფობის შენარჩუნება უნდოდა, ასე, რომ მეფე მთლიანად რუსეთის მორჩილი ყოფილიყო, ხოლო საქართველოს მმართველობა ადგილობრივი კანონებით განხორციელებულიყო.

ნაკლებად, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პირად ინტერესებზე მაღლა იდგნენ და ხალხის განწყობასა და პოლიტიკურ ვითარებას ითვალისწინებდნენ. მათი აზრით, საქართველოში რუსეთის წესწყობილების დამყარებას, როგორც რუსეთისათვის, ისე საქართველოსათვის სავალალო შედეგები მოჰყვებოდა, რის დასადასტურებლადაც მრავალ მიზეზს ასახელებდნენ.

როცა საქართველოში ჩამოვიდა გენერალი კრონინგი, კავკასიის ხაზის ჯართა ინსპექტორი, საქართველო მაშინ ისეთ მძიმე ავადმყოფს ჰგავდა, ძლივს შეეძლო მკურნალისთვის თავის გასაჭირი მოეთხრო, არათუ წინააღმდეგობა გაეწია, იგი აღიარებდა რუსეთის მფარველობის აუცილებლობას. ამ დროს სამოქალაქო საჭიროების გამო სამსახურში ყველას ღებულობდნენ. ასეთ მოხელეებს მათი მოქმედების წყალობით სახელი გაუტყდათ, რუსულისა და ქართულის მცოდნე იშვიათობა იყო, მართლმავლებელი არათუ დამაკმაყოფილებელი იყო, არამედ აბუჩად აგდებას უფრო წარმოადგენდა. ყიზლირში ძლივს გამოჩნდა ერთი მღვდელი, რომელიც რამდენიმე წელი თარჯიმნობას უწევდა ქართველებს, თარგმანები ქაღალდზე დაწერილი აბდაუბდა იყო და მოსამართლეებს არ ჰქონდათ სრული ინფორმაცია გასარჩევ საქმეებზე, ხოლო მოსარჩლეებს არ ესმოდათ განაჩენი.

ამ არევდარევას ემატებოდა განზრახ ბოროტება ახალი უფროსების მხრიდან, რომლებიც სარგებლობდნენ იმით, რომ ქართველმა თვადაზნაურობამ არ იცოდა თავისი უფლებები. ჩვენი ქვეყნის ამგვარმა გასაჭირმა მიაღწია მის უდიდებულესობამდე, რის გამო კრონინგი ციციანოვით შეცვალეს. ალექსანდრე ჭავჭავაძე მოცემულ თხზულებაში დადებითად აფასებს ციციანოვის

საქართველოში მოღვაწეობას და აღნიშნავს, რომ ციციანოვი საფუძვლიანად იცნობდა საქართველოს მდგომარეობას, ხედავდა მისი წინამორბედის მიერ ჩადენილ შეცდომებს, მაგრამ, პოეტის თქმით, სასურველი წესრიგის დიდი იმედი მაინც არ უნდა გვქონოდა, რადგან არ გააჩნდა სათანადო სახსრები, რაც თავიდანვე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. სამხედრო ნაწილებსა და მოსახლეობას შორის იყო სრული თანხმობა, რადგან ქართველები მათ დამცველებად და დამხმარე ძალად მიიჩნევდნენ, ხალხი საყვედურს გამოთქვამდა მხოლოდ სასამართლო დაწესებულებათა და სამოქალაქო პოლიციის წინააღმდეგ.

ციციანოვის დროს არაგვის ხეობაში სამხედრო გზაზე მუშაობის დროს ბარით მოკლეს კაპიტან-ისპრავნიკი, რომლის თავგასულობამ ხალხი ამ დანაშაულამდე მიიყვანა. იმის მაგივრად, რომ მთავარი დამნაშავე დასჯილიყო, იმ ადგილებთნ ახლოს მყოფებმა სამხედრო პირმა ერთი როტა ქვეითი ჯარი გაგზავნა, რამაც რუსების წინააღმდეგ პირველი ტყვიის გასროლი საბაბი წარმოშვა. ამ დროს ციციანოვი ერევნის ლაშქრობაში იყო, მთიელების ამბოხებაც სპარსელთა გავლენას მიაწერეს, თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ ამბოხების მიზეზი კაპიტან-ისპრავნიკის მოკვლა იყო. ამ დრო ციციანოვს ერევნის ციხისთვის ალყა ქონდა შემორტყმული, ხოლო მეორე მხრივ, თვითონაც ალყაშემორტყმული იყო სპარსელთ 40-ათასიანი ჯარით, თვითონ შაპის მეთაურობით. ბევრს ეშინოდა, რომ სპარსელები დაგვიპყრობდნენ.

პოეტი აღტაცებულია ციციანოვის გმირობითა და ამბობს, რომ მისმა გმირობამ გაარკვირვა სპარსელები, როცა ერთ მუჭა ჯარით შაპი დაამარცხა, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და მოულოდნელი გამოჩენით ამბოხება ჩაახშო.

ციციანოვის პიროვნება იმითაც იპყრობს ავტორის ყურადღებას, რომ მას, როგორც პოეტი ამბობს, ფართო და სწორი წარმოდგენა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაზე. მისი ხანმოკლე მმართველობა გამორჩეულია ისეთი წარმატებით, რომელიც არ შეესაბამებოდა მის ხელთ მყოფ ძალებს. ეს გარემოება პოეტს აიმედებდა, რომ საქართველოს საქმეები ხალხისა და მთვრობის სასარგებლოდ მოგვარდებოდა, მაგრამ ციციანოვი ბაქოსთან ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა. ალექსანდრე ჭავჭავაძე მიიჩნევს, რომ „მისი სახით სამშობლომ უერთგულესი მსახურთაგანი, მოქმედი და უნიჭიერესი ადამიანი დაკარგა”, (იგივე:89). თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,

ციციანოვის პიროვნებასთან ქართველ ისტორიკოსთა და მკვლევართა შორის განსხვავებული შეხედულებები არსებობს.

ალექსანდრე ჭავაჭავაძე საუბრობს ციციანოვის გარდაცვალების შემდეგ შექმნილ ქაოსურ მდგომარეობაზე, როცა ორი გენერალი ედავებოდა ერთმანეთს სარდლობის უფლებას. ხალხმა არ იცოდა, ვის განკარგულებას დამორჩილებოდა, ჩვეულებრივი მოვლენა გახდა არაკეთილსინდისიერ პირთა ძარცვა და ჩაგვრა. ხალხის საჭიროების შესახებ მმართველებს ზუსტ ცნობებს არ აწვდიდნენ, ამ მდგომარეობას ვერც ადგილობრივი ხელმძღვანელობა შველოდა, რადგან საქართველოს თავადაზნაურთა წინამდლოლებმა არ იცოდნენ რუსული ენა და არც მათი უფლებები, ცალკეული თანამდებობის პირები კი ცდილობდნენ, რომ მთავარ მართველობას არ ჰქონოდა თავადაზნაურობის ნდობა და ეჭვის თვალით მოჰკიდებოდა მათ.

შეუძლებელია ალექსანდრე ჭავჭავაძის ხედვის მქონე ადამიანს რუსი მოხელეების ამგვარ მოქმედებაში არ დაენახა მათი უსულგულო დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ, მაგრამ მათ ასეთ დამოკიდებულებას გაუგებრობას მიაწერს, აյ ჩანს სასოწარკვეთილი ქართველი მამულიშვილის გულისტკივილი, რომელიც ცდილობს სასიკეთოდ შემოატრიალოს რუსი ხელისუფლების საქართველოში ყოფნა და დაიცვას უბრალო ხალხი უსამართლო რუსი მოხელეების ძალმომრეობისაგან, იმედოვნებს, რომ ეს დამოკიდებულება მომავალში შეიცვლება.

პოეტი დაწვრილებით ჰყვება მეფის მოხელეების თავგასულობის შესახებ და ამბობს, რომ კაპიტან-ისპრავნიკები სარგებლობლობდნენ ხალხის უცოდინრობითა და მათ ძალას იყენებდნენ პირადი საჭიროებისათვის. სოფლებიდან ურმებით გაჰქონდათ შეშა და სურსათ-სანოვაგე, ხოლო ხალხის დაჩივლების შემთხვევებს ამბოხებად თვლიდნენ.

წარმოუდგენლად მაღალი იყო ის გადასახადი ქართველი გლეხისთვის, რასაც იმ დროისათვის აკისრებდნენ. პოეტი აღნიშნავს, რომ „ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრებულშიც აღნიშნულია ის ფაქტი, რომ საქართველოს ყოველწლიურად, მშვიდობიანობის დროსაც გამოჰყავდა 112134-მდე ხარ-კამეჩით შებმული ურემი, 99780 სატვირთო ცხენი

თავისი პატრონითურთ“ (იგივე: 91). პოეტი დანანებით ამბობს, რომ ეს რიცხვები ნათლად მეტყველებს, როგორ მძიმე ბეგარას აკისრებდნენ ხალხს, მოგვიანებით ეს ბეგარა შეიცვალა თავად ვარშაველის გრაფ პასკევიჩ-ერევნელის წყალობით. ასეთმა მძიმე გადასახადებმა საქართველო სრულ გაპარტახებამდე მიიყვანა.

პოეტი ასევე აღნიშნავს, რომ ამის გარდა გლეხებს ჰქონდათ პურისა და ლვინის გადასახადი, შინაური ფრინველები, ცხენები და ურმები მათ განკარგულებაში იყო, ვენახების ღობეებსა და სარებს გასათბობად იყენებდნენ, პატრონები ამის გამო ვერ ჩიოდნენ, რადგან პასუხად მუქარა და სასჯელი ელოდათ.

ავტორის თქმით, ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ მთავარმართველამდე სიმართლე არ მიჰქონდათ, პირიქით, საქართველოს მდგომარეობას ლამაზ ფერებში უხატავდნენ, თითქოს საქართველოს მოსახლეობა დაცული იყო გარეშე და შინაური მტრებისაგან.

ალექსანდრე ჭავჭავაძე წერილში გამოთქვამს აზრს, რომ რუსეთის მთავრობის დროს საქართველოზე ბედნიერი ქვეყანა არ იქნებოდა, რუსეთის მზრუნველობას ჩვენამდე გაუმრუდებლად რომ მოეღწია, „ამის ცოცხალ მაგალითს დაპყრობილ ქვეყნებშიც კი ვხედავთ, ლიფლანდი, კურლანდი და ესტლანდი ღმერთს მადლობას სწირავენ, რომ რუსეთის კურთხევის ქვეშ იმყოფებიან“ (იგივე:100).

პოეტი ფიქრობს, რომ ახლა დროა განმანათლებლური მოღვაწეობა გაჩაღდეს სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის გასაუმჯობესებლად ამ დალოცვილ ქვეყანაში. ავტორი ნატრობს, რომ საქართველომაც მიაღწიოს იმ დონეს, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ევროპელებისა და ახალი მატერიკის შორეულ ქვეყნებისთვისაც კი. პოეტის ყველაზე დიდი სურვილია საქართველოსთან მიმართებაში რუსეთმა შეიმუშაოს ისეთი სისტემა, რომლითაც იხელმძღვანელებს აქაური მთავრობა და რომელიც სავალდებულო იქნება ყველასთვის, რათა უფროსების შეცვლასთან ერთად არ იცვლებოდეს მათ მიერ დადგენილი წესები და ერთი მმართველის წარმატება მეორეს არ აფერხებდეს მისი განსხვავებული შეხედულების გამო.

„ნარკვევში“ ჩანს, საქართველო როგორ იმედებს ამყარებდა რუსეთის ხელისუფლებაზე, მაგრამ სამაგიეროდ მივიღეთ მეფის მოხელეების ბარბაროსული დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ, მაგრამ პოეტი იმედოვნებს, რომ

რუსეთის მეფე ალაგმავს მოხელეთა თვითნებურ თავგასულობას და საქართველოში კულტურული და ეკომომიკური მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება, რუსეთი კი ამ საქმეში დიდ როლს ითამაშებს, თუმცა საკითხავია, ქართულ-რუსული ურთიერთობის დახატვის შენდეგ რამდენად სარწმუნოა ეს ყველაფერი. პოეტი კარგად გრძნობს, ეს სურვილი უფროა, ვიდრე რეალობა, თუმცა ამ ნარკვევით ალექსანდრე ჭავჭავაძემ ის მაინც უთხრა რუს ხელმწიფეს, რომ საქართველო ძველი და დიდი კულტურის მქონე ქვეყანაა და სხვანაირ მოპყრობას მოითხოვს. მოცემული ნაწარმოების შეფასებისას კრიტიკოსი აპოლონ მახარაძე ამბობს: „ქართველი ხალხის უბედურებაში რომ დამნაშავე მეფის რუსეთის სახელმწიფო აპარატია, ამ აზრს ალექსანდრე ჭავჭავაძე სრულიად გარკვეულად გამოთქვამს, მაგრამ იგი ვეღარაფერს ამბობს იმაზე, რომ რა საფუძველს ემყარება ის აპარატი, რომელმაც საქართველო ასე მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა. ძნელი არაა, მკითხველმა თვითონ გაიგოს, რომ მდინარე ამღვრეული მოდის სათავიდან, იქიდან, სადაც პირადად იმპერატორი დგას“ (იგივე:45).

ადგილობრივი მმართველობის გაკიცხვით, მათი აუცილებელი ალაგმვის მოთხოვნით ალექსანდრე ჭავჭავაძე მეფის თვითმპყრობელობის საერთო სახელწიფოებრივი წესწყობილების კრიტიკას გვაძლევს. მოცემულ თხზულებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი პოეტური შემოქმედების გაგებისათვის.

ეს ძალა, რომელზეც პოეტი აღნიშნულ ნაწარმოებში საუბრობს, „ღიმით დადიოდა ნაქცევთა ზედა და ფეხით ჰლახავდა გზა-და-გზა სიმართლის ყვავილს, რომელნიც ჭკნებოდნენ მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“, პოეტის ეს სიტყვები ნათელი სურათია ქართველი კაცის მაშინდელის ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიული მდგომარეობიდა. ალექსანდრე ჭავჭავაძე იმედოვნებს, რომ „ამა სოფლისა დიდი და მცირე, არს ცვალებისა მზირე“, ეს სასაიკეთო ცვლილება აუცილებლად დადგება საქართველოს ცხოვრებაში.

§2. ალექსანდრე ორბელიანი

ალექსანდრე ორბელიანს სიცოცხლეშივე ჰქონდა მოპოვებული ფანატიკოსი პატრიოტის სახელი, მის წინაშე ქედს იხრიდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები.

ილია ჭავჭავაძემ ალექსანდრე ორბელიანი დიდი სიმაპტიით მოიხსენია XIX საუკუნის 90-იან წლებში დაწერილ თხზულებაში (ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია). აქ ის ილიამ სამშობლოსათვის თავდადებულ მცირერიცხოვან მოწინავე ქართველთა შორის დაასახელა. როგორც აპოლონ მახარაძე შენიშნავს, „ალ. ორბელიანის სახით ჩვენ გვყავს რომანტიკოსი მწერალი, ქართული პატრიოტული რომანტიზმის ტიპიური წარმომადგენელი, რომელიც სამშობლოს, ქვეყნისა და ხალხის ბედზე დრტვინავს, მისი დაწინაურებისათვის იღწვის. იგი მხოლოდ და მხოლოდ კეთილი განზრახვით ხან ერის კულტურული წინსვლისა და ამაღლების გეგმას აწყობს და ხან, იმავე მიზნით, წარსულიდან ცნობილ ისტორიულ ფაქტებს და გმირებს იხსენებს“ (მახარაძე, 1990: 113).

ალექსანდრე ორბელიანის პიროვნებას ასე აფასებს პოეტი აკაკი წერეთელი: „ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნაღვაწი. ძალიან უყვარდა საქართველო“ (წერეთელი, 1989: 101).

არისტოკრატიული ოჯახის შვილი კარგად იცნობს იმ დროის მოწინავე საზოგადოებას. ალექსანდრე ორბელიანის მიერ მოთხრობილი ისტორიული ამბები საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს მწერლის დიდ წინაპართა, თანამედროვეთა, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. მის ნაწარმოებებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდი პაპის, ერეკლე მეფის საბრძოლო თავგადასავლებს. შემთხვევითი არ არის, რომ ალექსანდრე ორბელიანი XIX საუკუნის საქართველოში ცოცხალ მემატიანედ მიიჩნევა.

მის კალამს ეკუთვნის დრამები: „დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“, „კეთილი ბერიკაცი“, „ჟამნი მეფობენ“.

ალექსანდრე ორბელიანის ისტორიული ნარკვევებია: „ასპინძის ომი“, „აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“, „1829 წლის არეულობა საქართველოში“, „დაღესტნის ლეკების გამოსვლა ახალციხეში“, „უმანკო სისხლი“, „საქართველოს მეფე ირაკლის მე ლევან“, „მეფის ირაკლის მეორე მეუღლე დარია ანუ დარეჯანი“, „მეფის ირაკლის მეორის დროის ცოცოტა ანბები, ანუ ზოგიერთნი მაშინდელი პირნი“. მოგონებები: „ჩვენი ძველი სახლეულობანი“ და სახვა. ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურული შესაძლებლობები უფრო ფართოდაა წარმოდგენილი მის კრიტიკულ ნაზრებში, სადაც კარგად ჩანს ამ საღადმოაზროვნე პიროვნების კრიტიკული ალლო და საზოგადოებრივი პოზიცია.

ორბელიანის წერილების ღირსებად ითვლება ის, რომ ავტორი შეულამაზებლად გადმოგვცემს საქართველოს ისტორიის ნაცნობ თუ უცნობ დეტალებს, ცნობილ ისტორიულ პირთა რეალურ სახეებს, რაც გვეხმარება სწორად შევაფასოთ ის ისტორიულ მოვლენები, რომლებიც ბურუსითაა მოცული და ისტორიაში საკამათო თემადაა ქცეული.

ალექსანდრე ორბელიანი თავის თხზულებებში ისტორიულ პირთაგან ყველაზე მეტ დაინტერესებას დავით აღმაშენებლისა და ერეკლე მეორის მიმართ იჩენდა. ისტორიული წარსულით მწერლის დაინტერესება ყოველთვის თავისი დროის საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების გადასაჭრელ გზათა აქტიურ ძიებას უკავშირდებოდა.

ალ. ორბელიანის ლექსებიდან ყურადღებას იპყრობს „ეპიტაფია-საქართველოს მეფის ირაკლის მეორისადმი“, ავტორი მოწოდებით მიმართავს ბაირონს, რათა მისი თაოსნობით „ზეცის მგოსნებმა“ ხოტბის ლექსი დაამღერონ ირაკლის საფლავს:

„და აქ, მეც, საფლავს კარგის მეფისას

მოვრთავ, შევამკობ ჩვენს ირაკლისას!

მოგიწვევ დიდო ლორდო ბაირონ,

მეფის საფლავზე ზეცის მგოსნებით

და გთხოვ ეს ლექსი ჩანგით დამღერონ

მგოსნებთ მის საფლავს ცის ხმოვანებით“

(ახალი ქართ. ლიტ., 1979:126-127).

ლექსში ირაკლი წარმოდგენილია, როგორც წარსული დროის „ჭკუის ვარსკვლავი“ და დიდი მხედართმთავარი.

ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი კავკასიელ ხალხთა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ერთობის იდეის გამოხატვას. კავკასიელი ხალხის ერთობას მწერალი ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მოვლენად თვლის. ამ თვალდაზრისით საინტერესოა ისტორიული დრამა „დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“. „მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ალექსანდრე ორბელიანმა ეს დრამატული ნაწარმოები 1846 წელს დაწერა, იმ დროს, როცა რუსეთი გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა ჩრდილოეთ-კავკასიის ხალხებისა და მათი ბელადის, შამილის წინააღმდეგ“ (ნიკოლეიშვილი, 2014:329).

დრამა შედგება ოთხი მოქმედებისაგან. პიესა ისტორიულ დრამას წაროადგენს. მასში გადმოცემულია დავით აღმაშენებლის წინამდღოლობით მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს დედაქალაქის თბილისის განთავისუფლება სელჯუკ-მაკმადიანთა ბატონობისაგან. დრამის პირველ მოქმედებაში ავტორი გვიხატავს ქართველი პატრიოტების სამზადისს თბილისის განთავისუფლებისათვის. სცენაზე გამოჩნდება თბილისის მამასახლისის, აბულელის ძმა – სერაფიმი, მეუდაბნოე ბერი. ძმები მტკიცნეულად განიცდიან საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას. მათ განუზრახავთ იბრძოლონ სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ამ მიზნით ისინი ჩაბმული არიან განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელსაც მაშინ დავით აღმაშენებელი მეთაურობდა.

აბულელის მშვენიერ ასულზე, ელენეზე, ბავშობიდან დანიშნული ყოფილა ლიპარიტი, თურქ-არაბების წინააღმდეგ შეუდრეველი მებრძოლი, დავით აღმაშენებლის დიდად ერთგული ადამიანი. ლიპარტი შუამავლის როლს ასრულებს ქალაქში არალეგალურად მომუშავე ქართველებსა და დავით აღმაშენებელს შორის. იგი ატყობინებს მათ, რომ ”ახლოხანში დავით მეფე დიდგორისთავს გადმოივლის ჯარებით და დიღმის მინდვრის თავში დიდი ომი მოუხდება თურქებთან“.

დიდგორზე ანთებული კოცონი აცნობებდა ხალხს, რომ იწყება გადამწყვეტი ბრძოლა თურქ-არაბებისაგან თბილისის განთავისუფლებისათვის.

თურქები და არაბები დრამაში წარმოდგენილი არიან არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი კავკასიის ხალხების მტრად, ამიტომ ამ დიადი ბრძოლისათვის ემზადებიან ქართველები, სომხები, როგორც კაცი, ისე ქალი. მწერალი პიესაში ავითარებს საქართველოს მეზობელი ხალხების განთავისუფლების აზრს.

მეომართა რიგები თანდათან დიდდება, ნინოს და ანასტასიას მოჰყავთ ქართველ და სომებს ქალთა ლაშქარი „ამაზონის ტანისამოსში” გამოწყობილნი. აյ არის აბულელი, თბილისის მამასახლისი თავისი მეომრებით, აგრეთვე საომრად გამზადებული ბერები სერაფიმ ბერის ხელმძღვანელობით. დამხდურნი ზეიმით ეგებებიან დავით მეფეს, რომელიც თავის მხლებლებით და ლაშქარითურთ მოვიდა, ცოტა ხნის შემდეგ იმერეთის ლაშქარი მოჰყავს ყივჩაღთა ასულს, დავით მეფის მეუღლეს გურანდუხტს. დავით აღმაშენებელს თან ახლავს თავისი მოძღვარი არსენ იყალთოელი, კათალიკოსი იოანე, გიორგი ჭყონდიდელი, ეფრემ მცირე, პეტრიწი და სხვ. ყველას გადაწყვეტილი აქვს თავი შესწიროს სამშობლოს თავისუფლებას.

თუ პირველსა და მეორე მოქმედებაში მწერალი გადმოგვცემს ქართველთა სამზადისს თბილისის განთავისუფლებისათვის, მესამე მოქმედებაში უკვე ბრძოლა მიმდინარეობს თურქ-არაბ დამპყრობელებთან. მოქმედების დასაწყისშივე აშკარად ჩანს, რომ თურქებმა შეიტყვეს ქართველების საომარი სამზადისი და საბრძოლველად ემზადებიან.

კრიტიკული მდგომარეობის დროს ომში შემოიჭრება დავით აღმაშენებელი მთელი მეომრებით და მტერს უკან დაახევინებს. დავით მეფე იძლევა ბრძანებას, დაედევნონ მტრის დაშლილ რაზმებს. ბრძოლა კვლავ გააფთრებულ ხასიათს იღებს. ბოლოს სცენაზე შემოდის ომგადახდილი, გამარჯვებული დავით მეფე თავისი ლაშქრით. მტერმა თბილისი ცეცხლს მისცა, მოაოხრა, მაგრამ სცენაზე ისმის ხალხის მიმართ დავითის გამამხნევებელი სიტყვები: ”აღვაშენებ მე”. მეოთხე მოქმედება წარმოებს მცხეთაში. იგი ძირითადად გამოხატავს ომში დახოცილთა და დასახიჩრებულთა მიმართ უსაზღვრო პატივისცემას და გამარჯვებულთა ზეიმს.

ირგვლივ ისმის განთავისუფლებულთა აღფრთოვანებული შეძახილები – ”თავისუფლება!”

დრამაში დავით მეფე გადმოგვცემს მის მიერ ქალაქ ანისის განთავისუფლებას და ამის გამო სომეხთა სიხარულს. ზეიმს ესწრებიან როგორც ადგილობრივი სომხობა, სომეხთა კათალიკოსი, ისე მაპმადიანთა ახუნდიც. სომხები თავიანთი ქვეყნის განთავისუფლების გამო აღფრთოვანებას გამოხატავენ. დავით მეფე მათ მიმართავს: ”პატივცემულო ოპანეს, ეს ჩემი კოცნა მარტო თქვენ, ინდოეთის სომხებს არ გეკუთვნისთ, სადაც კი სომხები იყვნენ, იმათთვისაც მითავაზებია, და ეს კოცნა იყოს ნიშანი ჩვენი ერთობისა, რადგან ერთი მამის შვილები ვართ და ერთი სისხლისანი”. (ქართული მწერლობა, 1992: 284). დრამაში გარკვევით არის საუბარი კავკასიის ერთა მეგობრობაზე და მათ საერთო ინტერესებზე. დავით მეფე მიმართავს სომხებს, აზერბაიჯანელებს და ქართველებს: „იყოს ერთი კავკასია და ერთი კავკასიის ერი საუკუნოდ... ვინც ამას იქით ჩვენი კავშირი დაარღვიოს, წყეულიმც იყოს!” (იგივე: 284). გაერთიანებისაკენ მოწოდებას შეძახილებით ყველანი დასტურს აძლევენ. მაპმადიანთა ახუნდი, ისე როგორც სომხების კათალიკოსი, დავითის მისამართით აღნიშნავს: „ამდენი საუკუნოების განყოფილი ძმობა ჩვენი შენ შეაერთე, შენ გვასწავლე სიყვარული და ერთობა...” (იგივე: 287). ყოველივე აქედან აშკარაა, რომ ა. ორბელიანი ამ დრამაში ხალხთა მეგობრობასა და სიყვარულსაც ქადაგებს. დავით აღმაშენებელი დრამაში დახატულია, როგორც ერის მისწრაფებათა დამცველი და გამომხატველი, მისი თავისუფალი ცხოვრების აღმაშენებელი.

„დავით აღმაშენებელი” ისტორიული დრამაა, მაგრამ ეს პიესა მარტო ისტორიას როდი ეხება, დაკვირვებული მკითხველი კარგად შეამჩნევს, რომ იგი ალეგორიულად გამოხატავს მწერლის თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას.

დრამა დავით აღმაშენებლის ხოტბას წარმოადგენს. ა. ორბელიანი მას სამართლიანად გვიხატავს, როგორც დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, მებრძოლსა და მშენებელს. დრამა იმგვარად ვითარდება, რომ მის მიმართ ყოველი მოქმედი პირი ღრმა სიყვარულითა და თანაგრძნობითაა გამსჭვალული. ოდნავადაც კი არ იგრძნობა რაიმე წინააღმდეგობა მეფესა და ფეოდალებს შორის. ეს მაშინ, როდესაც ისტორიულად ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის მიმართ მრავალი ურჩი

დიდებული მტრულად იყო განწყობილი და მეფეს დიდი ბრძოლები მოუხდა მათ ასალაგმვად. მაგრამ ა. ორბელიანისათვის, საერთოდ, არაა დამახასიათებელი წარსული ფეოდალური საზოგადოების ნაკლოვანი მხარეების ჩვენება და კრიტიკა.

აღსანიშნავია, რომ ა. ორბელიანი დრამაში იყენებს ფოლკლორს, ხალხურ გადმოცემას და მის საფუძველზე თხზავს დრამის ერთ შესანიშნავ ეპიზოდს. ამ ეპიზოდის გამო სქოლიოში ა. ორბელიანი შენიშნავს: ”მოხუცებულის პაპიჩემისაგან გამიგონია ჩემს სიყმაწვილეში: როდესაც დავით აღმაშენებელს მოუნდომებია ქალაქ თბილისის აღება, დავით აღმაშენებლის ცოლსა და არაბის სარდლის ცოლსა გამოუთხოვნიათ ერთმანეთი საომრათ; ვინც მოერიოს, იმისი იყოს ქალაქიო, დავით აღმაშენებლის ცოლსა უჯობნიაო. თუმცა ისტორიაში არ არის ეს, მაგრამ ამ ორ ქალზე თქმული ასე გავაკეთე დრამისა ამისა მოსახდენად, მგონია შესაფერისი იყოს? – ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ უძველესი ჩვენი ისტორიაც დიდათ აქებს მაშინდელ ქართველს ქალებს და უკანასკნელად მეფის ირაკლის მეორის დროს რამდენი ვაჟვაცობის მაგალითია ჩვენი ქალებისა!” (ქართული მწერლობა, 1992:254).

ასევე დრამაში საინტერესოდაა ჩართული დიღმელებსა და თურქ-არაბებს შორის გააფთრებული ბრძოლის ეპიზოდი. დიღმელმა დედაკაცებმა, როდესაც შეატყვეს, რომ ბრძოლაში სიკვდილი მოელოდათ, თავისი ქალიშვილები დახოცეს, რათა მტერს საჯიჯგნად ხელში არ ჩავარდნოდათ. შემდეგ კი, თავიანთ ქმრებთან ერთად, მტერთან ბრძოლაში ჩაებნენ. მწერალი შესანიშნავად გვისურათებს ომის პროცესში დავით აღმაშენებლის მეუღლის, ყივჩაღთა ასულის გურანდუხტისა და მაჰმადიანთა სარდლის მეუღლის ბრძოლას. აღსანიშნავია, რომ ავტორი პიესაში ქალს სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ძლიერ ძალად წარმოგვიდგენს.

„დავით აღმაშენებელი”, როგორც აღვნიშნეთ, არ ეკუთვნის ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს, რომელიც მიზნად ისახავს მარტო ისტორიული ვითარების ჩვენებას. მასში ალეგორიული ფორმით გადმოცემულია ის ვითარება, რომელიც საქართველოში 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით შეიქმნა.

მართლაც, დრამის ზოგიერთი პერსონაჟის სიტყვებში ჩვენ შევიცნობთ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა აზრებს. სერაფიმ ბერი ნაწილობრივ მოგვაგონებს შუამთის ბერს, ფილადელფოს კიკაძეს, 1832 წლის შეთქმულების აქტიურ

მონაწილეს. სერაფიმ ბერის მონოლოგები ა. ორბელიანის დროინდელ საქართველოს ვითარებას მოგვაგონებს, ნაწარმოებში, პირველად XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, წამოყენებულია საერთო მტრის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) გაერთიანების იდეა.

როგორც კრიტიკოსი ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავს, „ალექსანდრე ორბელიანი სუსტია, როგორც დრამატურგი, მისი პიესები მოქმედების გარეშეა დარჩენილი, აյ რიტორობა უფრო მეტია, ვიდრე ამბის ორგანული განვითარება. იმას არ ვიტყვით, რომ ნიჭიერი ადგილები დრამატულ ნაწარმოებებში არ ჰქონდეს ალ. ორბელიანს, მაგრამ ეს მთლიანად დამუშავებული პიესები კი არ არის, არამედ ნედლი მასალაა. იმ დროს ასეთი პიესები იწერებოდა და, თავის დროზე, ამას დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა. სათეატრო რეპერტუარი ჩვენს თეატრს ძალიან ღარიბი ჰქონდა და ყველა ცდილობდა, რომ ეს ნაკლი შეევსო, ღირსების ძიებას არც კი დასდევდნენ“ (კოტეტიშვილი, 1959: 228-229).

ალექსანდრე ორბელიანმა 1862 წელს დაწერა ”ტრაგედია – ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო, ანუ თავდადება ქართველებისა“. ეს პიესაც, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ისტორიული ხასიათის ნაწარმოებია, მასში ა. ორბელიანი გადმოვცემს XVIII საუკუნეში ოსმალ-ლევებისაგან გავერანებულ აღმოსავლეთ საქართველოს ტრაგიკულ მდგომარეობას. ამ დროს სამხედრო ასპარეზზე გამოვიდა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ერეკლე მეორე. მწერალი მას, ქართველ თავდაზნაურობასთან ერთად, წარმოგვიდგენს საქართველოს მხსნელად.

პირველი მოქმედების დასაწყისშივე მეფე თეიმურაზ მეორე, რომელიც თავის ცოლ-შვილთან ერთად გახიზნულია ფშავში, გვაცნობს საქართველოს მძიმე მდგომარეობას. მეფე სისხამ დილით თვალს ავლებს მთის მშვენიერ ბუნებას, მზე ამოვიდა და სხივები მოჰვინა არემარეს, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო მეფის დამწუხრებულ გულს ვერ შველის ბუნების ფერადოვნება და სილამაზე. მეფე მიმართავს მზეს: „ახლა ხომ შენის თვალით უყურებ საქართველოს, რა ზარია დაცემული იმ ჩვენს მშობელ მამულზედ! აღმოსავლეთიდან მტერი ებრძვის, დასავლეთიდან მტერი, სამხრეთიდან მტერი, ჩრდილოეთიდან მტერი, მტერი, მტერი! აღელვებულს ოკეანეს ზღვასავითა შემოხვევია, ვით მცირე ხომალდს,

აუარებელი მტერი საქართველოს და წეწენ ცოტა ქართველებსა“ (ახალი ქართული ლიტერატურა, 1979: 216).

მეფის სიტყვები კარგად ასახავს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას. მეფე თეიმურაზმა ყველა შესაძლებლობა გამოიყენა ქვეყნის დასაცავად, მაგრამ თითქოს დროც ქვეყნის საწინააღმდეგოდ შეტრიალებულა, მტერი წარმოუდგენლად ბევრი ჰყავს ქვეყანას, მეფემ თითქოს ყველაფერი გააკეთა ქვეყნის დასაცავად, მაგრამ უძლური აღმოჩნდა უამრავი მტრის წინააღმდეგ, ამიტომ იძულებული გახდა ოჯახთან ერთად მთაში გახიზნულიყო. ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა ბარად უპატრონოდ დარჩენილი მოსახლეობა მტრის პირისპირ, მხოლოდ საკუთარი ძალების ამარა.

მთიელი მწყემსი მიწას შესთხოვს მოსავალი მისცეს, რომ დაეხმარონ მტრისგან შევიწროებულ ბარის ქართველებს, რათა ხალხი შიმშილით არ ამოწყდეს. მწყემსის ჩივილი ესმის მეფეს, რაც კიდევ უფრო უმძაფრებს მწუხარებას, სასოწარკვეთილი მეფე ტირილს იწყებს. მას გვერდით უდგას და ამხნევებს დედოფალი თამარი, მეფე ვახტანგ მეოთხის ქალიშვილი.

უფლისწული ერელკე მოხუცი მეფის ერთადეთი ნუგეშია, მეფე ფიქრობს, რომ დროა ირაკლი ჩაებას ქვეყნის საქმეებში: „ახლა თხუთმეტი წლის ვჟვაცი ხარ და ვაჟვაცურად უნდა მოიქცე ამას იქით“ (იგივე: 217). დედოფალი მოუწოდებს მეფეს, რომ უიმედობას არ მიეცეს და გაბედეული ნაბიჯები გადადგას. ჭაბუკი უფლისწული აღტაცებულია დედის მხნეობით: „მართლა, რომ მეფის ვახტანგის ქალობა ეტყობა, იმ ბრძენის კაცისა“ (იგივე: 218). უფლისწული მიხვდა, რას ელოდა მისგან მეფე და გაჭირვებაში ჩავარდნილი ქვეყანაც. ირაკლის გამზრდელი გივიც ფიქრობს, სწორედ დამდგარა დრო, რომ ჩემმა აღზრდამ ნაყოფი გამოიღოსო. გივი ამბობს, რომ გარე მტრის მოზღვავებას ისიც ემატება, „ძმა ძმაზედ აღვმდგარვართ, მამა შვილზედ, შვილი მამაზედ. თემი თემს სდევს, ხეობა ხეობას, მთიელები მთიელებს და მთელი საქართველო ამ ვაებაში ჩაღუპულა ჩასანთქმელად“ (იგივე: 220). გივი სწუხს, რომ გაღმა მხარის კახეთი და ქიზიყი სულ გამუსლიმანებულა.

ქვეყნის სიყვარულით ანთებული, ხალხისაგან გამხნევებული ჭაბუკი ერეკლე რჩეული ვაჟვაცებით მთიდან დაეშვება ბარში. დედოფალს ძლიერ ახარებს ერეკლესა

და ქართველების შემართება: „ისე გაშფოთებული ვარ უწყალოს ჩვენის მტრებისგან, რომ აღარ კვნესის ჩემი გული“ (იგივე: 226). ირაკლის გზას დაულოცავს მღვდელი ზაქარიაც და ეუბნება: „ჩემო ირაკლი, ახლა ჩახვალ ბარში, ხოლო რას ნახავ იქ? ვაი, შაოსანთა დედაკაცთა გულხელდაკრეფილთა და წვერთა ბერკაცებისა საკინძით ჩამოწყვეტილთ, რომლებიცა აღავღავდებიან მტერზე, მაშინ გაიმაგრე გული“ (იგივე: 227). მღვდლის სიტყვები ნათლად წარმოგვიდგენს ქვეყნის მდგომარეობას, რომ მტრისგან შეწუხებული ქართველი ხალხის ერთადერთი ნუგეში უფლისწულია. მთა და ბარი ერთიანდება და მეორე მოქმედება უკვე ბარში იშლება. აღავერდის ეკლესიაში გაისმის ერეკლეს ხმა – ”ხმალი სისხლით უნდა შეიღებოს“.

ავტორი თეიმურაზ მეფის ცოლის, თამარის სახით გვიხატავს ქვეყნის სიყვარულით გულანთებულ, უდრევი ხასიათია ქართველი მეფის სახეს, რომელიც ყველას მოქმედებისკენ მოუწოდებს. დედოფალმა შვილი საომად გაუშვა და ბედნიერია, რომ ქვეყანა მტრის ჯავრს არ შეირჩენს, მისთვის მთავარი ქვეყნის მომავალია. ამ წმინდა საქმეს თუ შვილის ციცოცხლე შეეწირა, ამას არ ნაღვლობს. მისი აზრით, ყველა დედა ვალდებულია შვილი ქვეყნის კეთილდღეობას შესწიროს. ყოველი ქართველის მიზანი ქვეყნის გადარჩენაზე ზრუნვას უნდა წარმოადგენდეს, უფრო მაშინ, როცა მთელი საქართველო ძაძებითაა მოსილი.

საქართველოში შექმნილ მდგომარეობას კიდევ უფრო ნათლად ვხედავთ, როცა ვისმენთ ერთი ქართველი გლეხის, ბესარიონის ამბავს. ბესარიონი ყინვასა და სიცივში, მუდმივად მტრის დევნაში დაკუტებულა, მოხუცს ცოლ-შვილიც ქართლში გაუხიზნავს ცოლის მშობლეთან, რადგან გაღმა მხარეს ოსმალები დასახლებულან და საფრთხეს უქმნიან მის ოჯახს. ბესარიონის გამდელი ამბობს, რომ ბესარიონის მამის თხუთმეტი სახლიკაცი სულ მტრის ხელით დაიხოცნენ, ბესარიონის დედის ძმა ომში მოკლეს, დედამ ვეღარ გაუძლი და მწუხარებამ გადაიტანა. ამის თხუთმეტი წლის დაც მოაჯირზე იჯდა, როცა ერთმა ლეკმა ესროლა და მოკლა. ბესარიონმა იარაღი აისხა და მარტოკა შევიდა ტყეში საომრად, ორი წელი სდია მტერს და მათი სისხლი ღვარა, მაგრამ ორი წელი თოვლში ყოფნამ დაავადა. ბესარიონის გამდელი ერეკლეს ეუბნება: „მამა მყვანდა, ომში მომიკლეს, ჩემი ქმარიც ომში, ექვსი ჩემი ძმა კიდევ ომში, ორი მოსწრობილი ჩემი შვილი, ისინიც ომში, ბოლოს დავრჩი ერთი ღერი დედაკაცი უშვილო, გულგავერპებული მტრის ჯავრით“ (იგივე: 232). ძაძებით

შემოსილა მთელი საქართველო. სარიდანი გამდელზე ამბობს: „ამის შაოსნობა საქართველოს ძამების ჩაცმაა ბატონიშვილო“ (იგივე: 234).

ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქართველების სიხარულს საზღვარი არა აქვს, რომ ბატონიშვილი ერეკლე მათ მხსნელის სახით მოევლინა. ხალხს წინამდლოლი სჭირდება და ისიც გამოჩნდა. სარიდანი ერეკლეს ეუბნება: „ვინც თქვენს სახელს გაიგონებს, ნამეტნავად თხუთმეტი წლის ბატონიშვილისაგან ამ ამბებისა, ყოველი ქართველი შენ წინ მოკვდება“ (იგივე: 235).

უფლისწულის გამოჩენამ სარიდანი ფეხზე დააყენა, სწრაფად მოიარა ყოველი მხარე, რათა ხალხი საომრად შეეკრიბა. დაბრუნებული სარიდანი ერეკლეს ეუბნება: „თქვენი სახელი, თქვენი ამბავი რომ გაიგონეს, თავი აიღეს, მაღლა წელში გაიმართნენ“, ერეკლეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, სარიდანის ნათქვამმა უფლისწული აატირა: „ქართველები ისევ ქართელები ყოფილან, თავიანთ მამა-პაპის გვარისებურნი და კიდეც სწყურიან, საქართველოსთვის სისხლი დაღვარონ“ (იგივე: 238).

როცა ხალხმა გაიგო, რომ ერეკლე ხალხს ჩასდგომოდა სათავეში და ბრძოლას აპირებდა, ქიზიყის მხარეს ოსმალურად ჩაცმულმა ქართველები მტერს დაერივნენ და საზღვრამდე სდიეს, შემდეგ თვით ერეკლესთან გამოცხადდნენ, უფლისწულის წინაშე მუხლი მოიყარეს, ოსმალური ტანსაცმელი გაიხადეს და თონქეში დაწვეს.

მთაში და ტყეში გახიზნული ქართველობა სახლებს დაუბრუნდა. ქუდზე კაცი გამოვიდა საომრად. ერეკლეს მეთაურობით ქართველობაში გაიღვიმა ეროვნულმა შეგნებამ.

მესამე მოქმედება გადმოგვცემს თელავის ახლოს წარმოებულ ბრძოლას ოსმალ-ლეკების წინაამდეგ. თავდაპირველად სცენაზე ვხედავთ თელავს, კახეთის მეფის სარეზიდენციო ქალაქს. სასახლის ბანზე ასული მეფე, დედოფალი და სხვანი ზემოდან დაჰყურებენ თელავის მისადგომებზე გამართულ ბრძოლებს და გადმოგვცემენ ქართველ მეომართა გმირობას. ცოლები აქეზებენ ქმრებს გმირობისათვის. მწერალი განსაკუთრებული ინტერესით გადმოგვცემს ომის მსვლელობის პროცესში ახალგაზრდა ერეკლეს გონივრულ სამხედრო ტაქტისა და თავდაჭერილობას.

ბოლოს ერეკლეს ვხედავთ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ დედაქალაქში. მისი თბილისში შემოსვლით საძირკველი ჩაეყარა ქართლ-კახეთის გაერთიანებას.

ამ პიესისათვის ა. ორბელიანს წინასიტყვაობა დაურთავს, რომელშიც აღნიშნულია: „ეს ამბავი, ბატონიშვილის ირაკლის დროისა, იმიტომ ამოვირჩიე მე, რომ იმის ყმაწვილობას მოუხდებოდა ეს ტრალედია. დროც იმისთანა საშინელი იყო მაშინ საქართველოში. მაგრამ რაც სახელი იმ დროს, იმ საშინელებაში, იმ თხუთმეტის წლისამ შეიძინა, მგონია იმტოლა ყმაწვილისაგან სხვა მაგალითი არ იყო არსად ქვეყანაზედ!.. მეც ვეცადე, რაოდენ ჩემმა სუსტმა კალამმა შესძლო, რომ მაშინდელი ლაპარაკი, ხასიათი, ზნეობა თუ დრო ამ ტრაგედიაში გამოხატულიყო”. (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969: 227).

ამ სტრიქონებიდან ნათლად ჩანს ა. ორბელიანის მიზანი. მას გარდასული ცხოვრების ისტორიულ ფონზე თავისი პაპის, ერეკლე მეორის ახალგაზრდობისდროინდელი გმირობის ჩვენება განუზრახავს. ავტორი თვით იყო მომსწრე იმ ადამიანების, რომლებიც ერეკლესთან ერთად ომობდნენ, ხოლო მწერლის დედა, ერეკლეს ასული თეკლე, ამ ამბების უშუალო შთამაგონებელი იყო.

ოსმალებისა და ლეკებისაგან ქართლ-კახეთი მოოხრებული იყო, გამუდმებული რბევისა და ხოცვა-ჟლეტისაგან მცხოვრებთა რიცხვი დიდად შემცირდა, ქართველ გლეხებს უცხოეთში ჰყიდდნენ მონებად, გახშირდა ლეკი მარბიელებისაგან განადგურებული, უკაცრიელი სოფლები. ამ მძიმე ვითარების დროს აიღო ხმალი ჭაბუკმა ერეკლემ. საბრძოლო ასპარეზზე მის პირველ გამოსვლას ასე მოგვითხრობს ცნობილი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე: ”ხოლო წელსა 1735 მოვიდნენ ლევნი და ქიზიყი მოარბივეს. მაშინ იყო ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი წლისა თხუთმეტისა, რომელმაც შემოიყარა სოფლებიდან ჯარი, ეწია ნეიშნის მინდორში და ძლიერად შემოებნენ ლევნი, გარნა თვით ეს ყმა, ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი, მეორედ შევიდა შინაგან ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოკლა კაცი; და ამის მხილველთა კაცთა ერთპირად მიმართავს ყივილითა და წინასწარაქციეს ჯარი ლეკისა, აჰერეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი. და მოვიდა მაღაროს გამარჯვებული, რომლისათვის ფრიად მხიარულ იქმნენ კახნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა მემკვიდრისა თვისისა” (ხერხეულიძე, 1989:40) ა. ორბელიანის დრამას ეს

ისტორიული სინამდვილე უდევს საფუძვლად.

ჩვენამდე მოაღწია ა. ორბელიანის მოგონებამ „პირველი ამბავი მეფის ირაკლისა მეორესი“. მოგონება ეხება ჭაბუკ ერეკლეს პირველად გამოსვლას სახელმწიფოებრივ ასპარეზზე. ა.ორბელიანი ამ მოგონებასაც იყენებს პიესაში. მწერალი ისტორიული მონაცემების, მოგონებათა საფუძველზე გზას უხსნის თავის მხატვრულ ფანტაზიას და ქმნის სრულიად ახალ სახეებსა და სიტუაციებს.

ერეკლეს ისტორიკოსის, ომან ხერხეულიძის სიტყვით, 15 წლის ერეკლემ თავისი ძლიერი რაზმით პირველი ბრძოლა ლევებთან გადაიხადა ”ნეიშნის მინდორში“ (ქიზიყი). დრამაში ეს პირველი ბრძოლა მიმდინარეობს არა „ნეიშნის მინდორში“, არამედ თელავთან. მწერალს თავისი მხატვრული ფანტაზიის გასაშლელად ესაჭიროებოდა ისეთი ადგილი, რომელიც ახლოს იქნებოდა მეფის სასახლესთან და საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ომის მსვლელობისათვის თვალყურის დევნება. ასეთი იყო თელავი, კახეთის სამეფო ხელისუფალთა სარეზიდენციო ქალაქი. აქედან ხელისგულივით ჩანს ალაზნის გაშლილი ველი. მოქმედი პირები ომის მსვლელობას მეფის სასახლიდან მომზირალნი გადმოგვცემენ. თვით მწერალმა კარგად იცის, რომ ეს არის ისტორიული სიმართლე და ამიტომ ამ სცენის დასურათებისას შენიშნავს: „პირველი ომი ირაკლისა ნეიშნის მინდორზე იყო, აქ თელავში მხოლოდ სახესათვის დავსწერე, ნეიშნის ომი არის ქვემოდ“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969:228). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ადგილმდებარეობის შეცვლით ისტორიული სინამდვილის არსი არ დამახინჯებულა. საერთოდ კი მწერალი საკუთარი ფანტაზიით მოსავს მის მიერ გამოხატულ პერსონაჟებს (სარიდან, რევაზი, ბესარიონი, მელანია). დრამაში მთავარი გმირის, ერეკლეს მოქმედება იწყება ფშავიდან, როდესაც იგი ჩაება დამონებული სამშობლოს განვითარებისათვის ბრძოლაში. აქ, მთებში, აღნიშნავს მწერალი, ”ნაცარში დამალულსავით“ ერთი ცეცხლის ნაპერწკალი კიდევ იყო დარჩენილი, ეს იყო ფშავის სიმაგრეებში გახიზნული მეფე თეიმურაზ მეორე, თავისი სახლობით”, ამ მთებიდან თავისი მეომრებით, მოსპობის გზაზე შემდგარი ბარის სახსნელად დაეშვა ჭაბუკი. ფშავი, ალავერდი, თელავი, თბილისი, აი ის პირველი ბრძოლის გზა, რომელიც განვლო მომავალმა გმირმა. ეს არის დრამის ძირითადი ხაზი, მწერალი ახერხებს საინტერესო სცენის შექმნას და მოქმედებათა განვითარების ფონზე ერეკლეს

პატრიოტული სულისკვეთების ჩვენებას. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა. ორბელიანი გამსჭვალულია ერეკლესადმი დიდი სიყვარულით და პირველ მოქმედებაში მზამზარეულ ფორმაში იძლევა ერეკლეს ხასიათსა და მის მსოფლმხედველობას, შემდეგ მოქმედებაში ხდება ამ უკვე მოცემული ხასიათის თავისებური სცენური ილუსტირირება.

მართალია, ა. ორბელიანი გადასახლებიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მეფის მთავრობა მას მაინც უნდობლად უყურებდა. მასზე დაწერილი ყოფილა საიდუმლო ზედამხედველობა. ა. ორბელიანს თავის მოგონებაში აღნიშნული აქვს, რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ”ჯაშუშები დამდევდნენო”. ამ მხრივ საინტერესო მოგონება დაგვიტოვა აკაკი წერეთელმა, თავის ”თავგადასავლის” იმ ნაწილში, სადაც იგი ა. ორბელიანის პიროვნებას ახასიათებს. აკაკი ა. ორბელიანის შესახებ წერს: „იგი იყო ნამდვილი ქართველი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნაღვაწი. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ პოლიტიკურ საკითხებში ისეთ სიფრთხილეს იჩენდა, ისევ უკან არ გამაბრუნონო, რომ ღამით, როდესაც მარტოვა დარჩებოდა მეგობრებთან, მოჰყვებოდა ხოლმე ხმის კანკალით სხვადასხვა ამბებს, მაგრამ მაშინაც დიდი სიფრთხილით სანთლებს აქრობდა, ”ბნელაში ჯობიაო”. ასე წელგატეხილი მოვიდა იგი საქართველოში (წერეთელი, 1989:101-102).

1844 წელს საქართველოში მთავარმართებლობა ჩაიბარა 60 წლის ვორონცოვმა, რომელსაც ახალგაზრდობა ინგლისში ჰქონდა გატარებული და კარგად იცნობდა იქაურ საპარლამენტო მმართველობას. იგი რუს გენერლებზე გაცილებით ჭკვიანი და ცბიერი იყო. ვორონცოვს მიაჩნდა რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში უფრო მოქნილი პოლიტიკის გატარება იყო საჭირო. ის ცდილობდა რუსეთს შეენარჩუნებინა კავკასიური სხეული, რომელშიც იქნებოდა რუსული სული.

პირველი ქართველი მოღვაწე, რომელმაც რეალურად შეაფასა მისი საქმიანობა, ალექსანდრე ორბელიანი იყო, რომელიც კარგად ჩანს მოგონებებში „რუსების დასი ქართველიბი ჩემზედ“ და „ვორონცოვთან ჩემი დაბეზღება“.

ვორონცოვის მმართველობით უკამაყოფილო იყო ა. ორბელიანი. სწამდა, რომ მეფის ამ ბობოლა მოხელეს „ცბიერად სურდა ჩვენი წახდენა“. ა. ორბელიანი წერილში „რუსების დასი ქართველები ჩემზედ“ ახალი ცხოვრებით გართულ

თავადაზნაურობას აფრთხილებს, რომ მის მმართველობას კრიტიკული თვალსაზრისით შეხედონ. თუ ჩვენ, წერდა ორბელიანი, ვორონცოვის მიმართულებას გავყვებით, ისეთ მდგომარეობამდე მივალთ, რომ ბოლოს იტყვიან: ”ერთ დროს აქ, ამ ქვეყანაში ქართველები ცხოვრობდნენ”. ა. ორბელიანის ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქართველი თავადაზნაურობა მოხიბლული იყო ვორონცოვის ”ცბიერი” პოლიტიკით და მრავალი მათგანი მეფის წყობილებისადმი უდიდეს ერთგულებას იჩენდა. „წერილში რუსების დასი ქართველები ჩემზედ“ ალექსანდრე ორბელიანი წერს: „ეს ცფიერი და დიდი დიპლომატიკი და გამორჩეული კაცი, ცფიერულად უალერსებდა სუბუქ ჭკოვანს ზოგიერთს ქართველებსა, იმის ცხრა წლის მართულობა კავკაზია საქართველოში სულ რუსეთის ამაღლება იყო და ცბიერულად ჩვენი წახდენა“.

http://www.lib.ac.ge/index.php?option=com_djcatalog2&view=item&id=5347&cid=300&Itemid=487&prod=1#.YDO7VOj7SUl

ალექსანდრე ორბელიანის ვორონცოვისადმი დამოკიდებულებაზე საუბრობს კრიტიკოსი თამაზ ჯოლოგუა ჟურლან „საქართველოში“, სადაც აღნიშნავს, რომ ალექსანდრე ორბელიანს ვორონცოვისადმი განსაკუთრებულად წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ჰქონდა, რომლის თხზულებებშიც, კრიტიკოსის თქმით, ორი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისია ჩამოყალიბებული: „ის დრო ვარანცოვისადმი საქართველოში, ჩუენგნით გმაოუცდელი სულ სხუა გუარი მოსატყუებელი დრო იყო... მითამ კაიკაცობას გვიჩვენებდა, ნამეტნავად უფრო კიდევ იმათ მომატებით, ვინც რუსეთის ინტერესზე იქცეოდა... ვარანცოვამდისინ ქართულები შორს ვიდექით რუსებზე და იმან რუსებში გაგვრია, შეგვაერთა ამ ცფიერმა დიპლომატმა“. მეორე მხრივ, ალექსანდრე ორბელიანის თქმით, ვორონცოვმა მოგვცა ქართული თეატრი და ქართული სალიტერატურო ჟურნალი: „აჰა, მარადის გქონდეთ და თქვენის მამა პაპის კარგის ენით ისიამოვნეთო“... კნიაზი ვარანცოვი იყო დიდი გონების კაცი, სრული განვითარებული და სურდა ჭეშმარიტად ჩვენი კეთილი (ჯოლოგუა, ჟურნალი „საქართველო“, 2011, N-1).

კრიტიკოს თამაზ ჯოლოგუას აზრით, ქართულ სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ ლიტერატურაში ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკისადმი“

ნეგატიურ დამოკიდებულებას საფუძვლად ძირითადად ორი წყარო დაედო: „ალექსანდრე ორბელიანის პირველი თვალსაზრისი და ვორონცოვის მიერ ნიკოლოზ პირველისათვის წარდგენილი 1849-1851 წწ. ანგარიში, რომელშიც ვკითხულობთ: დაარსდა თეატრი, ლიტერატურა გამოცოცხლდა, იბეჭდება წიგნები, ეს ყვცელაფერი მაფიქრებინებს - თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა კეთილი ინებეთ და ჩათვლის, რომ ამგვარი შედეგი უაღრესად კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებს განათლების გავრცელებაზე, ზნე-ჩვეულებათა დახვეწასა და რუსებში ადგილობრივთა შერწყმაზე (ჯოლოგუა, ჟურნალი „საქართველო“, 2011, N-1).

ალექსანდრე ორბელიანი ვორონცოვის საქართველოში მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს და ამბობს, რომ მისი ქართული კულტურისადმი მზრუნველობა ნიღაბია და მისი მთავარი მიზანი რუსეთის სახელმწიფოზე ზრუნვა იყო და არა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვა.

ალექსანდრე ორბელიანის წერილები მეტად საინტერესოა იმ მხრივ, რომ მათში მოცემულია ბევრი ამა თუ იმ ისტორიული ვითარებისა თუ მოღვაწის პორტრეტი, მისმა წერილებმა ბევრი ისტორიული პირის სახე უკვდავყო, ზოგი რამ ახლებურად წარმოაჩინა, ზოგს თავისებური განსხვავებული შეფასება მისცა.

მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობაში „ასპინძის ომი 1770-სა“(1869 წ.). ალექსანდრე ორბელიანმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა რუსული პოლიტიკის სივერაგე, კერძოდ, ტოტლებენის საქართველოში ვითომდა ერეკლეს დასახმარებლად შემოსვლა და მისი ბრძოლის წინ მიტოვება, ხოლო ერეკლე მეფის ამ მძიმე ვითარებაში გონივრული ქმედება, ქვეყნის სიყვარული და თავდადება.

რუსეთის იმპერატორის დახმარების იმედით ერეკლემ გადაწყვიტა ოსმალეთზე გალაშქრება, მაგრამ მისდა გასაოცრად, ერეკლემ გეგმა შეცვალა და ერეკლე ბრძოლის ველზე მიატოვა. „იმ დროს მეფეს ირაკლის თვალწინ წარმოუდგა თავის მამულის დაღუპვა, ერთის მუხლით დაუჩიქა და უკან ვედრებით მისძახა, დაბრუნებულიყო, მაგრამ მაინც კიდევ დიდის ბოდიშით გაეშურა ღენერალი“ (ქართ. მწერლობა, 1992 :152).

რუსეთის მთავრობის გენერლის სივერაგეს, მფრის პირისპირ, მცირე რაზმით დარჩენილი ერეკლე მეფის სასოწარკვეთა არ გამოუწვევია: „ამის გამგონი და

მნახველი მეფე ირაკლი ასე წამოხტა, რომ ერთს ადგილზე მაღლა შეხტა, თავის ცხენს მოაფრინდა და თავის ქართველებს შემოსძახა: ქართველებო! რუსები უკანვი წავიდნენ. ეს იცოდეთ, ჩვენი დაბრუნება უკან არ იქნება“ (იგივე: 152).

ოსმალები ბევრნი იყვნენ, ქართველები კი რვა ათასამდინ, მაგრამ ორ-სამ საათში ქართველებმა ბრძოლის სურათი შეცვალეს, მტერს აიძულეს გაბრუნებულიყვნენ და სიმაგრეებში გამაგრებულიყვნენ. მტერს თხუთმეტი ათასი მეომარი კიდევ შეუერთდა. ერეკლემ კაცები გაგზავნა და მტკვარზე გადებული ხიდი ააყრევინა, რადგან მტერი კიდევ ოცი ათას ჯარისკაცს ელოდა. ურიცხვმა მტერმა შემოუტია ერეკლე მეფის ჯარს, „მაგრამ მეფე ერეკლე და იმისი მხნე სარდალი თავ. დავით ორბელიანი გადემეტნენ იმ დღეს ვაჟკაცთ ვაჟკაცობას. შევიდნენ ქართველები ძალიან ომში, სადაც იყო მოუწყვეტელი თოფთა ცემა ორსავე მხრითა, დალესული ხმლები ბრიალებდა ერთმანეთზე“ (იგივე“ 153).

მოცემულ მოთხრობაში ავტორი ასევე საუბრობს იმ ისტორიულ ფაქტზე, როგორ ცდილობდნენ მავანნი საქართველოში ერთიანი მმართველობის დაკნინებას, ერეკლეს ძის გიორგისა და თავად მეფეს შორის განხეთქილების ჩამოგდებას, გარკვეულ დიდგვაროვანთ ერთი ნაწილის უფლისწულ გიორგის გარშემო გაერთიანებას. გიორგი ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებს, განზე გამდგარა და იქიდან ელოდება მოვლენების განვითარებას: „მეფემ უკან შემოიხედა, ნახა, რომ თავისი უფროსი შვილი, ბატონიშვილი გიორგი (შემდეგ მეფე) ერთს სიმაგრეს მიჰებულია თავის ჯარით და იქ გაუმაგრებია ერთი მაგარი ადგილი“ (იგივე:153). სწორედ ამ ბრძოლაში დაამარცხა მეფემ კოხტა ბელადი, „რომელიც გათამამებული მიუძღვის წინ თავის ლეკებს“ და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

ალექსანდრე ორბელიანის თქმით, ძველი თავადები და ბატონიშვილები ხშირად დადიოდნენ მათ ოჯახში თეკლა ბატონიშვითან, ერთ სალამოს მოვიდნენ სოლომონ თარხნიშვილი და მეფე ერეკლეს მდივანბეგი ზაალ ბარათაშვილი, თავად ელიზბარ ფალავანდიშვილი და სხვები, რომლებიც ჰყვებოდნენ ასპინძის ბრძოლის ამბებს. ზაალ მდივენბეგმა თქვა: „ჩვენი დამარცხება შეუძლებელი იყო, იმიტომ, რომ რაც გამოჩენილი ვაჟკაცები იყვნენ საქართველოში: თავადები, აზნაურები და გლეხკაცები, იმ დროს სულ იქ ვიყავით, ამისთვის იმედი გვქონდა, რომ უთუოდ

გავიმარჯვებდით“ (იგივე: 159).

„გამარჯვების შემდეგ მეფე ირაკლიმ სამი დაჭერილი ლეკების ტყვე ეკატერინა ხელმწიფეს გაუგზავნა რუსეთში თავის წიგნით: ასე გავიმარჯვეთ ასპინძაში, რომ სამი იქ დაჭერილი ტყვე თქვენთვისაც მომირთმევიაო“ (იგივე: 160).

ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობას იმ დროის ისტორიული მოვლენების შესწავლის საქმეში მწერალი როსტომ ჩეიძე ასე აფასებს: „ცრუთეორიებისა და ისტორიის გაყალბებისაგან თავდასაღწევად ალექსანდრე ორბელიანის ნაწარმიებები, მართლაც, საუკეთესო და გზისგამკვლევი ქმნილებანია“ (ჩეიძე, 1996: 309).

წერილში „საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან“ ალ. ორბელიანი აღნიშნავს, „რომ იმისი სიცოცხლე გრძელი ყოფილიყო საქართველო დღეს ამაღლებული იქნებოდა ბაგრატიონების გვირგვინის ქვეშ!“ როგორც მწერალი გვიყვება, მეფე ერეკლეს ძე ლევანი მეფის მესამე ცოლის, დარეჯანის შვილი იყო. ალექსანდრე ორბელიანი აღნიშნავს, რომ ერეკლემ დიდ ანტონ კათალიკოსთან ერთად, „ეს ორნი გონიერნი“ რუსეთში გაგზავნა, რათა შეესწავლათ იქაური ადმინისტრაციული წყობა, რომ „საქართველოშიც ასე დააწყონ“.

რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ შექმნეს მორიგი ჯარი, მოიგონეს ჩამოსასხმელი ზარბაზნები, სადაც ეს მიჰკონდათ, ყველგან იმარჯვებდნენ. ამის შემდეგ მეფე ერეკლე ქვეყნის გამართვას მოჰყვა, ხოლო ანტონ კათალიკოსი ეკლესიების გამართვას, ხოლო ლევან ბატონიშვილმა მტერს დაუწყო დევნა, რომელიც ყოველთვის იმარჯვებდა მათზე.

ალ. ორბელიანის თქმით, ეს სამნი ხშირად იყვნენ ერთად და საქართველოს საქმეებს აწყობდნენ, მაგრამ ეს არ მოსწონდათ საქართველოს მტრებს და ყოველნაირად შეეცადნენ მათი დაშორება, სხვა რომ ვეღარაფერი გააწყვეს, ლევან ბატონიშვილი მოწამლეს. მწერალი აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ გავიდა სამი თუ ოთხი წელი და ანტონ კათალიკოსი გარდაიცვალა, „მგონი ისიც საწამლავით გაათავეს“.

მწერალი დანაწებით ამბობს, რომ მთელი საქართველო იმედით შეჰქონდა

ლევანს და იმისგან ბევრს კარგს მოელოდნენ. ერთხელ ლევან ბატონიშვილის გამოგზავნილი მახარობელი მოუვიდა ერეკლეს, „ყარაიას ლეკოსმალოს დიდ ჯარზე გავიმარჯვე და ახლა დიდი ამალით გეახლებიო, ბატონიშვილი გიორგი, ერეკლე და მთელი ქალაქი დიდი სიხარულით შეებნენ ბატონიშვილს“.

ალექსანდრე ორბელიანის თქმით, ლევან ბატონიშვილი გამოირჩეოდა ენამჭევრობით. ორბელიანი აღნიშნულ წერილში საუბრობს ერეკლე მეფის კარზე არსებულ ინტრიგებზე, ჭორებზე, რაც უდანაშაულო ადამიანების დასჯისა მიზეზი ხდებოდა. ამ ჭორის მიზეზი, ავტორის თქმით, ერეკლეს მტრობა იყო, სწორედ ამ მტრობამ შეიწირა უფლისწული ლევანი.

[wikisource.org /wiki.](http://wikisource.org/wiki.) - ალექსანდრე ორბელიანი.

ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედების თემატური მრავალფეროვნება გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ მის მიერ გამოთქმულ ბევრ მოსაზრებას არათუ ისტორიულად არ დაუკარგავს აქტუალობა, არამედ არც მომავალში მოაკლდება ქვეყნის სამომავლო განვითარების გზათა მაძიებელ მამულიშვილთა ინტერესი და პატივისცემა.

გვ. გრიგოლ ორბელიანი

გრიგოლ ორბელიანი ქართული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენელია, მისი პოეტური დიდება მის თანმედროვეთა სიტყვაშივე იღებს სათავეს, კრიტიკოსი ელგუჯა მაღრაძე გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებასა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ წიგნში იმოწმებს აკაკი წერეთლის სიტყვებს: „ორბელიანი საუკუნეების შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება და ამაღლდება, მომავალი დრო და თაობა „გონების თვალით“ შეხედავს გრიგოლ ორბელიანს, როგორც ღირსეულ მამულიშვილს“ (მაღრაძე, 1975: 3).

გრიგოლ ორბელიანის პოეზია გამოირჩევა ხალასი ბუნებით, გვხიბლავს ჭეშმარიტი პოეტური სიტყვითა და გამორჩეულ ადგილს ისაკუთრებს პოეტური სიტყვის ისტორიაში. მისი მხატვრული მემკვიდრეობა არაა ვრცელი, მაგრამ სამაგიეროდ უფრო ღრმაა და უკვდავ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება.

მამულისათვის თავდადება, სიკეთის სამსახური, დაცემულის აღდგენისა და, საზოგადოდ, ადამიანის სულიერი სიმაღლის ნათელი იდეალები, გრიგოლ ორბელიანის, როგორც სიცოცხლის სიყვარულით ანთებული ხელოვანის პოეტურ ინტერესთა დიდ სოციალურ დატვირთულობას მოწმობს. იმედი, როგორც ნათელი ძალა, გრიგოლ ორბელიანის პოეტური გრძნობის თანამდევი სხივთაგანია ყოველვის. პოეტის წარმოდგენით, იმედიანი განწყობა აშინაარსებს ადამიანის სიცოცხლეს და უიოლებს მას თვით სიკვდილის მოახლოებით გამოწვეულ მწარე განცდასაც კი.

„გრიგოლ ორბელიანი ქართულ მწერლობაში ერთი იმ პირველ პოეტთაგანი იყო, რომელსაც აღმოაჩნდა განსაკუთრებულად დახვეწილი კულტურა ჩვენი წარსულის დაფასებისა და უნარი, რათა აქტუალური შინაარსი მიენიჭებინა ამ წარსულისთვის“. (ევგენიძე, 1982: 159).

ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი გრიგოლ ორბელიანის გაორებულ ბუნებაზე, თითქოს მის შემოქმედებასა და ბიოგრაფიას შორის ხიდი იყო

ჩატეხილი, ამ განსხვავებულ შეხედულობებს წარმოშობს გრიგოლ ორბელიანის მაღალი თანამდებობრივი მდგომარეობა, მაგრამ ყველაფერი გაცამტვერდება, თუ ახლოს მივალთ მის შემოქმედებასთან, მის პიროვნებასთან.

გრიგოლ ორბელიანი არის არისტოკრატიულ ოჯახში აღზრდილი პიროვნება, რომელსაც თან დაჲყვა საქართველოს სიყვარული, სიყვარული დიდი და დამოუკიდებელი საქართველოსი. მის შეხედულებათა გასაღები მისივე პოეზიაში უნდა ვეძიოთ, როგორც კრიტიკოსი ელგუჯა მაღრაძე ამბობს: „ერთი შემთხვევითი ფრაგმრნტის გარდა არაფერი ამტკიცებს, რომ გრიგოლ ორბელიანი, როგორც პოეტი, აღტაცებულია მონარქიული რეჟიმით, მხოლოდ ოფიციალურ წერილებსა და დოკუმენტებში ვხვდებით მეფისა და მის მოხელეთა ქებას. იგი არც ლექსებში, არც პოემებში ქედს არ უხრის მეფის მოხელეებს. მხოლოდ ოფიციალური აუცილებლობითაა ნაკარნახევი სიტყვები:

„ხელმწიფევ ჩვენო

ძლიერო ბრძენო

ნიკოლოზ დიდო სულგრძელობითა...“

(მაღრაძე, 1975: 4).

„ეს ფაქტი არავითარ საფუძველს არ იძლევა ვიფიქროთ, რომ არსებობს ორი გრიგოლ ორბელიანი - ერთი, რომელიც თვალცრემლიანი შეჰყურებს თამარ მეფის სახეს და დასტირის პატარა კახის საფლავს და მეორე ორბელიანი, რომელიც ქებას ასხამს ცნობილ დესპოტს, ნიკოლოზ პირველს“ (მახარაძე, 1990: 192).

უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსთა ის ნაწილიც, რომლებიც გრიგოლ ორბელიანის ორბუნებოვნებაზე საუბრობენ, საბოლოოდ წარმოგვიდგენენ დასკვნას, რომ გრ. ორბელიანში პოეტი იმარჯვებს. მკვლევარ ვახტანგ კოტეტიშვილს მოჰყავს გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიული ესკიზები, სადაც დასმენს: „მასში ორი ადამიანი იყო მოთავსებული, ერთმანეთის მოწინააღმდეგე, რომელთა შორის საბოლოოდ სძლია პოეტმა და ქართველმა ერმაც ეს პოეტი შეიყვარა“ (ქიქოძე, 1985: 311).

გრიგოლ ორბელიანის შეოქმედების კარგად შესწავლის შემდეგ თვალნათლივ დაინახავთ, რომ მისი პოეზიის საძირკველი ქართული კლასიკური მწერლობის

ნაყოფიერ ნიადაგშია საძიებელი, ისევე როგორც შემდგომი თაობის ბევრმა პოეტმა გრ. ორბელიანის ძარღვიან პოეზიაში ჰპოვა ახალი სულიერი საზრდო და იგი თავისი შემოქმედების საძირკვლად აქცია. „სიბერის დროს გრიგოლ ორბელიანმა არათრად ჩათვალა თავისი დიდება, ორდენები, გენერლობა და ის ხალასი გრძნობა, ამაღლებული მიზნები დაიტირა, რომელთაც ახალგაზრდობის უკეთესი წლები შესწირა: „ან რაღას ველი სოფლისგან... და ვჰქმევლი ფუჭად წარსულსა“. (მაღრაძე, 1975:355).

გრიგოლ ორბელიანის მხატვრულ სიტყვას, მის ღვაწლს ასე აფასებდა ილია ჭავჭავაძე: „პირველმა მან მიგვახედა ჩვენ მიერ დავიწყებულს წარსულს. იგი ერთ თავის თანამედროვე მოხუცს წერს:

„ნეტავი ოდეს -
შენ მომითხრობდე
მე ყმა გისმენდე
მოხუცებული მოხუცებულსა,
თუ ვით ივერნი
ლომ-გულნი გმირნი,
ჰრბოდნენ, სცხოვრობდნენ დღესა წარსულსა“.

თითქო იგრძნო, რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნიადაგია, თავ-გაუტანელი, ფეხმოუკიდებელი. მართალიც არის: აწმყო, რომელსაც წარსული არა აქვს, არც მომავალი აქვს“ (ჭავჭავაძე, 1984:656-657).

ილია ჭავჭავაძე გრიგოლ ორბელიანის შემოქმადების სხვა ასპექტებზეც საუბრობს და მას, როგორც შემოქმედს, ასე აფასებს: „ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია, როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც, რადგანაც ამან სრულად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიური სახელებით აჭრელება სიტყვიერებისა, მან დაგვანახა პირველი, მაგრამ საუცხოო შეუდაერებელი მაგალთი ქართული ურითმო ლექსისა, არა იამბიკოს მსგავსისა და ამით დაგვიმტკიცა, რომ ქართულ სიტყვასაც თავისი ამაღლებული ხმა ჰქონია... „მუშა ბოქულაძე“ ამ მშვენიერი მწყობრსიტყვაობის შეუდარებელი მაგალითია“ (ჭავჭავაძე, 1984:-657). ილია გრიგოლ ორბელიანზე აგრეთვე წერდა: „იგი იყო თავისი

დაჩაგრული მამაულის ძლიერის სიტყვით მოტრფიალე, ეროვნული იდეის პოეტურად გამომსახველი, „დროთა სიზმარებრ გამქრალთა“ ჭირისუფალი, საქართველოს დიდების კვლავ დაბრუნებისათვის ზეშთაგონებული“ (ინგოროვა: 1975: 210).

სამშობლო და თავისუფლება იმდენად ორგანულადაა შერწყმულ-შედუღაბებული პოეტის შემოქმედებაში, რომ მათი ცალ-ცალკე განხილვა შეუძლებელი ხდება. გრიგოლ ორბელიანის პატრიორულ მოტივზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოემა „სადღეგრძელო“. ამ თხზულებაში ძირითადი სწორედ ეროვნული თავისუფლების მოტივია. თუმცა ქარათულ კრიტიკაში ამ პოემაზე არსებობს განსხვავებული შეხედულებებიც, მაგალითად კრიტიკოსს აპოლონ მახარაძეს წიგნში “ქართული რომანტიზმი“ მოჰყავს მკვლევარ კიტა აბაშიძის სიტყვები, სადაც კიტა აბაშიძე აცხადებს, რომ „სადღეგრძელო“ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში უსუსტესი ნაწარმოებია: „საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს „სადღეგრძელო“ დღემდე ჩვენის ლიტერატურის საუკეთესო ლექსად აღსარებული, უნდა მივიჩნიოთ უსუსტესად... რადგან მოკლებულია მრავალ ღირსებას. ორი-სამი ადგილი კარგია, მაგრამ ეს ვერ გამოისყიდის ამ თხზულების ნაკლოვანებას. უხერხულია ფორმით, უხერხულია მხატვრული მხრითაც“ (მახარაძე, 1990: 190). კიტა აბაშიძის ამ დებულებას არ იზიარებს აპოლონ მახარაძე, გრიგოლ ორბელიანის ამ პოემას პირველხარისხოვან ნაწარმოებს უწოდებს და ამბობს: „ამ თხზულებას განსაკუთრებით დიდად აფასებდნენ თვით პოეტის სიცოცხლეში. „სადღეგრძელოს“ მთელი რიგი ადგილები მეცხრამეტე საუკუნის მწერლებს ციტატებად შეჰქონდათ თავიანთ ნაწარმოებებში, ამას თვითონ ილიაც კი არ ერიდებოდა“ (იგივე: 191).

„ცნობილია, რომ პოემა „სადღეგრძელოს“ პირველი ვარიანტის სათაურია ტოლუბაში, ანუ ომის შემდგომი ლხინი, რომელიც დაწერილია ცნობილი რუსი რომანტიკოსი პოეტის ვ. უკოვსკის „певец во стенах русских войнов“ (1812) მიბაძვით, მაგრამ ტოლუბაში არაა უბრალო ვარიაცია აღნიშნული პოემისა.“

(ქართ. ლიტ. ისტ., 1969: 84).

კრიტიკოსი აკაკი გაწერილია აღნიშნავს, რომ თვითონ ვ. უკოვსკის პოემაც არაა მთლად ორიგინალური, იგი მიბაძვაა ინგლისელი პრერომანტიკოსის თომას გრეის (1710-1717) პატრიოტული ოდისა „the bard”, კრიტიკოსი აგრეთვე აღნიშნავს, რომ „სადლეგრძელო” „კომპოზიციურად და ცალკეული მოტივების მხრივ უშუალოდ მისდევს უკოვსკის პოემას და მათ შორის ბევრი თემატური მომნეტია საერთო, მიუხედავად ამისა, იგი მართლაც მიბაძვაა და არა გამეორება” (ქართ. ლიტ. ისტ., 1669:85)

გრიგოლ ორბელიანი 1969 წელს ინტენსიურად მუშაობდა სადლეგრძელოზე, რაც ჩანს 1869 წლის 5 ივნისს ალექსანდრე ორბელიანისადმი მიწერილ წერილში: „ჩემო ბატონო, ბიძავ ალექსანდრე! მომირთმევია ჩემი ტოლუბაში, 1 თავი, გთხოვ კარგად გადაავლო თვალი და რაც არ მოგეწონოსთ, წაშალე და გამომიგზავნე, რომ მეორეს თავს ხელი მივჰყო“ (ორბელიანი, 1959:72).

1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის გარკვეული წვლილი „სადლეგრძელოს“ საბოლოო ვარიანტის დამუშავების პროცესში თავისთავად ბევრისმეტყველი ფაქტია. ამის შემდეგ განსაკუთებული მნიშვნელობა ენიჭება ალექსანდრე ორბელაინისადმი მიძღვნასაც, რომელიც თავდაპირველად პოემას წინ უძღვოდა.

„ტოლუბაშის“ I და II ვარიანტებთან შედარებით, „სადლეგრძელოს“ საბოლოო რედაქცია ხასიათდება პატრიოტული მოტივის გავრცობით, ისტორიული გმირების რიცხვის გაზრდითა და მისი იდეალიზაციით. კრიტიკოს აკაკი გაწერილიას თქმით, სწორედ ეს მომენტი განასხვავებს ძირითადად გრიგოლ ორბელიანის ნაწარმოებს უკოვსკის მომღერალისაგან.

გრიგოლ ორბელიანმა „სადლეგრძელოს“ წერა ოცდაათიან წლებში დაიწყო, ხოლო საბოლოო სახით ნაწარმოები სამოცდაათიან წლებში ჩამოყალიბდა. ასე, რომ იგი ორმოცი წლის განმავლობაში იწერებოდა. ამიტომაც სადლეგრძელოს დიდი მნიშვნელობა აქვს მგოსნის საერთო შემოქმედებითი გზის გასარკვევად. კრიტიკოს გერონტი ქიქოძის თქმით, „სადლეგრძელოს დიდი მნიშვნელობა აქვს პოეტის მსოფლმხედველობის გამოსარკვევად“ (ქიქოძე, 1963: 86).

„სადღეგრძელო” არაა სიუჟეტური ნაწარმოები, არც ქრონოლოგიური თანმიმდევრობაა დაცული, იგი წარმოადგენს ლხინის მეთაურისა და მხედრების მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოებს, რომელთაგან თითოეული გარკვეული თემის ან ამა თუ იმ ისტორიული გმირისადმია მიძღვნილი. უნდა აღინიშნოს, რომ სადღეგრძელოს რომანტიკოსი პოეტის პატრიოტიზმის მოტივზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

პოემა იწყება ომის შემდეგ ბინდისას „ცეცხლებით განათებული” და დადუმებული არის აღწერით, სადაც ქართველთა ჯარის ბანაკია დაცემული. პოემაში მოქმედების ადგილი გარკვევით არის მითითებული, ეს არის ბრძოლის ველი, რომელიც ერევნის სიახლოვეს მდებარეობს. დღისით, ფიცხელი ომის შემდეგ, ქართველთა ლაშქარი ისვენებდა კოცონის ირგცლივ, მთვარის შუქზე, მეომრები იხსენებენ წარსულ ქართველ გმირებს. პოეტის თქმით, კვამლივით გაქრება იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც ქვეყნად თავის „ნავალს“ არ აღჭედავენ, ვისი „საქმენი საგმირონიც“ არ რჩება. ყველა საფლავი შეიძლება ერთნაირად გაქრეს, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ დამსახურებულ ადამიანთა სახელები რჩება.

პოეტი გმირი მამულიშვილებისადმი მიძღვნილ პოემას მეფე ფარნავაზის გახსენებით იწყებს, ისტორიულ პერსონაჟთან კონტაქტის დასამყარებლად ირჩევს მიმართვის ფორმას და რიტორიკულ შეკითხვით: „ეს ვინ გამოჩნდა“, მეფის აჩრდილი ფიქრიანი მზერით დაჰყურებს საქართველოს, რომელსაც ვეღარ უცვნია ტრფიალებით აღზრდილი შვილი:

„ნუთუ ვეღარა უცვნია შვილი...

მისგან აღზრდილი ტრფიალებითა?“

(ორბელიანი, 1959:90).

ამ სიტყვებით ავტორი თავისი თანადროული საქართველოს სვალალო მდგომარეობას უსვამს ხაზს, იხსენებს ფარნავაზის, როგორც წინამდლოლის ლვაწლს:

„შენ, ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,

შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი.“

(იგივე: გვ.91).

პოეტი აქებს „ქრისტეს ნათელით განათებულ“, ჯვრის ძალით აღჭურვილ, ძლევამოსილ მეფე მირიანს, რომელმაც კერპთაყვანისცემა აღმოფხვრა საქართველოდან, ახალი აღთქმის ძალით გააქრო ქართველთა ძველი სარწმუნოება, მირიან მეფის დამსახურებაა ქართველთა სულიერი ამაღლება, „ცისკენ მიხედვა“, „საუკუნო ცხოვრების აღმოჩენა“.

ვახტანგ გორგასალი „სადღეგრძელოში“ დახასიათებულია, როგორც მეფე და მეომარი, ბრძოლის ღმერთი, „რომლის შეხედვით სპარსელნი თრთოდნენ“:

„ მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული,

ხელსა მახვილით ვინ მოვალს გრგვინვით?

ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი,

მზად არს საომრად სახე-შერისხვით!“

(იგივე: გვ. 91).

პოეტი ახასიათებს დავით აღმაშენებელს, როგორც შესანიშნავ მხედართმთავარსა და მსაჯულს. ქვეყნის ძნელბედობის ჟამს ზეცამ საქართველოს დავით აღმაშენებელი მოუვლინა, ეს უძლეველი მხედართმთავარი, ქართველთა წყალობა და ნუგეში, გამორჩეული სიტყვაუხვობით, სიბრძნით, რომელიც სიყრმიდანვე „ცხებული“, ღვთის რჩეულია, „ზეჩაგონებით განსწავლული“, დავითის სიტყვა და საქმე ერთია:

„დავით ჰეთქვი: „იყავ ქალაქნი!“ და აღმოცენდნენ ქალაქნი!“

„ივერია“ ორი მეფის სახელმა აამაღლა: დავითმა და თამარმა. როგორც ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, პოეტი ივერიის აღდგენას თამარ მეფის სახეს უკავშირებს: „შენი ივერი აღსდგა ძლიერი“, აქაც დავით აღმაშენებლის ძლიერმა ხმამ აღადგინა ქვეყანა: „ხმა ჰყავ და აღსდგა ივერი ფენიქსებრ განახლებული“. დავითმა საქართველო დიდების სხივით შემოსა, „მშვიდობით“ ააყვავა, საქართველოს საზღვრები გააფართოვა, მისმა სახელმა შეაძრწუნა დიდი სულთანი, ხაზს უსვამს მეფის სამხედრო სიძლიერეს: ბრძოლებით გააფართოვა და „ხმლით შემოხაზა“

საქართველო. პოეტს არც შოთა რუსთაველი, ბრძენი ჭყონდიდელი, „ლომებრ გულადი“ მხარგრძელი და გამრეკელი ავიწყდება.

დავით აღმაშენებლის ხოტბას მოსდევს თამარის სახე. მაგრამ გრიგოლ ორბელიანისთვის სათაყვანებელი იდეალი მაინც თამარის დროშის ქვეშ გაერთიანებული საქართველოა. მნელბედობის ჟამს, თამარის დროშის ქვეშ ერთი მიზნისთვის ერთიანდებოდა მთელი საქართველო: კახელები, თუშ-ფშავ-ხევსურები და აფხაზები. მესხი მოლაშქრეები გამოირჩეოდნენ ინტელექტით, „სწავლით“, ქართველ მეომრებს ამხნევებდა და ძალას მატებდა თამრის ლოვცვა, „გულუხვობა“, „უსაზღვრო წყალობა“, მისი ზღვასავით ძლიერი გული. სწორედ ეს ერთიანობა განაპირობებდა საქართველოს სიძლიერეს - ყველა კუთხის შვილი განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩევა: ოსი ფეხმარდია, მთიელი შეუპოვარი. განსაკურებული პიროვნული თვისებით, ზრდილობითა და მკვირცხლობით გამოირჩევიან იმერლები, გურულები და მეგრელი მოლაშქრეები. თამარის დროშა და ჯვარი მთელ საქართველოს აერთიანებს.

მაკმადიანურ გარემოცვაში მყოფ ქართველთათვის მთავარ საკითხს სამშობლოსა და სარწმუნოების დაცვა წარმოადგენდა, ამიტომაც იქცევა „მამულისათვის ტანჯული“ და „სარწმუმოების დამცველი“ ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი პიროვნება სამაგალითო გამძლეობის ნიმუშად, ამ განცდითაა დახატული და შეფასებული „კახეთის მხსნელი გმირების“, ელიზბარ, შალვასა და ბიძინას სახელები, ცხრა ძმა ხერხეულიძეები, ერისა და მეფისთვის თავდადებული გმირები.

გრიგოლ ორბელიანი არც „სწავლისმოყვარე“, „გონებაამაღლებულ“, მაგრამ „სვეგამწარებულ“ საქართველოს მეფე ვახტანგ VI-ს ივიწყებს, მაგრამ დაცემული საქართველოს დიდება და იმედიც პოეტისათვის მაინც „მამაცთა შორის საკვირველება“ პატარა კახი იყო.

პოეტი ერეკლეს დღეების გარდასვლას ჩასვენებულ მზეს ადარებს და თვლის, რომ საქართველოს სამხედრო ძლიერება ერეკლეს გარდაცვალებათან ერთად დასრულდა, ერეკლეს მეფობა ძველი საქართველოს „დიდების“ უკანასკნელ გამოვლენას წარმოადგენდა. ირაკლის მეფობის ხანა იყო დიდებული, „ბრწყინვითი“,

პოეტი როდესაც ერეკლეს მღელვარე ხმალს ახსენებს, მის ძლიერ, მებრძოლი სულისკვეთების წარსულს უსვამს ხაზს. პოეტი საქართველოს ისტორიის გამორჩეულ მოვაწეთა ხსენებას ერეკლეს დახასიათებით ამთავრებს, მას ერეკლე ძველი საქართველოს უკანასკნელ გმირად მიაჩნია, „დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“.

გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში ჩვენი ქვეყნის წარსულიდან კიდევ მრავალი გმირის სახელი არის მოხმობილი, ეს სახელები ახალ სიცოცხლეს სძენენ და ახალ ძალასაც ჰმატებენ გრიგოლ ორბელიანის წარმოდგენაში აწ უკვე „დამცირებულ“ საქართველოს აწმყოს. პოეტი „ოხვრით სანატრელი წარსულის მოგონებას“ იმიტომ კი არ მიმართავს, რომ მასში ჩაიძიროს, არამედ თანამედროვე საქართველო შეაპირისპიროს ამ წარსულთან და თანამემამულეებს შეახსენოს: “რად არ გახსოვთ ძეთა შენთა ხრმალთა კრიალიო“.

ცოცხალ ურთიერთობაში, მწვავე პოლემიკის დროსაც კი გრიგოლ ორბელიანი ახსენებს ახალ თაობას, რომ „მამანი თქვენი, თავის დროს ძენი, თავის დროს იყვნენ სახელივანნიო,“ (ორბელიანი, 1959:67) რითაც უცნიბიერებს მკითხველს - დიდ წარსულს კიდევ უფრო უკეთესი მომავალი უნდა ქონდესო. სახელოვან მამულიშვილთა ხსენებას სწორედ სადღეისო აქტუალური ღირებულება აქვს შეძენილი ორბელიანთან, რადგან, როგორც პოეტი ამბობს, „მათ საქმეთა მოთხრობით“ „მოხუცს ცრემლ მოედინება“. პოეტი აქვე წარსულის გაიდიალებასთან ერთად მისდროინდელი სინამდვილისადმი საბრძოლო ტენდენციასაც სრულიად აშკარად ამჟღავნებს:

„გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ქვეყნის დიდება!

თქვენთა სახელთა ამაყად წარმოპსთქვამს შთამომავლობა!

თქვენთა სახელთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,

მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!

(ორბელიანი, 1959:97).

გრიგოლ ორბელიანს „სადღეგრძელოში“ გარდა მეფეებისა, დასახელებული ჰყავს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მთელი პლეადა, რომლებიც

ისტორიული წყაროებითა და ზეპირგადმოცემებით არიან ცნობილი. ეს გმირები არიან: მხარგრძელი, გამრეკელი, ბატონიშვილები, ქობულაშვილები, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ელიზბარ ჩოლოყაშვილი, შალვა და ბიძინა ქსნის ერისთავები, რომლებიც საქართველოს შეწირნენ „ტარიგათ“. პოეტი არ ივიწყებს „ერთგულ ამილახვარს“, რომელიც არის „თავდადებითა მეფისთვის მკვდარი“.

ეს ამილახვარი ყოფილა გვარად ზედგენიძე, მეფის მიერ მათზე ამილახვრობის ბომების შესახებ ცნობილია შემდეგი: „ერთმა ზედგენიძის გვარისაგანმა გააფრთხილა მეფე (ვგონებ გიორგი XI) შეთქმულებაზე, რომ ღამე მოკვლას უპირებდნენ. მეფე არ უჯერებდა, ზედგენიძე თავის სიტყვის დასამტკიცებლად და მეფის გადარჩენისათვის დაწვა მეფის ლოგინში, რომელშიაც იმავე ღამეს მოჰკლეს და აჰკურებდა შეთქმულთა. ამ თავდადებისათვის ზედგენიძის გვარეულობასა მეფემ მისცა ამილახრობა, რომელისაც შთამომავალნი არიან ეხლა ამილახვრიანი“ (იგივე:94.) ამილახვრის გვერდით ახსენებს ოთხ ზაალს: „და მეფის ძალნი ოთხნი ზაალნი“. „ესენი იყვნენ ერთ დროს გვარად: ორბელიანი, ბარათაშვილი, ანდრონიკაშვილი -კუზიანი და ბორტისშვილი მაჩაბელი. მეფე ირაკლი იტყოდა: „თითო ზაალ ღირს თითო ჯარად“ (იგივე:94). პოეტი აქვე ახსენებს ვახტანგ მეფეს, რომელიც არის „სვე-დამწარებული“, „სწავლის მოყვარე და გონაბა ამაღლებული“, პოეტი წუხს, ქართველთათვის თავგანწირულ მეფეს სათანადო პატივი ვერ მივაგეთ, ვერ დავიტირეთ და „უცხოსა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი“.

„სადღეგრძელოში გამორჩეულ გმირთა შორის გრიგოლ ორბელიანმა უკვდავყო და გამორჩეული ადგილი მიუჩინა „მიწის მგლად“ წოდებულ ზაქარიას:

„და ზაქარია, მიწისა მგელი,

ანაზდეულად მუნ აღჩნდებოდა,

სადაცა მტერი გალაღებული,

მისგან შემუსვრას არ მოელოდა!

ვითარცა ჭექა მისი დაცემა

მტერთა ზეს იყო ესრეთ საზარლად;

სადაც იელვა მახვილმა მისმა,

მუნ მტრის სიცოცხლე განქარდა მსწრაფლად!“

(იგივე:96).

ზაქარიას გვარია ანდრონიკაშვილი, მის შესახებ მატიანე გვამცნობს, რომ იყო ქართლ-კახეთის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, სიმამაცის გამო ცნობილი იყო „მიწის მგლის“ მეტსახელით. „ახალგაზრდა ზაქარია ერეკლე II-მ პირად რაზმში ჩარიცხა. 1756 წელს ზაქარია ანდრონიკაშვილმა თავი გამოიჩინა ლეკთა ბრბოებთან ბრძოლაში სოფელ კარალეთსა და სკრასთან. შემდეგ იმყოფებოდა სამეფო კარზე. მეფის ასულ ელენესთან მიჯნურობის გამო ერეკლე II-მ რუსეთში გააძევა, თავისი ქალი კი იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ძმას, ბატონიშვილ არჩილს მიათხოვა. ელენეს დაქვრივების შემდეგ ანდრონიკაშვილი დაბრუნდა რუსეთიდან და დაქორწინდა მასზე. 1870 წელს დანიშნეს ქიზიყის მოურავად. სიცოცხლის ბოლო წლებში ერეკლე II-ის დავალებით იბრძოდა იმერეთში თავისი გერის, დავით არჩილის ძის გასამეფებლად. 1795 წელს თავი ისახელა კრწანისის ბრძოლაში“
<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00005339/>

პოეტი ქებით იხსენებს მეფე ერეკლეს შვილს ლევანს, რომელიც ომში იდგა მეფის დროშის ქვეშ, რომელსაც მეფემ ვაჟკაცობისთვის ჩააბარა თავისი ბაირალი და ორი ათასი გემორჩეული ვაჟკაცი.

გრიგოლ ორბელიანი „სადღეგრძელოში“ გულთბილად იხსენიებს ქართველი გლეხკაცების თავდადებასა და თავგანწირვას სამშობლოსათვის. ამ თვალსაზრისით პოემაში შემოტანილია ცნობილი ფაქტი სამასი არაგველის გმირული შემართებისა. „სადღეგრძელოში“ ვკითხულობთ:

„აი სამასნი გმირები დუშეთით თბილისს მოსულნი

მეფის შეწევნად, და მის წინ, მისთვისვე შეფიცებულნი:

„თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა განვსდევნეთ მტრის ძალი,

იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან შინა წავიდეს ცოცხალი!“

(იგივე:97).

როგორც ცნობილია, ქართველებმა ეს უთანასწორო ომი წააგეს, მაგრამ ამით სრულიად არ მცირდება მნიშნველობა იმ გმირული თავგანწირულობისა, რომელიც მთიელმა გლეხებმა სამშობლოსთვის ბრძოლაში გამოიჩინეს. პოეტი გვეუბნება, რომ გმირი არაგველები „შევარდენებრ მივარდებოდნენ სპარსთა ურიცხვთა სიმრავლეს! შეჰსძრეს... გაჰფანტეს... მარამა... ზედ თავის თვისი დააკლეს“. ასე დაახასიათა გრიგოლ ორბელიანმა სამასი მთიელი გლეხის გმირული თავდადება სამშობლოსათვის.

„იაკობ გოგებაშვილი, რომელიც ქართველი ერის ცხოვრებაში მშრომელ გლეხობას განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა, სამასი არაგველისადმი მიძღვნილი გრიგოლ ორბელიანის სტრიქონებით პირდაპირ აღტაცებული იყო. მისი აზრით „სადღეგრძელოს“ ავტორმა სამასი მთიელი გლეხის გმირობას ქართველი ხალხის გულსა და გონებაში სამარადისო ძეგლი აუგო“ (მახარაძე, 1990:195).

„სადღეგრძელოში“ მოხსენებულ ადამიანთა ეპოქაში, პოეტის აზრით, საქართველო ბედნიერი იყო, მაგრამ ახლა უკვე ამგვარი გმირები აღარ არიან და, მაშასადამე აღარ არის აღარც ძველი ივერია. „გრიგოლ ორბელიანი საქართველოს ახალი ბედის ძიებამ იქამდე მიიყვანა, რომ დამპყრობელი რუსი იმპერატორის ქებაც ათქმევინა... ეს სტრიქონები უფრო თხოვნა-ვედრებაა იმპერატორისადმი, ვიდრე მისი სადღეგრძელო. ქართველი მგოსანი ნიკოლოზ პირველს იმას ევედრება, რომ საქართველოს ძველი დიდება აღუდგინოს“ (მახარაძე, 1990: 199). გრიგოლ ორბელიანი თავის შემოქმედებაში არსად არ გამოთქვამს რუსეთთან შეერთების კმაყოფილებას, პირიქით, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე საქართველოს უბედობაზე ჩიოდა. 1833 წელს დაწერილ ლექსში „დავბერდი“, პოეტი ერთხელ კიდევ იმეორებს, რომ ბედს ვერ მოესწრო და სამშობლოზე ფიქრი სამარეში თან მიაქვს:

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,

გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით...“

(ორბელიანი, 1959:86).

თავისი ეპოქის სინამდვილე პოეტისათვის მწარეა და მიუღებელი. იგი ამ სინამდვილეს კიცხავს და გმობს. აწმყოსადმი შეურიგებლობა გრიგოლ ორბელიანის პოეზიის დამახასიათებელი ნიშანია.

გრიგოლ ორბელიანის კალამს ეკუთვნის მცირე ზომის მოთხრობები (მხატვრული ესკიზები), მაგრამ მისი პროზაული ნაწერებიდან განსაკთრებით საყურადღებოა „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურლამდის“, რომელიც პოეტს 1831- 1839 წლებში უწერია.

დღიური, როგორც განსაკუთრებული ლიტერატურული ფორმა უცხო არ არის ქართული მწერლობისათვის. უკვე მე-18 საუკუნის დამდეგს სულხან-საბა ორბელიანი თავისი „ევროპაში მოგზაურობით“ ამის ჩინებულ ნიმუშს იძლევა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვს, რომ გრიგოლ ორბელიანამდე წარსულ საუკუნეებში ბევრს არ დაუტოვებია ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტური პროზის ნიმუში, როგორიცაა გრიგოლ ორბელიანის „ მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურლამდის“. კრიტიკოს ჯუმბერ ჭუმბერიძეს გრიგოლ ორბელიანის პროზაზე საუბრისას მოჰყავს მკვლევარ პავლე ინგოროვას შენიშვნა: „ეს ტექსტი მგზავრობისა წარმოადგენს არა უბრალო დღიურს, არამედ წმინდა ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელსაც საფუძვლად პოეტის დღიური დასდებია. „მგზავრობას“ შენარჩუნებული აქვს დღიურის თხრობის ქარგა, რაც მას დოკუმეტალური პროზის ხასიათს ანიჭებს“ (ორბელიანი, 1959:96).

გრ. ორბელიანი თავის „მოგზაურობაში“ მოგვითხრობს მის მიერ გზადაგზა ნახული ქვეყნებისა და ხალხის ცხოვრებაზე, მათ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თავისებურებებსა და აწინდელ მდგომარეობაზე. მასში გამოხატულობას პოულობს მგოსნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი. მეფის თვითმპურობელობისადმი აშკარად მტრული დამოკიდებულება.

„მოგზაურობის“ დასაწყისში ავოტრი აღწერს საქართველოს იმ ღირსშესანიშნაობებს და მნიშვნელოვან პუნქტებს, რომლებიც გაიარა პეტერბურგისაკენ მიმავალ გზაზე. მოწიწებით აღწერს მცხეთას, რომელიც, მისი თქმით, არის ივერიის დიდებული და უწმინდესი ძეგლი, ივერიის დიდებული მოწამე, მეფეთა საფლავების შემცველი, საქართველოს დამხობისა და კვლავ აღდგომის მხილველი, აქ არის ერეკლეს საფლავი, რომელთან ერთადაც დაიმარხა

ივერიის ძველი დიდება. მიაღწია ოსების ქრისტიანულ სოფელს კობს შემდეგ კი სოფელ სივანში, სადაც იყო საყდარი პოეტი ავიდა მის სანახავად საყდარში, შეხვდა რამდენიმე მოხუც ქალს, რომელთაც, როგორც პოეტი ამბობს, არ ესიამოვნათ მისი დანახვა, რადგან რუსი ვეგონეო. აქაური მღვდლის თქმით, ეს ეკლესია თამარის მიერ იყო აშენებული, თუმცა პოეტი შენიშნავს, რომ საქართველოში თითქმის რჯულად არის დადებული ყოველ ძველ ეკლესიას თამარს მიაწერენ, თუმცა ბევრი სხვა მეფეების მიერ არის აშენებული.

რუსეთს მიმავალი პოეტი ხან მღერვალე, მებრძოლის სულისკვეთებით ანთებულა, ხანაც სენტიმეტალურად მოთქვამს დაკარგულს დიდებაზე, დასტირის ერეკლეს საფლავს: „ესე არს ნაშთი და მოწამე ივერიის დიდებისა... უნებლიერ გარდმოცვივდნენ თვალთაგან ცრემლნი, ვიხილე რა საფლავი მეფისა ირაკლისა, რომელსა თანა არს დამარხული დიდება და ყოველი კეთილი ივერიისა”. (ორბელიანი, 1959 : 156).

„მგზავრობა” უპირველეს ყოვლისა ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებია ცნობილი ჟანრისა. „მისი დინჯი კილო”, ხატოვანი ენა, აღწერილობანი, მეტადრე ბუნების დიდებული სურათებისა, და ბოლოს, დიალოგში გაშლილი სურათის საქართველოს ბედ-იღბალისა, განსჯა მისი აწმყო-მომავლისა, ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენაა უკვე იმითაც, რომ რამდენიმე ათეული წლით ადრე დაიწერა ილიას უკვდავ „მგზავრის წერილებზე”, დაახლოებით 8 წლით ადრე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაზე „ბედი ქართლისა”- ამ ორ დიდ ლიტერატურულ ძეგლზე, რომელთაც თვლიდნენ გასული საუკუნის ჩვენი ლიტერატურული აზროვნების პირველ მერცხლებად. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ისევე როგორც ახალგაზრდა ილია, ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანიც თერგის მიდამოებში საქართველოს ბედზე ფიქრობდა“ (მაღრაძე, 1975:467).

კრიტიკოსი ელგუჯა მაღრაძე გრიგოლ ორბელიანის აღნიშნულ „მოგზაურობასთან“ ავლებს პარალელებს ორ ბუმბერაზ შემოქმედთან: ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა”, რომელიც კრიტიკოსის თქმით ისეა შექმნილი, რომ ავტორის, თავისი ბიძის „მგზავრობა” თვალითაც არ უნახავს და აგებულია ორი პატრიოტის დავაზე. „მგზავრობაში” დაობენ ჭაბუკი გრიგოლ

ორბელიანი და გენერალი ივანე აფხაზი, „ბედი ქართლისაში”- ბრძენი სოლომ მსაჯული და ერეკლე მეფე, „მგზავრის წერილებში”- მოხევე და ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე. „პირველნი ყოველგვარ გარემოებაში დამოუკიდებლობას ქადაგებენ, მეორენი გონების სასწორზე წონიან ვითარებას და აუცილებლობით ნაკარნახევი გამოსავლისაკენ იხრებიან” (იგივე, 1975:467).

პოეტი „მოგზაურობაში“ ახასიათებს ყაბარდოელებს, ეს ადგილი ჩვენს ყურადღებას იქცევს იმდენად, რამდენადაც მასში ჩანს ავტორის დამოკიდებულება დამპყრობლური რუსეთისადმი, მისი აღფრთოვანება ყაბარდოელი ხალხის მებრძოლი სულისა და დაუმორჩილებლობისათვის ბრძოლაში. პოეტი ამბობს, რომ ყაბარდოელები ძველად ძლიერი ხალხი იყვნენ, მაგრამ საშინელმა ჭირმა და რუსეთთან გამუდმებულმა ომმა გაწყვიტა ისინი, ვინც რუსებს არ დამორჩილდნენ, გაიქცნენ ყუბანის იქით, ყაბარდოელები არიან თავისუფლებისმოყვარე ხალხი, რომლებიც წლებია ებრძვიან რუსებს, რომლებმაც შეავიწროვეს და დაიპყრეს მთელი ყაბარდო, მაგრამ მათში თავისუფლების სიყვარული მაინც ვერ ჩაკლეს, ესენი არიან მებრძოლი ხალხი და მამულის დასახსნელად შემთხვევას არ უშვებენ.

გრიგოლ ორბელიანი ამ თხზულებაში ცალკე გამოყოფს საუბარს ივანე აფხაზოვთან, რომელსაც უწოდებს ჭეშმარიტ მამულიშვილს, საქართველოს მაშინდელი მდგომარეობის კარგ მცოდნელა და წუხს, რომ ქვეყანას ამგვარი მოსიყვარულე მამულიშვილები აღარ ყავს, მონობის ქვეშ დავივიწყეთ ქვეყნის სიყვარული.

კოხტა აფხაზი ფიქრობს, რომ საქართველო არ უნდა გამოვიდეს რუსეთის შემადგენლობიდან, რადგან თვლის, რომ ასე გადარჩება ფიზიკურ განადგურებას და რუსეთისავე გზით იგი დაუკავშირდა ახალ რუსულ-ევროპულ კულტურას. კოხტა აფხაზი საუბრის დასაწყისში უფალს შესთხოვს, რომ ღმერთმა ნუ ქნას, რუსეთი იქამდე მივიდეს, რომ დატოვოს საქართველო, მაშინვე გავხდებით მსხვერპლნი, თავს იჩენს შიდა არეულობა და მტერთა თავდასხმაო. გრიგოლი ამ საკითხთან დაკავშირებით სხვაგვარად ფიქრობს, ის აფხაზის ამ მსჯელობას თავის მოსაზრებებს უპირისპირებს, კერძოდ, იგი აცხადებს, რომ საქართველო შეძლებს დამოუკიდებლად არსებობას, რადგან ახლა პოლიტიკური მდგომარეობა საავსებით შეიცვალა. რუსეთი

თუ დატოვებს საქართველოს, ჩვენი ქვეყანა იქნება უფრო ძლიერი და თავადვი დაიცავს ქვეყნის საზღვრებს, ოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოს ხალხი თუ არ მომატებია, არც დაკლებია. ამასთან დაკავშირებით კნიაზი პასუხობს, რომ ახლა სხვა მდგომარეობაა, ყიზილბაშებს და ოსმალებს ადრე არ ყავდათ რეგულარული არმია, ახლა აღარ გვყავს ერეკლე, რომელიც თავის მაგალითს აძლევდა ჯარს, მტერს ჰყავს კარად გაწყობილი ჯარი, არც საამისო იარაღი გვაქვს, ამასთანავე ოცდაათმა წელმა ქართველს დაუკარგა ძველი მხნეობა.

გრიგოლ ორბელიანი პასუხობს, რომ ქართველები როცა თავად იქნებიან თავიანთი საზღვრის დამცველები, შექმნიან რეგულარულ ჯარს, მორიგი ჯარი თავად მეფე ერეკლესაც ჰყავდა, ქართველები ვაჟკაცობით გამოირჩევიან, ეს რომ ასე არიყოს, აქამდე ვერ დაიცავდნენ თავიანთ მამულს, ენას, სარწმუნოებას, ისტორიიდან გვაქვს მაგალითები საქართველოს დაცემისა და კვლავ აღდგენისა, ამასთანავე ყიზილბაშები და ოსმალები მიხვდნენ თავიანთ შეცდომებს, რომ მათ საშინელი რუსეთი დაუმეზობლდა, აღარ მოინდომებენ, საქართველომ კვლავ მოსთხოვოს მფარველობა ევროპის რომელიმე ძლიერ სახელმწიფოს.

აფხაზოვი ფიქრობს, რომ რეგულარული ჯარის ჩამოყალიბება არც ისე ადვილია, თანაც რეგულარულ ჯარში პირველად უნდა შევიდნენ თავად-აზნაურები, რათა მაგალითები მისცენ სხვებს, მაგრამ ასეთი გულანთებული მამულიშვილები აღარ გვყავს, საქართველო ერთი ასი წელი უნდა იყოს რუსეთის ქვეშევრდომობაში, რომ ჩვენში შემოვიდეს განათლება და განათლებულმა ახალგაზრდა თაობამ შეცვალოს საქართველოს ცხოვრება. დღევანდელი ჩვენი საზოგადოება მკვდარია, ეს თვისება არ არის დამახასიათებელი მათი ბუნებისათვის, მაგრამ ისინი შეცვალა ოცდაათწლიანმა მორჩილებამ.

გრიგოლი აფხაზოვს პასუხობს, რომ მართველობა ქართველთა ხელში გადავა, ავაშენებენთ სასწავლებლებს, მოვიწვევთ კარგ მასწავლებლებს და ეს ყველაფერი ნაყოფს გამოიღებს, რადგან ქართველები გუნებით გონიერი ხალხია. აფხაზოვი პასუხობს, რომ საქართველო ღარიბი ქვეყანაა, არ გვაქვს ჯარის შესანახი ხაზინა, რომელი სახელმწიფო გვენდობა ვალს, ჩვენი ქვეყანა დაქსასულია კუთხეებად, ჯერ უნდა შეერთდეს, ამას კი სჭირდება დრო, მაშინ საქართველო

იქნება: „არა ფრიად ძლიერ, ვითარცა სხვანი სახელმწიფონი - განა შემძლებელ დაცვად თვისისა სამზღვრისა” (ორბელიანი, 1959:175). ბოლოს აფხაზოვი დასძენს, რომ მას, ერთ ადამიანს უფრო მეტად უყვარს საქართველო ვიდრე დანარჩენ ქართველებს ყველას ერთად, მისი აზრით, საქართველო დრომ უნდა აღადგინოს.

გრიგოლ ორბელიანისა და ივანე აფხაზის დიალოგში დაპირისპირებულია ორი თვალსაზრისი, ორი იდეა - საქართველოს დამოუკიდებლობისა და არსებულ ვითარებასთან შეგუებისა. როგორც კრიტიკოსი ჯუმბერ ჭუმბურიძე აღნიშნავს, „ეს დიალოგი ორ მამულიშვილს შორის საქართველოს წარსულისა, აწმყოსა და მომავალს შორის მრავალმხრივაა საგულისხმო, როგორც ეპოქის ყველაზე დიდი ტკივილების გამომხატველი“ (გრიგოლ ორბელიანი, 1959: 097). კრიტიკოსი ასევე დასძენს, რომ გრიგოლ ორბელიანზე ამ მსჯელობას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და რომ ეს დიალოგი გვიხატავს იმ ორ ტენდენციას, რომლებიც იმხანად არსებობდა პოლიტიკური ორიენტაციიც საკითხებში.

„მგზავრობაში“ ვხვდებით ადგილებს, საიდანაც ჩანს გრიგოლ ორბელიანის სიმპატია რესპუბლიკური წყობილებისადმი, რაზეც პოეტი საუბრობს ნოვგოროდის ნახვის მერე. პოეტმა იხილა ნოვგოროდის ოთხას ოც ფუთიანი ზარი, რომელიც ნოვგოროდში იყო მანამდე, სანამ რესპუბლიკური სული არ გაქრა მათში, ხოლო როცა იოანე მრისხანე IV-მ შერისხა ქალაქი, ეს ზარი მოსკოვში გადაიტანა და სამრეკლოზე დაჰკიდა, პოეტი გვიყვება, როგორ დაამწუხრა ნოვგოროდზე ფიქრმა, იხსნებს მათ რესპუბლიკურ მმართველობას, სიმდიდრეს ვაჭრობას. ზარი, რომლის ხმა კრებდა ხალხს მძიმე საქმის გადასაწყვეტად, როგორ დაამხო იოანე მრისხანემ. ნოვგოროდი ადრე გამოირჩეოდა რუსეთზე მეტი განათლებით, მაგრამ ახალ მაშინდელი შეძლების ჩრდილიც არ დარჩენილა, რადგან: „რკინის ხელმა შეიპყრა და განაქარვა ყოველი დიდება მისი (ორბელიანი 1959: 216).

რა თქმა უნდა, მკითხველისთვის ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ნოვგოროდის დიდების დამხობაში ორბელიანი გულისხმობს ძველი დიდებული საქართველოს დაღმავლობას. ამის შემდეგ გრიგოლ ორბელიანი აღწერს სტუმრობას ოქროპირ ბატონიშვილთან, რომელმაც დაპატიჟა, მერე ირაკლი ბატონიშვილი, აგრეთვე ესტატე თარხნიშვილი, დავით ჭიჭინაძე და სხვა დიდებულები. რაზე

საუბრობდნენ შეთქმულების მზადების დღეებში ბატონიშვილები და მშფოთვარე სულის პოეტი? გრიგოლ ორბელიანი ამაზე დუმს. არ შეიძლება მათ გვერდი აევლოთ საქართველოს ბედისათვის. შემდეგ კი მოინახულა ავადმყოფი მარიამ დედოფალი. პოეტი ასევე ესტუმრა ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელზეც ამბობს: „რომელიც არს დიახ ჭვიანი კაცი“ (იგივე :222).

პოეტი შემდეგ აღწერს ხელმწიფის კრემლში მისვლას, სასახლეზე გამოფინეს დროშა და ხალხს აუწყეს მეფის მობრძანება, კრემლი აივსო ხალხით. პოეტი ერთგვარი ირონიით აღწერს მეფის ხალხთან შეხვედრას: „ხალხი წინ და უკან დასდევდა,, არ აძლევდნენ გზას და ჰყვიროდნენ ურას და უძახოდნენ: ხელმწიფევ, ძალიან გვიყვარხარ. ხელმწიფე თავს უკრავდა და ეუბბნებოდა: დარწმუნებული ვარ, დარწმუნებული“ (ორბელიანი, 1959: 187).

შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“ ნათელი გამოხატულებაა პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებისა, მეფის თვითმპყრობელობის აშკარად მტრული დამიკიდებულებისა, თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ გრიგოლ ორბელიანისთვის უცხო იყო მონარქიული რუსეთის ინტერესები, მან მთელი ნახევარი საუკუნე იმსახურა სამხედრო და სამოქალაქო სარბიელსე, როგორც რუსეთის არმიის გენერალმა და ადმინისტრატორმა.

„მგზავრობა“ იმითაც არის საყურადღებო, რომ გამოკვეთილია პოეტის პოლიტიკური პოზიცია 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ და გამომჟღავნებულია ის სოციალური შეხედულებები, რომლებიც იმ ხანად გრიგოლ ორბელიანს ჰქონია.

კრიტიკოს ელგუჯა მაღრაძეს ორბელიანის „მგზავრობის“ შეფასებისას მოჰყავს მკვლევარ პ. ინგოროვას სიტყვები: „მგზავრობა მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში. გარდა წმინდა ლიტერატურული ღირებულებისა, ეს ნაწარმოები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს როგორც პირველხარისხოვანი დოკუმენტი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“ (მაღრაძე, 1975:466.) მართლაც, „მგზავრობაში ჩანს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება რუსეთის პოლიტიკის მიმართ, თავისუფლების აღდგენის დაუოკებელი სურვილი, რუსეთში იძულების

წესით გადასახლებული ბაგრატიონები, ძველ, დიდებულ საქართველოზე მეოცნებე, მაგრამ ამავე დროს რუსეთის პოლიტიკის სამსახურში ჩამდგარი ქართველი მოწინავე საზოგადოება. გრიგოლ ორბელიანი თუკი რამეს ნაღვლობს, სამშობლოდან დაშორებაა. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება ისეა საქართველოსთან შეზრდილი, როგორც ფესვმაგარი მუხა მშობელ მიწასთან.

ისტორიულ გმირთა სახეთა შორის გრიგოლ ორბელიანმა მოგვცა თამარ მეფისა და მისი ეპოქის სადიდებელი, საოცრად შთამბეჭდავი ლირიკული შედევრი, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში”, ეს ლექსი არის მონოლოგი მშობლიური ქვეყნის ბედზე ღრმად ჩფიქრებული მოხუცი პოეტისა, რომელიც საკუთარ თავს „გაუხარელ ივერიის ძეს“ უწოდებს. პოეტი დგას ბეთანიის განთქმული ფრესკის წინაშე და მოწიწებით შესცერის თამარის სახეს. სიცოცხლის ხალისის მომკვლელი ულმობელი დრო იწვევს პოეტს განმარტოებისაკენ ლტოლვას და ბუნებრივია, რომ ასეთი მძიმე განსწყობილებათა არსებობის პირობებში განმარტოებულად და ობლად მოჩნდა მის პოეტურ წარმოდგენაში დიდებული ბეთანია ეკლესიის კედელზე გამოხატული თამარის სახით.

„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში”, ეს არის სრულიად ახალი ფორმების ძიების ბრწყინვალე დაგვირგვინება. პოეტი იხსენებს ვინ იყო თამარი საქართველოსთვის, როგორ ეთაყვანება მის სულს, მის კეთილიშობილებას და, რა თქმა უნდა, მის სილამაზეს. სევდა ეუფლება, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ წარსულია, იგი „ცრემლმორეული ემთხვევა“ თამარის „ფერხთით“ და ამბობს:

„მიხარის-გიმზერ,
ვწუხვარ-და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰვრმნობდე,
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!“

(ორბელიანი, 1959: 76).

თუ საქართველო, როგორც პოეტი აღნიშნავს, „ყვავილოვანი წალკოტია“, მაგრამ იმ დიდებულ სხივსა და მადლს მოკლებული, რომელიც თამარის დროს

ჰქონდა. პოეტი შესთხოვს მეფე წმინდანს, რომ საქართველო მისი ჯვრით აკურთხოს, მისი მადლი მოჰყინოს, რათა ქვეყანამ ძველი დიდება დაიბრუნოს:

„შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“.

(იგივე: 76).

ქვეყნის გულმომკვლელი სინამდვილით შეძრწუნებული პოეტი თამარს მიმართავს, რომ ოდესლაც „ყვავილოვანი შენი წალკოტი“ „აღარ ბრწყინავს, შავ-დროთა ძალით ფერ-წახდენილი“. თამარის მიერ ნაკურთხი მომავალი საქართველო პოეტს წარმოუდგენია „ზნე-ამაღლებულ“ და „სულიერად განახლებულ“ ქვეყნად, სადაც „გამქრალა ბნელი უმეცრებისა“, სადაც კვლავ „ისმის სიტყვა ქართული რუსთაველისა“.

თუ საქართველო დღეს „დარღვეული ტაძარია“, დიდი თამარის ფრესკა მზესავით ადგას საქართველოს. პოეტი არ კარგავს სამშობლოს ფეხზე დადგომის იმედს, სჯერა, რომ თამარის ჯვარი გადაგვარჩენს. გრიგოლ ორბელიანის აღნიშნული ლექსის საინტერესო ინტერპრეტაციას გვაძლევს კრიტიკოსი ეკა ვარდოშვილი.

<http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASHfde9cbe961136fb6a5359d;jsessionid=4B815B93BB0040A509321AA664BD4931?ed=1>

„თამარიანის“, „აბდულმესიანის“ და სხვა ქართულ ნაწარმოებთა შემოქმედების განხილვის საფუძველზე მკვლევარი მოცემულ წერილში ამბობს, რომ აღნიშნულ ნაწარმოებებში თამარი წარმოდგენილია სახელმწიფოებრივი ღვთიური ნიშნით. თამარში ქართველი ხალხი მარტო მეფეს კი არ ხედავდა, იგი იყო ქრისტიანული სარწმუნოების დამცველი და გამავრცელებელი, მფარველი მთელი საქრისტიანოსი. თამარს, როგორც ღვთისმშობელს, თავად ქრისტე მფარველობს, იგი ადამიანის თვალისათვის უხილავია და გუნებით შეიცნობა, რაც მეტი წარმოსახვის საფუძველი ხდება. თამარი როგორც ზებუნებრივი არსება, უძლეველია, „აბდულმესიანში“ თამარის სადიდებლად მოხმობილია საღვთისმეტყველო სიმბოლოები: „ვარდო ფურჩვნილო“, „ცვრით განბანილო, ნერგო სვიანო, დავითიანო“. მოცემულ სტატიაში ავტორი იმოწმებს რევაზ სირაძის შენიშვნას,

სადაც ნათქვამია, რომ მზე იმთავითვე იყო ერთადერთი სიმბოლო - სახე ღვთისა, ამავე საფუძველზე იგი გახდა პიროვნების ინდივიდუალური განუმეორებლობის სიმბოლოც. ავტორის თქმით, თუ იოანე შავთელის „გალობანში“ თამარის სახეს დავინახავთ და მას დავუკავშირებთ როგორც ვარძიის, ისე ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში თამარის ფრესკულ გამოსახულებას, ნახავთ, რომ მათ აერთიანებთ ერთი იდეა, იდეა მფარველობისა და ხსნისა. ცნობილია, რომ ეს იდეა ერთ-ერთი მთავარია ღვთისმშობლის სახეში. ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ფრესკაზე თამარ მეფე გამოსახულია წმინდანის მსგავსად შარავანდედით, იმგვარად, რომ ფრესკის მთლიანი კომპოზიცია გულისხმობს მის წინაშე მუხლმოყრილ მავედრებელს, ისე, როგორც ეს ღვთისმშობლის წინაშე ხდებოდა.

კრიტიკოსის აზრით, გრიგოლ ორბელიანის ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, თამარი ღვთისმშობლის სახისმეტყველებასთანაა დაკავშირებული, „მშვენიერებით სავსეს“ უწოდებს, აյ ჩანს მარიამოლოგიური, და იკონოგრაფიული ტრადიციების რომანტიკული ტრანსფორმაცია.

„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიში“ გრიგოლ ორბელიანმა მოხუცებულობის დროს დაწერა, მაშინ, როდესაც დიდი სამსახურეობრივი კარიერა უკე გავლილი ჰქონდა და დარჩენილ დღეებს განცხრომით ატარებდა, მაშასადამე, იმ დროსაც სამშობლოს ბედის საკითხი კვლავ საჭირბოროტოა. პოეტი კვლავ ძლიერ განიცდის მშობლიური ქვეყნის დაცემას. მისი სიტყვით, ის ადგილი, სადაც უწინ წალკოტი ჰყვაოდა, ახლა ფერწახდენილი გამოიყურება, თამარ მეფის სახის ხილვა აყვავებულ საქართველოს უცოცხლებს თვალწინ და პოეტს სწადია არ გამოფხიზლდეს, რათა თავისი დროის უკუღმართი სინმდვილე არ დაინახოს.

კრიტიკოსი ჯუმბერ ჭუმბურიძე გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების განხილვისას გამოყოფს და მაღალ შეფასებას აძლევს პოემა „სადლეგრძელოს“, ლექსებს „იარალის“ და „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და ამბობს: „ამ პატრიოტულმა ქმნილებებმა დიდი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების განმტკიცების მხრივ XIX საუკუნეში“ (ორბელიანი, 1959: 081).

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ ისტორიული პიროვნებების გვერდით ვხვდებით უბრალო ადამიანთა სახელებს,

რომლებიც არ იყვნენ გამოჩენილი ისტორიული პიროვნებები, მაგრამ იმ ეპოქის შვილები არიან, ორბელიანი დიდ საქმეს აკეთებს, რომ გვიხატავს უბრალო ადამიანებს და აცოცხლებს ეპოქას, ესენი არიან მაზათოვა, სალომე ორბელიანი, ნინო ჭავჭავაძე, რომლის პორტრეტი არაერთმა პოეტმა წარმოაჩინა, იარალი შანშიაშვილი და სხვა. ვფიქრობ, არ იქნება შეცდომა, რომ ისტორიულ პიროვნებათა გვერდით მათ სახეებზეც ვისაუბროთ

იარალი შანშიაშვილის სახელი შეიძლებოდა არც შემორჩენოდა ისტორიას, გრიგოლ ორბელიანს რომ არ უკვდავეყო მისი ხსოვნა ლექსით „იარალის“, რომელიც პატრიოტიზმის საუკეთესო ნიმუშია.

გრიგოლ ორბელიანი „მოგზაურობაში“ გვამცნობს, რომ იარალი შანშიაშვილი გაიცნო ფარნაოზ ბატონიშვილთან. ქართველ მეფეებსა და მსხვილ ფეოდალებს ძველი დროიდან ჰყავდათ კარის მგოსან-მომღერლები, უკანასკნელი წარმომადგენელი სასახლის მგოსნებისა იყო იარალი შანშიაშვილი, მასზე ცნობებს გვაწვდის კრიტიკოსი იაკობ ბალახაშვილი წიგნში „გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე“, სადაც ამბობს, რომ იარალი ფარნაოზ ბატონიშვილის მოლარის-გიორგის ერთადერთი შვილი იყო, დაბადებული 1773 წელს. „1793 წელს, 25 წლის იარალი ფარნაოზ ბატონიშვილს მიეკედლა და სიკვდილამდე აღარ მოცილებია მას. იარალი ახალგაზრდობისას ჯერ სპარსელებს წაუყვანიათ ტყვედ, მერე ძვლივს გადაურჩა თურმე იმერელ მძარცველებს. რუსეთში ჩასული იარალი ახლობელი პირი გახდა მოსკოვსა და პეტერბურგში მცხოვრები ქართველებისა, დავით ბატონიშვილი გვიამბობს: „იარალი იყო შემაქცეველი მომღერალი, მეჭიანურე და მეთარე ბატონიშვილებისა და მთელი ქართველობისა მოსკოვსა და პეტერბურგს“. სხვათა ლექსების დამღერება-შესრულებისა ჭიანურსა და თარზე დაკვრის გარდა, იარალი იყო პოეტი და საკმაოდ დახელოვნებული იმპროვიზატორიც, ტახტდაკარგული ბატონიშვილების კარის მგოსანი იარალი, თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა პეტერბურგში“ (ბალახაშვილი, 1966: 176-177).

ფარნაოზ ბატონიშვილთან გაცნობილ იარალის მაშინვე დაუმეგობრდა გრიგოლ ორბელიანი. იარალი შანშიაშვილი უყვებოდა გრიგოლ ორბელიანს, როგორც თავის თავგადასავალს, ისე საქართველოს ისტორიის სხვა ამბებს, ამ

შთაბეჭდილებათა გავლენით დაწერა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა 1832 წლის 8 მარტს ქ. ნოვგოროდში თავისი ლექსი „იარალის“.

„იარალის“ ვრცელი ლირიკული ლექსია, რომელიც ნატვრით იწყება და შემდეგ ერთგვარი ხილვის მხატვრული ხორცშესხმით იშლება, პოეტი მიმართავს თავის პეტერბურგელ ნაცნობს და ნატრობს მასთან ერთად სამშობლოში იჯდეს „ველსა მწვანესა“, აღწერს ქართულ სუფრას, რომელიც პოეტისთვის ერთგვარი სულიერი საზრისია და არა ხორციელი, მის წინაშე იშლება გმირული ხანა ჩვენი წარსულისა, სურათები იმ პერიოდისა, რომლის უშუალო მხილველი და მოწმე იარალი იყო. ამჯერად პოეტისთვის ყველაზე დიდი მწუხარება „უცხო ცის ქვეშ“ ყოფნაა „„მან ისეთივე ვნებიანი და კონკრეტული ენით გამოთქვა უცხოეთში გადახვეწილი ქართველი პატრიოტის სევდა, როგორც მასზე ადრე დავით გურამიშვილმა და დიმიტრი სააკაძემ გამოთქვეს... გრიგოლ ორბელიანისთვის ემიგრაცია ნიშნავს მადის გამღვიმებელი, ყნოსვის დამატებობელი ჯეირნის მწვადის, ღვინით სავსე აზარფეშის, მწვანილით და მოთალით აჭრელებული სუფრის, მცხუნვარე მზის და გამაგრილებელი ნიავის, ბოლოს გმირულ ისტორიულ მოგონებებთან დაკავშირებული ადგილების დაკარგვას და სამაგიეროდ კვასისა, ყინვისა და უგარის მიღებას. ძნელია მეორე პოეტის დასახელება, რომელსაც ასეთი მატერიალისტური ენით გამოეხატოს სამშობლოს სიყვარული“ (ქიქოძე, 1985:314). ავტორი ნატრობს გმირს, რომლის ძლიერი ხმა „დაძინებულ ბედს“ გააღვიძებს, სადაც ნათლად ჩანს პოეტის ოცნება საქართველოს გათავისუფლებისა:

„ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი,
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს“

(ორბელიანი, 1959:16).

პოეტი აღდგენაში ხალხის გამოღვიძებას გულისხმობს, ხალხისა, რომელიც „ერთისა დაკვრით უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰცემდეს?“. მაგრამ ავტორი ამ ფიქრებს ფუჭ ოცნებად მიიჩნევს. ლექსის მთავარი მიზანი მტრისაგან ქვეყნის გამათავისუფლებელი გმირის ძიებაა, რომლის ძლიერი „ხმა“ სამშობლოს მეყსეულად გაათავისფულებს, „ქვეყნის დაძინებულ ბედს“ გააცოცხლებს, ქართველს გულში

იმედს ჩაუსახავს. მაგრამ სწორედ მწარე ბედისწერაა, „დაძინებული ბედია”, რაც ავტორს ნატვრას უწმილებს, პეტერბურგი და ნოვგოროდი მისთვის „ჩრდილოეთი წყვდიადია”. ნეტარების გარდა სულ დღეთა მოგონება ავტორში წუხილს იწვევს, პოეტის და იარალის მდგომარეობის სიმბოლოა „ღვინის მწილ - კვასი, მზისა წილ ყინვა”, პოეტს მშობლიური ცის ნახვის იმედიც გადაწურვია, მისი უკიდურესი უიმედობის გამომხატველია ისიც, რომ უნუგეშოდ მყოფს მხოლოდ მოთქმა დარჩენია.

აღნიშნულ ლექსში მკვეთრად იგრძნობა პოეტის დამოკიდებულება მეფის რუსეთისადმი. „ლექსს „იარალის” მაღალ შეფასებას აძლევდა პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი. მისი აზრით, სწორედ ამ ლექსით იწყება ჩვენი პატრიოტული ლირიკა. მამულისადმი სატრფიალო მგოსნობა”. (მახარაძე, 1990:184) მარტო ის რად ღირს, რომ ნიკოლოზ პირველის მთავრობამ ლექსი „იარალის” გრიგოლ ორბელიანის საბრალდებო დასკვნაში მოიხსენია, ამ ლექსის შეთხზვა მას დანაშაულად ჩაუთვალა. მეფის ხელისუფლებამ წინ წამოსწია ლექსის პოლიტიკური მხარე, როგორც ძირითადი და წამყვანი ნაწარმოებისა, ხოლო რაც შეეხება იქ აღწერილ ქართულ ლხინს, ეს მხედველობაშიც არ მიუღია. „ლიტერატურის ისტორიისათვის ყველაზე ძვირფასი სწორედ ის არის, რითაც სახელოვანმა რომანტიკოსმა იმ დროს „დააშავა”, ეს „დანაშაული” დღეს ძლიან ბევრს ლაპარაკობს გრიგოლ ორბელიანის სასახელოდ. ამ ლექსით იგი ჩვენ წინაშე წარმოდგება როგორც დესპოტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი პოეტი” (იგივე:185).

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებამ შემოინახა კიდევ ერთი საინტერესო პიროვნების, მირზაჯანას სახელი, რომლის შესახებ კრიტიკოსი იაკობ ბალახაშვილი მოგვითხრობს: „მის გვარს, მამის სახელს, ვინაობას არავინ კითხულობდა. იცოდნენ მირზაჯანა ერქვა, რომ სახელოვანი მოლექსე, უბადლო სუფრაჯია და მეჯლისპურობას უმისთამადობოდ ფასი არა აქვს. ტყუილად კი არ წერდა მასზე გრიგოლ ორბელიანი:

„ლხინის პაპა, სახით არაბისტნელი,
ღვინისა და ეშხისათვის შექმნილი,
ტოლუმბაშად დასვით ქუდჩაკეცილი“.

(ორბელიანი, 1959: 49).

მირზაჯანას თბილისში ყოფნის დროს მის მეგობარ-ამხანაგთა სუფრა ისე არ გაიშლებოდა, რომ ის თამადად არ ყოფილიყო. წარმოშობით სომეხი, აზერბაიჯანში დაბადებული და საქართველოში საკმაო ხანს ნაცხოვრები მირზაჯანა მადათოვი ამიერკავკასიის ერთა პოეტია, საიათნოვას მსგავსად იგი წერდა სამ ენაზ: სომხურად, აზერბაიჯანულად და ქართულად. მირზაჯანას სამშობლო ყარაბაღია, სოფელი ჩანახჩი, სომეხი მებატონის მადათოვის ოჯახში დაბადებული. მირზაჯანა რამდენიმე ენის მცოდნე და ჩინებული მთხოვბელი იყო” (ბალახაშვილი, 1966: 79-80)

მირზაჯანას სრულიად ახალგაზრდა შევიდა სამხედრო სამსახურში. თავისი ნიჭით და მხიარული ხასიათით მაშინვე მიიპყრო საქართველოს მთავარმართებლის, ა.პ. ერმილოვის ყურადღება. „კავკასიის გამგებელი გვერდიდან არ იშორებდა მირზაჯანას. 1825 წლის ოქტომბერში, მირზაჯანა ქალაქ ეკატერინოვგრადში შეხვდა რუსეთიდან საქართველოში მომვალ ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვს და რამდენიმე საღამო გაატარა მასთან. ერმილოვის შემდეგ საქართველოს მთავარმართებლად დაინიშნა პასკევიჩი, რომელმაც დევნა დაუწყო ყველას, ვინც ერმილოვს უყვარდა. ახალი მთავარმართებლის რისხვას ვერც მირზაჯანა ასცდა. პასკევიჩის შემცველმა მთავარმართებელმა როზენმა, ერმილოვის რეკომენდაციით 1831 წელს მაიორი მირზაჯანა ამიერკავკასიის ცხენოსანთა პირველი პოლკის უფროსად დანიშნეს. 1832 წლის ივნისის დამლევს მირზაჯანა თბილისიდან გადავიდა თავისი პოლკით ჩეჩჩეთის წინააღმდეგ მოწყობილ კომპანიაში მონაწილეობის მისაღებად. მრავალნაირი ინტრიგების მიუხედავად, მირზაჯანამ წარამტებით ჩაატარა 1832 წლის კომპანია. ავენიანმა მოქიშპეებმა ხმა დაჰყარეს, თითქოს მირზაჯანა მოკვდაო. „როცა ეს ამბავი პეტერბურგში მყოფმა გრიგოლ ორბელიანმა გაიგო, მან მაშინვე დაწერა ლექსი მეგობრის გარდაცვალებაზე. ლექსი შენიშვნაში გრიგოლ ორბელიანი წერს: „რა მესმა მისი სიკვდილი, მასვე წამსა ცრემლით ავსილმა ვთქვი ესე:

„მუხთალს ამ სოფელს გსურს ვისაცა იყო ბედნიერ,

სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ!

დაღუპე ეშყში და ღვინოშ ყოვლი სიმწარე,

რომ გზა ცხოვრების განვლო ლხინით, ვით მე ვიარე,

რომ შავ ბედის წინ შეუპოვრად ხმამაღლივ დაპმდერ!
თორემ გონებით გინდ ცა განვლო, ჩემებრ იქმნა მტვერ!"

(ორბელიანი, 1959:24).

მირზაჯანას საქციელში ეშხის სიმთვრალეს ღვინის სიმთვრალეც თან ახლავს და ორივე ერთად არსებული სინამდვილის უარყოფას შეიცავს. პოეტისთვის სწორედ ესაა საინტერესო. მირზაჯანას ცხოვრების გზა, როგორც უკულმართი აწმყოს უარყოფისა და დავიწყების საშუალება, რომანტიკოსი ავტორისათვის ერთგვარად მისაღებია.

მირზაჯანას გრიგოლ ორბელიანი რუსეთიდან საქართველოში გაგზავნილ პირად წერილებშიც კითხულობს. დავით ყორღანაშვილისადმი მიწერილ წერილში წერს: „ახ! ნეტავი როდის ვიქნები მეც თვენთან! - მირზაჯანა, იაგორ სტეფანიჩი სიყუარულით მომიკითხე“ (ორბელიანი, 1937:30). მირზაჯანასადმი მიძღვნილ „ეპიტაფიაში“ გრიგოლ ორბელიანი გვევლინება ლხინისა და ქეიფის მოტრფიალედ. როგორც კრიტიკოსი აპოლონ მახარაძე ამბობს: „ჩვენი რომანტიკოსი მირზაჯანას ცხოვრების გზას იმიტომ კი არ ამართლებს, რომ იგი ლოთობის მქადაგებელია, მაგრამ პოეტი სხვა, უფრო რთული მოსაზრებიდან გამოდის. ეპოქის სინამდვილე მას დღენიადაგ შხამს ასმევს, ამიტომაც, მისი აზრით, სჯობს იყო მთვრალი და უგრძნობელი, ვიდრე ფხიზელი გონებით არსებულ სინამდვილეს განიცდიდე. ღვინითა და სიყვარულის ეშხით სიმთვრალე ადამიანს ტანჯვით ცხოვრების ტვირთს უმსუბუქებს“ (მახარაძე, 1990:173).

გრიგოლ ორბელიანის ნაწარმოებთა შორის დავით ყორღანაშვილისადმი მიძღვნილ ლექსსაც ვხვდებით. „დავით ყორღანაშვილი იყო ქართული პოლკის ოფიცერი, გრიგოლ ორბელიანთან დაახლოებული პირი, რომელიც ხშირად სწერდა მას ბარათებს საქართველოდან. იბრძოდა დაღესტანს. გარდაიცვალა 1848 წელს. გრიგოლ ორბელიანი განსაკუთრებით აფასებდა თავის მეგობარს და მის „წიგნებს“, ეს ჩანს იმ ლექსიდან, რომელიც გრიგოლს ტულაში დაუწერია 2831 წელს და ეძღვნება დიმიტრი ყორღანაშვილს“ (იგივე: 232).

„შენი წიგნი ასე მატკბობს, მახარებს,

ვით ყიზილბაშს ყალიონი და ჰალვა.

ვამბობ, ნეტა ბედი როდის მაღირსებს,

რომ შენს გრიგოლს, ჩემო დავით, ეხილვა!“

(იგივე: 12).

კრიტიკოსი იაკობ ბალახაშვილი წერს: „ სამშობლოს მოშორებული გრიგოლ ორბელიანი თავის თბილისელ მეგორბისაგან - დავით ყორღანაშვილისაგან ღებულებდა ბართებს, რომელთა შორისაც ნინო ჭავჭავაძის სახელი თითქმის ყოველთვის იხსენიებოდა. 1831 წლის 24 აგვისტოს დავით ყორღანაშვილი სწერდა პოეტს: „შენი წიგნი, კვირას ბაღიდან რომ დავბრუნდით, ბინდისასა მოვიტანე თქვენსა. დედა შენი, ნინო და სხვა ქალები ყაბაზზედ დაიარებოდნენ, მივეც წიგნი და საკვირველად იამათ”, იგივე დავით ყორღანაშვილი 1832 წლის 5 მაისს აუწყებდა გრიგოლ ორბელიანს: „გუშინ სადილთ უკან შეველ ნინოსთან. მანანა იქ იყო. აგრეთვე სხვა ქალები. შენზედ ლაპარაკი ჩამოვარდა, ყველანი გაქებდნენ” (ბალახაშვილი, 1966:174).

გრიგოლ ორბელიანმა, როგორც მისი დროის არაერთმა შემოქმედმა, თავის ლექსებში უკვდავყო ნინო ჭავჭავაძის სახელი, რომელსაც უძღვნა ლექსები: „ნ...დმი”, „ამა სოფელ დამშთომიეს”, „მტირალ ნ...ს”, „ნუ მასმევ ღვინოს”, „მნათობო! თვით შენ მიხსენ”, „თაყვანის-მცემელთ როს გუნდი”, „დღესა ამას სიყვარულმან”, „საამოა სახილველად”, „ჰე საყვარელო” და სხვა.

ნინოსადმი სიყვარულს პოეტი უდიდესი საიდუმლოებით ინახავდა, ამით არის გამოწვეული, რომ ნინო ჭავჭავაძისადმი მიმართულ ლექსებში გრიგოლ ორბელიანს დაქარაგმებულად აქვს დასათაურებული. ნინო ჭავჭავაძისადმია მიძღვნილი გრიგოლ ორბელიანის შესანიშნავი მუხამბაზი „ნუ მასმევ ღვინოს”:

„ნუ მასმევ ღვინოს, - უღვინოდაც ვარ მთვრალ შენის ეშიით,-

თვარა მიმუხთლებს და წარმოპსთქვამს ენა ყოველსა,

ესდენ ხან კრძალვით დაფარულსა ღრმად ჩემსა გულსა:

უიმედოსა შენდა მომართ ჩემ სიყვარულსა”

(ორბელიანი, 1959: 9).

თბილისიდან გამგზავრების წინ გრიგოლ ორბელიანი მივიდა ნინო ჭავჭავაძესთან გამოსამშვიდობებლად. მხატვრულ ეპისტოლარულ ესკიზში პოეტი ასე აღვიწერს ამ გამომშვიდობებას: ნ(ინო), ე(კატერინე), მ(ანანა), გახსოვთა დღე იგი, ოდესცა მე, გულითა მწუხარებისაგან შევიწროებულითა, მოვედ რა თქვენდა ნ... გამოსასალმებლად, გიხილეთ მოულოდნელად სამნივე ერთად ნ. ე. მ. ვითარცა მშვენიერნი გრაციანი, მჯდომარე მუაჯირზე ფანჯარასთანა და უმზრედით ყმაწვილურისა სიამოვნებითა საშინლად აღრეულთა და ისმენდით უშიშრად ქუხილთა, რომლისა გრგვინვითა განამეორებოდნენ თანი... მარამა დღე იგი არაოდეს არა აღიხოცების გონებისაგან ჩემისა. ოდესცა მეწვევის მწუხარება ან უბედურება, რომელიცა არიან კაცთათვის აუცილებელ და განუყრელ სიცოცხლესა თანა ჩვენსა, მაშინ მომაგონდებით, ჰე, გრაციანო! ცრემლნი თქვენნი, ჩემთვის გადმოცვინულნი და ვიქნები მით ნუგეშ ცემულ” (ორბელიანი, 1959:291-292).

გრიგოლ ორბელიანი ნატრობდა ნინო ჭავჭავაძის ნახვას. ერთ-ერთ ლექსმი პოეტი წერდა:

„ნეტარ კვლავცა შენი ხილვა მეღირსოს,
საამურის ხმის დავეტვბო სმენას,
მას წამს სანატრელს ვით შემედაროს
ან მეფე ტახტზე, ან ღმერთო ზეცას!”

(ორბელიანი, 1959: 33),

როგორც კრიტიკოსი აკაკი გაწერელია ასკვნის, ორბელიანის ლექსიც „საღამო გამოსალმებისა“ ნინო ჭავჭავაძეს ეძღვნება: „ნინოს უნდა გულისხმობდეს გრ. ორბელიანი თავის შესანიშნავ ლექსშიც „საღამო გამოსალმებისა“, რომელიც დაწერილია 1841 წლის მაისში, ვლადიკავკაზში. ამ ლირიკულ პიესაში შეუძლებელია ნაგულისხმევი იყოს სოფიო ორბელიანი, რადგან დიდი ხნის გათხოვილ ქალს სატრფოს ვერ უწოდებდა“ (XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა, 2009: 46) გრ. ორბელიანი, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, დანიშნული იყო სოფიო ორბელიანზე.

გრიგოლ ორბელიანის ლირიკაში ერთ-ერთი გამორჩეული ლექსია „ჩემს დას ეფემიას”, მსოფლიო ლიტერატურაში ბევრს ვერ ვიპოვით ამგვარ გულწრფელ, ღრმა, ამაღლვებელ ადამიანურ ლექსს.

„ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ,
ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ დამჭვნარისა,
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ,
და განმასვენე მკვეთებათგან ბოროტ მხვედრისა!.

(ორბელიანი, 1959: 45).

ლექსი დაწერილია 1835 წელს რიგაში და გამოხატავს გადასახლებული პოეტის სულიერ განწყობილებას. ეს ლექსი, დისადმი მიმართული და მიძღვნილი, თითქოს ჩვეულებრივი ინტიმური საალბომო ლექსია, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, სინამდვილეში ის შორს სცილდება ვიწრო ოჯახის ფარგლებს როგორც წყობით, ისე ხასიათით და შიაანრსით, ეხება ზოგად-საკაცობრიო პრობლემას, ადამიანის ბედის მარადიულ თავსატეხს. აღნიშნული ლექსი საინტერესო განხილვას გვაძლევს კრიტიკოსი თამარ ლომაძე, მისი თქმით, „ეს ლექსი მკაფიოდ გამოვლენილი რომანტიკული ხასიათისაა არა მარტო მისი ფორმით, არამედ მასში გამოხატული ემოციური განწყობის შინაარსით. მისი აზრით, ლექსში რომანტიზმისათვის დამახასიათებელი ტიპიური ნიმუშებია: სულიერი სიმარტოვე, უდროოდ დაბერება, ამქვეყნიურ მიწიერ მშვენიერებათა და სიამეთა „მიუნდობლობის“ მოტივით“ (თამარ ლომაძე, 2014:23). კრიტიკოსი დასმენს, რომ ამ ლექსის ავტორის ბიოგრაფიულ ფაქტებთან დაკავშირება სრულიად განძარცვავდა პოეტური მრავალმნიშვნელობისაგან, ამიტომ ლექსს განიხილავს დამოუკიდებელი ტექსტის სახით. მასში გამოყოფს ოთხ განზომილებას: ლირიკული გმირის აწმყო; მისი მომავალი, წარსული - ორი ურთიერთგანსხვავებული პერიოდით. სამყარო დროითი მახასიათებლებით თითქოს საგანგებოდაა გამიჯნული ერთმანეთისაგან, რაც ამ სამყაროს წინააღმდეგობრიობის შთაბეჭდილებას წარმოქმნის.

პირველ სტროფში აწმყო უარყოფითადაა შეფასებული ისეთი გამოთქმების მეშვეობით, როგორიცაა: „კვეთებანი ბოროტ მხვედრისა“, „ცხოვრების ბნელი გზა“ და

„უდროოდ მწარ დამჭვნარი გული”, ცხოვრების ბნელ გზას ერთი ვარსკვლავი უნათებს მხოლოდ.

წარსულის პირველი ეტაპი - ესაა გმირის სიცოცხლის დილა, „მზისა ნათლით გაბრწყინვებული”, ანუ სამშობლოში, „მეგობართ შორის” გატარებული სიჭაბუკის წლები. „მესამე სტროფში რეალიზებულია დროითი და სივრცობლივი ანტითეზა სიჭაბუკის წლებისა და წარსულის გარკვეულ პერიოდს შორის, რომელიც დახასიათებულია როგორც უფსკრული ვაებისა, სიჭაბუკის ნეტარების წლების აჩრდილიც აღარ დარჩა”. კრიტიკოსის აზრით, ლირიკული გმირი „ვაების უფსკრულში” აღმოჩნდა უბედობის გრიგალის ზეგავლენით და თავს ვეღარ აღწევს უფსკრულს, დრო და სივრცე აქ ირეალურია, გმირის არსებობა კი ჯოჯოხეთში შთასული სულის ხეტიალს წააგავს (ლომაძე, 2014: 24).

გრიგოლ ორბელიანის ლირიკაში მძლავრ ნაკადად იჭრება ყარაჩოლლური პოეზია. როგორც კრიტიკოსი აკაკი გაწერელია ამბობს: „გრიგოლ ორბელიანს საყვედურობდნენ, თითქოს მან ბაზრის კილო შემოიტანა ქართულ პოეზიაში. ეს საყვედური დაუმსახურებელია. გრიგოლ ორბელიანმა მოახდინა მხოლოდ მუხამბაზის ხელახალი კანონიზაცია და ისიც გარკვეული მიზნით. გრიგოლ ორბელიანის ამ ჟანრის ნაწარმოებებმა დაიმსახურა დიდი მოწონება იღია ჭავჭავაძისა, რომელმაც ზოგი მათგანი ზეპირად იცოდა და მათ საჯაროდაც კითხულობდა ხოლმე” (ქართ. ლიტ. ისტ., 1969:110).

გრიგოლ ორბელიანი თავის ლირიკულ გმირებს ხატავს, როგორც ლალი ბუნების ადამიანებს, ნადიმის და ღვინის მოყვარულ მოქალაქეებს, ამავე დროს თვითოეული მათგანი აღჭურვილია ხასიათისა და გარეგნობის ინდივიდუალური ნიშნებით; პოეტი იძლევა უაღრესად კოლორიტული სახეების მთელ გალერეას. ამ მოტივის ლექსების დამუშავებისას გრიგოლ ორბელიან აგრძელებს ბესიკისა და საიათნოვას ხაზს. მისი ლექსები: „მუხამბაზი”, (არავისთვის მე დღეს არა მცალიან...), „სავათნავას მიბაძვა”, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ”, „მუხამბაზი” (სულით ერთნო...) და 1860-1861 წ.წ დაწერილი „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები” და „მუხამბაზი” (გინდ მეძინოს) აღრმავებენ აღნიშნულ თემას. „შეიძლება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გაუგებრად გვეჩვენოს პოეტის მიერ

ყარაჩოხელური ნადიმისა და ფიზიკური ტრფობის ასეთი ხოტბა იმ დროს, როცა თვითონ ყაზარმობის მძიმე დღეებს განიცდიდა და შემდეგ დიდხანს სამშობლოდან იყო გადასახლებული, (პირველი სამი ლექსი ავლაბრის ყაზარმაში დაწერილი, ხოლო მესამე - ქ. ვილნოში), მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ პოეტის ამ ლექსებში ჩვენ საქმე გვაქვს მოგონების არაჩვეულებრივ ინტენსიონასთან” (ორბელიანი, 1959:059).

გრიგოლ ორბელიანს არასდროს გაუწყვეტია კავშირი ქალაქის ამ დემოკრატიული ფენების წარმომადგენლებთან, ოღონდ გარკვეული დისტანციის დაცვით, რაც ბუნებრივად იბადებოდა ხოლმე ყაფლანიანთა ბრწყინვალე წარმომადგენელსა და მეკრივეთა და მეთევზეთა წრიდან გამოსულ ყარაჩოხელთა შორის. სწორედ ამ დისტანციის წყალობით შეძლო გრიგოლ ორბელიანმა მათი ხასიათების რეალისტური დახატვა. მართალია, გრ. ორბელიანის მუხამბაზებშიც ზოგჯერ ყარაჩოხელის ნიღაბქვეშ თვითონ ავტორი მჭვეულვარებს, ლხინსა და ღვინოში ეძებს თავდავიწყებას, ან რომელიმე სევდიან მოტივს მღერის, მაგრამ მისი ხმა საერთოდ ძალიან იშვიათად მიდის ამ ჟანრის ნაწარმოებებში. მუხამბაზებში აისახება თბილისის მოქალაქეთა გარკვეული წრის პრიმიტიული ფსიქოლოგია, თავისებური ყოფის დეტალები, მეტყველების მანერა და სტილი, ენობრივი სისადავე და ჟარგონი, ყველა ძირითადი ატრიბუტი ყარაჩოხელთა სულიერი ცხოვრებისა.

მოცემულ ლექსებში პოეტმა დაგვიხატა „ქალების ლხინი და თაიგული” ბეჟანა მკერვალი, რომელიც „ვით პეპელა სხვადასხვა ყვავილსა ზედა დაპფრინავს და ჰსვამს მათგან სუნნელსა”, და „რადგან რაყიფი დიდ-კაცნი დამხობილან”, მას „დარჩენია ბურთი და მოედანი”.

ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით გაოცება გამოთქვა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ, მისი გაოცება გამოიწვია იმან, რომ გრ. ორბელიანს მუხამბაზი „არავისთვის მე დღეს არა მცალიან“ დაუწერია ავლაბრის ყაზარმაში პატიმრობის დროს. „შეიძლება, – ვარაუდობს კ. აბაშიძე – უდარდელი, ქეიფისა და ლხინის მოსურნე ბეჟანის დახატვით უნდოდა კონტრასტი შეექმნა თავისი ცხოვრებისა და ან ცხოვრების გულქვაობა და გულგრილობა დაეხატა მით, რომ მაშინ, როცა „ბედმა დაამხო დიდ-კაცნი, ბეჟანს დარჩა ბურთი და მოედანი“ (აბაშიძე, 1962: 60). ვ. კოტეტიშვილის თვალსაზრისით, „აქ ირონია არის, არისტოკრატული ირონია... რუსეთის ბიუროკრატიამ ჩვენი არისტოკრატია დაწიხლა, საქართველოს

განთავისუფლებისთვისაც ამ არისტოკრატიამ გამოიდო თავი და ციხეშიაც ის აღმოჩნდა. ბეჟანები კი დარჩენენ უდარდელად, „იმათ დარჩათ ბურთი და მოედანი“ (კოტეტიშვილი, 1959:102-103).

მუხამბაზში „არავისთვის მე დღეს არა მცალიან“ ასახულია კარნავალური სიტუაცია – ცხოვრების ბელი მეფეები დაემხნენ და მათი ადგილი დაიკავა მასხარა, ბრიყვმა, მდაბიო ბეჟანამ. ეს ლირიკული გმირი ლექსში იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ ეჭვი არ გვეპარება მისი, როგორც კარნავალური ცრუ-მეფის ახალ სტატუსში. მსოფლწესრიგი შეტრიალებულია. „დაბალი“ (მდაბიო) შეენაცვლა „მაღალს“, უმნიშვნელო – დიადს, ბრიყვი – ბრძენს. ახალი „მეფე“ სიხარულით ემზადება თავისი ადგილის დასაკავებლად კარნავალურ ლხინში, სადაც ის „ჩამოგდებული მეფის“ ნაცვლად უნდა მიუჯდეს გვერდით სალომე ორბელიანს, ანუ უნდა მოხდეს მისი ერთგვარი „კურთხევა“ კარნავალურ მეფედ, ამიტომ ის არ აპირებს გარეთუბნის ტურფებთან წასვლას და არისტოკრატიულ სალონში, „სალომესთან სადილად“ მიიჩქარის:

„არავისთვის მე დღეს არა მცალიან;

სალომესთან სადილად მეძახიან!

ამას ვამბობ მე ბეჟანა მკერვალი,

ქალებისა ლხინი და თაიგული“.

(ორბელიანი, 1959: 38).

„აღნიშნულ ლექსში მოხსენებულია ორი პირი - სალომე და ბეჟან. სალომე არის პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე, ერისთავის ასული, დედა ნინო, ეკატერინე და სოფიო ჭავჭავაძეებისა. ბეჟან - ტფილისელი მკერვალი, გვარად უმიკოვი. ლექსი დაწერილია „ყაზარმობის“ დროს (ქართველ თავად-აზნაურთა შეთქმულების აღმოჩნის (1832 წ.) შემდეგ. გრიგოლ ორბელიანი, როგორც ამბოხების თანამოზიარე, დააპატიმრეს ნოვგოროდში, ჩამოიყვანეს თბილისს და ავლაბრის სატუსალოში მოათავსეს). გამოთქმა: „ბედმან დაამხო რაყიფნი კაცნი“, გულისხმობს 1832 წლის შეთქმულების მოთავეთ“ (კოტეტიშვილი, 1959:442).

მეორე „მუხამბაზის“ მიხედვით, ბეჟანა, რომელიც სალომეს „მაკრატლის გვირგვინს“ უწოდებს, იმავე დროს სხვებისკენაც იცქირება, ქალებისადმი მისი ტრფობა განურჩეველია, „ვარდიც უყვარს, იაც უყვარს“, თნაც პირველს აფრთხილებს: „ნუ გწყინს ვარდო! ყვავილთ მეფევ, რომ ზოგჯერ იასაც ვსუნავ“. („სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“) ლექსი დაწერილია ვილნოში, 1834 წელს. „ავტორს ის გამოუგზავნია სალომესთვის „სოფიოს დაბადებაზე“. სოფიო - მესამე ასული სალომე და ალექსანდრე ჭავჭავაძეებისა, შემდეგში მეუღლე ბარონ პ. ნიკოლაისა (1881 წელს განათლების მინისტრი). (იგივე: 442) 1835 წლის 23 მარტს გრიგოლ ორბელიანი ვილნოდან წერდა სალომე ჭავჭავაძს: „ეს მესამე დღეა, რა მოველ რილიდამ აქა, სადაცა დამხვდა წერილი თუქუენი, რომელშიაც მწერთ მესამე ქალის ყოლას, ესე იგი, მესამე გრაციას. მოგილოცავთ. მაგრამ, რა გინდა სალომევ! აქამდის ორი ქალი გყუანდა და თითქმის პეტერბულითგან ისპანამდის გაგიუებული იყვნენ ხალხნი, ახლა ეგ მესამეც, - ნუ გამიწყრები სალომევ! და მგონია ეჭვი იყოს ანგარიშში მაგ ახალ შობილზედ ბეჟანა მკერვალმა რაღაც მითხრა ყურში, რომლისა თქმა არ შემიძლიან; ამიტომ, რომ საიდუმლოა და ამისთვის ეს ლექსი ბეჟანასაგან ნათქვამი ახალს სოფიოს ძეობისათვის მომირთმევია. - სახელი კარგი დაგირქმევიათ. ყველა სოფიები რამდენსაც ვიცნობ ლამაზნი არიან“ (ორბელიანი, 1836:25).

“მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს“). ლექსი წარმოადგენს განთქმული ყარაჩოლელი მოკრივისა და მეთევზის ლოპიანას მონოლოგს. ლოპიანას ზოგჯერ „ორბელიანის ადიუტანტსაც“ ეძახდნენ.

მუხამბაზს ეპიგრაფად წანამძღვარებული აქვს ერთი ტაპი ჩამჩი მელქოს ლექსიდან: „მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო“ (ორბელიანი, 1959:65). ჩამჩი მელქო ფსევდონიმია თბილისელი მოლექსის მელქო გულქანოვისა (ჩამჩი მესანთლეს ნიშნავს). ცხოვრობდა მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის 20-ან წლებში.

ეს ნაწარმოები საუკეთესოა გრიგოლ ორბელიანის ციკლის ლექსებს შორის. მუხამბაზის მიხედვით ყარაჩოხელის ტიპი დახატულია, როგორც გარკვეული ემოციების ადამიანი, სატრფოზე შეყვარებული და ერთგული ყმა, რომელსაც „ათი გზა აქვს და ათივე სატრფოსკენ მიდის. ყარაჩოხელთა ხასიათები გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზებში დახატულია რეალისტურად, მიუხედავად მათი

რამდენიმე შელამაზებისა. უწინარეს ყოვლისა, რეალისტურია მათი პორტრეტული დახასიათება, მოქმედების გარემო, ორთაჭალის ბაღები, „მტკვრის პირი ჩარხთან“ და ასე შემდეგ, სიყვარული კრივისა და ლხინისადმი:

„ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,

დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!

ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!

აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ!

მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ!“

(იგივე: 66).

„მუხამბაზურ“ და ქალაქურ აშუღური ლექსებში გრიგოლ ორბელიანი გვერდს ვერ უვლის საიათნოვას სახელს („სავათნავას მიბაძვა“) საიათნოვა იყო ცნობილი აშუღი მე-18 საუკუნისა, რომელიც ლექსებს თხზავდა სამ ენაზე: ქართულად, სომხურად და თათრულად. ერეკლე მეორის კარის პოეტი. მისი სიმღერების გავლენა განიცადეს მე-18 საუკუნის მიწურულისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მთელმა რიგმა პოეტებმა, მაგრამ უდავოა, რომ ამ გავლენის მიუხედავად, გრიგოლ ორბელიანის ლექსები გარკვეული ინდივიდუალობით გამოირჩევა. სწორედ აშუღურ-ქალაქურ პოეზიის გავლენაზე, მაგრამ თავისებურ ინდივიდუალობით გამორჩეულ სტილზე საუბრობს კრიტიკოსი ემზარ კვიტაიშვილი წიგნში „ქართული პოეზია“, სადაც წერს: „მიუხედავად აღმოსავლური (სპარსული) წარმომავლობისა, ე. წ. აშუღურმა პოეზიამ ჩვენში აშკარად ეროვნული ქართული იერი მიიღო და მისი საფუძველი თბილისის ენა, თბილისური მეტყველება გახდა. აშუღურ-ქალაქურ პოეზიაზე კი სამართლიანად ფიქრობენ, რომ იგი ჩვენი მწერლობის მთავარ, მაგისტრალურ ხაზად არასოდეს ჩათვლილა, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ იგი ქართული პოეზიის ძალზე თავისთავადი შენაკადია.“ (ქართული პოეზია, 1985:8) კრიტიკოსი ასევე აღნიშნავს, რომ ქართულ აშუღურ პოეზიას სათავე დაუდო ისეთმა ხალასი ნიჭის პოეტმა, როგორიც საიათნოვა იყო, ასევე დასძენს: „ქართულ ყაიდაზე გამართული მუხამბაზი სწორედ საიათნოვას სახელს უკავშირდება. მის აშკარა გავლენას თავი ვერ დააღწიეს თბილისელ აშუღთა მთელმა თაობებმა. ამ

სიახლეს თავისებურად გამოეხმაურა ქართული კლასიკური პოეზია. მუხამბაზური კილო საგრძნობია ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის და თავად აკაკის პოეზიაში“ (იგივე: 9).

ყარაჩოხელთა ხასიათები გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზებში დახატულია რეალისტურად, უწინარეს ყოვლისა, რეალისტური მათი პორტრეტული დახასიათება, მოქმედების გამო (ორთაჭალის ბაღები, „მტკვრის პირი ჩარხთან“ და ასე შემდეგ).

„ქალებზე ვარ ასე ფიქრით მოცული,
ხელში ქობა დამრჩების მოუვლელი,
მებლანდების თვალებში ზოგის წელი,
ზოგის ხვევნა - ალერსი ტკბილი”

(ორბელიანი, 1959: 39).

ლექსში „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, ბეჟანა მკერვალი შემდეგნაირად მიმართავს სალომე ჭავჭავაძეს მისი ასულის (სოფიოს) დაბადებაზე:

„ეჭვი ვის აქვს, მამა ვინც არს?
ჩემს ნაკერსა ვცნობ ფრიად შორს!”

(იგივე: 42).

პოეტი თითქოს გვეუბნება - აი როგორ ხალხს დარჩენია ბურთი და მოედანი „რაყიფ დიდ-კაცთა დამხობის“ შემდეგ.

ასე ამეტყველებს გრიგოლი ყარაჩოხელებს, თბილისელ დარდიმანდებს, ორთაჭალის ბაღის გმირებს, სადაც არუნდა იმყოფებოდეს თვითონ - ავლაბრის ყაზარმებში, ვილნოში თუ კოჯორში, პოეტი მოგონებებით ცოცხლობს. „ამ ხასიათის ლექსებში იგრძნობა მოგონების ისეთი რელიეფულობა, სიცხოველე და ბუნებრივობა, რომ ძნელია მათი ჩათვლა მოგონებად. ამდენად ეს ჰედონიზმი, ევდომონიზმი, თრობა, ტრფობა, ნაღველი და სიხარული - ბუნებრივი, გასაგები ფაქტორებია“ (მაღრაძე, 1975:441).

ამრიგად, სხვადასხვა სხფეროში, ყველგან სადაც კი გრიგოლ ორბელიანმა კალამი სცადა, შექმნა პოეტური სიტყვის მარგალიტები.

ზემოთმოყვანილი ლექსებით იხურება გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებების მეორე პერიოდი. კრიტიკოსები გამოყოფენ მისი ცხოვრების მესამე პერიოდს (1858-1883) ესაა გრიგოლ ორბელიანის სამოქალაქო მოღვაწეობისა და ხელახალი პოეტური გამოღვიძების ხანაც.

70-იან წლებში გრიგოლ ორბელიანი ჩაება ე. წ. „მამათა და შვილთა ბრძოლაში”, მას ამ ბრძოლაში „მამათა“ ბანაკის მეთაურის სახელი ჰქონდა შერქმეული.

როგორც ცნობილია, მამათა და შვილთა ლიტერატურულ-იდეური ბრძოლა დაიწყო 60-იან წლებში, როდესაც ჟურნალ „ცისკარში” დაიბეჭდა თერგდალეულთა ბელადის ილია ჭავჭავაძის სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვასძის ერისთავის კოზლოვის-მიერ „შეშლილის” თარგმანზედა”. „ძველ და ახალთაობათა პირველი ბრძოლა რომელშიაც გრიგოლ ორბელიანს მონაწილეობა არ მიუღია, მიმდინარეობდა „ცისკრის” ფურცლებზე 1861-1863 წლებში თავდაპირველად ეს ბრძოლა უმთავრესად ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების, აგრეთვე ენისა და სტილის საკითხებს მოიცავდა”. (გრიგოლ ორბელიანი 1959:085) ახალი თაობა მოითხოვდა მწერლობის დაახლოებას ხალხთან, ძველი ენობრივი ნორმების, კერძოდ ორთოგრაფიული და გრამატიკულ არქაიზმების უკუგდებას. ისინი ილაშქრებდნენ ანტონ კათალიკოსის ავტორიტეტის წინააღმდეგ, უარყოფდნენ მაღალ სტილს და ა.შ. ყოველივე ეს „მამების” უკმაყოფილებას იწვევდა.

ხელმეორედ პოლემიკა ახალი სიმწვავით დაიწყო 1871 წელს ლიტერატურული ბრძოლის უშუალო მიზეზი გახდა ილიას სატირული ლექსები „გამოცანები” და „კიდევ გამოცანები”.

„ილიას „გამოცანებს” ჯერ გრიგოლ ორბელიანი გამოეხმაურა, შემდეგ საქმეში აკაკი წერეთელი ჩაერია და პაექრობა საკმარისად მკაცრი გახდა, პაექრობამ ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს გამკილავი ლექსები მხოლოდ ხელნაწერად ვრცელდებოდა და არა ბეჭდურად” (აპოლონ მახარაძე, 1990:483). სამოცდაათიანი წლების ლიტერატურული პაექრობისადმი ფართო

საზოგადოების ყურადღება სრულიად ბუნებრივია იმდენად, რამდენადაც მასში ჩაბმული იყვნენ იმდროინდელ ქართველი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები: ძველი თაობიდან გრიგოლ ორბელიანი, ხოლო ახლიდან - ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

სამოცდაათიან წლებში ბრძოლა წარმოებდა იდეურად დაპირისპირებულ ბანაკებს შორის. „მამათა” ბანაკში იყვნენ კონსერვატორი ლიტერატორები: „სამოცდაათიან წლებში კონსერვატორი „მამები” ლიტერატური სარბილზე უკვე დიდი ხანია აღარ მოჩანან. ამავე დროს ახალი თაობა დღითიდღე ძლიერდება და მისი გავლენის სფეროც ფართოვდება. გამოდის გაზეთი „დროება”, ჟურნალი „მნათობი”, „კრებული” და „ივერია”, რომელთა გარშემო შემოკრებილია მთელი მოწინავე ლიტერატურული ინტელიგენცია ახალი ეპოქისა” (იგივე:484)

როგორც ვიცით, ე. წ. მამათა და შვილთა ბრძოლის ერთ-ერთი მიზეზი იყო 1871 წელს მომხდარი ფაქტი, როდესაც მამების თაობა წინ აღუდგა თბილისში უნივერსიტეტის დაარსების საქმეს. სწორედ ამ შემთხვევის გამო დაიწერა ილიას „გამოცანები” და „კიდევ გამოცანები”, ესე იგი ის თხზულებები, რომელთა მიზეზით გრიგოლ ორბელიანმა ლექსი „პასუხი შვილთა” დაწერა.

ილიას „გამოცანები” და „კიდევ გამოცანები” სატირული ხასიათის ნაწარმოებია, რომლებშიც გაკრიტიკებულნი არიან იმდროინდელი თბილისის დიდი მოხელეები და წარჩინებული პირები, რომლებსაც ილიამ მიუძღვნა ეპიგრამები.

„ეპიგრამა” არის მოკლე სატირული ლექსი, რომელიც მიმართულია პიროვნების, საზოგადოებრივი წრის, ჯგუფის ან დაწესებულების წინააღმდეგ. ამ სიტყვით აღინიშნებოდა სხვადასხვა შინაარსით მოკლე ლირიკული ლექსი. <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=43&t=466> სათითაოდ ახასიათებდა თითოეულ ეპიგრამებში ნაგულისხმევ ადამიანს და უწოდებდა მათ დამამცირებელ სახელებს: „ქონდრის კაცი”, „ტყუილა ბრძენი”, „ღობემძვრალა”, „ყლაპია” და სხვა და ბოლოს, ყოველი ცალკე ეპიგრამიდან ცალკე გამომდინარეობდა საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედი „ფეხებზე ჰკიდია”.

ამ ფონზე განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ეპიგრამა, რომელიც გრიგოლ ორბელიანს შეეხება. იგი არსებითად გასხვავდება დანარჩენი ეპიგრამებისაგან. ილია

ამ ეპიგრამის, „გამოცანის” ერთ ნაწილში გრიგოლ ორბელიანის საერთო დახასიათებას გვაწვდის. ეს დახასიათება ნამდვილად დადებითია, იგი ქებასაც შეიცავს. ილია ჭავჭავაძის თქმით, გრიგოლ ორბელიანი არის გონიერი, გულმხურვალე, საქმით წმინდა, გრძნობით სავსე და სიტყვატკბილი.

შეუძლებელია გრიგოლ ორბელიანისათვის მოიძებნოს იმაზე უფრო შესაფერისი სახელი, რაც მას ილია ჭავჭავაძემ შეარქვა. ილიამ სახელოვან რომანტიკოსს ძველსა და ახალ თაობებს შორის „შემაერთავი ხიდი” უწოდა.

ილია ჭავჭავაძის „გამოცანების” პასუხად, როგორც ვიცით, დაიწერა გრიგოლ ორბელიანის აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილი „პასუხი შვილთა”, ამ ლექსის ორი ვარიანტი არსებობს: ერთი ის, რომელიც „გამოცანების” წაკითხვით გამოწვეული პირველი შთაბეჭდილებით დაიწერა („გამოცანების პასუხი”) და მეორე, ვრცელი ვარიანტი, რომელიც 1874 წელს ურნალ „ცისკარში” გამოქვეყნდა.

გრიგოლ ორბელიანმა იმავე პასუხში ცალკე სტრიქონები უძღვნა ილია ჭავჭავაძეს. იგი ცალკე გაკენწლა, როგორც ახალი თაობის მეთაური, რაც მთავარია, სატირული „გამოცანების“ დამწერი. როგორც ცნობილია, ილიამ „გამოცანებში“ გრიგოლ ორბელიანის პორტრეტიც დახატა. იქ ნათქვამია, რომ გამოცანის ადრესატი „მოხუცია იგი ჯმუხი, პირად გადრი, ტანდაბალი“ (ჭავჭავაძე, ქართული პოეზია, 1977: 182). გრიგოლ ორბელიანის მიერ შერქმეული სახელიც (ბურთივით მრგვალი ლიბერალი) ილიას მთელს ცხოვრებაში შერჩა.

„გრ. ორბელიანი აუგად ხსენებისგან იცავს „მამებს“. ამიტომაც აქ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ იგი „მამებში“ გულისხმობს არა ლიტერატურულ ჯგუფს, რომელსაც სამოციან წლებში ილია ეამათებოდა, არამედ სრულიად სხვა ადამიანებს. გრიგოლი „მამებად“ იხსენებს სახელოვან წინაპრებს, რომელთაც თავი გამოუჩენიათ ქართველი ხალხის დასაცავად ბრძოლებში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ“ (აპ.მახარაძე, 1990: 487)

უმთავრესად, რაზეც გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე იმ დროს კამათობდნენ, ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხი იყო. ენის პროგრესისა და ახალი სტილის მიმართ გრიგოლ ორბელიანი კონსერვატორი რჩება. „უწინ ეს მაინც იყო, რომ ბერები მონასტერში, ეკლესიებში მულუვდელები და მეტადრე

დარბაისლობასში ჩუენი ქალები, დიდად უფრთხილდებოდნენ ჩვენს ენასა და ინახავდნენ შეურყეველად მისსა კანონებსა და მისსა სიწმინდესა, ვითარცა საუნჯესა” (გრიგოლ ორბელიანი, 1959:330). ახლა კი რედაქციებში ირყვნება იგიო. პოეტი განსაკუთრებით თავს ესხმოდა გაზეთ დროებას და მის რედაქტორს ს. მესხს. მისი სატირული ლექსი „დროების ათი წლის იუბილე“ ასე იწყება:

„ვერ ისწავლა მესხიმ წერა,

ვერა!... ვერა!...

და არც ჰსჯერა,

რომ მან წერა,

ვერ ისწავლა, ვერა! ვერა!“

(იგივე:73).

გრიგოლ ორბელიანის სატირა გამოწვეულია „დროების“ იუბილეს გამო: ლექსი დაწერილია 1876 წლის მარტში. „ამ წელს შესრულდა ათი წელი გაზეთ „დროების“ დაარსებიდან. როგორც ცნობილია, გრიგოლ ორბელიანს არ მოსწონს ამ გაზეთის ენა“. (იგივე:448).

„გრიგოლ ორბელიანი 60-70 წლებში კარგად მიხვდა, რომ ახალი თაობის გამარჯვების მიზეზი ახალ რადიკალურ, დემოკრატიულ იდეებშია, მაგრამ გრიგოლ ორბელიანმა ვერ შეძლო ახალი იდეები ბუნებრივად ჩაექსოვა თავის პოეტურ შემოქმედებაში, ამ იდეების შესისხლხორცება მითვის ძნელი აღმოჩნდა“ (ზანდუკელი, 1972: 258).

გრიგოლ ორბელიანი თავისი შემოქმედებით, საქმით იმავე მანძილით დაუახლოვდა ახალ თაობას, რა მანძილითაც დაშორდა ძველი თაობის აშკარად კონსერვატორულ ბანაკს, ამიტომაც უწოდა ილიამ ძველისა და ახალის შემაერთებელი ხიდი. ეს გაგება დაედო ქვაკუთხეთხად გრიგოლ ორბელიანის შეფასებას. რაც არ უნდა თქმულიყო და რაც არ უნდა ითქვას, გრიგოლ ორბელიანი იყო და რჩება ქართული პოეზიის ერთ-ერთ ბუმბერაზად.

§4. ვახტანგ ორბელიანი

მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ვახტანგ ორბელიანი საინტერესო და გამორჩეული პიროვნებაა, სამშობლოს უდიდესი პატრიოტი, ქვეყნის თავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი. იგი სამშობლოს უკეთესი მერმისის მოლოდინით ცხოვრობდა, სიზმრად თუ ცხადად საქართველოს თავისუფლების აღდგენაზე ოცნებობდა. ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების ძირითადი თემა საქართველოს წარსული, მისი მომავალი იყო, ეს თემა განსაზღვრავს მის პოეზიას. მეცხრამმეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში შეუძლებელია დავასახელოთ მეორე მწერალი, რომელიც ისე მჭიდროდ უკავშირებდა წარსულს, როგორც ვახტანგ ორბელიანი. როგორც ილია ამბობს: „უმთავრესი ძარღვი ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებისა, ერთი გულსაკვდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტა ცრემლისა, ღრმად ნატკენ გულისაგან წარმოდინებული. იგი დასტირის იმ წარსულს, დამხობილს დიდებას (ჭავჭავაძე, 1986:216). მართალია, განაგრძობს ილია ჭავჭავაძე - „გრიგოლ ორბელიანმა ჩვენს პოეტზე უწინ მიგვახედა წარსულს და ამით ახალი საგანი გაუჩინა ჩვენს პოეზიას, მაგრამ ამ გზაზედ ის გადაუხვევლად, ისე სისწრივ ჩვენში არც ერთს პოეტს არ უვლია, როგორც ვახტანგ ორბელიანს. მან თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალაონე სულ ამ საგანს ამსახურა და თავისი უკეთესი ლექსები ამ საგანს უძლვნა და შესწირა. ამასთან ვახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიყვარულის მადლით მოსილს პოეტს, დიდი წილი უდევს, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა. დედა მის წარსულის სიყვარულისა - მამულის-შვილური სიყვარულია და პირველი გაზრდილა მეორეს ძუძუთი. წარსული უყვარს, როგორც ფუძე ჩვენის მომავლისათვის“ (ჭავჭავაძე, 1986: 218).

შორეული ისტორიული წარსულის გარდა, პოეტი საგანგებოდ ერევლე მეორის მეფობის პერიოდზე გვიამბობს. განსაკუთრებით იტაცებს მისი გმირული შემართება და სტრატეგია. მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელია

საქართველოს დიდებული წარსულის იდეალიზაცია და დაკნინებული აწმყოთი უკმაყოფილება. საქართველოს ისტორიული წარსული ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში გარკვეული თვალსაზრისითაა განხილული და შეფასებული. მისი პესიმიზმი გასდევს მთლიან შემოქმედებას, რომელიც ბავშობისძროინდელი მოგონებებიდან მოდის, მიუხედავად აქა-იქ გაბნეული ოპტიმისტური სტრიქონებისა.

ვახტანგ ორბელიანის აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის დედას, ერეკლე მეფის უსაყვარლეს ქალიშვილს, თეკლეს. სწორედ აქედან მოდის საქართველოსა და ერეკლე მეფის, პაპის უდიდესი სიყავრული. პოეტი საზრდოობს დედის, თეკლე ბატონიშვილის მონათხრობით, რომელიც თვითმხილველი იყო იმ ტრაგედიისა, რაც რუსეთთან საქართველოს შეერთების ფაქტს მოჰყვა. ამას ამბობს ილია ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიაში: „საკვირველი არ არის ამის შემდეგ, რომ ჩვენი პოეტი თ. ვახტანგ ორბელიანი ასეთი გულწრფელი ტრფიალია თავის სამშობლო ქვეყნისა, ასე გულმწუხარე მგოდებელია აწმყოზე. ყოველი ამისი სათავე უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ თ. ვახტანგი იმისთანა ოჯახში გაიზარდა, საცა მზრმანებლობდა საყვარელი ასული მეფე ერეკლისა, იმ დიდებულ მეფის, რომლის შუქი დღესაც კი გვინათებს“ (იგივე: 212).

ვახტანგ ორბელიანის მოღვაწეობა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც მთავრდებოდა რომანტიზმი და საფუძველი ეყრდნობა რეალიზმს, მისი შემოქმედებითი პათოსი მსგავსი იყო რომანტიკოსებისა, თუმცა გამოირჩევა თავისი ინდივიდუალიზმით.

პოეტი ბატონიშვილების პატრიოტული ლირიკით დაიბადა და ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნულ ნიადაგზე აღიზარდა, შემდეგ კი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის რეალიზმსაც მოესწრო და საგრძნობლად განიცადა მათი გავლენა. ამ მხრივ ვახტანგ ორბელიანის პოეტური შემოქმედება მეტად თავისებური და საინტერესოა.

პოეტი ამავე დროს კარგად იცნობს უცხოური ლიტერატურის ისეთ გამოჩენილ ავტორებს, როგორებიც არიან: გოეთე, შექსპირი და შილერი, როგორც თავადვე ამბობს ლექსში „ძველს მეგობარს“, სადაც, როგორც ილია წერს: „ძველ მეგობრად

იგულისხმება დ. ყიფიანი“ (ჭავჭავაძე, 1986:209). რაც პოეტის მაღალ ესთეტიკურ იდეალზე მეტყველებს:

„მოდი, აქ მიძევს თვალთ წინა რუსთველის დიდი ქმნილება,

იმის ფურჩქვნილის ლექსებით სული და გული დავიტვოთ;

გეტე, შექსპირი, შილერი კვლავ ერთად გადავიკითხოთ.”

(ქართული მწერლობა, 1992: 534).

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების მთავარი თემა საქართველოს ისტორიული წარსულია. დიადი, ძლიერი და მშვენიერი საქართველო იყო პოეტის შემოქმედების მთავარი თემა, პოეტი წარსულის გმირების იდეალიზაციით აფხიზლებდა თანამედროვე საზოგადოებას, აღვიძებდა მათში სამშობლოს სიყვარულის გრძნობას.

საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათა შორის ვახტანგ ორბელიანი ყურადღებას ამახვილებს ქრისტიანობის გავრცელებასა და წმინდა ნინოს შემოსვლაზე საქართველოში, რასაც მიუძღვნა ლექსი „ჯვარი ვაზისა“.

პოეტი ლექსში ხაზს უსვამს იმ მოვლენას, რომ წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლა და ქრისტიანობის შემოტანა ახალი დასაბამია საქართველოს ცხოვრებაში, ქრისტიანობის მიღებით საქართველომ განსაზღვრა თავისი მიმართულებისა და განვითარების გზა. “ქრისტიანობას ეზიარებოდნენ მხოლოდ კულტურისა და სოციალური განვითარების გარკვეულ მაღალ საფეხურზე მდგომი ხალხები. იქ, სადაც საამისო სოციალური, კულტურული პირობები არ არსებობდა, ქრისტიანობამ ვერც მოიკიდა ფეხი სიღრმისეულად. მხოლოდ ზედაპირულად და დროებით იქნა ის მიღებული. ქართველი ერი იმ ერთა შორის იმყოფება, რომელმაც ქრისტიანობა საკმაოდ ადრე, ქრისტეს დაბადებიდან 300 წლის შემდეგ, IV საუკუნის დასაწყისში მიიღო. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე დიდი ხნით ადრე საქართველოში ქრისტიანული თემები არსებობდა, რასაც სხვადასხვა მონაცემებთან ერთად უდავოდ ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემებიც.“

ნინოს ვაზის ჯვარი თმით შეუკრავს, რაც სიმბოლურია, რადგან ვაზს ქართველები ოდიოთგანვე აღმერთებდნენ, ვაზი სიმბოლოა ნაყოფიერებისა და სიცოცხლისა და ქართველები ქრისტიანობამდე სცემდნენ ვაზს თაყვანს, საქართველო ღვინისა და ვაზის ქვეყნად ითვლება და სწორედ ამ ვაზის ნასხლევისგან, ყველაზე ძვირფასი საგნისგან შეკრა ნინომ ჯვარი. თმა, ძველთაძველი წარმოდგენით, განასახიერებს მზეს, ჯვრის თმით შეკვრა მზისა და ვაზის ერთობლიობას მოასწავებს, მზე - სიცოცხლის წყარო და ვაზი - ნაყოფიერების სიმბოლო, თითქოს ერთმანეთს შეეკრა.

ნინოს ჯვარი საქართველოსთვის ახალი სხივია, წმინდა ქალწულის ნაწნავით შემკულმა ვაზის ჯვარმა საქართველოში ქრისტეს ნათელი შემოიტენა, რაც დასაბამი გახდა ახალი, თვითმყოფადი ქართული კულტურისა.

„ზღვა ქუბს და შფოთავს, ზღვა დუღს და ღელავს“, ამბობს ავტორი ლექსის დასაწყისში, ზღვის ღელვა წინააღმდეგობის სიმბოლოა, თითქოს ის განასახიერებს ძველს, რაც ნინოს წინააღმდეგობას უწევს, ზღვა ღელავს და ბობოქრობს, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოხდეს ერის ცხოვრებაში, მაგრამ ნავი, რომელიც მოაპობს აბობოქრებულ ზღვის ტალღებს, მის სიავეს არ ეპუება.

ძველი, წარმართული, დაბრკოლებად ეღობება ნავს, რომლითაც მოდის ნინო: „ზღვა ებრძვის ნავსა, ქარი - აფრასა!“ ქარი განასახიერებს ზენა ძალას, რასაც მოჰყავს წმინდანი, აფორიაქებული ბუნება მოასწავებს სიახლეს, სასიკეთო ცვლილებას, რაღაც უნდა აირიოს, აიმღვრეს, რომ დაიწმინდოს, ძველი, უსარგებლო წაიღოს და ახალი, სასიკეთო მოიტანოს. ხომალდი ზვირთებს არც კი ებრძვის, მოდის აუღელვებლად:

„ჩანს, ზეცით აძევს მას დიდი ვალი,

ჩანს, მაზედ არის ზეცით ღვთის თვალი“.

(ქართული მწერლობა, 1992:489).

ნავიდან უცხო ქალი მოჩვენებასავით გადმოვიდა: „ნათელი“, „ტურფა“, „მშვენიერი“, ის საქართველოს მომავალია:

„ის არ ეკუთვნის არც აწმყოსა, არც დროს წარსულსა,

ეკუთვნის მხოლოდ მომავალსა წმიდა ასული“.

(იგივე:490).

ნინო მოდის ჩვენს ქვეყანაში უშიშრად, ვერც ფრიალო კლდეები აშინებს და ვერც უფსკრულები, რადგან იცის, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მოდის:

„არ ეშინია წამებისა, არცა სიკვდილის,

დედაწმიდისა წილხდომილსა ქვეყანას მოდის“.

(იგივე:490).

ხალხი გაოცებით შეჰყურებს უცხო ასულს და ჯვარს, რომელიც წინ წაუმძღვარებია წმინდა ნინოს და რომლის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ იციან მათ. წმინდანი მიმართავს ივერიის ერს, ეამბორონ წმინდა ჯვარს, რომელსაც შემოაქვს ქრისტეს ნათელი, მაგრამ წარმართულ ბომონთა თაყვანისმცემა ერმა ვერ შეიგრძნო წმინდა სიტყვა, ვერ დაინახა მისი ციური მადლი. პოეტი ლექში ისტორიული სიზუსტით აღწერს მოვლენების განვითარებას. ნინომ კერპთმსახური ერი ღმერთს შეავედრა. ცამ იჭექა, თითქოს მიწა შეირყა:

„მთანი და ბარნი დასქდნენ, დაიყვნენ,

კერპთ-მსახურთ ღმერთნი ქვესკნელს ჩაინთქნენ...“

(იგივე:491).

ორბელიანი იმ სიზუსტით მოგვითხრობს ნინოს შემოსვლასა და ქართველთა სალოცავი კერპების მსხვრევას, როგორცაა აღწერილი „ნინოს ცხოვრებასა“ და „საქართველოს მატიანეს“ ცნობებში: „ამ კერპმსახურების შემყურე წმინდა ნინო ლოცულობდა და ევედრებოდა ღმერთს, რათა მას ეჩვენებინა სასწაული ამ ხალხისათვის და ეხსნა ისინი კერპმსახურების სიბნელისგან. და თითქოს თვალისდახამხამებაში დასავლეთიდან ამოვარდა ქარი, რომელმაც სიმწრისა და სიმყრალის სუნი მოიტანა და გაისმა საზარელი ქუხილის ხმა, ცაზე საშინელების მომასწავებელი სწრაფი ღრუბლები გამჩნდნენ. მაშინ ხალხმა იწყო გაქცევა იმ ადგილიდან და მათ დრო მიეცათ, რომ თავშესაფრამდე მიეღწიათ. მოახლოებულმა ღრუბელმა მოიტანა უმსხვილესი სეტყვა მხოლოდ იმ ადგილას, სადაც კერპები

იყვნენ აღმართული. სეტყვამ ისინი დალეწა, დაფქვა და დაანაწევრა, ხოლო მათი ნამსხვრევები ქარმა კლდე-ღრეში ჩაყარა.“

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D

პოეტი ხაზს უსვამს რელიგიის მნიშვნელობას ერის კულტურული იერსახის ჩამოყალიბების საქმეში. ქართლის სარწმუნეობრივ და კულტურულ სივრცეში მოძღვრების შემოჭრა განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენი ქვეყნისთვის. ავტორის თქმით, ქართველმა კაცმა შეიცნო უფლის მაღალი მცნება, უფლის ძლიერი სიტყვის ძალა, მისი ზეციური მადლი, ქართველი კაცის გულში დაისადგურა „სათნოებამ“, „მშვიდობამ“, ქრისტეს მადლმა გააერთიანა საქართველო:

”ჩემო სამშობლოვ, მშვენიერო, მაშინ შენზედა

მადლი ზეცისა, მადლი ღვთისა ზე გარდმოვიდა:

წმიდა ასული, წმიდა ნინო ცამ მოგვივლინა,

ქრისტეს ნათელი, ქრისტეს სხივი მან შენ მოგფინა.

მიხვდნენ დიდ მცნებას შენნი ძენნი, ერი ველური,

მიხვდნენ რაც არის დიდი სიტყვა, სიტყვა ციური;

ქვეყნად მშვიდობა და კაცთ ჰქონდეს გულს სათნოება,

ძმობა, ერთობა, სიყვარული და შეწყალება“.

(იგივე: 491-492).

ქრისტიანობა პოეტს ესახება ერთგვარ გზამკვლევად, ევროპული ცნობიერების ქვაკუთხედად, ქრისტიანობას სარწმუნეობასთან ერთად შემოაქვს წიგნიერება, განათლება, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის:

„ მოისმა მაღლად დიდებული, საღმრთო ხმა ზართა,

...დიდთა შენობათ მთლად მოიცვეს მთანი და ბარნი,

აშენდნენ, აღდგნენ დიდებულად წმიდა ტაძარნი;

ელინთა სწავლის, განათლების წყარო ნათელი

შთამოიღვარა და განათდა გონება ბნელი;

დაშვენდა, დატკბა, შემუშავდა ენა ივერთა,

დღესაც კი გვატკბობს მათ დროთ ენა ამერ-იმერთა.“

(იგივე: 492).

პოეტის თქმით, ქრისტიანულმა სარწმუნეობამ მოგვცა საშუალება საქართველოს დაემკვიდრებინა ადგილი ცივილიზებულ სამყაროში. ქრისტიანული სარწმუნეობა ერის განვითარების ფუნდამენტად იქცა, ამ მხრივ საქართველოს ღრმად მოსიყვარულე პოეტის ფიქრები შეიძლება დავაყენოთ დიდი ილიას გვერდით, რომელიც წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის უჩვეულო ისტორიასა და მნიშვნელობაზე საუბრობს წმინდა „ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი“, სადაც ილია ასევე საუბრობს წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლასა და ქრისტიანული რელიგიის შემოტანაზე, მის განსაკუთრებულ მოვლენაზე ჩვენი ისტორიული ცხოვრების პროცესში: „ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათლით არის გასხივოსნებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰყვინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზე სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია ყოველს მცნებაზედ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

<http://www.orthodoxy.ge/tserilebi/ilia/ninooba.htm>

ლექსის დასასრულს პოეტი სინანულით ამბობს, რომ ძველი დიდებული დრო გაქრა, ულმობელმა დროთასვლამ წარმტაცი ცხოვრება ბოლოს მაინც შემუსრა, ნანგრევებად აქცია. პოეტი კითხულობს: განა მტრის ხელს ვერაფერი გადაურჩა და ქართველებს არანაირი საუნჯე არ დაგვრჩა? „არა, საუნჯე დიდი რამ დაგვრჩა: ჯვარი ვაზისა“. ავტორი სიხარულით აღნიშნავს, რომ განუსაზღვრელია იმ ჯვრის მადლი. როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების მთავარ თემას ძველი

საქართველო წარმოადგენს, მისთვის ყოველგვარი სიკეთე მამა-პაპათა სამყოფელშია, პოეტი მათი სახეების წარმოდგენით ტკბება.

ძველი ისტორიული პიროვნებანი და ძველ შენობათა ნანგრევები პოეტისთვის ერთადერთი ნუგეშია თანამედროვეობაში სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ეს ოცნება მას ბავშვობიდან ჰქონდა შთანერგილი – იგი ხომ თეკლე ბატონიშვილის ვაჟი იყო, ერეკლეს უმცროსი და უსაყვარლესი ასულისა. იმ თეკლე-ბიჭის, მამამისი რომ მიმართავს, „ჩემო შინაგანო გულის ნათელო, თეკლევ!“ საქართველოს წარსულისა და მწერლობის უბადლო მცოდნე, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული თეკლე იყო პირველი აღმზრდელი და გეზის მიმცემი თავისი ვაჟიშვილებისა. ვახტანგ ორბელიანს სულშიჩამწვდომი სტრიქონები, სწორედ იმ, ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებითაა ნაკარნახევი:

„სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,

რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;

რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომითხრობდა.

ის ჟამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა“.

(ქართული მწერლობა, 1992:480).

აწმუნთი უკმაყოფილო პოეტი მხოლოდ საქართველოს წარსულში ხედავს ხსნას, იგი მოთქვამს საქართველოს დაკარგულ დიდებაზე, მუხლმოდრეკით ლოცულობს სამშობლოს წარსულზე და იმ გმირებზე, რომელთა სახეებიც წმინდად შემონახულა მის გულში.

1832 წლის შეთქმულების შემდეგ საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია პესიმიზმში ჩავარდა, იმდროინდელ შემოქმედთა უმეტესი ნაწილი, როგორც მათი შემოქმედების გაცნობის შემდეგ ვხედავთ, იმედს წარსულში ხედავდა, ამაში უჩვეულო თითქოს არაფერია, ისტორიულ პირთა მხატვრული სახეების გაცოცხლებით ჩვენი მწერლები იმ პირქუშ ეპოქაში ერთგვარად სულს იბრუნებდნენ, შელახულ ღირსებას წარსულის მოგონებით წამლობდნენ, რომ იმედისთვის ეხმოთ სამომავლოდ, ამ შრომას უკვალოდაც არ ჩაუვლია, მათ გზა

გაუკვალეს დიდ ილიას, მის თანამებრძოლებს და საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას.

როცა ვეცნობით ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებას, თვალნათლივ ვხედავთ, ჩვენ წინ არის ერთი საქართველოს უანგაროდ მოსიყვარულე მამულიშვილი, საქართველოს ბედზე მკვნესარე და უდიდესი პატრიოტი, რომელიც საქართველოს ისტორიულ პირთა სახეებისა და მათი გმირული წარსულის გაცოცხლებით ცდილობს თანამედროვენი საქართველოს აწმყოსა და მის მომავალზე დააფიქროს, მიუხედავად იმისა, რომ მის შემოქმედებაში პესიმიზმი უფრო მეტია, ვიდრე ოპტიმიზმი, რასაც, როგორც აღვნიშნეთ, თავისი ობიექტური ახსნა აქვს და რაც წითელ ზოლად გასდევს იმ დროის შემოქმედთა მემკვიდრეობას. როგორც აპოლონ მახარაძე ამბობს: „ვახტანგ ორბნელიანის ლექსებიდან ჩვეულებრივად ისმის ქვეყნისათვის უსაზღვროდ მოსიყვარულე ავტორის ხმა. მართალია, აქ არა გვაქვს ბარათაშვილისებური მოწოდებანი, მაგრამ მისი პოეზია მკითხველში ბუნებრივად იწვევს სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულს, მისთვის თავდადებისა და თავგანწირვის კეთილშობილურ გრძნობას. ამ მაღალ პატრიოტულ მიზანდასახულობას მისი პოეზია უდავოდ აღწევს. ვახტანგ ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის მნიშვნელობაც ამაში მდგომარეობს“ (მახარაძე, 1990:243).

ლექსმი „იმედი“, რომელზეც ილია ამბობს: „ერთი უწარჩინებულესი მარგალიტია ქართულ პოეზიაში“ (ჭავჭავაძე, 1986: 216). პოეტი ამაყობს საქართველოს მდიდარი ბუნებით, მაღალი მთებით, რომელიც ამკობენ ზღვასა და ბარს, ყველაზე მეტად კი მისი წარსულითა და საამაყო შვილებით: დავითითა და თამარით. ამ მიწის შვილია რუსთაველი, რომლის ლექსიც დღესაც ატვრობს ადამიანთა ყურებს:

„აქა, დავითი და თამარი სულსა კიდევ სწამს;

აქ რუსთაველის ლექსნი კვლად ატვრობენ ყურსა.“

ესკიზის სახით გამოკრთის მირიანისა და წმინდა ნინოს სახეები:

„რაც ლმობიერმა გულმა გკითხოს, - ჰკითხე მას ჯვარსა.

მირიანის დროს ხელში ეპყრა წმიდა ასულსა,

აწ ძველს ტაძარში მასა ჰპოვებ წმიდად დაცულსა“.

(ქართული მწერლობა, 1992:478).

მაგრამ პოეტს ყველაზე მეტად ის აწუხებს, რომ საქართველოს დიდებული წარსულიდან მხოლოდ ნანგრევები დაგვრჩა, სადაც საქართველოს შავ ბედს ამოიკითხავ, აქ ტაძარში ნახავ წმინდა ჯვარს, რომელიც მეფე მირიანის დროს ხელთ ეპყრა ნინოს, ჩვენი ისტორია ეკლის გვირგვინია. ქართველ კაცს თავის არსებობის მანძილზე მუდამ მტერთან ბრძოლა უხდებოდა თავის გადასარჩენად:

„ერთის ხელითა წმიდათ ტაძარი, პალატთ ვაგებდით,

და მეორეთი მტერსა ვცემდით, ხმალს არ ვაგდებდით,

„ან სულ გავწყდეთო ან მტერთა ვძლიოთ ეგება.“

სამშობლო მიწა ქართველთ სისხლმა სრულად შეღება!“

(იგივე: 479).

პოეტი წუხს, რომ საქართველოში მომხდურ მტერთან ბრძოლა არასდროს არ წყდება, რომ მისი მიწა გმირ ქართველთა სისხლით არის გაჯერებული:

„ჩვენი ივერი მშვენიერი არის სისხლის კალო,

გმირთა აკლდამა, გულთ საკლავი და სასაფლაო!“

(იგივე:479).

ერეკლე მეფე ვახტანგ ორბელიანისთვის წარსულის შარავანდედმოსილი გმირია, რომელიც ბრძოლის ველზე ყოველთვის იყო „ვითა ერთი მხედარი“, როგორც პოეტი ამბობს: „წინ მტერი უდგეს, არა გავიდეს ბრძოლისა ველად?“ პოეტი ახსენებს კრწანისის ბრძოლას, როცა მცირერიცხოვანი ერეკლეს ჯარი უტევდა აურაცხელ მტერს, „პატარა დასით“, სამი ათასით „სამოც ათასს წინ უხვდებოდა“. უთანასწორო ბრძოლაში ერეკლე დამარცხდა და ბევრი კარგი ვაჟკაციც დაკარგა, მაგრამ მეფეს უიმედობისა და მაწუხრების უფლება არ აქვს, რადგან მას წინ აქვს სხვა ვალი, ქვეყნის თავაისუფლებისათვის მებრძოლ მეფეს უფალი არ მიატოვებს, ქვეყნის იმედს უსახავს მეტების ჯვარი, რომლის მადლი დაიცავს საქართველოს.

პოეტი ხაზს უსვამს იმას, რომ ჩვენი ტრაგედიის მიზეზი მუდამ ჩვენი სიმცირე იყო, მაგრამ ამავე დროს სიამაყით ამბობს, რომ ერევლე 3000 მეომრით 60 000 მტერს შეება, მაგრამ ასევე სწუხს:

„ჩვენს გაყინულსა, გაქვავებულს და უგრძნობელს გულს

მწარე მოთხრობა წარსულ დროთა არ აცხოველებს,

გმირთ მამა-პაპათ ბნელი ეტლი არ მოგვგრის ცრემლებს,

ჩვენ არც კი ვიცით, იმ უბედურთ რაც დაგვდეს ვალი,

ჩვენსა გარეშე ვერას ვხედავთ: ბნელი გვაქვს თვალი.“

(იგივე:481).

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ავტორის მიზანი ისტორიული პირების გმირული საქმეების გაცოცხლებისა, პოეტს უნდა, ჩვენი გმირების სამშობლოს დასაცავად დაღვრილი სისხლი გაგვახსენოს და უთხრას ახალ თაობას, რომ რაც ჩვენმა წინაპრემა გააკეთეს ჩვენი ქვეყნისათვის, ეს არის ვალი, რომელიც უნდა გადავიხადოთ. პოეტს უნდა ქართველთა გაყინული გულები გაალლოს, ქართველი კაცი, რომელსაც თვალთ დაბნელებია და ვერ ხედავს რა ხდება მის გარშემო, გამოაცოცხლოს, გამოაფხიზლოს და სამშობლოს ძახილი გააგონოს.

პოეტი საყვედურობს თანამემამულებს, რომელბიც მამა-პაპათა დანატოვარი მამული მხოლოდ მათი არსებობის წყაროა, მასზე ზრუნვას კი საკუთარ მოვალეობად არ მიიჩნევენ, სმარცხვინო ადამიანებად ქცეულან, არ ერიდებიან ძმის, მოყვრისა და ნათესავის ცილისწამებას: „ოღონდ მამათგან დაშთომილი მამული ვსჭამოთ და ჩვენთ მოყვასთა, ჩვენთ ნათესავთ-ძმათ ცილი ვსწამოთ.“ ეს რომ ასე იყოს და ქართველს ქვეყნის ბედი აწუხებდეს, მაშინ მიხვდებოდა, რას მოუთხრობდა არაგვისა და მტკვირს ნაპირები.

პოეტი აღნიშნავს, ირაკლის გრძელი სიცოცხლე ერთი გრძელი ბრძოლაა, საამბობლადაც ძალიან ძნელია, როგორც საქართველოს სხვა მეფეებს, არც ირაკლის ღირსებია მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრება, ჩვენი ისტორია ხომ, როგორც ილია ამბობს, „ბრძოლების ისტორიაა“, ასეთი ბედი დაანათლა ჩვენს ქვეყანას თავისი

არსებობიდან დღემდე უფალმა. საქართველოს ისტორია სავსეა ისეთი ფაქტებით, როცა მტრისგან შევიწროებული საქართველო დახმარებას დასავლეთისგან ითხოვდა, მაგრამ სიტყვიერი ნუგეშის გარდა არაფერი მიგვიღია მათგან. პოეტი არც ამ ფაქტს ივიწყებს და საყვედურით მიმართავს დასავლეთ საქრისტიანოს:

„და დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შვრებოდით,

როცა ქრისტესთვის თქვენ თვალ-წინა, თქვენს კარს ვწყდებოდით.“

(იგივე: 482).

„ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ, ევროპის მიერ საქართველოსადმი ისტორიულად გამოვლენილი პოლიტიკური გულგრილობა ვახტანგ ორბელიანისეული ძალით ქართველ „სამოციანელებამდე“ ჩვენს მწერლობაში, ფაქტობრივად, არავის გამოუხატავს და ამ თვალსაზრისთ იგი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება მივიჩნიოთ „თერგდალეულთა“ უშუალო წინამორბედად“ (ნიკოლეიშვილი, 2014: 342).

პოეტი უიმედო მდგომარეობამ უფლის გმობამდე მიიყვანა: „სარწმუნეობას გულის ჭმუნვის ძალა ერევა!“, მისთვის გაუგებარია, თუკი ღმერთი არსებობს და „თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების“, „მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?!“ ვფიქრობ, ამ ფრაზაში კარგად ჩანს არა მხოლოდ ვახტანგ ორბელიანის, არამედ ყველა ქართველი რომანტიკოსი შემოქმედის მთავარი საფიქრალი და საშინელი სასოწარკვეთა, ე.ი. ისინი ფიქრობენ, რომ საქართველო „დაემხო“ და შეგრძნება საქართველოს ძლიერად დაცემისა ისე დიდია, რომ მისი ხელახლა ფეხზე დადგომის ამ დროის ქართველობას არც კი სჯერა, იმედი სადღაც კიაფობს პოეტის სულში, რაზეც თავად ლექსის სათაურიც მეტყველებს, ლექსის ბოლოს უცხო ასული პოეტს ასე მიმართავს:

„გწამდესო ღვაწლი მამა-პაპათ არ განჰქრებიან,

გწამდეს, ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან.“

(ქართული მწერლობა, 1992: 484).

პოეტი აქვე ერკვევა ბურუსიდან და ინანიებს დაუფიქრებლად წამოსროლილ ღვთის გმობას, ამას მიაწერს „გაშმაგებას“ ივერიის უბედობით გამოწვეულს. მშვენიერი ასული პოეტს ანუგეშებს:

„მართლმადიდებელთ ჭეშმარიტი, ღმერთი ძლიერი,
მოგფენსთ თვის სხივსა, თვისს სიუხვეს, და თქვენი ერი
ქრისტეს ჯვარისთვის წამებული, კვლავ გამრავლდება,
თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება“.

(იგივე:484).

ასეთი ოპტიმიზმით ასრულებს პოეტი ლექსს. შეუძლებელია წაიკითხო ვახტანგ ორბელიანის ეს ლექსი და არ გაგახსენდეს ლადო ასათიანის ლექსი „სპარსელ ასულს“, რომელიც იდეურად ძალიან ჰგავს ლექსს „იმედს“, რომელიც შესაძლებელია, რომ ვახტანგ ორბელიანის ამ ლექსისი შთაგონებით ყოფილიყო დაწერილი, რაც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების მაღალი პატრიოტიზმის მადლი გადასწვდა მე-20 საუკუნის პოეზიასაც.

ვახტანგ ორბელიანი საქართველოს დიდებულ წარსულზე უყვება უცხო ქვეყნიდან მოსულ ასულს, რომელიც ძველ ივერიაში მოვიდა აღმოსავლეთიდან:

„აღმოსავლეთის ყვავილთა შუა თუ გაიშალე“.

(იგივე: 478).

ლადო ასათიანიც ასევე უცხო ქვეყნიდან მოსულ ასულს უამბობს საქართველოს წარსულზე, რომელიც აღმოსავლეთიდან მოსულა საქართველოში:

„შენ შემეფეთე და ჩამჩურჩულე: აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი“.

(ასათიანი, 2008: 260).

ვახტანგ ორბელიანი უცხო ასულს მოუთხრობს დავითზე, თამარზე და რუსთაველზე:

„აქა დავითი და თამარი სულსა კიდევ სწამს;

აქ რუსთაველის ლექსნი კვალად ატკბობენ ყურსა“.

(ქართული მწერლობა, 1992: 478).

ლადო ასათიანიც იხსენებს საამაყო ქართველების სახელებს:

„თუ სისხლი გხიბლავს კეთილშობილი,

რუსთაველის და სააკაძისა“.

(ასათიანი, 2008: 260).

უცხო ასულთან მთავარი სასაუბრო თემა ორივე შემთხვევაში საქართველოს მწარე ბედია. ვახტანგ ორბელიანი:

„რას ნიშვნენ შთენნი, ეს ნანგრევნი, - შენ გსურს იკითხო?

გსურს ივერიის შავი ბედი აღმოიკითხო?“

((ქართული მწერლობა, 1992: 479)).

„მერე წავიდეთ ჩამოვჯდეთ მტკვართან,

...გეტყვი რა იყო ჩვენი წარსული“.

(ასათიანი, 2008: 260).

აწმყოთი გულმოკლული პოეტი მხოლოდ საქართველოს წარსულში ხედავდა ხსნას და ამ წარსულის ტკბილი მოგონება ამშვიდებს მის მღელვარე გრძნობას. ლექსში „არის ადგილი“ იგი მოთქვამს საქართველოს დაკარგულ დიდიებაზე, მუხლმოდრეკით ლოცულობს სამშობლოს წარსულსა და იმ გმირებზე, რომელთა სახელებიც წმინდად შენახულა მის გულში. პოეტს ედემად ესახება ათასი წლის უძლეველი შენობა - გელათი, რომელიც მოწმეა იმისა, თუ „როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა“. გელათი, პოეტის თქმით, არის მცველი დავითისა და თამარის დიდებული გვამებისა:

„აქ ჩემს წიაღში განისვენებს დიდი თამარი,

თამარ გრწყინვალე, თამარ ტურფა და მშვენიერი,

პოეზიისა, ერის გულში, სხივით მორთული,

ივერიისა ძეთ დიდება და სიყვერული!“

(ქართული მწერლობა, 1992:488).

ლექსი „ობოლის“ ლირიკული გმირია შოთა რუსთაველი, რომელსაც, პოეტის თქმით, ქართველი დიდებული მეფე თამარის მშვენებამ შთააგონა რუსთაველს უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა. ”ობოლი“ ესალმება მამა-პაპის მაგარ სადგურს, ძველ დმანისს, რომელიც თავს იწონებს ისტორიული კოშკითა და ტაძრით, რომელიც სახეა საქართველოს დიდებული წარსულისა, აქ ჩვენი გმირი წინაპრების სული ტრიალებს. ობოლს შემოაქვს საქართველოში ელინთა კულტურა და განათლება. სიმბოლურია ისიც, რომ მხოლოდ განათლებულ და სულით განწმენდილ ობოლს აქვს უნარი იხილოს თავისი ქვეყნის მომავალი, წარსული დიდების განახლების სახით”:

„ნახა სამშობლო ცხოვრებისთვის ახლად დგებოდა,

ახლის ცხოვრებით და დიდებით იმოსებოდა,

დიდების სხივით შემოსილი ნახა თამარი,

იმისი სახე მშვენიერი და მოღიმარი,

მისი სიტურფე, მის სინაზე, მისთ თვალთ ნათელი,

ივერის მთა-ბართ და ერისა მანათობელი!“

(ქართული მწერლობა, 1992: 498).

ქართველი დიდებული მეფე თამარის მშვენებამ შთააგონა რუსთაველს უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა:

„-დიდო მეფეო, მაგ რვეულში რაც დაიწერა,

შენმა ნათელმა მშვენიერმა სახემ შთამბერა - „

თამარის სახელის წსენება ყველა ქართველის გულს სიამაყით ავსებს, საოცრებაა, რომ სწორედ ამ საუკუნემ კიდევ ერთი განუმეორებელი გენიოსი აჩუქა საქართველოს, რომელიც არის „თამარის სამეფოს გვირგვინი“:

„ნათელი მეფე მას უმზერდა ტკბილის ღიმილით,

უთხრა: ეს ლექსი შთაბერილნი გაქვს შენ ცით მაღლით,

იყავ დიდებულ და დიდებულთ იყავ შვენება,

ჩემის სამეფოს გვირგვინისა შენ ხარ დიდება!“ (იგივე:499).

აქ საქართველოს როგორც წარსული, ასევე მომავალი დიდება კვლავ თამარისა და რუსთაველის ეპოქასთან არის დაკავშირებული.

დიდებული წარსულის მქონე ერს მომავალიც დიდი უნდა ჰქონდესო, ბრძანებდა დიდი ილია, როცა პოეტი თავს დიდებული წარსულის შვილად მიიჩნევს, ე.ი. მისი საფიქრალი ის არის, რომ ძველი დიდება აღდგება, რადგან პოეტი „დიდთა ნანგრევთა პატრონია,“ ლექსში „ძველ დმანისს“ პოეტი ესალმება მამა-პაპის მაგარ სადგურს, ძველ დმანისს, რომელიც თავს იწონებს ისტორიული კოშკითა და ტაძრით, რომელიც სახეა საქართველოს დიდებული წარსულისა, „მამათ არე“, აქ ჩვენი გმირი წინაპრების სული ტრიალებს:

„მოგესალმებით დიდ ნანგრევთა პატრონი თქვენი,

დიდის შენობის, როგორც თქვენა, საბრალო შთენი,

ვდგევარ თქვენ წინა თავმოხრილი, ფიქრით მოცული,

ვდგევარ და ფიქრში მიახლდება, რაც არს წარსული“.

(იგივე:485).

პოეტი მოთქვამს საქართველოს დაკარგულ დიდებაზე, მუხლმოდრეკით ლოცულობს სამშობლოს წარსულზე და იმ გმირებზე, რომელთა სახელებიც წმინდად შენახულა მის გულში

ერეკლე მეორის შვილიშვილი იმ წრეში გაიზარდა, სადაც უშუალო მომსწრენი იყვნენ თავისუფალი და ძლიერი საქართველოსი, სადაც შეეძლოთ მომხდურ მტერთან დახვედრა და მტრის დამარცხება, ამიტომაც ამბობს პოეტი ლექსში „არის ადგილი“.

„ აქ დაბლა მე ვარ მის მოწამე და იქ მაღლა - ცა,

როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა!“

პოეტი ამაყობს, რომ იმ ქვეყნის შვილია, სადაც განისვენებს დიდი თამარი, რომელსაც ისტორიის გარდა ადგილი დაუმკვიდრებია ქართულ პოეზიაში და ერის გულში, აქ განისვენებს დიდი დავითი, ხოლო ამ დიდებულ გვამთა მცველად გვაქვს კიდევ ერთი ქართველთა სიამაყე - გელათი.

ჩვენი ქვეყნის იმ დიდ მოღვაწეთაგან, რომელთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვაწლის ასეთი რომანტიკული განდიდება ვახტანგ ორბელიანის განსაკუთრებული ინტერესის საგანი ხდება, უპირველეს ყოვლისა, ერეკლე მეორე უნდა გამოიყოს. პოეტი აღტაცებით ასხამს ხოტბას თავისი დიდი პაპის მამულიშვილურ მოღვაწეობას და საქართველოს სამომავლო სახელმწიფოებრივი ბედის განსაზღვრებასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისადმი, თავისი განსხვავებული დამოკიდებულების მიუხედავად, დიდი მეფის პოლიტიკურ ოიენტაციას კრიტიკული განსჯის საგნად მაინც არ ხდის.

ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ნაწარმოებია „ირაკლი და მისი დრო“. ვახტანგ ორბელიანის თქმით, მეფე ერეკლე მტრისაგან წამებულ საქართველოს ცამ მხსნელად და ნუგეშად მოუვლინა. პოეტი ეროვნული სიამაყის გრძნობით იხსენებს მის გმირულ ბრძოლებს ჩვენი ქვეყნის მტრების წინააღმდეგ.

მართალია, პოეტი აღტაცებით იხსენებს ერეკლეს უდიდეს დამსახურებას მამულისა და ქრისტიანული სარწმუნოების გადარჩენის საქმეში, მაგრამ იქვე იმასაც ამბობს, რომ მის ამ თავგანწირვას სამომავლო პერსპექტივა უკვე აღარ ჰქონდა და ქვეყანა საბედისწერო განსაცდელის წინაშე იდგა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უპერსპექტივობის გრძნობას ერეკლეს კიდევ უფრო უმძაფრებდა იმის გაცნობიერება, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ერს მისებრი პატრონი და წინამდლოლი უკვე აღარავინ რჩებოდა. ლექსში მოხუცი მეფის ეროვნული სასოწარკვეთილება ასეა გამოხატული:

„როცა მოკვდება, ვიღა დარჩება,

ირაკლის ხრმალი ვინ ატრიალოს?

სახლში არვინ ჰყავს, ის ნათლად ჰქედავს,

უნდა ერის წინ მან აღიაროს“.

(იგივე:537).

სწორედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უძლურებისა და უპერსპეტივობის სიღრმისეულმა გაცნობიერებამ მიიყვანა მოხუცი ერეკლე იმ გადაწყვეტილების მიღებამდე, საქართველოს სამომავლო ხსნისა და გადარჩენის ერთადერთი გზა რუსეთთან შეერთება იყო. საყვარელი მეფის ამ გადაწყვეტილებას, როგორც შთამომავლებისადმი დატოვებულ ანდერძს, ვახტანგ ორბელიანი ამ სიტყვებით აუწყებს მკითხველს:

„და აღიარა: „არვინ მყავს, არა!“

და ჩრდილოეთი აჩვენა თითით.

ბრძანა: „ვიბრძოლებ, მანამ ვიცოცხლებ,

აღარ ვიქნები - მას ერს შეერთდით!“

ასევე ერეკლე მეფის პიროვნების იდეალიზაციის, მისი ისტორიული ღვაწლის განდიდებისადმია მიძღვნილი „ირაკლი და კოხტა ბელადი“ და სხვა მთელი რიგი ლექსებისა, სადაც პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს წარსულსა და აწმყოს და კვლავ წარსულის მოტრფიალედ რჩება. როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობს: „წარსული უყვარს იმიტომ, რომ დიდ არიან საქმენი წარსულისა, იმიტომ, რომ იქ ბრწყინავენ დიდნი გმირნი, დიდნი მამულის-შვილნი, დიდის ანდერძებით და სურვილებით გულატკივნებულნი. უყვარს იმიტომ, რომ იქა მარხია მისი სახელოვანი და დიდებული პაპა მეფე ერეკლე და მათან დიდებაც: უყვარს იმიტომ, რომ დღევანდელ ნანგრევთა შუაც კი ანათებს ძველთა მამულის-შვილთა დიდ-ბუნებოვანობის ლამპარიო“. (ჭავჭავაძე, 1986: 214).

ვახტანგ ორბელიანი თავისი შემოქმედებით, ისტორიული ყოფისა და წარსულის გმირების იდეალიზაციით აფხიზლებდა თანამედროვე საზოგადოებას, აღმრავდა მათში გარდასულ დროთა პათოსს, აღვიძებდა სამშობლოს სიყვარულის დიად გრძნობას, რაც მის შემოქმედებას დიდ მნიშვნელობას სძენს და უმკვიდრებს საპატიო ადგილს ქართულ ლიტერატურაში.

§5. ნიკოლოზ ბარათაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული ლიტერატურის უდიდესი გამონათებაა. მისი ლირიკული სამყარო ეხმაურება ზოგასაკაცობრიო აზრებს. მის სახელთან დაკავშირებულია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი ეპოქა. მისი შემოქმედება ქართული რომანტიკული პოეზიის მწვერვალია.

„ქართული სიტყვის ძლიერება და ჯადოქრული ზემოქმედების ძალა მრავალგზის ვიგრძენით, მაგრამ შოთა რუსთაველის შეუდარებელი პოეზიის შემდეგ ასეთი ყოვლისმომცველი პოეტური თვალსაწიერი და ასეთი ამოუწურავი პოეტური ენერგია არც ერთ სხვა პოეტს არ ჰქონია“, წერს კრიტიკოსი ჯანსულ ღვინჯილია (ღვინჯილია, 1989: 176).

ნიკოლოზ ბარათაშვილმა, როგორც გენიალურმა მხატვარმა, პასუხი გასცა თავისი დროის მიერ წამოყენებულ ისტორიულ ამოცანებს. მის შემოქმედებაში აისახა ქართველი ხალხის მორალური ძალა, მისი სულიერი განვითარბა. მისი შემოქმედება გაიშალა იმ დროს, როცა ქართველი ინტელიგენცია მძიმედ განიცდიდა 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკურ მარცხს და რთულ ისტორიულ სიტუაციაში ცდილობდა ღირებულებათა გადაფასებას. „რომანტიკოსი პოეტის ტრაგიკული და, ამასთანავე, გმირული მსოფლშეგრძნება, დიდი მრავალფეროვნებით არის გადმოცემული მის პოეტურ ქმედებებში, რომელშიაც მთელმა თაობამ დაინახა არა მარტო უმაღლესი იდეალი, არამედ სამოქალაქო პროგრამაც“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969: 132).

ნიკოლოზ ბარათაშვილი მაღალ არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნოდა, პოეტის დიდედა ხორეშანი ერეკლე მეორის შვილიშვილი იყო. „ხორეშანი ბავშვობიდანვე დაობლდა (მისი დედა, ელენე ბატონიშვილი, მშობიარობის დროს გარდაიცვალა) და პატარა ხორეშანი სამეფო კარზე მოაყვანინა ერეკლე მეფემ და თვითონ ზრდიდა. ამრიგად, ხორეშანი, დიდედა ნიკო ბარათაშვილისა, რომლის ახლო იზრდებოდა პოეტი 16 წლამდე, მომსწრე იყო ერეკლე მეფის უკანასკნელი ხანისა. ერეკლე მეფის ხსოვნა და მე-18 საუკუნის საქართველოს ტრადიციები განსაკუთრებულად ცოცხალი იყო ამ ოჯახურ წრეში“ (ინგოროვა, 1975: 19). პოეტის ოჯახს სტუმრობდნენ იმ

დროის გამოჩენილი ადამიანები. კრიტიკოსი პავლე ინგოროვა ამავე წიგნში აღნიშნავს: „ბარათაშვილის ოჯახში განსაკუთრებით ხშირი სტუმარი იყო ეგნატე იოსელიანი, დიდი მცოდნე ძველი ქართული მწერლობისა და ცოცხალი მოწმე საქართველოს სამეფოს დამოუკიდებლობის ხანისა, დიდ ერევლესა და გიორგი XII-ის დროს“ (იგივე:26). პოეტის ოჯახი ასევე განსაკუთრებულად დაახლოებული იყო მანანა ორბელიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახებთან. ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ის რეალური ისტორიული ამბები აისახა, რაც პოეტს ამ ამბების უშუალო თვითმხილველებისა და თანამედროვეებისაგან მოუსმენია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი ლიტერატურული ცდანი ჯერ კიდევ გიმნაზიის სწავლის პერიოდში დაიწყო, სადაც მას ასწავლიდნენ ცნობილი მოღვაწე: სოლომონ დოდაშვილი, ახალგაზრდა ლიტერატორები - დიმიტრი ყიფიანი და ზაალ ავთანდილაშვილი, ყველა ესენი მონაწილეობით იყვნენ 1832 წლის შეთქმულებისა. როგორც ცნობილია, გიმნაზიაში მოსწავლე ახალგაზრდა ლიტერატურული თაობა ნიკოლოზ ბარათაშვილის მონაწილეობით სცემდა ხელნაწერ ლიტერატურულ კრებულს, სწორედ ამ კრებულში გამოუქვეყნებია ნიკოლოზ ბარათაშვილს სატირა ლექსად: „ეს სატირა ბარათაშვილსა და მის მეგობრებს ლევან მელიქიშვილსა და პეტრე ბაგრატიონს გაუგზავნიათ ფოსტით თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის თავად ნ. ფალავანდიშვილისათვის. რა ეწერა ნ. ბარათაშვილის ლექსში, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ შემონახულა, მაგრამ უეჭველია, იგი ამა თუ იმ სახით მთავრობის საწინააღმდეგო ადგილებსაც შეიცავდა“ (ინგოროვა, 1975: 50).

როგორც დიდი ილია აღნიშნავს: „მისნი გულის თქმანი მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაოა, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერმიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა (ჭავჭავაძე, 1984:658-659).

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს ეროვნულობის საკითხი დიდხანს კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. როგორც კრიტიკოსი ლევან ბერძენიშვილი აღნიშნავს, „ხშირად ვეკითხებით ჩვენს თავს, როგორც ხალხი, რამდენად პროდუქტული ერი ვართ, მხოლოდ მაშინ ვართ ძლიერები, როცა პოლიტიკურად ვართ ძლიერები, როცა

ზღვიდან ზღვამდე ვართ გადაჭიმული და გვყავს რუსთაველი, თუ მაშინაც, როცა სამშობლო არა გვაქვს, არისტოკრატია დაცემულია. როცა ასეთ პირობებში გვებადება გენიოსი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს არსებობას მნიშვნელობა ჰქონია“.

ბარათაშვილი მაძიებელი სულის პეოტია, მის წინაშე მუდამ დგას კითხვა - როგორ და რატომ? იგი გვაფიქრებს და გვამსჯელებს იმ პრობლემებზე, რაც უხსოვარი დროიდან აწუხებდა ადამის მოდგმას და ამჟამადაც გვაღელვებს. კრიტიკოსი იუზა ევგენიძე აღნიშნავს: „ფილოსოფიური ინტერესებითაა დატვირთული ბარათაშვილის თხზულებანი და ბუნებრივია, რომ ერთი ამ საკითხთაგანი, რომლსაც ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია და თანამედროვეობის წინაშე აყენებს, არის ადამიანის არსებობის აზრის თუ სიცოცხლის საზრისის ძიების პრობლემა. ბარათაშვილი, როგორც ცნობილია, ის ხელოვანია, რომელიც ადამიანის სიცოცხლის გამართლებას მისი არსებობის ფაქტში ხედავს და მასთან დიდი სოციალური შინაარსითაც ტვირთავს ადამიანის ცხოვრებას ამ ქვეყანაზე. ადამიანის სიცოცხლე ღირს სიკვდილად, უკეთუ იდეალისთვის ცოცხლობს და ამ იდეალს წირავს თავს კაცი. იდეალის შემქმნელი ადამიანია, ბარათაშვილი პოეტური იდეალი კი უკვდავებისკენ სწრაფვაა“ (ევგენიძე, 1982:204).

კრიტიკოსი იუზა ევგენიძე საუბრობს ქართულ კრიტიკაში დამკვიდრებულ აზრზე, რომლის მიხედვით ნიკოლოზ ბარათაშვილი ითვლება „ბაირონული სკოლის“ პოეტად. ამასთან დაკავშირებით კრიტიკოსი ამბობს: „ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ დიდი პოეტის საზომით გაიზომოს და შეფასდეს ღირებულებები. პოეტური დამთხვევები სრულებითაც არ გულისხმობს მიცევიჩისა და ბარათაშვილის მხოლოდ ბაირონის გავლენის რკალში მოქცეულ ხელოვნად წარმოდგენას. ბაირონის გავლენა ღირსებაა, თუ კი ამგვარი რამ არსებობს. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ ქვეყანათა შორის ამგვარი ტიპის შეხვედრები კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ მსოფლხედვისა და განწყობილებათა მსგავსება აზრის გამოხატვის პროცესში ხშირად გამომსახველობით საშუალებათა დაახლოებასაც იწვევს, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ბაირონის დიდ პოეტურ ნიჭს გარკვეული კეთილისმყოფელი როლი შეესრულებინოს და ამ გზით გავლენაც მოეხდინოს „ფარისისა“ და „მერანის“ ავტორის შემოქმედებით პროცესზე, მით

უფრო, რომ ბაირონის შემოქმედებით გავლენას ვერ ასცდა თვით ისეთი დიდი ტალანტიც კი, როგორიც პუშკინი იყო” (იგივე:205).

ძლიერი პიროვნებისადმი განსაკუთრებული ინტერესი ჩანს ბარათაშვილის პოეზიაში. აქ ძლიერ პიროვნებათა გავლენის ძალის შთამაგონებლად იხსენებს პოეტი „ქართლოსის საფლავს”, „დავითის სულს”, „ირაკლის ხმალს”, („ომი საქართველოს თავად-აზნაურთა გლეხთა პირისპირ 1844) პოეტს ხიბლავს ირაკლის გმირობა და სულის სიმტკიცე, მრავალ რომანტიკოსთა მსგავსად ბარათაშვილიც მოხიბლულია ნაპოლეონით.

ამ შინაგანი ძლიერების შინაარსმა დააფიქრა ნაპოლეონის პიროვნებაზე ნიკოლოზ ბარათაშვილი. 1838 წელს ნ. ბარათაშვილი წერს ლექს „ნაპოლეონ“. ლექსი ლირიკული მონოლოგის სახითაა დაწერილი და გვიხატავს ნაპოლეონის შთამბეჭდავ, ძლევამოსილ სახეს. მისთვის პირდაპირ იდეალივით ჩანდა კაცი, ვინც თვითონ ჭედდა თავის ბედს, თავის მისწრაფებას, მართავდა საკუთარ ცხოვრებას, საკუთარი ხალხისა და მსოფლიო პოლიტიკური ინტერესების მდინარეს.

აკაკი გაწერელიას აზრით, „ლექსი „ნაპოლეონი“ თამამად შეიძლება მოვათავსოთ ჰუგოს, ჰაინეს, ლერმონტოვისა და ტუტჩევის მიერ ნაპოლეონზე დაწერილი შედევრების გვერდით” (იგივე:217).

როგორც კრიტიკოსი რევაზ სირაძე აღნიშნავს: „ქართული რომანტიზმის მიერ მოტანილი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიახლე იყო პოეტური „მეს“ განსაკუთრებული გაძლიერება. ეს მრავალმხრივ იგრძნობა ნიკოლოზ ბარათაშვილთან. „მე გვამში სული ვეღარ მომითავსებია“, - ამის თქმის სურვილმა დააწერინა მას ლექსი „ნაპოლეონ“. ეს სიტყვები თვით ნიკოლოზ ბარათაშვილის საკუთარ გულისთქმასაც გამოხატავას (სირაძე, 1987:224).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ნაპოლეონ“ - პირველივე სტრიქონები ეხება მეფეთა დიდების და მათი „აღუცსებელი“ სურვილის საკითხებს. როგორც ბარათაშვილის პოეტური ხედვისთვისაა დამახასიათებელი, იგი თავიდანვე ფართო მასშტაბით გამოხატავს მოცემულ თემას, ესაა ბედთან მებრძოლი და ბედისწერის საკუთარ ნებას დაქვემდებარებული პიროვნება. ნაპოლეონი გონების თვალს მიმოავლებს

განვლილ ბრძოლათა და მისი მშფოთვარე ცხოვრების გზას, რომ შეაჯამოს თავისი ისტორიული ქმედება:

„ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ფრანციას,

და თქვა: „აბაო ხლემწიფებამ რა შემიძინა?“

და რა იხილა თვისს დიდების მსხვერპლი თვის წინა,

მისს მოღრუბლულს შუბლს შუქი რაღაც გადაეფინა”

(ქართული მწერლობა, 1992:572).

„ესაა პიროვნება, რომელსაც სწორედ თავისი სიდიადის გამო „სული გვამში ვერ მოთავსებია“, ნიკოლოზ ბარათაშვილის წარმოდგენით კი ასეთ პიროვნებას ძალუძს ბედის სასწაულმოქმედებას თვალი გაუსწოროს. მის ტოლძალოვნად წარმოიდგინოს თავი და თქვას:

„მითხვავს გვირგვინსა დიდებისას თითონ მე ბედი,

ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი;

ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!“

(იგივე:572).

რომანტიკოსთა ინტერესს გენიისადმი სულის სულთან შეპასუხების წადილი განსაზღვრავდა. შემოქმედება ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის „მეს“ თვითგამოვლენა იყო. „რაღაც დიდი, ამოუხსნელი იღებდა დასაბამს პოეტის სულში, შეურიგებელი ხდებოდა მოვლენებთან, ეს შინაგანი სიწმინდისა და სიწრფელის გამნასახიერებელი სული შეუფერებელ ყოფაში მომწყვდეულიყო, დახშული ჰქონდა ასპარეზი და სივრცე“ (დვინჯილია, 1989: 231).

აქაც ეხმიანება იგი ნაპოლეონისთანა დიდ პიროვნებათა ფიქრებს, რათა ნაპოლეონის ნებელობას პოეტის ნებელობა ჩაანაცვლოს. ნაპოლეონი მაღალი კვარცხლბეკიდან აფასებს საკუთარ პიროვნებას, მან „იხილა თვის დიდების მსხვერპლი თვის წინა“, იხილა ქვეყანა მოწესრიგებული თავისივე ნებით. სიმაღლეს თვალს მშვიდად უსწორებს და ფიქრობს, რომ ეს სიმაღლე მხოლოდ მას არგუნა ბედმა და ისტორიულმა დრომ. ის ძლიერი და ზვიადი სულის ადამიანია, აკი თვით ნაპოლეონი ამბობს: „ჟამი ჩემიაო...“ მსგავსია შემოქმედის მისიაც: „მინდა მზე ვიყო,

რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო, საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დიღა უფრო ვაცხოვლო. მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი განთიადისა მორბედი, რომ ჩემს აღმოსვლას ელოდენ ტყეთა ფრინველნი და ვარდნი”(იგივე:579) - წერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ნაპოლეონის სახე მსოფლიო ლიტერატურაში იქცა სახე-იდეად, რომელიც ევროპულ ცნობიერებაში ძირითადად დაკავშირებულია ყოველივე ახალთან და პროგრესულთან. „ნიკოლოზ ბარათაშვილი ბაირონისდაგვარად დიდ სიმპათიას ავლენს ნაპოლეონისადმი, მსოფლიო საკვირველებად მიაჩნია იგი როცა ამბობს:

„ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვსცნათ ჩვენ მისი!“

(ევგენიძე, 1982:216).

ნ. ბარათაშვილი თვისი ლექსით ნაპოლეონ უერთდება დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციას და კიდევ უფრო სრულყოფს ნაპოლეონის ციკლის ლექსთა რიგს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების სტიქიას ლირიკა წარმოადგენს. მის ლირიკულ შემოქმედებაში აღბეჭდილია პოეტის სულის ქროლვა, აზრის დუღილი, გრძნობათა სიფაქიზე, ხალხის სიყვარულით ნასაზრდოები. ეს ლირიკული ქმნილებანი უმაღლესი პოეტური ოსტატობითაა გამომერწილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში, მის ლირიკულ ლექსებში, აგრეთვე წერილებში, რომლებიც იგივე პოეზიაა, იგრძნობა მე-19 საუკუნის საქართველოს მაჯისცემა, მის შემოქმედებაში არაერთი ისტორიული პირის ან იმდროინდელი უბრალო ადამიანების სახელებს ვხვდებით, მისი შემოქმედება ერთგვარი სახეცაა იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების, მისი ავ-კარგის, დაბრკოლებების, ცსოვრების წესის, ახალი ხედვისა და იდეების, მომავლის იმედისა თუ უიმედობისა.

როგორც ვიცით, პოეტის მუზა იყო ჩვენი სასიქადულო პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალი ეკატერინე, შემდეგში ეკატერინე დადიანისა. მას პოეტმა არაერთი ლექსი მიუძღვნა. მაგ. „თავად ჭ...ძის ასულს, ეკ..ნას“, „საყურე“, „....ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ და სხვა. რომელიც იმდრონდელი ბევრი ცნობილი

პოეტისა თუ საზოგადო მოღვაწის მუზა გამხდარა. პოეტმა მისი სახით დაგვიხატა მე-19 საუკუნის ქალის სახე.

როგორც კრიტიკოსი იაკობ ბალახაშვილი მოგვითხრობს: „პოეტის მამის - მელიტონ ბარათაშვილის ოჯახსა და ეკატერინეს მამის - პოეტ ალ. ჭავჭავაძის სახლობას შორის თავიდანვე უახლოესი ურთიერთობა არსებულა. პოეტის და, ბარბარე ვეზირიშვილი გადმოგვცემს, რომ მელიტონის ოჯახის წევრებს „განსაკუთრებით კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახობასთან“ (ბალახაშვილი, 1967: 220).

ყველაზე ადრეული ცნობა ბარათაშვილის პირველ ტრფიალებაზე შემოუნახავს პოეტის ახლო მეგობარს, ლევან მელიქიშვილის ერთ წერილს გრიგოლ ორბელიანთან. ამ ბარათში, რომელიც დაწერილია პოეტის სიკვდილის რამდენიმე თვის შემდეგ, ლევან მელიქიშვილი ატყობინებს თავის ადრესატს: „არ გამეგება, შენ იცი თუ არა, რომ პირველი სიყვერული საწყლისა იყო ნინო, არც ის ვიცი, შენთვის ცნობილია თუ არა, რომელი ნინო იყო“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969: 149).

ამჟამად ვიცით, რომ ეს ნინო ორბელიანის ქალი იყო. „რა ხასიათი მიიღო პოეტის ამ პირველმა სიყვარულმა - ჩვენთვის საიდუმლოა ისევე, როგორც შემდეგი გატაცება პოეტისა ფრანგი დელფინა ლაბიელის ქალიშვილი, რაც შეეხება პოეტის დამოკიდებულებას დელფინას მიმართ, ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ პროვანსელი ასულით გამოწვეული ინტიმური მღელვარება გამოხატულია ლექსში „ჩემს ვარსკვლავს“ (იგივე: 149).

როგორც ვთქვით, „საყურე“ პოეტმა ეკატერინე ჭავჭავაძეს მიუძღვნა. ლექსის შექმნის საკმაოდ საინტერესო ისტორიას ხელოვნებათმცოდნე ნოდარ პაპუაშვილი გვიყვება: “1839 წლის გაზაფხულზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილი, ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი სამარაგდონ ორბელიანის ასულ ბარბარეზე დაქორწინდა. ეს კავშირი ჯერ დიდი წვეულებით (რომელიც ბარბარეს დედამ ელისაბედმა გამართა) და მერე ქორწილით აღინიშნა. სწორედ ამ წვეულებაზე მყოფი ეკატერინე ჭავჭავაძე გამხდარა მიზეზი შედევრის („საყურე“) შექმნისა.

იონა მეუნარგია: „ბარათაშვილი თურმე იყო მიწვეული საგინაშვილის სიდედრთან წვეულებაზე და იქიდან შემოვარდა ყაფლან ორბელიანთან, საცა დაუხვდა ლევან მელიქიშვილი. ლევან, ლევან! გავგიჟდი, მეტი აღარა ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურის თამაშმა გადამრია! ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს.“

<https://artinfo.ge/2019/04/nikoloz-barathashvilis-leqsis-saqhure-sheqmnis-istoria/>

”ვითა პეპელა
არხევს ნელნელა
სპეტაკ შროშანსა, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.

(ქართული მწერლობა, 1992:573).

ლექსში გადმოცემულია, ჩვეულებრივ, ადამიანური განცდები, პოეტი საოცარად შთამბეჭდავად, ჰარმონიითა და ჰაროვნებით, უნაზესი სახეებითა და ფერებით გადმოსცემს ქალისადმი ტრფიალებას.

საოცარი სინაზითა და გრძნობათა სიღრმით გამოირჩევა ასევე ლექსი „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“. პოეტი, როგორც აღვნიშნეთ, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლის ხშირი სტუმარი იყო, მას არაერთხელ უნახავს ფორტეპიანოსთან მჯდარი ეკატერინე, რამაც წარმოშვა ამ უმშვენიერი ლექსის შთაგონება.

„ხმა საკრავისა,
ნელ ნარნარისა,
სულს განახარებს,
და მშვენიერის
ენა ამიშლის
გულისა ჭირებს!“

(იგივე: 575).

„ბარათაშვილმა ეკატერინესთვის ქართულად გადმოიღო რუსული სასიმღერო რომანსები: „ცისა ფერს“ და „როს ბედნიერ ვარ“ (ბალახაშვილი, 1967: 219).

ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი ლექსი „მერანი“ უკავშირდება მასზე ორი წლით უფროს ილია ორბელიანის სახელს. ილია ორბელიანი პოეტის ბიძა, გრიგოლ ორბელიანის ძმა იყო, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. მთელი ცხოვრება კავკასიის მთიელთა წინნღმდეგ ბრძოლას შეალი, ამას შეეწირა კიდევ. მაგრამ ისტორიამ მისი სახელი სხვა ფაქტის გამო დაიმახსოვრა, ეს არის ადამიანი, რომელზეც ბარათაშვილმა „მერანი“ დაწერა.

1842 წლის 11 იანვარს გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას ზაქარიას დაღესტანში სწერდა: „ილიკოს ანბავი, ახ! ილიკოს ანბავი შემატყობინე. აქ ძალიან ცუდი ხმები ისმის, მითომ ხაროში ჰყვანდეთ. მაგისმა მწუხარებამ სრულებით დამაბერა. მთავარმართებელმა წარადგინა ხელმწიფესთან მაგის გამოხსნა შვილის მიცემით და არ ვიცი, და არცა მაქვს იმედი, რომ შეთანხმდნენ ამ წარდგენას“ (ორბელიანი, 1936:244-245).

1842 წლის 11 ივნისს გრიგოლ ორბელიანი უგზავნის წერილს გენერალ მოსე არღუთინსკის და ევედრება თავისი უმცროსი ძმის, ილიას გამოხსნას: „შენი ჭირიმე კნიაზო! ცრემლებით გეხვეწები ჩემის ძმის გამოხსნისთვის; მე გამყიდეთ. მე დამატყვევეთ, ოღონდ ამ საბრალოს უშველეთ რამე. ის თურმე ხაროში გდია მთავარმართებელმა მისწერა ხელმწიფესა გამოხსნა მათი შამილას შვილის მიცემა, მე იმედი არა მაქუს, რომ მოსცემენ, ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში და ღმერთი თქუენა ხართ“ (იგივე:69).

რამდენიმე დღის შემდეგ პოეტი კვლავ წერს ზაქარია ორბელიანს: „სწორედ შემატყობინე ილიას ანბავი, როგორ არის, მართლა ხაროში გდია საბრალო? - წიგნი მომწერე ალექსანდროტოვში, - მაცნობე რა ღონისძიებებია მანდა ილიას გამოხსნისთვის, თუ ხელმწიფემ არ ინება შამილას შვილის გაცვლა“ (იგივე:59).

პირადი წერილებიდან კარგად ჩანს გრიგოლ ორბელიანის განცდები ძმის ტყვეობის გამო. ეს განცდა საერთოა ორბელიანისა და ბარათაშვილის ოჯახებისთვის

იმდენად, რამდენადაც ისინი ერთმანეთთან უახლოეს ნათესაურ კავშირში იმყოფებიან. ეს მით უმეტეს ითქმის ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რომელიც იღია ორბელიანთან აკვნიდანვე ერთ ოჯახში, თითქმის ერთ ჭერქვეშ იზრდებოდა. ბუნებრივია, რომ ბარათაშვილი განიცდიდა მისი უახლოესი მეგობრის მდგომარეობას. პოეტურ შედევრში ჩაქსოვილი პირად ადამიანური განცდის კვალი შეიძლება შეუმჩნეველიც გამხდარიყო, რომ ხელთ არ გვქონდეს ავტორის უშუალო დამოწმება ჩვენთვის საინტერესო მოვლენებზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა მისწერა წერილი ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, სადაც გამოთქვამს გულისტკივილს ილიას დატყვევების გამო, რომელსაც თან დაურთო ლექსი „მერანი“. „არ ვიცი ეს ლექსი როგორ მოგეწეონება, აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა, რასაკვირველია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში, და არა მე. ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორედ გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღეს გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით, რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსი დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო; ვიცი გულში ჩაიცინებს და არ იქნება, მით არ ენუგეშოს რა“ (ქართული მწერლობა, 1992:613). ამ წერილში ასევე ნიკოლოზ ბარათაშვილი საუბრობს, როგორი მამაცობა გამოუჩენია ილია ორბელიანს ტყვეობაში და როგორ მოხიბლულა მისით ყველა.

კრიტიკოსი აპოლონ მახარაძე სვამს კითხვას, დაიწერებოდა თუ არა „მერანი“, ილია ორბელიანის დატყვევების ეს შემთხვევა რომ არ ყოფილიყო და პასუხობს: „დიახ, ასეთი ლექსი აუცილებლად დაიწერებოდა. შესაძლებელია მას „მერანი“ არ რქმეოდა, მაგრამ ბრძოლისა და შეუპოვრობის განწყობილებანი, რაც ამ ლექსშია, ბოლოს მაინც აუცილებლად გამოვლინებულიყო. „მერანის“ იდეა ნიკოლოზ ბარათაშვილის ხანგრძლივი შინაგანი წვისა და განცდის ნაკვერცხალია“ (მახარაძე, 1990:311).

თანამედროვეობის მწარე სინანულის უარყოფა და უკეთესი მომავლის ძიება, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ არსებითი დამახასიათებელი თვისებაა. მგოსნის ზღვარდაუდებელი დრტვინვის გამომხატველია. იმავე დროს ქართველი

რომანტიკოსის საბრძოლო ძიების ხმა მომავალ ეპოქებს სწვდება და მის ავტორს კაცობრიობის უკეთესი მერმისის წინასწარმეტყველად წარმოგვიდგენს. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაც ამაშია. პოეტი იმავე მერანს მტკიცედ მიმართავს:

„ცუდად ხომ მაინც არა ჩივლის ეს განწირული სულისკვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მიანც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედი წინ გამოქროლდეს!“

(იგივე:586).

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებამ კიდევ უფრო პოპულარული გახადა და ქართველ საზოგადოებას დაამახსოვრა იმდროისათვის თავისი სილამზით ცნობილი და გამორჩეული ქალი, პოეტის ახლო ნათესავი და მეგობარი, მაიკო ორბელიანი. პოეტის წერილები მაიკო ორბელიანისადმი ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესანიშნავი ფურცლებია. მათში აღბეჭდილია პოეტის არა მარტო დაფიქრება ჰარმონიისა და სილამზის შესახებ, არმედ გამოკრთის ყოველდღიური ცხოვრების განცდები, შეზავებული მახვილი იუმორით. მაიკო ორბელიანი იყო პოეტის უგულითადესი მეგობარი, რომელსაც ყველაზე მეტად უზიარებდა იგი თავის გრძნობებს. მათი ურთიერთობა ლირიზმით აღსავსა მეგობრობის მომხიბვლელი მაგალითია. ხშირად პოეტის ბარათს მეგობარი ქალისადმი თან ახლავს ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ეს ბარათები პოეზიის სურნელებას გამოსცემენ. მაიკო ორბელიანიც ინახავდა მათ, როგორც უძვირფასეს რელიქვიას. მას პოეტი ზოგჯერ უძღვნიდა მთელ რვეულს თავის ლექსებისას.

მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ბარათებში გამოთქმული სულიერი მშვენიერების იდეა თავის მაღალ გამოხატულებას პოულობს პოეტის სიყვარულის რომანტიკურ კონცეფციაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თავგადასავალი და მისი ინტიმური ლირიკის ნიმუშები ჩვენ გვიდასტურებს, რომ პოეტი ერთგულია თავის პოეტური იდეალებისა.

მეორე ადამიანი, რომელსაც პოეტი წერილებთან ერთად ლექსებსაც უგზავნიდა და გულის კარნახს ბოლომდე უხსნიდა, მის სიღრმეში შენახულ საკუთარ ადამიანურ განცდებზე უყვებოდა, პოეტის დედის ძმა, სასიქადული პოეტი, გრიგოლ ორბელიანი იყო. უდიდესი ლირიზმითა და ტრაგიზმითაა აღსავსე ის წერილი, სადაც ბარათაშვილი მოუთხრობს საყვარელ ბიძას თავის უნუგეშო მდგომარეობას: „მამაც ამ დროს ავად შეიქმნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნებ მე ვეღარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ შემეწუხებინა მამა ჩემის თსოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვჰსწესდი სამსახურში და დავუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა; თუმცა ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხოლმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება? (იგივე:610).

ნ. ბარათაშვილი თავის მრავალრიცხოვან ნათესავთაგან ყველაზე მეტად გრიგოლ ორბელიანს მეგობრობდა. წერილის მოყვანილ სტრიქონებს მოსდევს ბარათაშვილისავე ლექსი მიძღვნილი გრიგოლ ორბელიანისადმი. ლექსი ასე იკითხება:

„ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,

წაგართო ავის ენისა გესლმან;

სატრფონი მისნი შემოგარენი

გადახვეწილსა დაგიხშო ეტლმან!

მაგრამ გაჩნს კიდეც გულში მის არე;

გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი“.

(იგივე: 610-611).

ნიკოლოზ ბარათაშვილის უნათლეს მისწრაფებას, მისი სულის ობლობას და მისივე თავგანწირულ საბრძოლო ძიებას საფუძველი მაინც თავისი ქვეყნის სინამვილეში აქვს. ბარათაშვილის პოეტურ ფანტაზიას საზრდოს აძლევს იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკა ნაყოფია საზოგადოებრივ-

ისტორიული პირობებისა, რომლებიც მე-19 საუკუნის პირველი ათეული წლების ქართველი ერის ცხოვრებას ახასიათებდა. როგორც ცნობილია, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქაში ქართლის ბედის საკითხი აქტუალური იყო მთელი მოწინავე ინტელიგენციისათვის, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის, როგორც კრიტიკოსი ვახტანგ კოტეტიშვილი ამბობს, „სულის რეჟიმი“. კრიტიკოსს აქვე მოჰყავს პოეტის მეგობრის, კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონება: „მახსოვს, ერთს ივლისის ღამეს 1838 წელს მე და ტატო (ბარათაშვილს ასე ეძახდნენ) წავედით სასეირნოდ გარეთუბანს (ეხლანდელი რუსთაველის პროსპექტი) ტატო მალიან მხიარულად იყო და თავისებურად მშვენიერად ხუმრობდა. მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზეც და ტრაგიკულს დასასრულზედ 18 საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობისა გამო უღონებაზედ, ჩვენის ტფილისის წახდენაზე, 1795 წელს, 14 სექტემბერს და სხვა... ამ ლაპარაკის დროს, ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა! და ოხვრით დაუმატა: „ვაი ჩვენო ქართლის ბედო!...“ (კოტეტიშვილი, 1959: 122).

პოემა „ბედი ქართლისა“, როგორც ლიტერატურული ძეგლი, ჭეშმარიტად განსაკუთრებული მოვლენაა ახალ ქართულ მწერლობაში.

პოემა ისტორიულ ფონზე იშლება. ნაწარმოების თემად აღებულია 1795 წლის კრწანისის ტრაგედია. 1795 წლის ომი და აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრება ახალი საქართველოს ისტორიაში გადმოვიდა, ერთი მხრივ, როგორც მწარე მოგონება, ხოლო მეორე მხრივ, - ქართველთა გმირობისა და მამაცობის გამოვლენა.

პოემის დასაწყისში, ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც გრიგოლ ორბელიანი „სადღეგრძელოში“, კრწანისის ომის აღწერისას ახსენებს ამ ომში მებრძოლ უბრალო ადამიანთა სახელებს. ესენი არიან: თამაზ ენისელის მე მოურავი, იოანე აბაშიძე, ყაფლანიშვილები და პოეტის წინაპრები ბარათაშვილები:

„თამაზ, ენისელთ მოურავის მე,

და იოანე კახთ აბაშიძე,

სომხითის გმირნი, ყაფლანისშვილნი

და მათ მომარცხნეთ ბარათაშვილნი

განუმტკიცებენ მკლავთა ქართველთა“.

(ქართული მწერლობა, 1992:597).

კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ კრწანისის ბრძოლის მთავარი გმირი მეფე ერეკლე იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის უშუალი წინაპარი. პოეტის დედა, ხორეშანი, როგორც აღვნიშნეთ, ერეკლე მეფის შვილიშვილი იყო. ნიკოლოზ ბარათაშვილი აღიზარდა ისეთ წრეში, სადაც ახლო ისტორიული წარსული მთელი სიცხოველით იგრძნობოდა.

შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ერეკლე მეორის სახე ასე კარგად და სრულყოფილად არავის დაუხატავს, როგორადაც ეს წარმოგვიდგინა ნიკოლოზ ბარათაშვილმა მოცემულ პოემაში. ეს პოემა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიმართულებით. ეს არის ძეგლი, რომელშიც საქართველოს ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, ისტორიული გადაწყვეტილებაა მოცემული, რის მიხედვითაც საქართველომ თავისი ბედი დაუკავშირა რუსეთს და უარი თქვა სპარსულ ბატონობაზე. მეორე მხრივ, საქართველომ გზა გაიკვლია ევროპისაკენ. ამავე დროს პოემაში დასმულია კითხვები, რამდენად სამართლიანი იყო ეს გადაწყვეტილება და თუ შესრულდა იგი. ამ პოემაში ძალიან კარგადაა დახატული და გადმოცემული საქართველოს მაშინდელი საფიქრალი და სატკივარი. შეიძლება ითქვას, ზოგჯერ ისტორიულ ამბებსა და მოვლენებზე ლიტერატურას უფრო ზუსტი ფორმულირება შეუძლია, რაც უცხოა ისტორიისათვის. „ბედი ქართლისათი ბარათაშვილმა ორი საქმე გააკეთა: თუ ერთი მხრით, სწორი ისტორიული ახსნა მოუნახა საქართველოს რუსეთთან შეერთებას, მეორეს მხრით „მეფის უფლების განქიქებით, სამშობლოში თავისუფლად ცხოვრების სურვილის გამოთქმით და რესპუბლიკურ-კონსტიტუციური აზრების პროპაგანდით გაამათრახა ნიკოლოზ პირველის ჟანდარმული სისტემა“ (ბალახაშვილი, 1967: 210).

პოემაში ორი მოპირდაპირე მხარეა წარმოდგენილი: ერთი რუსეთთან შეერთების მომხრე, მეორე მოწინააღმდეგე. ქართულ კრიტიკაში ამ პოემასთან

დაკავშირებით ვხვდებით მსჯელობას, ვის მხარეს დგას ავტორი, მაგრამ „მთავარი ის არ არის, რომელ მხარეს დგას ნიკოლოზ ბარათაშვილი ან ვინ იყო მტყუანი ან მართალი, ამ პოემაში მთავარია კითხვა: რა არის ჩვენი პრობლემა, როგორი უნდა იყოს ჩვენი მომავალი“ (ბერძენიშვილი, გადაცემა „წიგნები“).

მეფის ბრძოლის წინ უფლისადმი მიმართვაში მთელი განცდაა დატეული, ერთ ხორც და ერთ სულ არიან მეფე და ქვეყანა. კრწანისთან დაბანაკებული ქართული ლაშქარი სალოცავ ხატად აღიქვამს ერეკლე მეფეს, მეფეს, რომელიც სამოცი წლის განმავლობაში მათთან ერთად იქნევდა ხმალს უამრავი მტრის წინააღმდეგ.

თბილისის ახლოს, კრწანისის ველზე, დაბანაკებულია ქართველთა ჯარი, ისინი მოელიან ომს აღა-მაჰმად ხანთან, რომელიც მრავალრიცხოვანი ლაშქრით არის მოსული. ქართველთა ლაშქარს ხშირად ჩამოუვლის მეფე ერეკლე. იგი მშობლიური მზრუნველობით ამოწმებს მებრძოლთა მდგომარეობას, ვაჟკაცობის და გმირობის სულს უდგამს ყველას. პოეტი მეფე ერეკლე დახატული ჰყავს, როგორც ადამიანი, რომლის პოროვნებაში გაერთიანებულია დიდი მხედარმთავარი და თავისი ხალხის მიმართ მზრუნველი მეფე პატრონი.

მძვინვარე აღა-მაჰმად-ხანმა რამდენიმე დღის განმავლობაში თბილისი მოაოხრა, ბოლოს ნადავლ-ნაძარცვით საქართველოდან წავიდა. ჩვენ წინაშე იშლება სურათი აღა-მაჰმად-ხანის მიერ აოხრებული საქართველოს დედაქალაქისა:

„მრავალთ ყმაწვილთ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,

დასდვეს აქ თავი მამულისათვის!..

აწ საფლავიცა არსად არს მათთვის,

ჰაერში განქრა მათი სახელი.

...რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,

საშვილიშვილოდ გარდაიცემის“

(ქართული მწერლობა, 1992:598).

მცირე ხნის შემდეგ ისევ სიცოცხლე განახლდა, მხცოვან ერეკლეს კვლავ მოუხდა მცირე მასშტაბით რამდენიმე ომი, მაგრამ ქართლის ბედი მაინც იქ,

კრწანისის ველზე გადაწყდა: ქართველი მეფის შეგნებაში საბოლოოდ მომწიფდა აზრი რუსეთთან შეერთების აუცილებლობისა. კრწანისის ველზე დამარცხების შემდეგ მეფე ერეკლემ საბოლოოდ გადაწყვიტა ქართლის ბედი. ასეთია ნაწარმოების შინაარსი, მისი დედააზრი.

ორი დიდი პიროვნების - ერეკლესა და სოლომონ მსაჯულის დაპირისპირებით ნიკოლოზ ბარათაშვილი ნათლად გვიხატავს იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის მოძრაობას, მის ძიებას, ჭიდილსა და დრტვინვას სამშობლოს ბედზე. მეფე ერეკლე და სოლომონ მსაჯული ქვეყნის უსაზღვროდ ერთგულნი არიან, მათი საქმე და ოცნება სამშობლოს, საქართველოს ბედნიერებაა. ისინი ამ ბედნიერებისთვის იღვწიან, მაგრამ ერთი ხსნას რუსეთთან შეერთებაში ხედავს, ხოლო მეორე საქართველოს დამოუკიდებლად დარჩენაზე ამყარებს იმედს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც ერეკლეს, ისე სოლომონს თავიანთი აზრების გამოთქმისა და დასაბუთების სრულ შესაძლებლობას აძლევს. პოეტი, გარეგნულად მაინც, სრულიად აუჩქარებელი და ობიექტური მთხრობლის როლში გვევლინება. იგი არასოდეს არ ცდილობს რომელიმე მოვამათეს თავს მოახვიოს თავისი საკუთარი შეხედულებანი. მხარეთა კამათი და თითოეულ მათგანისგან წამოყენებულ აზრთა საბუთიანობა დამაჯერებელია. სოლომონი ეუბნება მეფეს:

„იცი, მეფეო, რომე ივერნი

იქნმებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?

სახელმწიფოსა რჯულის ერთობა

არარას არგებს, ოდეს თვისება

ერთა მათ შორის სხვადასხვაობდეს.

ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,

ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა

რაც მოისურვოს ქართველობამა?“

(ქართული მწერლობა, 1992:602).

ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად, იმ დროს, როცა ნაწარმოებში გადმოცემული ამბავი ხდება, სოლომონ ლიონიძე ერეკლე მეფის კარზე უკვე აღარ მუშაობდა. რა ვიცით ისტორიიდან ამ დიდი ეროვნული მოღვაწის შესახებ.

დაიბადა 1754 წელს, თელავის რაიონის სოფელ კონდოლში. ის იყო დიდი ქართველი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე. თავად სოლომონის მამა, ანდრია, სასულიერო პირი იყო და თელავის კარის დევანოზი გახლდათ. ცნობების მიხედვით, ანდრია მისი მაღალი საეკლესიო იერარქიის წყალობით, მეფის მახლობელი უნდა ყოფილიყო. განათლება სოლომონმა თელავის სამეფო სკოლაში მიიღო. მოგვიანებით დაქორწინდა ქანის ერისთავის ასულზე.

იმ ხანებში, როცა ერეკლემ რუსეთთან შეერთების გადაწყვეტილება მიიღო, სოლომონ ლიონიძე ერეკლე მეფის კარზე უკვე აღარ იმყოფებოდა, რადგან ფეოდალთა ინტრიგების წყალობით ერეკლე მეფესა და სოლომონს შორის ურთიერთობა საბოლოოდ 1796 წელს დაიძაბა. კრიტიკოს იაკობ ბალახაშვილს მოჰყავს მწერალ ალექსანდრე ორბელიანის სიტყვები ამ საკითხთან დაკავშირებით: „თავად ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი საქართველოს ბედს რომ ლექსათა სწერს, სადაც სოლომონ მსაჯული გამოჰყავს მეფის ირაკლის უბნობაში, ის ლექს მგოსნობა საუცხოოა, მგრამ ისტორიისთვის კი არ გამოდგება, მანამ აღა-მაჰმად-ხანი მოვიდოდა საქართველოზე, სამი წლის წინათ დაუთხოვნია თავისგნით და ძალიან გასწყრომია და აღა-მაჰმად-ხანის შემდეგ ისევ შეურიგებია. სოლომონ მასჯულის ორი წიგნი მე მაქუს, თვითონ სოლომონ მსაჯულისაგან შავათ დაწერილი მეფე ირაკლისთან დიდი მადლობისა, რომ მეფე ერეკლემ შეირიგა“ (ბალახაშვილი, 1967: 213). აქვე მოცემულია ალ. ორბელიანის მოგონება მეფისაგან სოლომონის დათხოვნის მიზეზზე: „ის სოლომონ მსაჯულუ იყო ყუელასაგან ამოჩემებული, რომელზედაც მთელი ტყუილი ამბები უზიდიათ მეფის ირაკლისთვის, რომ ბოლოს იძულებული ქმნილა ძალიან გასწყრომია და თავისგნით დაუთხოვნია (იგივე:213).

კრიტიკოსი იაკობ ბალახაშვილი აღნიშნავს, რომ „რა თქმა უნდა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა კარგად იცოდა ყოველივე ეს, მაგრამ პოემის დრამატიზმისათვის მაინც გადაადგილა ისტორიული ფაქტები“ (იგივე: 216).

საინტერესოა, რომ სოლომ ლიონიძე მონწილეობდა იმ დელეგაციაში, რომელმაც გეორგიევსკში 1783 წელს გააფორმა ტრაქტატი ქართ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის. მიუხედავად ამ საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისა, მას უნდა შეესრულებინა მეფის ბრძანება, რადგან იგი გახლდათ: მწიგნობარი, დიპლომატი, რამდენიმე უცხო ენის მცოდნე და დოკუმენტაციის შედგენაში გაწაფული პიროვენება. ტრაქტატი, რომელსაც ხელი მოეწერა, იმ პერიოდისათვის არ გამიოყოფებოდა საზიანოდ ჩვენი ქვეყნისთვის. იქ ნართულადაც კი არ არის ნაგულისხმები ქართ-კახეთის სამეფოს გაუქმება. როდესაც რუსეთი თავისი ბინძური მეთოდებით ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას ფეხქვეშ გათელავს, სოლომონი მთელ მის დარჩნილ ცხოვრებას მათთან ბრძოლას შეალევს. იგი გადადის კვლავ იმერეთის სამეფოში და იქ აფარებს თავს, საიდანაც ქმნის იდეოლოგიურ საყრდენს რუსეთის მმართველობის დასამხობად. სოლომ ლიონიძე, „ვითარცა ლომი გარემოცული მტერთაგან, იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის”, თვალებს უხელდა დაბრმავებულთა, აფხიზლებდა მიმნებულთა, გონზედ მოყავდა მოტყუებულნი და შეარიგებდა მეამბოხეთა. სოლომონი ამასთან ერთად გახლდათ შესანიშნავი ორატორი, განსაკუთრებით საგულისხმოა მისი სამგლოვიარო სიტყვა ერეკლე მეფის გარდაცვალებაზე იმერეთის რუსეთთან შეერთებისა და სოლომონ II ის თურქეთში გადასვლის შემდეგ. სოლომონი ახალციხეში გადადის, სადაც 1811 წელს აღესრულა <http://genia.ge/?p=6905>

ერეკლე მეფის არგუმენტები სოლომონის არგუმენტებთან დაპირისპირებით არის ქვეყნის კეთილდღეობა: „მას მინდა მივცე მემკვიდრეობა, და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა, მეორე არგუმენტია: „ჩვენ საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის, ამოვიყაროთ ჯავრი სპარსეთის. მაგრამ სოლომონ ლეონიძე მეფის არგუმენტებს უპირისპირებს იმას, რაც ყველაზე მთავარია ქართველებისთვის, თავისუფლება. ქართველ კაცს „არად მიაჩნდით უბედურება, თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება!”

მკვლევარი გიორგი ნატროშვილი აღნიშნავს, რომ „ლიონიძე და მისი მეუღლე ნამდვილი, ცოცხალი პიროვნებანი არიან, მაგრამ ამავე დროს პოემაში წარმოსდგებიან, როგორც შემკრებლობითი ტიპები, როგორც ზოგადი სახეები იმ ადამიანთა, რომლებიც არ იზიარებდნენ მეფე ერეკლეს გადაწყვეტილებას. ლიონიძემ

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც ვერ იპოვნა პასუხი იმ გულის დამწველ კითხვაზე, რომელიც მან მეფე ერეკლეს კუბოსთან წარმოსთქვა: „ვის დროშას ვემსახურო? ვინ შევიყვარო? ვისთვის მოვკვდე?“ (ნატროშვილი, 1947:154).

პოემაში ჩანან სხვა ისტორიული პირებიც. ესენი არიან: სოფიო, ქსნის ერისთავის, დავითის ასული, სოლომონ ლიონიძის მეუღლე. თამაზ ენისელთ მოურავის ძე, ცნობილი გმირი, თამაზ ჯორჯაძე, იოანე კახთ აბაშიძე, კახეთის აბაშიძეების შტოდან, სახელოვანი მეომარი, დავით სარდალი, დავით რევაზისძე ორბელიანი (1720-1795), ერეკლე მეორის სიძე, სახელმოხვეჭილი სარდალი, თავი ისახელა აზატხანზე გამარჯვებაში, ერევანთან და ასპინძის ომში, ოსმალო ლევების შემოსევებში).

პოემის დასაწყისში თავის ხალხზე თავგადადებული მზრუნველი მეფე, „მწყემსი კეთილი“ უფალს საქართველოს ხსნას შესთხოვს ომის წინ:

მრავალ არიან უფალო მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!

გვესწრაფე ჩვენო ხელთ-აღმპყრობელი,
და აღადგინე დღეს საქართველო!“

(ქართული მწერლობა, 1992: 595).

მოცემული სიტყვები მეფის მთელ განცდას იტევს, თითქოს ჩვენს თვალწინ ხდება ყველაფერი, მეფე და ქვეყანა ერთ ხორც არიან. კრწანისში დაბანაკებული ქართველთა ლაშქარი სალოცავ ხატად აღიქვამს ერეკლე მეფეს:

„შენი გამჩენის ჭირიმე შენი,
რომ გაგვაგონე კვლავ ხმა სალხენი!

შებღავლა მეფეს ჯარმა ერთის ხმით,
„ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით“

ოღონდ შენ იყავ მეფევ დღეგრძელი!

მტერი რა მტერი, ოდეს ქართველი

ბატონს ირაკლის ნუგეშად ხედავს;
მისთვის სიცოცხლეს ვინდა დაზოგავს!“

(იგივე:596).

მეფე და ჯარი ერთი ორგანიზმივით მოქმედებს, ერთმანეთის გულისპასუხი ესმით. პირველი შეტაკება ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. მეფე ციხეში გამაგრდა, დამარცხებული აღა-მაჰმად-ხანი გაბრუნებას აპირებდა, როცა შინაგამცემლების წყალობით გაიგო ერეკლეს ჯარის სიმცირე. უკან გამობრუნდა და თბილისი ცეცხლს მისცა, ერეკლემ მთიულეთს შეაფარა თავი.

მეორე თავში მოცემულია დიალოგი ერეკლესა და სოლომონს შორის. ერეკლე სოლომონს უხატავს ქართლის სავალალო მდგომარეობას, აანალიზებს ყველა შესაძლებლობას და უმხელს თავის გადაწყვეტილებას საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. მიაჩნია, რომ საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ უნდა შევიდეს. ამის გაგონებამ სოლომონს თავზარი დასცა. სოლომონი გამთქვამს მეფის მოსაზრების საპირისპირო განსხვავებულ შეხედულებებს. როგორც ცნობილია, მაშინ არსებობდა რუსეთთან შეერთების საპირისპირო პოზიცია, ამ პოზიციის გამოსახატავად ნიკოლოზ ბარათაშვილმა სოლომონ ლიონიძე გამოიყენა. მეფე სოლომონს ეუბნება:

„შენი ირაკლი ის აღარა ვარ,

პატარა კახად რაც გინახვივარ!

მარქვი, რომელს შვილს ჰედავ ღირსეულს,

რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?“

(იგივე:601).

სოლომონი განცვიფრებული უყურებდა მეფეს და არ სჯეროდა, მის გულს „ესთ შეცვლილს რომ ხედავდა“, იგი მეფეს უმტკიცებს, რომ საკუთარი ნებით თავისუფლებაზე უარი არ უნდა ვთქვათ:

„ჯერ სამაგისო რა გვემართება,

რომ განვისყიდოთ თავისუფლება“

(იგივე:602).

მეფე რეალური თვალით უყურებს ქვეყნის მდგომარეობას, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე სოლომონს არ უნდა მეფის წინადადების მიღება, ამის გარდა სოლომონს სხვა რაღაც აშინებს:

„იცი მეფეო, რომე ივერნი

იქნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?

სახელმწიფოსა სჯულის ერთობა

არარას არგებს, ოდეს თვისება

ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.

ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს

რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:

ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,

ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა

რაც მოისურვოს ქართველობამა?“

(იგივე: 602).

ღრმად ჩაფიქრებული მეფე სოლომონს პასუხობს:

„ჩემო სოლომონ, მეფემ უბრძანა,

მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?“

(იგივე:602).

მეფემ კარგად იცის თავისუფლების ფასი, სამოცწლიანი ბრძოლით სწორედ ამ თავისუფლებისთვის იბრძოლა, მაგრამ სურვილი და რეალობა ერთმანეთს არ ემთხვევა, საქართველოს ხსნის სხვა გზას ვერ ხედავს. სოლომონი ახსენებს მეფეს, რომ ქართველი კაცისთვის თავისუფლება ყველაზე ძვირფასია, ქართველი კაცი ვერ შეეგუება მონობაში ცხოვრებას:

„განზრახვა შენი, მეფევ მაკვირვებს!

ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს

არად მიაჩნით უბედურება,

თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება!“

(იგივე: 603).

მაგრამ რეალური ქმედებაა საჭირო, რომ ქვეყანა გადარჩეს, მარტო თავგანწირვა
არ კმარა, სასწორზე იდგა თავისუფლება და ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება, მეფეც
ქვეყნის სხეულის გადარჩენისკენ გადაიხარა:

„ახლა კი დროა სოლომონ რომა,

მშვიდობა ნახოს საქართველომა.

მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის

ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის“

(იგივე: 603).

საუცხოოდ ხატავს ნიკოლოს ბარათაშვილი პოემაში სოფიოს სახეს, სოფიო
ქართელი ქალის ტიპიური განსახიერებაა, გაუტეხელი, ამაყი, ქვეყნის
თავისუფლებისათვის ბრძოლაში ქართველი რაინდების გვერდით მდგომი. სოფიოს
პირით უკვდავ სტრიქონებს წარმოთქვამს ნიკოლოზ ბარათაშვილი:

„უწინამც დღე კი დამელევა მე!

უცხოობაში რაა სიამე,

სადაცა ვერვის იკარებს სული

და არს უთვისო, დაობლებული?

რა ხელს ყრის პატივს ნაზი ბულბული,

გალიაშია დატყვევებული!“

(იგივე: 606-607).

როგორც კრიტიკოსი პავლე ინგოროვა აღნიშნავს: „ქართლის დედა სოფიო, ეს დიადი სახე ახალი ქართული პოეზიისა, შთააგონებს ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდ მემკვიდრეს, ილიას, დრამატულ პოემას „ქართლის დედა“ (ინგოროვა, 1975: 124).

ასე დაგვიხატა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ის პერიოდი, როდესაც საქართველომ რუსეთის ქვეშევრდომობის ქვეშ შეაბიჯა და ამ საქმის დამაგვირგვინებელი ერეკლე მეფე, „მამა კეთილი“, საქართველოს ისტორიაში გამორჩეული პიროვნება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ერეკლე მეფის მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთებასა და ამ ისტორიული ნაბიჯის მნიშვნელობაზე მოგვითხრობს ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა მიხეილ ბარათაევს უძღვნა. „მიხეილ ბარათაევი (1784-1856) იყო შთამომავალი ვახტანგ VI-ის დროს რუსეთში გადასახლებული ემიგრანტისა (მე-18 საუკუნესი) რუსეთში დაბადებული და გაზრდილი, ყოფილი დეკაბრისტი, ფართო ევროპული განათლების მქონე ადამიანი“ (ინგოროვა, 1975: 63).

პოეტს იმედს ჰგვრის ის გარემოება, რომ საქართველომ, სისხლისგან დაცლილმა წარსული საუკუნეების ხანგრძლივი ომების გამო, დაისვენა და ძალების მოკრება დაიწყო, რის გამოც პოეტი ეთაყვანება მეფის სახელს.

„თაყვანს ვსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!

გახსოვს, სიკვდილის ჟამს რა უთხარი ქართლს დაობლებულს?

აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,

და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი“

(ქართული მწერლობა, 1992:588).

ამიტომაც პოეტი მუხლს იყრის მეფის აჩრდილის წინაშე, რადგან მისი დამსახურებაა, რომ დღეს საქართველოში მშვიდობიანობამ დაისადგურა:

„აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,

ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა“

(იგივე: 588).

პოეტს თავისი ქვეყნის ხსნად მიაჩნია, რომ საქართველომ ბარბაროსული ქვეყნების რკალი გაარღვია, მაგრამ ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ სრულიადაც არ ნიშნავს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ რაიმე შერიგებას იმ მდგომარეობასთან, რაც საქართველოს შეუქმნა ცარისტულმა თვითმპყრობელობამ. ბარათაშვილისთვის უცხოა კომპრომისი.

როგორც კრიტიკოსი ვახუშტი კოტეტიშვილი ამბობს: „ბედი ქართლისა მხოლოდ იმ პოემაში კი არა ჩანს, რომელიც ამავე სახელს ატარებს, არამედ ყველა ლექსში, დაწყებული სატრფიალოდან და გათავებული ფილოსოფიური ელემენტებით“ (კოტეტიშვილი, 1959: 122). მაგალითისთვის მარტო შემდეგი სტრიქონები რად ღირს, სადაც ჩანს პოეტის დიდი სულიერი სიღრმე და სიყვარულ უფლის, ადამიანისა და ქვეყნის:

„გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:

შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე,

და - ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთთ შენდა სათქმელად?

მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!“

(იგივე:577).

ნიკოლოზ ბარათაშვილის კალამს ეკუთვნოდა კიდევ ერთი პოემა „ივერიელნი“, რომელიც დაკარგულია. ამ პოემასთან დაკავშირებით კრიტიკოს პავლე ინგოროვას მოჰყავს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფის, კონსტანტინე მამაცაშვილის სიტყვები: „მე მახსოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთვის წაუკითხავს - „ივერიელნი“. ამ პოემაში იყო აღწერილი აყვავებული ცხოვრება მე-10, მე-11, მე-12 საუკუნეებისა“ (იგივე: 167). მის შინაარსზე კრიტიკოსი აღნიშნავს: „ივერიელნი დიდი პოემა ყოფილა. ამასთან იგი იმდენად თავისუფალი სულით ყოფილა აღჭურვილი, რომ კ. მამაცაშვილის ფრთხილად თქმული სიტყვების თანახმად, დაბეჭდვა იმისი „მაშინ არ შეიძლებოდა“ (იგივე: 167).

კრიტიკოსი პავლე ინგოროვა მამაცაშვილის კიდევ ერთ ცნობაზე საუბრობს, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში გადაწყდა, რომ რადგანაც არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ მე-4 საუკუნიდან

დაწყებული, თითომ თითო საუკუცუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია ამ საუკუნისა, „დაწერა საქართველოს ძველი ისტორიისა ქრისტიანობის დამყარებამდე საქართველოში მიენდო პლატონ იოსელიანს, ხოლო შედგენა საქართველოს ისტორიისა, დაწყებული ქრისტიანობის დამკვიდრებიდან საქართველოში მირიან მეფის დროს, ითავა თვით ნიკოლოზ ბარათაშვილის ჯგუფმა, „ჩვენ არ შევცდებით, თუ დავასკვნით, რომ ამ ისტორიულ შტუდიებთან იყო დაკავშირებული თვით პოემა „ივერიელნი“ (იგივე: 169). ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერების შესწავლიდან ირკვევა, რომ მას ორი ფსევდონიმი ჰქონია: „სამი ვარსკვლავი“ და „მირიან ივერი“. ფსევდონიმს „სამი ვარსკვლავი“ ნიკოლოზ ბარათაშვილი ამოფარებია, როგორც ავტორი პოემისა „ბედი ქართლისა“, ფსევდონიმს „მირიან ივერი“ ნიკოლოზ ბარათაშვილი ამოფარებია, როგორც ავტორი პოემისა „ივერიელნი“ (იგივე: 169).

ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა განჯაში, 1845 წელს, მისი გარდაცვალებიდან მეორე წელს, ზამთრის გასვლის შემდეგ განჯაში ჩავიდა პოეტის დედა ეფემია და მოიგლოვა შვილის საფლავი, „ვიდრე პოეტის დედა განჯაში ჩავიდოდა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერები გაიბნა და დაიკარგა“ (იგივე: 178). დაკარგული უნდა იყოს ნაწილი ლექსისა „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, რომელიც კრიტიკოს პავლე ინგოროვას თქმით, ნიკოლოზ ბარათაშვილმა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველს, „მეფე ტირანს მიეძღვნა“, რომლის დაწერის მიზეზი შემდეგი უნდა ყოფილიყო.

1837 წელს საქართველოში ჩამოვიდა იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა, მელიტონ ბარათაშვილი, იმ დროს მარშალი თბილისის მაზრის თავადაზნაურობისა, თავისი მდგომარეობით იყო ერთ-ერთი მასპინძელთაგანი ნიკოლოზ პირველისა. როგორც კრიტიკოსი პავლე ინგოროვა აღნიშნავს, ამ შეხვედრას ესწრებოდა 19 წლის ყმაწვილი ნიკო, რომელიც „ნიკოლოზ პირველმა გამოარჩია იმდროინდელ ბრწყინვალე ახალგაზრდობაში და მას თავისი „ორდინარეცი“ შეარქვა“ (იგივე: 12). კრიტიკოსის თქმით, ამ შეხვედრას უნდა ჰქონოდა თავისი გამოძახილი და ჰქონდა კიდეც, „სწორედ ამ დროს, იმპერატორის საქართველოში ყოფნის პერიოდში, 1837 წელს, დაწერილია ბარათაშვილის განთქმული ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, ამ ლექსში დაპირისპირებულია ორი მეფე: ერთია - მეფე ტირანი, მეორეს ეწოდება „კეთილი მეფე“, „კეთილი მეფის“

სახელით აქ იგულისხმება ერეკლე II, ხოლო ბოროტი მეფე, მიმტაცებელი, რომელიც შფოთავს, დრტვინავს და იტყვის: „როდის იქნება, ის სამეფოცა ჩვენი იყოს“, არის იმპერატორი ნიკოლოზ I“ (იგივე: 14).

კრიტიკოსი პავლე ინგოროვა აგრეთვე აღნიშნავს, რომ ლექსში ყველა ტაეპი არაა ჩაწერილი, რომ „აქ გამოშვებულია სტრიქონები, ამას სრულიად უდავოდ ადასტურებს, ჯერ ერთი ის გარემოება, რომ სტრიქონების გამოშვების გამო დარღვეულია რითმათა პარალელიზმი, რომელსაც ბარათაშვილი ყოველთვის ზუსტად იცავს, ასევე ადასტურებს ის გარემოება, რომ სტრიქონების გამოშვების გამო დარღვეულია სტროფთა მოცულობის პარალელიზმი“ (იგივე: 15). კრიტიკოსის თქმით, ეს სტრიქონები პოლიტიკურად განსაკუთრებით სახიფათო ყოფილა.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა პირველმა გაუმზადა გზა მომავალ თაობას შემდეგი პასუხისმომვივას, რომელსაც ილია გამოეხმაურა ლელთ ღუნიას სახით: „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს“

თავი II. ისტორიულ პირთა მხატვრული სახეები ილიასა და აკაკის თხზულებებში

§1. ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და ცხოვრება იმდენად მრავალმხრივია, რომ ერთი რომელიმე კუთხით მისი განხილვა ხელოვნურად დაავიწროებს ამ უზარმაზარი სამყაროს საზღვრებს. ილია ჭავჭავაძე რჩეულ მამულიშვილთა შორის რჩეულია, ის იყო მრავალმხვრივი, ერის ბელადის ნიშან-თვისებებით აღჭურვილი პიროვნება, საქართველოში არ დარჩენილა სფერო, სადაც ილია ჭავჭავაძეს თავისი მადლიანი სიტყვა არ ეთქვა. ილიას სახელთან განუყრელია აკაკი სახელი, აკაკიმ და ილიამ ერთად ზიდეს ტვირთი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისა, ახალი გზები გაუხსნეს ქართულ ლიტერატურას, აავსეს იგი ახალი ეპოქის შესაბამისი ახალი შინაარსით.

„ჩვენი ცოდვილი საუკუნის (XX) კიდევ შვიდი წელი იცოცხლა ილიამ და ამ შვიდი წლის განმავლობაში იმდენის გაკეთება მოასწრო, რომ არა თუ ამ (XX) საუკუნეს, კიდევ ბევრ საუკუნეს საგზლად გაჰყვება“ (შარაძე, 1990: 8).

მისმა პოეზიამ, პროზამ, აგრეთვე კრიტიკულმა აზროვნებამ ქართულ მწერლობას თავი დააღწევინა აღმოსავლური არტახებისგან, რომელშიც მოქცეული იყო რამდენიმე საუკუნის მანძილზე ჟამთა სიავის გამო და ევროპული კულტურის მდინარებას აზიარა. ილიამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია, ახალი შინაარსი მისცა მას, გარკვეული პოლიტიკური პროგრამის სახით ჩამოაყალიბა იგი. „აკაკის თქმით, ილია ჭავჭავაძე არის ბარათაშვილი დღეს, მისი საქმის გამგრძელებელი ახალი ეპოქის შესატყვისად“ (გამეზარდაშვილი, 1960:10).

ქართველ სამოციანელთა მსოფლმხედველობა ეროვნულ ისტორიულ ნიადაგზე აღმოცენდა, მისი მასაზრდოებელი ფესვები ღრმად იყო გადგმული საქართველოს საზოგადოების ცხოვრებაში. „დიდი ილია სწორედ იმ დროს მოევლინა საქართველოს, როდესაც მას უაღრესად სჭირდებოდა თავგანწირული წინამდღოლი. ილია ერის თავკაცის ნიშან-თვისებით აღჭურვილი პიროვნება იყო, მთელი ნახევარი

საუკუნის მანძილზე იგი მოუქანცავად წვრთნიდა ქართველი ხალხის გონიერასა და ზნეობას. როგორც მისი სულიერი მოძღვარი“ (ქართ. ლიტ. ისტორია, 2010: 12)

იშვიათია ადამიანი, რომელსაც ერის სატკივარი ისე მიეტანა გულთან, როგორც ეს ილიამ შეძლო, მთელი მისი შემოქმედებითი ენერგიაც ამ საქმეს მოახმარა. მისი აზრით, ხელოვნება საზოგადოების წინსვლას უნდა ემსახურებოდეს. როგორც ილია ამბობს: „პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ დიდი ტვირთიც არის“ (ჭავჭავაძე, 1984: 922).

ილია ჭავავაძე ისტორიის მნიშვნელობას უდიდეს ფაქტორად თვლიდა ქართველი ერის ცხოვრებაში. საქართველოს ისტორიისა და პრეისტორიის პრობლემებს ილია ჭავჭავაძემ მიუძღვნა პოლემიკური წერილები: „აი ისტორია“ და „ქვათა ღაღადი“. პირველი შრომა მიძღვნილი იყო ივანე ჯაბადარის წინააღმდეგ, რომელმაც ერთ-ერთ რუსულ ჟურნალში მოათავსა „წერილები საქართველოზე“, სადაც წერდა, რომ ერი ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს და მას აქვს: ბავშვობა, ჭაბუკობა, სიბერე და სიკვდილი. ილია ამტკიცებდა, რომ ერის სიბერე უქმი სიტყვაა და ეს წარმოუდგენელიც არისო. თუ რომელიმე ერი დედამიწის პირიდან აღგვილა, ეს მისი სიბერის კი არა, შინაური საქმეების მოუწყობლობისა და მტერთაგან ძლევის ბრალია, ქართველ ერს იმდენი შემოქმედებითი ძალა გამოუჩენია, რომ ისტორია მას კვლავ იხსენებსო.

მეორე წერილი „ქვათა ღაღადი“ მიმართულია სომებ მეცნიერთა და პუბლიცისტთა წინააღმდეგ, რომლებიც ილია ჭავჭავაძის აზრით, ამცირებენ ქართველი ერის ისტორიულ წარსულს, მდორეხარისხოვნად და გამოუსადეგად თვლიდნენ ძველ ქართულ ისტორიულ ლიტერატურას და იჩემებდნენ ქართულ არქეოლოგიურ ძეგლებს. თუმცა წერილის ბოლოს ილია მკაცრ ტონს ცოტა არბილებს და აღნიშნავს, რომ „წინანდელ საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა-კი პირქვე დაემხო სომხეთი - ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხებს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით. დაეცა სომხეთი და სამხრეთის კარი ღია დარჩა საქართველოში შემოსასევად. თუმცა სომხეთის დაცემის შემდეგ მთელი, თითქმის შვიდი საუკუნე მაინც გავუძელით ათასჯერ ჩვენზე ძლიერ მტერსა, მაგრამ მთელი

ჩვენი ისტორიული დღენი მოვღალეთ და შევალიეთ სომხეთის კარის დაკეტას და ვერა გავაწყვეთ რა“ (ჭავჭავაძე, 1984: 805-806).

“რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუსე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია“ (ჭავჭავაძე, 1984: 610). ამბობს ილია, ისტორიის ცოდნა, პოეტის თქმით, აწმყოსა და მომავალში ორიენტირების საშუალებაა. ილიას ივერიის კაბინეტის კედლები „შესავალს მარცხნივ, დამშვენებული იყო ისტორიული სურათებით: შოთა რუსთაველის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის პორტრეტებით“ (ჭავჭავაძე, 1987: 276).

მნიშვნელოვანია ილიას სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელშიც გამოიკვეთა ეროვნული ენის საკითხი. ენა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს იდენტობისა და თვითშეგნების საკითხებში, რასაც ილია კარგად აცნობიერებდა და ამ საუნჯის გაფრთხილება პირველ ამოცანად დაისახა. როგორც ენათმეცნიერი ივანე გიგინეიშვილი ამბობს: „ილია ჭავჭავაძემ უფლებაწართმეულ ახალ სალიტერატურო ენას თავისი უფლებები კვლავ აღუდგინა, მეტიც, ქართველ ერს ქართული ენით სამართლიანი სიამყე აგრძნობინა“ (ქართული ენა და ლიტერატურა, 2009: 87).

ენის საკითხის გვერდით საჭირო იყო წარსულის გახსენება, ისტორიის ჩვენება, რთული ვითარებისგან თავის დაღწევის გზების ძიება. ილიას თქმით, სწორედ ისტორია იყო უმნიშვნელოვანესი იარაღი ერის ერთობისა, სულიერი ენერგიის ზიარებისა. ილია წერილში „ოსმალოს საქართველო“ გვეუბნება: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს, იგია სგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თავის ვინაობას, თავის თვისებას“ (ჭავჭავაძე, 1984: 547). ილიას აზრით, ადამიანს, რომელიც ისტორიას ივიწყებს, „ფეხქვეშ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღაბებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად“ (იგივე: 609).

რა არის ისტორია? კითხულობს ილია ჭავჭავაძე, „იგია მთხოვბელი მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“ (იგივე: 604). ილიას

აზრით, ისტორია აწმყოს არ ემიჯნება, „ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელია, გაუგებარი და გამოუცნობია (იგივე: 608-609).

პოეტი არც იმას გვეუბნება, რომ ადამიანებმა მხოლოდ წინაპრების მიბაძვით უნდა იცხოვრონ, სწორედ ილია იყო ის პიროვნება, რომელმაც გვითხრა: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ...ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“ (იგივე: 49). რომელიც თერგდალეულთა მთავარ თემად იქცა.

ილიას შემოქმედებაში ისტორიულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთაგან განსაკუთრებულია პოემა „დიმიტრი თავდადებული“, ლექსი „ბაზალეთის ტბა“ და სხვა. ილიას მხატვრული ნაწარმოებების გარდა ისტორიულ პირებზე ყურადღებას ამახვილებს უამრავ პუბლიცისტურ ნაშრომში: „ღვაწლი და წამება წმინდა ნინოსი“, „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“, „დავით აღმაშენებელი“ და სხვა.

„მეფე დიმიტრი თავდადებული“ ისტორიული ხასიათისა პოემაა. მის მთავარ თემას წარმოადგენს ქვეყნის წინაშე მამულიშვილური ვალის ეთიკური ძალის ჩვენება, პოემა ეხება მე-13 საუკუნის საქართველოს ისტორიულ ფაქტს. „ილიას პოემის დაწერა 1877 წელს დაუწყია და 1878 წელს დაუმთავრებია, პოემა მიუძღვნა სიყრმის მეგობარს პეტრე ნაკაშიძეს.

„მეფე დიმიტრის თავდადება ილიას ჯერ კიდევ ბავშვობაში მოუსმენია თავისი სოფლის მასწავლებლის, მთავარდიაკონისაგან, რაც ღრმად აღიბეჭდა მის პოეტურ მეხსიერებაში“ (შარაძე, 1990: 266).

პოემის დაწერამდე დიმიტრი თავდადებულის სახე ილიამ დაგვიხატა აჩრდილის პირველ ვარიანტში, XXV თავში, რომელიც 1858-59 წლებშია დაწერილი. პოემის პირველი ნაწილი, ბრმა მეფანდურის თემა, ილიას ასევე ჰქონდა დამუშავებული ცალკე ლექსების სახით.

ილია პოემაში დამაჯერებლად აღწერს საქართველოს ისტორიულ წარსულს და გვაძლევს ერისა დ აქვეყნის წინამდღოლის უკეთილშობილეს სახეს. დიმიტრი, ანუ დემეტრე მეორე, უაღრესად საინტერესო და შთამაგონებელ პიროვნებას წარმოადგენს. იგი თამარ მეფისა და დავით სოსლანის ვაჟის - გიორგი ლაშას შვილის

შვილია. „დემეტრე ტახტზე ავიდა 1712 წელს, როცა 12 წლის ყმაწვილი ყოფილა. ვიდრე დემეტრეს მცირეწლოვანობის გამო სახელმწიფოს მართვა არ შეეძლო, მზრუნველად მისცეს აზნაური სადუნ მანკაბერდელი, რომელიც „...განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთა მთავართა მის უამისათა“. როცა ათაბაგი სადუნ მანკაბერდელი 1281 წელს გარდაიცვალა, მისი შვილი ხუტლუ-ბუღა დემეტრემ ათაბაგად არ დაამტკიცა, რამაც მათ შორის მდგომარეობა გაამწვავა. არღუნ ყაენის წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება, ყაენმა დამნაშავედ სცნო თავისი მრჩეველი ბუღა, რომელსაც ცოლად ჰყავდა დემეტრეს ასული რუსუდანი და სიკვდილით დასაჯა, ეჭვი მიიტანეს დემეტრეზეც. იმ დროს ყაენთან იმყოფებოდა სადუნ მანკებერდელის ვაჟი, რომელმაც ყაენს ურჩია, აფხაზთა მეფის დავითის შვილი ვახტანგი მეფედ დავსვათო, რამაც ყაენს გადააწტვეტინა დემეტრეს სიკვდილი“ (ქარ.ლიტ. ისტ., 1974: 64).

მაინც რამ განსაზღვრა პოეტის ინტერესი მეფე დიმიტრის პიროვნებისადმი, ილია თვლიდა, რომ თითოეული ჩვენგანის სიცოცხლე მამულს ეკუთვნის, ეს კარგად ჩანს მთელ მის შემოქმედებაში, პოემის მთავარ თემასაც ეს წარმოადგენს. ილია თავისებურად გადმოგვცემს ისტორიის სულს, პოემის გმირის სულიერ მდგომარეობას, შემოჰყავს გამოგონილი პირები, უმაღლეს წერტილზე აჰყავს ისტორიული ფაქტებიდან მომდინარე პატრიოტული გრძნობა. „საქართველოს გმირული ისტორია აქ დანახულია თვით ხალხის (მისი რიგითი წარმომადგენლის) თვალით“ (ასათიანი, 1979: 90).

ღვთის სახლი, უფლის რწმენა და მისი იმედი ყოველთვის იყო ქართველი კაცის ნავსაყუდელი. ხალხი საყდრის წინ, ცაცხვის ძირში და ქვეყნის ავ-კარგზე საუბრობს, ასე იწყება პოემა. ერთი ბრმა მეფანდურე ცალკე დამჯდარა ცაცხვის ძირში მდუმარედ.

შინ ქვეყნის ჭირ-ვარამით დაღლილი ახალგაზრდობა ბრმა მეფანდურეს სთხოვს, რომ მოუყვეს ძველი ამბავი, რაც ადამიანის გულს „ჟანგს მოაშორებს“. მეფანდურე ახალგაზრდებს უყვება იმ დროის შესახებ, „როცა ქართვლის ბედი ჩვენ ქართველთვე გვეპყრა ხელში“ (ჭავჭავაძე, 1977: 297). როცა სამშობლოს დასაცავად დედას შვილის გაწირვა არ ენანებოდა, ქართველი კაცის მიზანი კი იყო ან სიკვდილი, ან სახელის მოხვეჭა.

მეფანდურე პარალელს ავლებს წარსულსა და აწმყოსა შორის და დანანებით ამბობს, რომ ის „დიდებული ოჯახი“ დავაქციეთ, მაგრამ ღმერთი ამ სატანჯველისგან გვიხსნის, თუ ჩვენ მომავალ თაობას „გზად და ხიდად გავედებით“. ილია მეფანდურის პირით თანამედროვეებს ახსენებს, რომ ნათქვამია, „წინა კაცი უკანასი ხიდიაო“, დღევანდელ უბედურებას მაშინ დავძლევთ, თუ მომავალზე ვიფიქრებთ. პოეტი თავად იყო მაგალთი ასეთი თავდადებისა, მან მთელი მისი სიცოცხლე ქვეყნის სამსახურს მოახმარა, ამიტომაც აირჩია მეფე დიმიტრი თავდადებულის ცხოვრება მაგალითისთვის. დემეტრემ თავისი სიცოცხლის ფასად იხსნა ქვეყანა მტრის ურიცხვი ლაშქრის შემოსევისა და გაჩანაგებისაგან, ილიას ამ პოემით უნდოდა ეთქვა თანამედროვეთათვის, რომ ქვეყნის სამსახური, მისთვის თავგანწირვა, ადამიანის უპირველესი მოვალეობაა.

„ჟამთააღმწერელი ქებით იხსენებს დემეტრეს კარგ თვისებებს, რაც მას ხელს უწყობდა, კეთილად განეგო ქვეყნის საქმეები. ...აღაშენა ქუეყანანი მოოხრებულნი, ამანვე აღაშენა პალატსა შინა მონასტერი, ნარიყალას პირდაპირ, ცნობილია როგორც, მეტების ტაძარი. დემეტრე ღამით შემოივლიდა ქალაქს, განიკითხავდა ქვრივ ობლებსა და დავრდომილებს“ (ქარ. ლიტ. ისტ., 1974: 65). პოეტს სწორედ ეს ისტორიული ფაქტი ჰქონდა მხედველობაში, როცა ამბობს, რომ მეფე დემეტრე იყო გარეთ მტრის რისხვა, შინ კი მოწყალე და ღვთისნიერი. მეფე ზრუნავდა თავის ხალხზე, დადიოდა და საკუთარი თვალით ამოწმებდა, რა ულხინდა და უჭირდა ქართველ კაცს:

„ღამით თურმე ჩაიცვამდა

უბრალო კაბა ჯუბასა,

წავა და ინახულებდა

საწყალი ხალხის უბანსა.

მოივლიდა ქვრივს და ოხერს,

დავრდომილსა და ობოლსა,

თავის ხელით ურიგებდა

მოწყალებას და საზრდოსა“

(ჭავჭავაძე, 1977: 300).

მართალია, დემეტრეს მეფობის დროს საქართველო ყენს ემორჩილებოდა, მაგრამ შინაური საქმეები ქართველ მეფეს თავის ნებაზე მიჰყავდაო. ეჭვგარეშეა, ილია პარალელს ავლება თავის თანამედროვეობასთან და მიგვანიშნებს, რომ ამჟამად საქართველოს შინაურ საქმეებში ერევა უცხო პირი, საქართველო განიცდის რუსეთის გავლენას, ქვეყანას უცხო მოხელეები განაგებენ.

ერთ დღესაც ყაენს მოწინააღდეგები გამოუჩნდნენ, მაგრამ დემეტრე სხვებივით არ განუდგა და გაჭირვებაში დაეხმარა მას. მოწინააღმდეგემ ყაენს სძლია და სიკვდილით დასაჯა, ჯერი მისდგა ჩვენს მეფეზე.

მეფე მტერმა არჩევანის წინაშე დააყენა, ან თავისი ფეხით უნდა ხლებოდა მოწინააღმდეგეს, ანაც ქვეყნას აუოხრებდა. მეფემ შეჰქრიბა დიდებულები სამეფო თათბირზე, თათბირის ყველა მონაწილე მოწინააღმდეგე იყო ყაენთან დიმიტრის გამგზავრებისა, ხალხი და სპასალარიც თხოვდა, რომ ყაენთან არ წასულიყო, ისინი იბრძოლებდნენ მის დასაცავად, მაგრამ დემეტრეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ურდოში გამგზავრებულიყო და მსხვერპლად შესწიროდა სამშობლოს. ილია ჭავჭავაძზე დემეტრეს სახით დაგვიხატა ხალხზე მზრუნველი და ქვეყნისათვის თავდადებული მამულიშვილი. მეფე ამბობს, ეს ქვეყანა „ღვთისგან მაქვს მონაბარი”, ქრისტეც ხომ ჯვარს ეცვა ხალხისათვის, თუმცა შეეძლო ეხსნა თავი. თუ ადამიანი ქვეყნისთვის გასწირავს თავს, ის არ მოკვდება:

„არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია”.

(იგივე:319).

პოემაში არაერთგზის არის შედარებული მეფის მოქმედება მაცხოვრის მოწამეობრივ აღსასრულთან, დემეტრემ სწორედ მაცხოვრის გზა უნდა გაიმეოროს თავისი ერის არა მარტო ფიზიკური, არამედ პირველყოვლისა, ზნეობრივი გადარჩენისათვის.

მეფემ ხალხთან გამოთხოვების წინ თვალი მოჰკრა, რომ ორ ბიჭს მისკენ
მოჰკავდათ ბერიკაცი, რომელიც მეფეს სთხოვდა არ გამგზავრებულიყო ყაენთან,
რადგან ქვეყანას მზრუნველი მამა მოაკლდება, ქართველები დაობლდებიანო:

„აპა, მეფევ ორი ბიჭი,
მხრებში რომ ამომჯდომია,
ორივ ჩემი შვილი არი,
ერთი მეორის მჯობია:
მიირთვი და ინაცვალე,
ჩვენს ქვეყანას მტლად დაუდე“ (იგივე: 317).

მოხუცი მიმართავს მეფეს, რომ შეკრიბოს დიდი და პატარა, თავად წინ
წაუძღვეს და მტერს უომრად არ დანებდეს:

„ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევ,
ბევრი რამ გადახდენია,
მაგრამ უომრად მტრის წინა
არ წაუხრია ქედია.
ნურც დღეს ვიზამთ ამ საქმესა,
უომრად ნუ დავმარცხდებით,
თუ ვერ ვძლევთ, დავიხოცნეთ
სახელითა და დიდებით!“ (იგივე: 317).

მოხუცის სახე მართლაც შთამბეჭდავი და ამაღლებულია, თითქოს მისი პირით
მთელი საქართველო ლაპარაკობს. პოემა თავდება ყაენის კარზე მეფის დაღუპვით.

მონღოლთა ბატონობის ხანაში, როდესაც ერის სულიერი მხნეობა შეირყა,
ქვეყანა დაცემისა და გადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. დიმიტრი მეფის
რაინდულ თავგანწირვას, ერის რწმენა, ზნეობა უნდა გადაერჩინა ისევე, როგორც
მაცხოვარმა იხსნა კაცობრიობა.

მეფის თავგანწირვამ გმირული სული შთაბერა ხალხსაც, თუმცა მათ უამრავმა კარსმომდგარმა უბედურებამ გული გადაულია, მაგრამ მეფის თავგანწირვამ სხეული და სული გაუწრთო, მომავლის იმედი ჩაუსახა.

პოემა „აჩრდილი“ ილიას დაუწერია სტუდენტობის დროს 1858-1859 წლებში. 1872 წელს ილიას შეუსრულებია „აჩრდილის“ ახალი რედაქცია, პოემის დასრულებიდან 13 წლის შემდეგ. „პოემის მეორე ნაწილი, სადაც წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის სურათები, ჩანს პოეტს აღარ აკმაყოფილებდა, ეს გარემოება გახდა მიზეზი, რომ ილიამ 1872 წელს ხელახლა გადაამუშავა პოემა“ (ინგოროვა, 1975: 272). ილია დავით ერისთავისადმი მიწერილ წერილში წერს: „მე არაფერს ვწერ, ამ აჩრდილმა ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ... შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ვეღარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ, ამ აჩრდილს თავი დავანებო-მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს, მე კი მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს... საქმე ხალხია და ჩვენს ისტორიაში არ ჩანს“ (იგივე: 272). როგორც კრიტიკოსი პავლე ინგოროვა აღნიშნავს, ილია ერთი წლის შემდეგ კიდევ დაუბრუნდა ამ პოემას და შეიტანა ახალდაწერილი ისტორიული ნაწილი მე-19 და 25-ე თავებისა, მაგრამ ცენზურამ პოემის მთელი რიგი თავები და ცალკეული ადგილები ამოიღო, ამიტომ „ცენზურის წყალობით ჩვენ დღეს არა გვაქვს „აჩრდილის“ სრული ტექსტი, პოემის 22-ე და 23-ე თავები დაკარგულია. რას შეიცავდა „აჩრდილის“ ეს ორი დაკარგული თავი, ამის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობა არ შენახულა“ (იგივე: 274).

ილია პოემაში ქება-დიდებას ასხამს მცხეთას, „გმირთა დიდ სვანეს“:

„აგერა მცხეთაც - სვანე გმირთა,

დიდი აკლდამა დიდი ცხოვრების,

სად პირველ ქართვლის მორჭმულთა შვილთა

ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების“

(ჭავჭავაძე, 1977: 253).

პოეტი თვალს ავლებს საქართველოს ისტორიას და მწუხარებით აღნიშნავს, რომ საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე მშვიდობა არ ღირსებია:

„ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?

სხვა რომელია რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი

გამოევლოს და სრულიად მტვრად არ აღვილიყოს?

შენ ხარ, მარტო შენ!.. მაგალითი სხვა არსად არი“

(იგივე: 254-255).

პოეტი სიამაყით ახსენებს ფარნავაზ მეფის სახელს:

მახსოვს ფარნავაზ ჰაეროვანი,

გულმტკივნეული შვილი ქვეყნისა...

მან იდვა თავსა სახელოვანი

ის დიდი საქმე შურის-გებისა.

ერის და ქვეყნის შეურაცყოფას

ვეღარ გაუძლო ჭაბუკმა გმირმა

ვეღარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას

იმა მამულის ამაყმა შვილმა“

(იგივე: 256).

პოეტისთვის ფარნავაზი ის მეფეა, რომელმაც მტერს თვაზარი დასცა, უცხო ხალხის ხელქვეშ დაჩაგრულ ქართველ ხალახს თავისუფლება მოუტანა, მტრისგან დარღვეული ქვეყანა გააერთიანა და ქართველთა დამცირებულ სახელს დიდება დაუბრუნა. მას აქეთ საქართველოს შვილებს, მის ღირსეულ ვაჟკაცებს ხმალი ქარქაშში არ ჩაუგიათ, ქართველები მამულისათვის თვადადებაში ერთმანეთს ეცილებოდნენ, პოეტის თქმით, ახლა ქართველ კაცში ძველი ვაჟკაცური შემართება გამქრალია.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, რომელიც ერთმა შემთხვევამ მოცემული პოემის შექმნის შთაგონების წყაროდ აქცია.

„კაკო გახლდათ ერთი კარდანახელი გლეხი, ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჩნამეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა ალაზნის (კარდანახის) ტყეში“ (ინგოროვა, 1975: 202).

ილიასა და გაუხარაშვილის გაცნობა შემდეგნაირად მომხდარა: „ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მოდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ წასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი, რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხავს: „ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო?“ ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აფხაზიანთსა მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც, ასე რომ ილია, როდესაც ჩვენსა მოვიდა, ბარბაცებდა და გაიძახოდა: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ (იგივე: 202).

რადიკალური სახით დაყენება ბატონყმობის გაუქმებისა მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემაა, „კაკო ყაჩაღს ეს იდეა ბოლომდე გასდევს. მოქმედი გმირი კაკო გვიჩვენებს ფეოდალურ-ბატონყმური ცხოვრების ტრაგიკულ სურათებს, რამც პოემის ბოლოს ერთი ნაღველით ჩააფიქრა გმირებიც და მკითხველიც. პოემა სრულდება შემდეგი სიტყვებით:

„მაგრამ, ეჰ, ძმაო, რაც იყო, - იყო,

ჯოჯოხეთია მოსაგონებლად.

და, რა სთქვა ესა, ზაქრო მწუხარედ

პირქვე დაეცა დადუმებული;

დიდხანსა ეგდო ეგრე მდუმარედ

გულში ვაების ცეცხლმოდებული.

ამ საწყალ შვილზედ კაკოც შეწუხდა,

ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა...

და ამ ორს გულშიც რა ბალლამიც დუღდა,

წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“

(ჭავჭავაძე, 1977: 295).

„კაკო ყაჩაღში“ მოცემული ეპიზოდები მთლიანად ემყარება ცხოვრების რეალურ ფაქტებს. ის ბალდამი დუღდა ილია ჭავჭავაძის გულშიც, რასაც მოქმედ გმირებში ვხედავთ. მან მთელი თავისი პოეტური ნიჭი მძლავრად გამოიყენა სოციალური უკულმართობის წინააღმდეგ.

ისტორიული თემატიკის თვალსაზრისით საინტერესოა მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. მოცემულ მოთხრობაში ილიამ გააცოცხლა მეფე გიორგი მეთერთმეტეს დროინდელი ამბები. „ეს იყო პერიოდი, როცა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი 1636 წლიდან ოსმალეთმა სპარსეთის „უცილობელი გავლენის სფეროდ სცნო“, ხოლო დასავლეთი ნაწილი „სპარსეთმა ოსმალეთს დაუთმო“. გიორგი XI დიდად „ნიჭიერი სამხედრო პიროვნება“ ყოფილა, მაგრამ მის მოქმედებას ერის კეთილდღეობისათვის ბორკავდა შექმნილი მძიმე მდგომარეობა“ (ქარ. ლიტ. ისტ., 1974: 96).

მოთხრობაში ვკითხულობთ: „ერთ დროს ჩვენა გვყოლია ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე. იმის დროს ყიზილბაშების ყეინად იჯდა შაპ-სულთან-უსეინი, ამ ყეინმა გამოგზავნა დიდის ჯარით თავისი სარდალი, რომ საქართველო აიკლოს და თავისად დაიჭიროს“ (ჭავჭავაძე, 1984: 263). ჯარი ერთმანეთის საპირისპირო მხარეს დაბანავდა. მთხრობელი გვიყვება, რომ რით გათავდა ეს ომი, ძალიან გრძელი ამბავია, მე მხოლოდ ერთ ამბავს გიამბობთ, რაც ამ ომში მოხდაო. ავტორი შთამბეჭდავად მოგვითხრობს გოტაშაბიშვილისა და ყიზილბაშის ორთაბრძოლას, როცა რამდენიმე წუთში გოსტაშაბიშვილმა ყიზილბაშთა ნაქები მეომარი ძირს დასცა, მაგრამ მოწინააღმდეგების ვაჟკაცობამ იმდენად მოხიბლა, რომ ცხენიდან ჩამოვიდა, ფეხზე წამოაყენა და უთხრა: „ნუ გეშინიან, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებიაო. მეც სიცოცხლეს თუ ვინმესგან ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანაო, უპასუხა ყიზილბაშმა“ (იგივე: 265).

მოთხრობის ასეთი შთამბეჭდავი ფინალი ნათლად წარმოაჩენს პოეტის მიზანს, ქართველ კაცში გააცოცხლოს ვაჟკაცური სული გამბედაობა და ქვეყნისთვის თავგანწირვა.

მომავლის იმედი გამოსჭვივის ილია ჭავჭავაძის ლექსში „ბაზალეთის ტბა“, რომლის მთავარი თემა გმირის ძიებაა, იმ გმირისა, თამარ დედოფალმა რომ ჩააწვინა ოქროს აკვანში, ერმა კი „ცრემლის ტბა დაადინა“, სწორედ ასეთი გმირების სახელებს იწერს ერი გულზე ოქროს ასოებით. ლამაზ ლეგენდას თამარ მეფის სახელთან დაუკავშირებია ამ წალკოტში აკვნის ჩადგმა.

ლექსი ერის აღორძინების იმედით არის გაჯერებული, სადაც ილია ეძებს გმირს, რომელსაც ჯერ კიდევ სძინავს ბაზალეთის ტბის ძირას. მას სურს აღმოაჩინოს ის აკვანი, რომელშიც ყრმა წევს:

„მწვანეა მუდამ წალკოტი,

არასდროს თყრმე არ სჭინება,

ქვეყნისა დროთა ტრიალსა

იგი არ ემორჩილება“

(ჭავჭავაძე, 1977:204).

მწვანე, აყვავებული წალკოტი პოეტისათვის საქართველოა, ხოლო გმირს, რომელსაც ჩვენი სამშობლოს გადაგვარების მრუდე გზიდან გამარჯვების გზაზე უნდა დააყენოს, ჯერ არ გაუღვიძია:

„ამბობენ, - თამარ დედოფალს

ის აკვანი იქ ჩაუდგამს,

და ერს თვისთა ვრემლთ ნადენით

ტბა კარვად ზედ გადუხურავს“

(იგივე:205)

პოეტი გვეუბნება, რომ თამარ მეფის ერში არ შეიძლება არ დაიბადოს ის გმირი, რომელსც ქართველი ერი სასოებით ელოდება. მართალია ჯერ არ იცის პოეტმა ჩვენი მხსნელის სახელი, მაგრამ პოეტი იმედოვნებს, რომ სახელოვანი ვაჟკაცები კვლავაც ეყოლება საქართველოს.

ილია მხატვრული ნაწარმოებების გარდა ისტორიულ პიროვნებებზე ყურადღებას ამახვილებს უამრავ პუბლიცისტურ ნაშრომში, მაგ. „ღვაწლი და წამება წმინდა ნინოსი“, „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“, „დავით აღმაშენებელი“ და სხვა.

წერილში „ღვაწლი და წამება წმინდა ნინოსი“ ილია აღნიშნავს, რომ 14 იანვარი წმინდა ნინოს სადიდებელი დღეა. ნინომ კერპების ადგილას ჯვარი აღმართა. მას აქეთ 15 საუკუნეა ხელში ჯვრით იბრძვის ქართველი და ნათელი ბნელზე ვრავინ შეაცვლევინა. პოეტი თვლის, რომ ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენი წინაპრების მხნეობა, სულ ამ ნათელით არის განსხივოსნებული, წმინდა ნინოს მადლით აღმართულ ჭეშმარიტების ძელზე ქართველმა კაცმა ქრისტეს სისხლით დაწერა შემდეგი მცნება „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. 15 საუკუნეა ქართველი ეკლის გვირგვინს ატარებს, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება თვალმარგალიტით მორთულ გვირგვინს, ეს გვირგვინი არის ტვირთმმიმეთა ნუგეში, ობოლთა და ქვრივთა შემწყნარებელი. ეს ეკლიანი გვირგვინი შვენის ჩვენს წინაპრებს, ამ სახელით ამაყობს.

„ახალმა აღთქმამ მოგვცა ახალი ცხოვრება, ამ ახალ აღთქმას ქართველმა შეურია ის ძველი, რაც ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის დღეში არ დაძველდება - მამული და ეროვნება“ (ჭავჭავაძე, 2007: 22). პოეტის თქმით, ეს სამი ისე შედუღაბდა, რომ რჯულის დაცვა მამულის დაცვას ნიშნავს და პირიქით, მამულის დაცვა რჯულის დაცვას, „რჯული ჩვენი ეროვნების ხმლად იქცა. ესე იგი, ქრისტიანობა ჩვენთვის ნიშნავს ჩვენს მიწაწყალსა და ქართველობას.“

„წმინდა ნინოს მოციქულობით დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არა თუ სულიერად, არამედ ხორციელად, შეინახა ჩვენი მიწა-წყალი, ენა, ჩვენი ვინაობა და ეროვნება“ (ჭავჭავაძე, 2007: 22). ამიტომაც არის ქართველი კაცისთვის წმინდა ნინოს სახელი ძვირფასი და სათაყვანებელი.

წერილში „ასი წლის თავი ერეკლეს გარდაცვალებიდან“, როგორც პოეტი წერს, ამ დღესთან დაკავშირებით უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი სიონის ტაძარში, რათა პატივი მიეგოთ იმ მეფისთვის, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია, ხმალამოღებული პატრონობდა ქვეყანას, თუმცა „უკანასკნელ დროს ვერ იხსნა

თბილისი წახდენისაგან, მაგრამ თავისი უკეთესი ძალ-ღონე ხომ შეალია, სხვა რა იყოს რა, ერეკლე ბრწყინვალე მეფე იყო საქართველოსი“ (ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1984: 683).

როგორც წერილში ვკითხულობთ, საბჭოს გამგეობის არც ერთი მოხელე არ დაესწრო ერეკლეს ხსენების დღეს, რაზეც ილია ამბობს: „განა ამ საქციელით მათ მომავლინებელს არ შეაფურთხეს და დაივიწყეს თავიანთი მოვალეობა?“ (იგივე: 684).

პოეტის თქმით, ხალხში ნათქვამი ლექსი თუ გამოთქმა ზედგამოჭრილია და სიტყვამოსწრებული, ასე სწორად შეაფასა ხალხმა ერეკლეს სიკვდილი: „ვერ გაიგითა ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარიაო“ (იგივე: 684). პოეტის თქმით, ერეკლე მეფე მართლაც საქართველოს რკინის კარი იყო, რომ ამისთანა ამბებში ხალხი სიტყვაძუნწია, „ერის მიერ ქება უდიდლესად მნელი საშოვარი განძია“, მაგრამ ერეკლემ დაიმსახურა ხალხის სიყვარული, მისი აზრით, ერეკლესნაირი მამულიშვილის სახელი სულ უნდა ტრიალებდეს ქვეყანაში. პოეტი გამოთქვამს სურვილს, რომ საქველმოქმედო თანხას ერეკლე მეფის სახელი ეწოდოს და ამ თანხით ღარიბ მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებლებში დაეხმარონ.

„დავით აღმაშენებელი“. სწორედ ამ წერილში ამბობს ილია ჭავჭავაძე ოქროს სიტყვებს ისტორიის მნიშვნელობის შესახებ: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“ (იგივე: 604). პოეტის თქმით, ერმა უნდა იცოდეს, საიდან მოდის და სად მიდის, ისტორია ჩვენი სარკეა, გვიჩვენებს ჩვენს შესაძლებლობებს გზის გასაგრძელებლად. ისტორიას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ: „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს“ (იგივე: 605).

ილია საუბრობს იმ ფასდაუდებელ წვლილზე, რომელიც მიუძღვის დავით აღმაშენებელს საქართველოს წინაშე, პირველ რიგში იმაზე, რომ მეფე დავითმა ქართველობას ერთად მოუყარა თავი, აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი დაუფრთხო და დღეს რომ ჩვენი მიწა-წყალი გვაქვს, მისი დამსახურაბააო. ილია იმასაც აღნიშნავს, რომ ამ მეფის სიდიადეზე ღაღადებს არა მარტო ჩვენი მატიანეები, არამედ უცხოური

წყაროებიც. პოეტი კიდევ უფრო გაკვირვებულია დავით აღმაშენებლის პიროვნებით, რომ იმ დროში, „როცა კაცი კაცს შესაჭმელად არ ზოგავდა“, დავით აღმაშენებელი პატივს სცემდა სხვადასხვა სარწმუნოების ხალხს, „ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო ამის დიდბუნებივან გულს და გონებას უნდა მიეწეროს“. (იგივე: 608).

მართლაცდა, ბედნიერია ის ერი, რომელსაც დავთ აღმაშენებლისნაირი მისაბამი მეფე ჰყავდა, მისი ღვაწლის არდავიწყება და მისი საქმეების შესწავლა ახალი ძალით გვავსებს და მომავლისკენ სწორ სიარულს გვასწავლის.

ილია ჭავჭავაძე ის ადამიანია, რომელმაც რაინდულად ზიდა ერის თავკაცის მძიმე ტვირთი, ვიდრე მსხვერპლად არ შეეწირა იმ იდეას, რასაც თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა.

§2. აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელი ქართული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა მრავალფეროვანია, განუსაზღვრელია აკაკის დამსახურება ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. აკაკისა და ილიას სახელთანაა დაკავშირებული საერთო ეროვნული ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარება, ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრება. კრიტიკოსი ჯანსულ ღვინჯილია ამბობს: „აკაკი წერეთელი პირადად მე ქართული ხასიათის ხორცშესხმად მიმაჩნია, თითქოს სგანგებოდ და სანიმუშოდ მოქსოვილი ხატია ქართველური ბუნებისა“ (ღვინჯილია, 1989: 299).

აკაკი წერეთელს ისტორიულ თემაზე არაერთი ნაწარმოები აქვს შექმნილი, საამისოდ პოეტს რეალური მიზეზი ჰქონდა, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაობამ საომარი საშუალება მომავლის იმედიან შენებასა და წარსულის ღრმად შეცნობაში დაინახა. ქართველ კაცს სჭირდებოდა თავისი დიდებული წარსულიდან აღდგენილი ხატი, აუცილებელი იყო ერის სულიერი წვთონა, პოეტს უფლება არა აქვს, ჩაძინების საშუალება მისცეს ხალხს და ქვეყანას. „საერთოდ ქართული მწერლობის ერთი უმთავრესი ნიშანთაგანია წარსულის განცდა. ეს ნიშანდობლივის, ერის განვითარების თავისებურებას მოასწავებს“ (იგივე: 331).

ქართველი სამოციანელები დიდად აფასებდნენ ქვეყნის ისტორიას, მისი შესწავლის აუცილებლობასა და მნიშვნელობას აწმყოს გაგების, მომავლის განჭვრეტისა და ხალხზე ზემოქმედების საქმეში. ხალხის ძველ ნამოქმედარს დიდი ძალა აქვს, თუ მას შემოქმედებითად ავითვისებთ და გონივრულად გამოვიყენებთ.

აკაკის ისტორიული პოემებიდან ჩანს, რომ ღრმად აქვს შესწავლილი ჩვენი ქვეყნის წარსული, ხალხური შემოქმედება, მატიანეებში მოთხოვობილი ამბები, უცხოური წყაროები. „აკაკის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ მისი პოეტური შემოქმედება ორგანულ კონტაქტში იმყოფება ეპოქასთან. იგი არის გამომსახველი ეპოქისა, „ხალხის საყვირი“, ტრუბადური ხალხის იმედებისა“ (ინგოროვა, 1975: 341).

ხშირად პოემის ფაბულას რეალური ისტორიული წყარო წარმოადგენს, ისტორიული პოემების ძირთადი ამბები აგებულია ისტორიულ წყაროებში დაცულ

სიუჟეტებზე. ხანდახან მიმართავს პოეტურ გამონაგონსაც და მოხდენილად ქარგავს მას თხზულების მხატვრულ ქსოვილში, მაგრამ ეს გამონაგონი დიდი ოსტატის ხელით სინამდვილის ფონზეა მხატვრულად გამოკვეთილი და შეესატყვისება წარსული ისტორიული ცხოვრების გარკვეულ ვითარებას. „აკაკი ისეთი ხელოვანი იყო, რომელიც ისტორიულ მასალაში ახერხებდა ყველაზე სანუკვარი ქართული იდეების განსახიერებას. მასალას ირჩევდა, რომელიც თავისთავად შეიცავდა ისტორიულ ნიშნებს, ხოლო როცა ასეთ მასალას ვერ პოულობდა, თვითონაც ადვილად ქმნიდა ასეთ ისტორიულ სიუჟეტებს“ (მინაშვილი: 2009, 104).

აკაკი წერეთლის ისტორიული პოემებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „ბაგრატ დიდი“, „ნათელა“, კოკოლას ნაამბობი“, „თორნიკე ერისთავი“. ასევე დრამატული ნაწარმოებები: „პატარა კახი, „თამარ ცბიერი“ და „მედია“. აკაკის ეს პოემები ქართული ლიტერატურის მდიდარი საგანძურის შესანიშნავი შენაძენია. მის კალამს ეკუთვნის ასევე პროზაული ნაწარმოებები, რომელთა შორის გამორჩეულია ავტობიოგრაფიული თხზულება „ჩემი თავდადასავალი“ და „ბაში-აჩუკი“.

აკაკი წერეთელი მხოლოდ დრამატული ნაწარმოებების წერით არ კმაყოფილდებოდა, ის ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც, მონაწილეობდა თეატრალურ ცხოვრებაში. „ილიას თხოვნით აკაკიმ სათავეში ჩაუდგა ახლად აღდგენილ ქართულ თეატრს 1880-1881 წლებში. 1903 წელს ქართულმა თეატრმა კვლავ მიიწვია რეჟისორად“ (მინაშვილი, 2009: 93). აკაკის ისტორიისადმი ინტერესი მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამოხატულება არ იყო, „ისტორიულ ფაქტებს აკაკი წერეთელი ირჩევდა სრულიად გარკვეული, თუ შეიძლება ითქვას “პრაქტიკული“, თანამედროვე საზოგადოებაზე შემოქმედებითი ზეგავლენის თვალსაზრისით“ (იგივე: 98).

„პატარა კახი“ საქართველოს წარსული გმირობის ამსახველი ხუთმოქმედებიანი დრამატული პოემაა, იგი აგებულია მე-18 საუკუნის ისტორიულ მოვლენებზე, კერძოდ, ირაკლი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს მტრებზე სახელოვანი გამარჯვებისა და ქართველი ხალხის გმირობაზე. ამავე თემაზე ალექსანდრე ჯამბეკურ ორბელიანს ეკუთვნის პოემა პროზაული ფორმით

„ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა“, აღნიშნული ნაწარმოები პატარა კახის ერთ-ერთი ლიტერატურული წყაროა.

„პატარა კახი ისეთი თხზულებაა, რომელიც ერთნაირად უდგება საქართველოს წარსულსაც და დაწერის დროსაც. თუ წარსულში თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის დროს საქართველოს გარეშე მტერი არ აძლევდა მოსვენებას და ხშირი შემოსევებით ხელს უშლიდა ცხოვრების ნორმალურად წარმართვაში, მაშინაც, როცა ეს ნაწარმოები იწერებოდა, არანაკლები იყო საქართველოზე გამარჯვებელი პოლიტილის შემოტევა“ (შარამე, 1940: 120)

ქვეყნის მეტად ტრაგიკულ ვითარებაში გმირული ბრძოლა გადაიხადა 15 წლის ჭაბუკმა ბატონიშვილმა ერეკლემ, ამ ბრძოლაში პატარა კახი თავად შეება ლევთა ბელადს ალისკანტს, რის გამოც მემატიანე ომან ხერხეულიძე წერს: „ხოლო წელსა ათას შვიდას ოცდათხუთმეტსა მოვიდნენ ლევნი და ქისიყნი მოარბივეს, მაშინ იყო მე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი წლისა 15, რომელმაც შემოიყარა სოფლებიდამ ჯარი, ეწია ნეიშნის მინდორში და ძლიერად შემოებნენ ლევნი. გარნა ესე ყრმა, მე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი, მეორედ შევიდა ჯარსა ლევისასა და პირველად მან მოკლა კაცი და ამის მხილველთა კახთა ერთპირად მიმართეს ყივილით და წინა წარიქციეს ჯარი ლევისა, დაჰყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი და მოვიდა მაღაროს გამარჯვებული, რომლისათვის ფრიად მხიარულ იქმნენ კახნი, იხილეს რა სიმწნე, მამაცობა მემკვიდრისა თვისისა (ხერხეულიძე, 1989: 40).

„პატარა კახის“ ტექსტზე კომპოზიტორმა ნ. სულხანიშვილმა დაწერა ოპერა, რომელიც სამწუხაროდ დაკარგულია, შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე არია“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, 2010: 135).

თხზულებაში გვხვდებიან შემდეგი ისტორიული პირები: მეფე თეიმურაზ მეორე, თამარ დედოფალი, პატარა კახი და გივი ჩოლოყაშვილი.

პატარა კახს 16 წელი შეუსრულდა და ფიქრობს, რომ დროა ნადირობას თავი დაანებოს და გაუბედურებულ ქვეყანას მიხედოს. თავის გამზრდელს გივი ჩოლოყაშვილს თხოვს, რომ მშობლებთან უშუამდგომლოს, რათა მათ ხმალი უკურთხონ.

გამზრდელი სწორედ ამ დღეს ელოდა, როცა მისი გაზრდილი, უშიშარი და გონიერი უფლისწული ხალხს უწინამძღვრებდა. პატარა კახს, უსინათლო მოხუცთან, გელასთან შეხვედრამ საბოლოოდ გადააწყვეტინა, რომ ხმალი ხელში აეღო და ქვეყნის მტრებს შებმოდა. უფლისწულმა გამზრდელისგან შეიტყო, რომ ეს მოხუცი გიორგი ხმალაძეა, ერთ დროს სახელგანთქმული მებრძოლი, რომელსაც სიმამაცის გამო შეარქვეს გელა, მტრის წინააღმდეგ გამოჰყავდა გლეხკაცობა, ახლა დაბრმავაბული პატარა ქალის დახმარებით სოფლიდან სოფელში დადის და მთის მოსახლეობას მოუწოდებს, რომ განსაცდელში ჩავარდნილ ბარის მოსახლეობას დაეხმაროს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხალხი საომრად ემზადება, რადგანაც მტრის ქვეყანაში თარეში აუტანელი ხდება. ელოდებიან მეთაურს, რომ გაჲყვნენ ბრძოლაში. რადგან თეიმურაზ მეფეს ავადმყოფობის გამო აღარ შეუძლია ხალხის წინამძღოლობა, უფლისწული გადააწყვეტს, რომ თავად ჩაუდგეს ხალხს სათავეში. იმ დროს, როცა ბრმა მოხუციც ცდილობს, ხალხს თვალი აუხილოს და ბრძოლისაკენ მოუწოდოს, მას, მომავალ მეფეს, უფლება არა აქვს, უმოქმედოდ იყოს, დროა მტერს შევებრძოლოთ, ან მოვიგერიოთ, ან ბრძოლის ველზე დავიხოცოთ, მტერმა ვერ უნდა გვაქციოს მონებად:

„მონას რად უნდა კრული სიცოცხლე?

ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი?

სჯობს მონობაში გადიდკაცებულს

თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“

(წერეთელი, 1989: 335-336).

ამბობს უფლისწული. თვით მწყემსიც ქვეყნის უბედურებაზე მოთქვამს, როცა სალამურს აკვნესებს. უფლისწულთან საუბარში ამბობს: როგორ შეიძლება თავს თავისუფალ ადამიანად ვთვლიდე, როცა ჩემი ქვეყანა ტყვეობაშია:

„ეჰ, დალოცვილო, რა გამოვიდა,

რომ ვიყო მარტოდ თავისუფალი...

მაშინ, როდესაც მთელს ჩემს ქვეყანას

რისხვით დაპყურებს მაღლით უფალი?..“

(იგივე: 335).

მთიელები თავს უბედურად გრძნობენ, როცა ბარში ხალხი მტრის უღელქვეშ იჩაგრება, მაგრამ ხალხს ის აწუხებს, რომ წინამდღოლი არ ჰყავთ. მწყემსმა არ იცოდა, რომ მის წინ უფლისწული იდგა, ამიტომაც მოურიდებლად გამოთქვამს გულისტკივილს, რომ თეიმურაზ მეფემ მთას შეაფარა თავი, ბარელები კი ოხრად დაჰყარა, მაგრამ საბედნეროდ ხალხს იმედი აქვს უფლისწულის, პატარა კახის.

საქართველოს მთა და ბარი ერთმანეთის გვერდში დგას, მთიელებმა იციან, რომ ქვეყანა განსაცდელშია, თვით უქმე დღეებშიც უნდა იშრომონ, რომ ბარი გამოკვებონ. ნაწარმოებში არის ასეთი პასაჟი: როდესაც ქართველი ჯარი მტერმა რკალში მოაქცია და მეომრებს დაღუპვა დაემუქრა, ამ დროს ისინი მოულოდენლად იხსნა ბრძოლის ველზე გამოჩენილმა გლეხობამ. გლეხთა გუნდებს წინ ქალები უძღვდნენ. „მგოსანი ფიქრობს, რომ მტერზე გამარჯვების საქმეში გადამწყვეტი როლი გლეხობას განეკუთვნება: აკაკი მშრომელი ხალხის როლის ასახვით თითქოს შეავსო „ქართლის ცხოვრების“ ადგილები და ისტორიულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში თვადაზნაურობის გვერდით საპატიო ადგილი მიუჩინა გლეხობასაც“ (მინაშილვილი, 2010: 136)

შთამბეჭდავია ძველი თანამებრძოლების: გივის, ბაადურის და გელას შეხვედრა. ბაადური ომში მიღებულ ჭრილობებს დაუუძლურებია, გმირები იხსენებენ, როგორ გაჰქონდათ ბრძოლოს ველიდან დაჭრილები, გაუთავებელმა ბრძოლებმა ერთი უსახურ, უმწეო ადამიანად აქცია, მეორე კი დააბრმავა. ძველ მეომრებს იმედი აქვთ, რომ უფალი ღვთისმშობლის ქვეყანას არ გასწირავს, მხოლოდ გამოცდის.

თეიმურაზ მეფე ფიქრობს, რომ ბედის გამოცდა არ შეიძლება, ქვეყანას ვერ დააყენებს განსაცდელის წინაშე, უფლისწულს გამბედაობას ყმაწვილკაცობა აძლევსო. გივი და ბაადური ურჩევენ მეფეს, რომ ენდოს ახალ თაობას. დედოფალი თამარიც მათ აზრს იზიარებს და ამბობს, მეფე ვახტანგმა შესწირა მტერს თავი, ანდერძად მის ქვას ასე აწერია:

„...სადაც ვეღარ სჭრის
სიფრთხილე და შორსგამჭვრეტელობა,
იქ სჯობნებია გამბედაობა
და ღვთის ნანდობი საეჭველობა”
(წერეთელი, 1989: 378).

დედოფალი აღნიშნავს, რომ როგორც ქართველ ქალს, ირაკლი ქვეყნის სამსხვერპლოდ გამიზრდია და სხვა დედებთან ერთად ეს იქნება ქვეყნის წინაშე ვალის გადახდა. თამარი, ვახტანგ VI-ს ასული, ისტორიული პიროვნება იყო, სათნოებითა და სიკეთით ცნობილი, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც კახეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თამარ დედოფალი თეიმურაზ მეფეს გაბედული მოქმედებისაკენ მოუწოდებს.

ბრძოლის დაწყებისთანავე პატარა კახმა ლევთა ბელადი ალისკანტი სიცოცხლეს გამოასალმა, რამაც მტრის რაზმის არეულობა და დამარცხება გამოიწვია. ქართველები გამარჯვებას ზეიმობდნენ, რომ მტერს ურიცხვი ახალი ჯარი მიეშველა, სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში გამოჩნდა გლეხთა რაზმი, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ქვებითა და ხელკეტებით, მათმა მოულოდნელმა გამოჩენამ იხსნა ქართველთა ჯარი დამარცხებისგან. პატარა კახის მტერთან პირველი შერკინება დიდი წარმატებით დასრულდა.

აკაკი წერეთლის დრამატული პოემა „მედია“ საქართველოს ისტორიის იმ პერიოდს ეძღვნება, როდესაც „ოქროს ვერძის“ სიდიადე შორს იყო გავარდნილი.

„არგოს“ მოგზაურობა კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად და მედეას ცხოვრების ტრაგიკული დასასრული მსოფლიო ლიტერატურისათვის საუკუნეების მანძილზე უდიდეს წყაროს წარმოადგენდა. ასევე ამ მითოსურმა ნაწარმოებმა ხელი შეუწყო საქართველოს პოპულარიზაციას ძველ ცივილიზებულ ქვეყნებში, რომლის გადმოცემისას ბერძენი თუ რომაელი ავტორები კოლხეთს უმდიდრეს და ძლევამოსილ მხარედ წარმოადგენდნენ, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი XIX საუკუნის 60-იან წლებში „მედიას“ სახის ინტერპრეტაციისა, მიძინებული ეროვნული სულის გასაღვივებლად ხალხს მაგალითად დაესახა დიდებული წარსული. „აკაკის

„მედიას“ სახით მსოფლიო პოეზიის ამ დიდი ორკესტრს თავისი ხმა შეუერთა თვით კოლხეთმა, თვით მედიას მზიურმა სამშობლომ“ (ინგოროვა, 1975: 371).

„პოეტს განზრახვა ჰქონია ეს პოემა ტრლოგიად დაეწერა: „მედია კოლხიდაში“, „მედია ელადაში“ და „მედია სამშობლოში დაბრუნებული“. მაგრამ განზრახვა შეუსრულებელი დაურჩა“ (წერეთელი, 1989: 476).

აკაკი წერეთელი მოცემულ პოემაში საერთოდ უგულებელყოფს მედეას როლს ბერძენი ჭაბუკისათვის ოქროს საწმისის მიპოვების საქმესა და ქვეყნის ღალატში, მედეას ერთადერთი დანაშაული ის არის, რომ მას შეუყვარდა ბერძენი ჭაბუკი, რომელიც საქართველოსი ოქროს საწმისის წასაღებად ჩამოვიდა, იმ ოქროს საწმისისა, კოლხეთის ძლიერების საფუძველს წარმოადგენდა.

„მედიას“ რეციპირების ეს ხაზი - მედეას რეაბილიტაცია, მისი განთავისუფლება ამა თუ იმ დანაშაულისაგან, ფრიად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ქართული კულტურისათვის ამ მითის დამუშავების დროს. ამ ტენდენციის გაგრძელებას წარმოადგენს მედიას სახის ინტერპრეტაცია ცნობილი ქართველი მეცნიერისა და მწერლის ლევან სანიკიძის მიერ. მედეას თემას მწერალმა მოთხრობა „ამბავი კოლხი ასულის“ და დრამა „მედეა“ უძღვნა. „მედეას“ ლევან სანიკიძისეულ დამუშავებაში კოლხი ასული არ კლავს შვილებს, მათ მედეაზე შურისძიების მიზნით კორინთელები ამოხოცავენ“ (ნადარეიშვილი, 2017: 154).

არგონავტების მითს აპოლონიოს როდისელმა მონუმენტური პოეტური ნაწარმოები მიუძღვნა, სადაც ვრცლადა საუბარი ოქროს საწმისზე. აღნიშნულ წიგნში კოლხეთის შესახებ ვკითხულობთ: „კოლხეთი მრავალრიცხოვანი ხალხით დასახლებული ძლიერი და სუვერენული სამეფო ჩანს. კოლხეთის დედაქალაქი და სამეფო სასახლე, აპოლონიოსის ცნობით, არის კუტაისი, ფაზისში შენავებულ არგონავტებს, რომლებიც მდინარეს აღმა მიაპობდნენ ხომალდით, ხელმარჯვნივ ეკავათ მაღალი კავკასიონი და აიას ქალაქი კუტაისი“ (როდოსელი, 1975: 22).

აკაკი წერეთლის ეს პოემა კოლხიდაში „არგოს“ შემოსვლით იწყება. თითქოს ჯოჯოხეთს ზარი აეშვა, დედამიწა თრთოდა. მთა-ბარს არყევდა გმირი ამირანი, მაგრამ რადგან აქამდე ვერ ამოეგლიჯა ის უცნაური პალო, სჩანს მის სატანჯველს კეთილი დასასრული ვერ ექნებოდა. დრამის ეს ნაწილი სიმბოლურია, გმირთაგმირი

ამირანი წინასწარმეტყველურად გრძნობს, რომ მის სამშობლოს საფრთხე ემუქრება. „აკაკი წერეთელმა დრამისათვის გამოიყენა არა მარტო ელინურ-მითოლოგიური თქმულება და ძველი ბერძენი მწერლების მიერ დატოვებული ცნობები მედიასა და არგონავტების შეხახებ, არამედ ქართული ზეპირსიტყვიერების ზოგიერთი ელემენტიც, რომელიც, მისი აზრით, ამ მითოსის პირველწყაროს წარმოადგენდა“ (ქიქოძე, 1956: 2780).

საკრავის საოცარმა ხმამ, რომელიც ტკბილი ნანასავით გაისმა, მთელი სამყარო გაიტაცა; მდინარემ დინება შეწყვიტა, ქარიც გაჩერდა, მთა-ბარი აღარ იძვროდა. ამ ხმამ გააოცა მედიას მამიდა თირთა, ასეთი უცნაური ხმა მის ქვეყანაში ჯერ არ გაეგონა.

„არგო“ ფაზისის საზღვრებს მოადგა, მის დაღლილ მგზავრებს ეძინათ, არ ეძინა მხოლოდ იაზონს, რომელიც მოეხიბლა და გაეოცებინა აქაური ბუნების სილამაზეს. იაზონი ფიქრობდა, ელადა ხომ მშვენიერია, მაგრამ ეს „ბარბაროზთა მხარე“ ბევრად სჯობია, ისე, როგორც ვარსკვლავებს სჯობს გავსილი მთვარე:

„ამდენ სხვადასხვა სანახაობას

ვეღარ უმართავს ხორციელი თვალს...

სჩანს, ამ ქვეყნისვის რომ მოუცლია,

შემოქმედების დიად ძალთამალს!“

(წერეთელი, 1989:109).

ტყიდან გამოვიდა მედია და დაინახა იაზონი, ორივე ერთმანეთს გაოცებული შეჰერებდა. იაზონი ფიქრობდა, რომ მისი სახით დიანა გადმოფრენილა სანადიროდ. მედიას ძუძუდამ ხელი მოჰკიდა და ტყისკენ შეაბრუნა, გაკვირვებულმა იაზონმა ახლო გამოქვაბულს მიაშურა, ერთ მჭედელს ხელი ჩასჭიდა და აიძულა მოეყოლა ამ ქვეყნის შესახებ.

მჭედელმა იაზონს მოუყვა: იმ შავი მთის იქით ვცხოვრობთ, დიდ თემად, ჩვენ ცნობილი ვართ მჭედლობით, მთა „ჭედისიდან“ ვიღებთ რკინის გულს და ფოლად-რკინეულს ვაკეთებთ. ეს კოლხიდის მხარეა, დიდი ივერიის მცირე ნაწილი,

სიმდიდრითა და სილამაზით ცნობილი, მისი მფლობელია იათა მამასახლისი. ის მონადირე ქალი, ცოტა ხნის წინ თვალი რომ მოჰკარი, მედიაა, მამასახლისის მზეთუნახავი ასული, რომლის მშვენიერებაზე მთელი ქვეყანა საუბრობს.

მჭედელმა იაზონს ისიც უთხრა, რომ ეს ქვეყანა იმ გმირი ამირანის სამშობლოა, რომელიც ღმერთებს არ დაემორჩილა და მათი შურისძიების მსხვერპლი გახდა - ღალატით ერთმა კოჭლმა მჭედელმა მთას მიაჯაჭვა.

იაზონმა მედიას ძიძისაგან გაიგო, რომ აქ ბევრი ჩამოსულა მასავით მედიას სიყვარულით შეპყრობილი და ბედის მაძიებელი, მაგრამ უკან აღარავინ დაბრუნებულა, მათი თავები მაღალი კოშკის ოქროს გალავნით შემორტყმულ სარებზეა ჩამოცმული.

იაზონი კმაყოფილია, რომ ამ საოცარ ქვეყანაში გამოემგზავრა. ცდილობს ეს მხარე უფრო კარგად შეისწავლოს, რომ სხვა სასიძოების ბედი არ გაიზიაროს. მოხერხებული იაზონი დუმეგობრდა მამასახლისის შვილს იასარს, მისგან გაიგო, რომ მედიას შერთვას ისე ვერ შეძლებდა, თუ მათ ძლიერ მოჭიდავეს არ დაამარცხებდა, მოჭიდავე კი ქალია, რომელსაც მამაკაცივით აცვია, თუ ძუძუში ხელს მოავლებდა, მაშინვე ძირს დასცემდა. იაზონმა მოწინააღმდეგე დაამარცხა. გამარჯვებული იაზონი მამახასლისმა იათამმა გვერდით მოისვა, ხოლო მედიამ თავისი ხელით დაადგა სამეფო გვირგვინი.

იათამ და გექადამ იაზონს უთხრეს, რომ მედიას სატრფო ღვიძლივით ეყვარებოდათ, ამიერიდან მათი სამეფოს სიმდიდრე იაზონის საკუთრებასაც წარმოადგენდა, მაგრამ იაზონის სურვილი სულ სხვა რამ იყო, მას სურდა მეფის ოქროსმატყლოვანი ვერძი ელადისთვის დაებრუნებინა, რაც, მისი თქმით, ორ ქვეყანას შორის კავშირს სამუდამოდ შეკრავდა, მეც ცოტა სახელს მოვიხვეჭ, მედია კი ქვეყნის სიყვარულსო.

იათა არწმუნებდა იაზონს, რომ ოქროსმატყლოვანი ვერძის ამბავი მითია, ჭორი, ზღაპარი, რითაც კოლხიდაში ბავშვებს აძინებენ, აქ რა უნდოდა საბერძნეთის ოქროსმატყლოვან ვერძის, ჩვენ მსოლოდ მდინარეების ჩამონატარებ იქროს სილას ვიჭერთ ტყავებით, აქვე დგას ჩვენი მამა-პაპის მიერ ჩამოსხმული ოქროს ვერძი,

რომელიც ზეციური ვერძის სახეა, ჩვენ თაყვანს ვცემთ მას, კოლხეთის მფარველს. იაზონმა იათას მიუგო: ვერძი თუ ხელქმნილია, იმის მსგავსი სხვა ჩამოასხით:

„და ეგ დიდი ხნის სადაო ნივთი

თან გაატანეთ თქვენს ქალს სჩუქრად

და გულნატკენი ზღაპრით ელლადა

მით გაიხადეთ ისევ მეგობრად!“

(იგივე: 442).

იათამმა იგრძნო კარს მომდგარი საშიშროება, რომ ბერძნის მოყვრობა კარგს არაფერს მოუტანდა ჩვენს ქვეყანას, თანაც ელადა განთქმულია გაუტანლობით, უმადურობითა და მედიდურობით. მათთან ქალები ქმრების პირად მონად ითვლებიან, მათი საქმიანობა მხოლოდ დაკეტილ კარს მიღმა დართვა და ქსოვაა, კოლხეთის ქალი კი ქვეყნის ავ-კარგ საქმეშია ჩართული.

მოცემულ მონაკვეთში აკაკი წერეთელი ხაზს უსვამს ქართველი ქალის აქტიურობას საზოგადო საქმეში. აკაკი თვლიდა, რომ ქალი ჩართული უნდა იყოს საქვეყნო საქმეებში, ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: „დედათა სქესი ისე მაღალ წერტილზედ ბევრგან არა მდგარა, როგორც ჩვენში და დღესაც მე მხოლოდ მაშინ ვიწამებ ჩვენის ხალხის გამოღვიძებას, როდესაც ჩვენი ქალები ყოველს კეთილსა და საზოგადოებისადმი კეთილ-ნამყოფის მომტან მოვლინებაების არა თუ თანა-მგრძნობნი, თანა-მომქმედნიც იქნებიან“ (წერეთელი, 1990: 138).

წარმოდგინე, რა მოელის მათთან ჩვენს ცქრიალა მედიას, ის ვერ აიტანს ბერძნის ქალობას, სჯობს ჩვენი ქალი მცხეთის მამასახლისს მივათხოვოთო, უთხრა იათამმა გექადას. „აკაკი წერეთელმა არა მარტო გააქართულა, არამედ გაათანამედროვა კიდეც თავისი „მედია“, ესაა ერთი გულუბრყვილო ცქრიალა გოგონა, დანდობილი და თავქარიანი“ (ქიქოძე, 1965:279).

მაგრამ ამ დროს იათანთან საშინელი ამბის მომტანი შემოვიდა და მოახსენა, რომ იაზონმა ოქროს ვერძის მცველები ხრიკებით დაამარცხა, მედია კი გაიტაცა

ოქროს ვერძთან ერთად. იასარი მიხვდა, რომ მედია სიყვარულმა აცდუნა და გასცა გველვეშაპის დამარცხების საიდუმლო, რაც იაზონს მიზნის მიღწევაში დაეხმარა.

იაზონს მდევრები დაედევნენ. მათ ნახეს, რომ მამასახლისის შვილი იათა ბერძნებს აღელვებული ზღვის დასამშვიდებლად, თავისიანი რომ ვერ გაეწირათ, წყალში ჩაეგდოთ ყელგამოჭრილი.

იასარს მხოლოდ ერთი სურვილი ამომრავებდა: სამაგიერო გადაეხადა მტრისთვის მისი შვილების დაღუპვისა და ქვეყნის შერცხვენისათვის.

ასეთია „მედიას“ მოკლე შინაარსი, მოყვრულად მოსულმა მტერმა საძირკვლი გამოაცალა ოდესლაც ძლევამოსილ სახელმწიფოს, ისე, როგორც „კეთილმოსურნის“ სახელით მოსული ქვეყანა მე-19 საუკუნეში ცდილბდა ამოეძირკვა ყველაფერი ქართული. აღნიშნული ნაწარმოები კიდევ ერთი შემოძახილია აკაკისდროინდელი ქართველებისთვის, რომ ჩვენ, ძველი და გამორჩეული კულტურის მქონე ხალხს, უფლება არ გვაქვს, ძველებურად არ გავგრძელოთ „მემეულისა სვლაი“ და ისევ არ ვიყოთ შემოქმედი და პროდიქტიული ერი. პოეტი დარწმუნებულია, რომ ისტორიული გამოცდილება უკეთესი მერმისის შექმნის საქმეში დიდ დახმარებას გაგვიწევს.

„აკაკი წერეთელი თავის „მედიაში ვერ იძლევა შორეული წარმართული ეპოქის დამაჯერებელ ასახვას, ამის გარდა დრამატულ განვითარებას სინათლე და დინამიკურობა აკლია, ხოლო მოქმედ გმირებს რელიეფურობა. ამ სუსტი მხარეების მიუხედავად, „მედია“ ქართულ ლიტერატურაში მაინც საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, როგორც პირველი ცდა ანტიკურ მითოლოგიურ სიუჟეტზე დრამატული ნაწარმოების დაწერისა“ (ქიქოძე, 1965, 280).

აკაკი წერეთლის დრამატულ ნაწარმოებს განეკუთვნება პოემა „თამარ ცბიერი“, რომელიც აკაკის 1885 წელს დაუწერია. ნაწარმოები ამავე წელს თეატრში დაიდგა: „თეატრი სავსე იყო, საზოგადოებას ძალიან მოეწონა პოეტის ახალი ნაწარმოები, ავტორი ბევრჯერ გამოიწვიეს და დიდის აღტაცებით, ხანგრძლივის ტაშისკვრით გადაუხადეს მადლობა“ (წერეთელი, 1989: 474). დიდმა ქართველმა კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ ამ თხზულების მიხედვით დაწერა ოპერა „თამარ ცბიერი“.

„თამარ ცბიერის“ მთავარი მოტივი პატრიოტიზმია. ნაჩვენებია პოეტის ვალდებულების და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ძალა, ფიზიკური სილამაზის და მაღალი სულიერი მშვენიერების ურთიერთმიმართება. პოემაში ასახულია აგრეთვე სამეფო კარისა და დიდებულთა მორალური სიდუხჭირე და ქვეყნის სავალალო მდგომარეობა. პოეტი დაუზოგავად კიცხავს მეფეს, დიდებულებს და მაღალ სასულიერო პირებს. „არც ერთ ნაწარმოებში არა აქვს აკაკი წერეთელს ისე კარგად გადმოცემული ეპოქის სული და ადგილობრივი კოლორიტი, როგორც თამარ ცბიერში“ (ქიქოძე, 1965: 2850).

თამარ დედოფალი ისტორიულად ცნობილი პიროვნებაა. „საისტორიო და ლიტერატურული წყაროების დახასიათებით, თამარი იყო „ფრიად კეკლუცი და აღმატებული მშვენიერებითა, სრულ უმეტესად“ (მინაშვილი, 2010: 130).

დრამაში ასახულია იმერეთის სამეფო VII საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, გიორგი გურიელის მეფობის ტრაგიკული პერიოდები, დარეჯან დედოფლის ცხოვრების ეპიზოდები. „თამარი, როგორც ქალი და დედოფალი, თავისი უარყოფითი თვისებებით პროდუქტია იმ ისტორიული უბედურებისა და მორალური დაცემისა, რაც მე-17 საუკუნის დასავლეთ საქართველოს მთავართა უსაზღვრო ფეოდალურმა ეგოიზმმა გამოიწვია. დედოფალი თამარი ხდება საგანი დაუსრულებელი ბრძოლებისა მეფეთა და მთავართა შორის“ (ქართ. ლიტ. ისტ., 1974: 161).

მაშინ, როცა მშვენიერება ხდება ბიწიერების, მრუშობისა და სიძვის, ვერაგობისა და ღალატის, დაცემის მიზეზი, ამგვარი სილამაზე უარსაყოფი, საზიზღარი და დასაგმობია. სწორედ ასეთ უარყოფით მოვლენად მიაჩნდა პოეტს თამარ ცბირის სილამაზე და თვით თამარი:

„დიდი ხანია ლეჩაქის ნაცვლად,
ეშმაკის ქსელი მას თავზე ხურავს
და იმერეთი, მისგან გარყვნილი,
დღეს ბოროტების მორევში სცურავს!“

(წერეთელი, 1989: 262).

თამარ ცბიერის ზღაპრული სილამაზის გამო აოხრდა მთელი ქვეყანა, მის გამო ერთმანეთს ეჯახებოდნენ მეფე, მთავრები, ერისთავები და აჩალებდნენ ძმათა სისხლისმღვრელ ომებს. მისი სილამაზე დამღუპველ ძალად მოევლინა ქვეყანას. ყველას გულთამპყრობელს, თამარს, ვერ დაუჯერებია, რომ მგოსნის, გოჩას სიყვარული ვერ დაიმსახურა. პოეტი ხალხის წრიდან გამოსული მგოსნის იდეალურ სახეს გვიხატავს, მისი მთავარი მიზანი დაცემული ქვეყნის აღდგენა, გაერთიანება და გაძლიერებაა.

მგოსანი ირონიითა და ზიზღით უყურებს ისეთი მომხიბლავი, მაგრამ ვერაგი ქლის სიყვარულს, როგორიც თამარ ცბიერია:

„.... თვალწინ მეხატვის

შენი ნაღვაწი სისხლისა კალო:

მომაკვდავთ კვნესა, ქვრივ-ობლის წყევა,

ქვეყნის ღაღადი, ერთა ყვედრება“

(იგივე: 278).

გოჩა-მგოსანი სათავეში უდგას თამარ ცბიერის განადგურებისთვის შეთქმულებას. მისი მიზანია ერის შეერთება, სხვადასხვა სამთავროდ და სამეფოდ დაქსაქსული და დასუსტებული ქვეყნის მთლიან სახელმწიფოდ გაერთიანება და მტერთა ჩაგვრისაგან სამშობლოს გათავისუფლება.

აკაკი ისტორიულ ცხოვრებიდან აღებული ამგვარ პერსონაჟთა დახატვით გმობდა იმ მანკიერ თვისებებს, რაც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის მომავალს, ადამიანთა კეთილდღეობას.

აკაკის ისტორიული პოემა „ბაგრატ დიდი“ შეიქმნა 1875 წელს, პოემა ეხება საქართველოს ცხოვრების ერთ-ერთ მღელვარე ეპიზოდს, თემურ ლენგის შემოსევებს, როცა მართლაც, როგორც ავტორი ამბობს, საქართველოს ლაჟვარდოვან ცას ღრუბელი გადაეფარა. მას შემდეგ, რაც დიდი თამარი გარდაიცვალა, საქართველომ წყლულები ვეღარ მოიშუმა. მონგოლები კალიასავით შემოესივნენ ქვეყანას. თემურლენგს მოუწადინებია კოჭლობისათვის შური იძიოს და ყველა ის ქვეყანა დააკოჭლოს,

რომელზედაც ქება სმენია. რადგან მაშინ საქართველოს დიდების სახელი შორს იყო გავარდნილი, კოჭლ თემურს შურით ძილი გაკრთომია, მოგვითხრობს ავტორი.

თემურ ლენგი ურიცხვი ლაშქრით შემოესია ქვეყანას და ბაგრატ მეფე ტყვედ წაიყვანა, მაგრამ მამის კვალზე მდგარ გიორგის შემწეობით ქართლის სრული დაპყრობა ვერ შეძლო. ამ თავგანწირული ბრძოლის სურათებში ავტორი ხატავს ბაგრატის გარეგნული გამაჰმადიანებისა და სამშობლოსათვის თავდადების დიდ ისტორიულ მოვლენებს. თემურ ლენგის შემოსევით გამოწვეული აოხრება უმაგალითო იყო, მისმა შემოსევამ ქვეყანა ისე დაასუსტა, რომ საქართველომ დიდხანს ფეხზე დადგომა ვეღარ შეძლო.

1836 წელს თემურლენგი დიდმალი ჯარით თბილის მოადგა, ქართველთა მეფე ბაგრატი ციხეში გამაგრდა, ქვეყანამ ვერ გაუძლო ურიცხვი მტრის შემოსევას და დამარცხდა, მტერმა მეფე ტყვედ ჩაიგდო და მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა. „ქართული და სომხური ისტორიული წყაროების თამახმად, ბაგრატმა თემურისაგან თავის დაღწევისა და სამაგიეროს გადახდის მიზნით, გარეგნულად მაჰმადიანობა მიიღო. თემურმა უხვად დაასაჩუქრა ქართველი მეფე. ბაგრატმა ყაენს აღუთქვა მთელი საქართველოს დაპყრობა და გამაჰმადიანება. გახარებულმა თემურმა 12000 რჩეული მეომრით გამოისტუმრა იგი საქართველოში. როდესაც ბაგრატ მეფე მოუახლოვდა საქართველოს საზღვრებს, მან წინასწარ გაფრთხილებული შვილის, გიორგის მეოხებით მთლიანად გაჟლიტა თემურ-ლენგის ჯარი და ამით შური იძია მტერზე“ (მინაშვილი, 2010: 103).

ისტორიული პიროვნებები აკაკი წერეთელმა პოემაში ისე წარმოადგინა, როგორც ისტორიამ შემოგვინახა მათი სახეები, ასევე პოეტმა მდიდარი მხატვრული გამონაგონი და ისტორიულ სახე თავისი ფანტასტიკური ოსტატობის წყალობით ერთმანეთს გვერდით ამოუყენა, პოეტურად შეავსო და გარკვეული ნიშნით წარმართა მათი ურთიერთობები, ასევე დაუკავშირა თანამედროვეობის მწვავე პრობლემებს.

პოემაში ისტორიული პიროვნება არ არის იოსები, ბაგრატ მეფის მოძღვარი, იგი ერთგვარი ეპიზოდური სახითაა ნაჩვენები, მაგრამ მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. იოსები საყვედურობს ბაგრატს, რომ ღმერთი უარჰყო,

მაგრამ ბაგრატი ახსენებს მოძღვარს საქართველოს მძიმე ყოფას, როგორ დაჯირითობდა მტერი ქართველთა გვამებზე, ამიტომ:

არც ეს ქვეყანა, არც ის ქვეყანა

მე აღარ მინდა, არც ერთი არ მსურს,

სანამ ლენგ თემურს სამაგიეროს

არ გადავუხდი და მივაგებ შურს“

(წერეთელი: 1989: 17).

თემურ ლენგს მთელი ხმელეთის დაპყრობა განუზრახავს, ამ საქმისათვის ძლიერ მოკავშირეს ეძებს, მაგრამ ფიქრობს, რომ ქართველებზე კარგ მეომრებს ქვეყნად ვერსად ვერ ნახავს, გამორჩეულები არიან მტკიცე გულითა და დაუმონებელი ბუნებით, მთელი აზია მოვლილი მაქვს და მსგავსი ხალხი არსად მინახავსო, თემურ ლენგი ფიქრობს, რომ რადგან ბაგრატმა მაჰმადის სჯული მიიღო, ხალხიც გაჰყვაბა მის კვალს, ეს კი ორ ტომს ადვილად დაახლოებს, და თუ ამ საქმეში დამეხმარები, დაპყრობილი ხმელეთის ნახევარს შენ მოგცემო. გონიერი და შორსმჭვრეტელი ბაგრატ დიდი ცბიერ თემურლენგს პასუხობს, რომ ხალხი ენდობა თავისუფალი მეფის სიტყვას და არა დატყვევებულსო. ბაგრატის დახმარების იმედით ცდუნებულმა და მოტყუებულმა თემურ ლენგმა მეფე დიდალი ლაშქრით საქართველოში გამოისტუმრა.

„ნათელა“. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მტკიცნული თემა ისტორიის მანძილზე დაქსაქსულობა იყო. „ძალა ერთობაშია“, სწორედ ამ ერთობისაკენ მოუწოდებს აკავი წერეთელი ქართველებს პოემაში „ნათელა“. ერის კონსოლიდაციაზე საუბრობს პოეტი წერილშიც „ჩანგური“: „მართალია, მხარეებს თავისი საკუთარი ფერი აქვთ, თავისი კილო და თავისი კერძო მიმოხვრა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სულის მოძრაობა, გულის თქმა და ერთ-ხმობა კი მრავალ-გვარობის შეთანხმებით უფრო დიდებული და უფრო მჭიდროა“ (წერეთელი, 1990: 128-129).

ქვეყნას ბნელი და საზარელი დრო ედგა, „გახმა ია, დასჭინა ვარდი!“ ერთი ძუძუთი გამოზრდილი ამერ-იმერი ერთმანეთს გადაემტერა, ამით ისარგებლეს

მონგოლებმა და შური უფრო გაარღმავეს, რამაც საქართველო ადრინდელის აჩრდილად აქცია, მოგვითხრობს პოემაში აკაკი წერეთელი.

პოემის მთავარი პერსონაჟი ცოტნე დადიანი ისტორიული პიროვნებაა, ცხოვრეობდა მე-13 საუკუნეში. „ცოტნე ყოფილა ძე ერისთავთ-ერისთავის შერგილ დადიანისა. მატიანის ფურცლებზე ცოტნე დადიანი მოხსენებულია, როგორც კაცი წარჩინებული, სათნოებიანი... ბრძოლათა შინა სახელოვანი, საკვირველი და ყოვლისა ქებისა ღირსი“ (ქარ. ლიტ. ისტ., 1974: 165). მისმა წარმოუდგენელმა გმირობამ გააოცა მონგოლთა ნოინი, მისმა გამბედაობამ იხსნა შეთქმულთა მონაწილენი სიკვდილისაგან, მისი გმირობის შესახებ ქართულ ლიტერატურაში არაერთი თხზულებაა შექმნილი.

მონღოლთა ბატონობის მძიმე პერიოდის შესახებ საქართველოს ისტორია მოგვითხრობს, რომ მეტად მძიმე პირობებით შეწუხებულმა ქართველებმა გადაწყვიტეს მონღოლები საქართველოდან გაეძევებინათ, ამ მიზნით ქართველი დიდებულები შეიკრიბნენ კოხტასთავს, შეთქმულებაში ცოტნე დადიანიც მონაწილეობდა. „აჯანყების მიზეზი თვით მონღოლთა ბატონობის რეჟიმმა წარმოშვა. ქართველობას აუტანელ ტვირთად აწვა მონღოლურ ლაშქრობებში მონაწილეობა. 1246 წლიდან მონღოლთა იმპერიაში დაწესდა მამაკაცთა 20 პროცენტის ყოველწლიური გასვლა ომში, ეს ვრცელდებოდა საქართველოზეც. მუდმივ ლაშქრობას ვერ უძლებდა ქართული ფეოდალური ჯარი“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1979: 554).

მეორე მთავარი მოქმედი პირია ნათელა, „მოდი ნახეს“ ციხის პატრონი, წერეთლის უმშვენიერესი ქალი. ნათელა გამონაგონი პერსონაჟია, ჩვენი წარსულის შესწავლის საფუძველზე მხატვრულად ხორციელდებოდა. მის სახეში განზოგადებულია ქვეყნისთვის თავგანწირული ქართველი ქალი, რომელსაც მოსვენებას არ აძლევს ლიხს იქითა საქართველოს ბედი:

„თვალწინ მეხატვის ერთი რამ,
ისა მკლავს და ის მაღონებს:
ლიხს იქით მოძმე ქართველი
ყმად გაუხდიათ მონგოლებს!“

(წერეთელი, 1989: 176).

ავტორს პოემაში ამბის გადმოსაცემად ზღაპრული ელემენტები ჩაურთავს. ნათელას წვრილწელიანი და ფართობეჭებიანი ჩოხა შეუკერავს, მხოლოდ მას გაჰყვება ცოლად, ვინც ამ ჩოხას მოირგებს. ერთ დღესაც ერთმა უშიშარმა ჭაბუკმა გადალახა ადიდებული მდინარე, მოირგო ნათელას შეკერილი ჩოხა, მაგრამ ქალმა ახალი დავალება მისცა, ას ოცი მტრის თავი უნდა მიერთმია მისთვის. რაინდმა ქალის ეს დავალებაც შეასრულა, მაგრამ ნათელას სურვილი კიდევ უფრო სხვა იყო: უნდოდა, მისი რჩეული გაჭირვებაში მყოფ ქართველებს დახმარებოდა. ეს გმირი რაინდი იყო ცოტნე დადიანი, რომელიც გაემართა ნოინის მიერ შეპყრობილ თანამოძმეებთან და შეუერთდა მათ.

ნოინი გააოცა ქართველების საოცარი მეგობრობის უნარმა, ქართველ რაინდებთნ ერთად არანაკლებ მოიხიბლა ქართველი ქალის გონიერებითა და ქვეყნის სიყვარულით, რამაც ნოინს შემდეგი სიტყვები ათქმევინა:

„საქართველოს მფარველი
დიდი ყოფილა... ძლიერი!“

(იგივე: 191).

საქართველო ოდითგანვე გამოირჩეოდა რაინდებით, მაგრამ ამგვარი ქალების პატრონი ერი კიდევ უფრო ძლიერია.

მოცემულ პოემაში ეროვნული მთლიანობის იდეა ცოცხალ მხატვრულ სახეებშია განხორციელებული. ნათელას სიმღერა - „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“ - გამოხატავს მთელი საქართველოს, მისი ყოველი კუთხის პატრიოტთა გრძნობას და მისწრაფებას.

პოემა „თორნიკე ერისთავი“ ეხება მეათე საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ მოვლენებს. აღნიშნულ ეპოქაში საფუძველი ჩაეყარა საქართველოს გაერთიანებას, ჩვენი ქვეყანა ტოლს არ უდებდა მეზობელ ხალხებს, ქართველები აგებდნენ კულტურის ცენტრებს, აყვავებას განიცდიდა ქართული კულტურა და მეცნიერება, ქართველებს შესწევდათ უნარი დახმარება გაეწიათ ძლიერი საბერძნეთისთვის ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში.

„976 წელს აზიის სარდლის ბარდა სკლიაროსის მეთაურობით ბიზანტიის სამეფო კარის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა, აჯანყებულებმა დაამარცხეს ბიზანტიის კეისრის ბასილის ჯარები და მიადგნენ სატახტო ქალაქს, ბასილ კეისარმა დახმარებისთვის მიმართა ტაო-კლარჯეთის მეფეს დავით კურაპალატს, დავითმა დასახმარებლად 12000 ქართველი მიაშველა ბერძნებს თორნიკე ერისთავის მეთაურობით. ქართველმა მეომრებმა ბარდა სკლიაროსი სასტიკად დაამარცხეს. მადლიერმა ბასილმა ამ დახმარების სანაცვლოდ დავითს დიდი მიწა-წყალი აჩუქა“ თორნიკე კი უხვად დაასაჩუქრეს. (ქართ.ლიტ. ისტ., 1974: 153). პოემაში სწორედ ეს სახელოვანი ისტორიული ფაქტია ასახული.

„ნაშთი ძველი დიდებისა, არ გამქრალა ჯერაც ყველა“ (წერეთელი, 1989:24). ეს სიტყვები სწორედ „თორნიკე ერისთავის“ პროლოგიდანაა. აკაკი წერეთლისთვის წარსული რალურად არსებული სამყაროა, სადაც ქართველი კაცის ცხოვრების შინაარსია შენახული, აწმყოს საჭიროებამ სწორედ ამ შინაარსის წაკითხვა აქცია ამოცანად, წარსულიდან გამოხედვა სრულიად ბუნებრივია და რეალიზმის კანონებით არის ნაკარნახევი. „მწერალმა შეძლო გადმოეცა ეპოქის სული, მხატვრული განზოგადების სიმაღლეზე აეყვანა მატიანის მშრალი ქრონიკა და ისტორიიდან ნასესხები სიუჟეტი მძაფრი დინამიკით განევითარებინა“ (ქარ. ლიტ. ისტ., 1974:153).

ქართველ კაცს სჭირდებოდა დიდებული წარსულის აღდგენილი ხატი. XI-XII საუკუნეების საქართველოს სიძლიერეში არავის არ ეპარება ეჭვი, ამიტომ არ გამოიყურება პათეტიკურად აკაკი წერეთლის თორნიკე ერისთავის პროლოგი, „უთვალავი საგმირონი“ საქმეები ქმნიან განუწყვეტელ ჯაჭვს, „წარსულ ნერგზედ ახალ ნამყნის ველოდებით შეხორცებას“, აქ პირდაპირ არის ნათქვამი პოემის დედააზრი, თითქოს ხელით ეხება აკაკი თავის წინაპრებს, იმდენად ღრმა გრძნობით არის გადმოცემული წარსულის სურათები.

მეფე დავით კუროპალატს წვეულება გაუმართავს, „საქართველოს ყველა კუთხით მოეყარა თავი ერსა“, პოეტი ხაზს უსვამს ჩვენი ქვეყნის ერთიანობას, რაც ძლიერების საწინდარია, საქართველოს კუთხეებს სიყვარული აერთიანებს, გარეშე

მტერი დათრგუნულია, თუმცა დავით კურაპალატის დროინდელ საქართველოს არც საომარი წლები აკლდა.

მეორე დღეს ნადიმს ცვლის დარბაზობა, ავტორს უბადლო ოსტატობით აქვს გადმოცემული ძველი ქართული ზომიერი სმისა და ჭამის კულტურა, პოემის ამ ნაწილზე მოხდენილად შენიშნავს კრიტიკოსი ჯანსულ ღვინჯილია: „სადღეგრძელოებსა და ფრთიან ზმებს იქით, პოეტი რომ აღწერს, ის დარბაისელი ქართველობა ჩანს, ზედმეტი სიტყვა ან მოძრაობა რომ არ უყვარდა, ერთად მღერიან და საქართველო დიდ დარბაზად წარმოუდგენიათ, თითქოს ყოველდღიური ცხოვრებით შედუღაბებული ოჯახი ზეიმობს თუ ილხენს (ღვინჯილია, 1989: 338).

ქვეყნის მაღალ კულტურაზე მიანიშნებს საოცარი მოწიწება და პატივისცემა მეფესა და მის ქვეშევრდომებს შორის. ქვეყნის წინაშე დიდი ამაგისა და დამსახურების მქონე თორნიკე, უკვე მცხოვანი, მზად არის გზა ახალგაზრდებს დაუთმოს, ის წინ არ ეღობება მათ და ცდილობს ის ნაბიჯი გადადგას, რაც ქვეყანას წაადგება, სურს, რომ ეს საპასუხისმგებლო თანამდებობა უფრო ენერგიულმა და ღირსეულმა თაობამ დაიკავოს:

„მეფისა და სამშობლოს წინ,

მართალია, მიძღვის ღვაწლი,

მაგრამ მეფევ სხვას დავუთმობ

აწ სამსახურს... სხვას დავაცლი!“

(წერეთელი, 1989: 35).

აკაკი წერეთელს პოემაში აფრანიკესა და ორბელიძის ბრძოლის ეპიზოდი აღებული აქვს ისტორიული სინამდვილიდან. „ბიზანტიელი მემატიანები მოგვითხრობენ, როდესაც ბარდა სკლიაროსის ჯარი პანკალიის ველზე გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაება იმპერიის ერთგული ჯარის წინააღმდეგ, პირველად ამ უკანასკნელმა უკან დახევა დაიწყოო, მაშინ ასპარეზზე ამხედრებული ბარდა ფოკა წამოიჭრა და ორთაბრძოლაში გამოიწვია ბარდა სკლიაროსიო. მშვენიერი სანახავი იყო ამ ორი თანაბრად მამაცი და სულიერად ძლიერი ვაჟკაცის დუელის სურათიო. ხმლის ერთი შემოკვრით სკლიაროსმა თურმე ყური ჩამოათალა ფოკას ცხენს, მაგრამ

ფოკამ სკლიაროსს თავისი რკინის ლახტი ისე ღონივრად დაარტყა თავზე, რომ მისმა მეაბჯრებმა გულწასული ჩამოიყვანეს ცხენიდან. მისმა ჯარისკაცებმა იფიქრეს, სკლიაროსი მოკლულიაო და გაიქცნენ“ (ქიქოძე, 1965: 283).

ქვეყნის წინაშე ვალმოხდილმა თორნიკემ ათონის მთას მიაშურა, თუმცა ის არც იქ არის უქმად, იქაც, ათონის ივერთა მონასტერში, თავის ქვეყანასა და მისი კულტურის ამაღლებას ემსახურება.

პოეტი სიამაყის გრძნობით მოგვითხრობს ქართველი ხალხის გმირობაზე, მის ღრმა პატრიოტულ შთაგონებასა და ჰუმანიზმზე, მის ისტორიულ დამასახურებაზე კაცობრიობის წინაშე, იმედოვნებს, რომ დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი ერი ისევ დაადგება დიდების გზას, პოემაში გამოსჭვივის დამონებული სამშობლოს უკეთესი მომავლის რწმენაც. მას წმინდა ნინოს, ქეთევანისა და თამარის სული გადაარჩენს, შეუძლებელია დაკნინების გზას დაადგეს ის ერი და ენა, რომლითაც თამარი ბრძანებას გასცემდა, რომელსაც წმინდა ქეთევანი ადიდებდა და ნინო ღვთისმშობლის მცნებას უქადაგებდა. აკაკის აზრით, ქართველი კაცის ზნეობრივი ამაღლება, ეროვნული თვითშეგნებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ქართველ ხალს ეყოლება ზნეობრივად სპეტაკი და ამაღლებული ადამიანები, ასეთი იდეალის სიმბოლურ გამოხატულებად აკაკიმ სამი ქალი მიიჩნია - ნინო, თამარი და ქეთევანი.

ჩემი თავგადასავალი ავტობიოგრაფიული ხასიათის მხატვრული ნაწარმოებია. აღნიშნულ ნაწარმოებზე კრიტიკოსი კიტა აბაშიძე წერს: „ჩვენში ამგვარი მწერლობა არ არის განვითარებული, ამ მხრივ აკაკი წერეთელი შეიძლება ნოვატორადაც ჩაითვალოს. ეს ნოვატორობა კი მნიშვნელოვანია, რა უნდა იყოს უფრო საინტერესო, ვიდრე ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების აღწერა“ (კოტეტიშვილი, 1959: 397).

„ჩემი თავგადასავალი“ საინტერესო დოკუმენტია, ავტობიოგრაფიულ მასალასთან ერთად პოეტი გვაძლევს იმ ცნობილ ისტორიულ პირთა გალერეიას, რომლებთანაც აკაკის თავად უხდებოდა მოღვაწეობა და რომლებიც მასთან ერთად იღვწოდნენ ქართული კულტურის განვითარებისთვის. აკაკის თვალით დანახული და თავისებურად გადმოცემული ამ პირთა პორტრეტები, რა თქმა უნდა, ყველა

დროის ლიტერატურის მკვლევრისთვის თუ ჩვეულებრივი მკითხველისათვის საინტერესო და ძვირფას მასალას წარმოადგენს.

გაზეთ „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე, აკაკის თქმით, ნამდვილი ქართველი იყო „მისი ნაკლით და ნამეტნობით“, „ფული იმიტომ კი არ უყვარდა, რომ ქონება შეეძინა, არამედ შესაჭმელად დაემებდა, თვითონაც სჭამდა და სხვასაც აჭმევდა, გაშლიდა სუფრას, შემდეგ მოჰკიდებდა ხელს თარს და შემოსძახებდა თავისებურად. ძვირად კი უჯდებოდა თითო მოლხენა“ (წერეთელი, 1989: 99). აკაკი მასზე შენიშნავს, რომ მეტად საყვარელი და საამხანაგო კაცი იყო, მაგრამ რედაქტორად კი ვერ იყო მომზადებულიო.

აკაკი დიდი სიყვარულით იხსენიებს პოეტ ალექსანდრე ორბელიანს. „პატივით და მოწიწებით მიგიღებ, როგორც წერეთელს და როგორც აკაკის მინდა გადაგეხვიოო“, უთქვამს ალექსანდრეს აკაკისთვის, პირველად რომ შეხვედრიან ერთმანეთს. „ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის გამგონე და ნაღვაწი, ძალიან უყვარდა საქართველო. ...ბევრი რამ ძველი და ახალი იცოდა. ღამე როცა მარტო დარჩებოდა მეგობრებთან, სანთლებს ჩააქრობდა და ხმის კანკალით მოჰყვებოდა ძვალ ამბებს“ (იგივე: 102) აკაკი ალექსანდრე ორბელიანს განსაკუთრებული სიყვარულით იხსენიებს და ხაზს უსვამს მის პატრიოტიზმს: „საქართველო განსხვავებულად უყვარდაო“.

აკაკი ჩამოთვლის გაზეთ „ცისკრის“ თანამშრომლებს და მათ შორის განსაკუთრებულად გამოჰყოფს ლავრენტი არდაზიანს. მას ასე ახასიათებს: „ჩუმი კაცი იყო, სათნო, მის ქართველობას საზღვარი არ ჰქონდა, ერთი შეხედვით არ მოგეწონებოდა, მაგრამ შესანისნავი მწერალი იყო“ (იგივე: 103).

პოეტის თქმით, 60-იანი წლების გამორჩეული მოღვაწეები არიან : გ. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე. გნასაკუთრებული ყურადღებით გვიხასიეთებს გიორგი წერეთელს. „ის იყო ნიჭიერი და კარგად მომზადებული ახალგაზრდა, სხვებივით მხოლოდ დიპლომისთვის არ სწავლობდა, იყო ძალიან მშრომელი, ვერ შეატყობდი დაღლას. როგორც ოჯახში ხელმოკლე კაცი, ყველაფერს თვითონ ეპოტინებოდა: რედაქტორიც იყო, გამომცემელიც, წერდა სტატიებს, პუბლიცისტურ წერილებს, ლექსებს, პროზებს, მოთხოვნებს, რომანებსა და კომედია დრამებს.

ცდილობდა ისტორიკოსობას, არქეოლოგობას, ფოლოლოგიას და ბოლოს კომერსანტობასაც. მის შრომას ორი ბეჭედი აზის: ნიჭისა და მოქანცვისა, ეს ბევრჯერ მითქვამს მისთვის, მაგრამ თავისას არ იშლიდა“ (იგივე: 104). პოეტის თქმით, მისი პირდაპირი დანიშნულება იყო პროზაიკოსობა, მას ასევე თვლიდა რეალური სკოლის მამამთავრად.

სერგეი მესხი ივანე კერესელიძის შემდეგ გაზეთი „დროების“ რედაქტორი იყო,

პოეტის თქმით, რადგან გაზეთს დამხმარე არ ჰყავდა, შრომა სულ მას დააწვა კისერზე და ამ შრომამ კიდეც გადაიტანაო. „დიდი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც ის მოკვდა, მაგრამ უმისოდ ვერაფერი საზოგადო საქმე ვერ წარმომიდგენია, ცოცხალივით დგას გვერდით და თანაგრძნობნობით იძლევა სიმხნევეს“ (იგივე: 105).

ნიკო ნიკოლაძემ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, იქ წესწყობილებას ვერ შეეგუა და წავიდა საზღვარგარეთ, საქართველოში დაბრუნების ნება არ ჰქონდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ის დრო კეთილად მოიხმარა.

„საქართველოში რომ დაბრუნდა, ახალთაობის მოღვაწეობა ბევრად არ მოეწონა, თვითონ მოინდომა მაგალითის ჩვენება და, როგორც მატერიალურად, ისე სულიერადაც თავი დასდო და ნაყოფიც მოიტანა“ (იგივე: 106). აკაკი აღნიშნავს, რომ დიდი შრომა გასწია, განსაკუთრებით ბანკების შემოღებაზე, ერთი იყო, რომ ჩვენ ხალხს კარგად არ იცნობდა, ეგონა, რაც ევროპაში ითესებოდა და იმკებოდა, ის უნდა ყოფილიყო ჩვენშიც, ნიადაგის მომზადებაზე ცოტას ფიქრობდა, ავიწყდებოდა, რომ ნათესი არ ჩანს ბნელ მიწაში და რომ გამოზაფხულდება, მაშიმ იჩენს თავსო.

ალექსანდრე ყაზბეგი. აკაკი აღნიშნავს, რომ კარგად იცნობდა ყაზბეგის მშობლებს, მამა გენერალი იყო, დედა - თარხნიშვილის ქალი. დედისერთა სანდროს ძალიან ნებიერად ზრდიდნენ, თავიდანვე უყვარდა დაბალი რანგის ხალხი, ვგონებ, იმავე მიზეზით წავიდა ცხვარში რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ. პატარა სანდრო ვერცხლის ფულებს ჯიბეში ჩაიყრიდა და სოფლის ბიჭებს აძლევდაო.

ალექსანდრე ყაზბეგს ხიცოცხლის ბოლო წლებში ფსიქოლოგიური აშლილობა სტანჯავდა. პოეტი დიდი მწუხარებითა და გულისტკივილით ჰყვება, სულიერ წონაწორობადაკარგული სანდრო როგორ ცხოვრობდა ოთახში მარტო. „ოთახი რომ

გავაღე, მისთანა კვამლი იდგა თუთუნის, რომ დიდხანს ვეღარ გავარჩიე რა. ის ჩამომჯდარიყო ქვეშაგებში პერანგის ამარა, წამოეხურა საბანი და რაღაცას წერდა. შემომჩეროდა ჯერ უკმაყოფილოდ, მაგრამ მერე მიცნო და ბოდიშით მითხრა, რომ წერამ გამიტაცაო. გადმოიღო ნაწერები და მაჩვენა. ღმერთო ჩემო! რამდენი რვეული არ ედვა სტოლზე და რაები არ ჰქონდა შიდ ჩაწერილი? დრამები, კომედიები, ლექსები და სხვა...“ (იგივე: 108).

მწერალი როსტომ ჩხეიძე ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიულ რომანში „ყაზბეგიანა“, სადაც ახლებურად წარმოაჩენს ალექსანდრე ყაზბეგის ღვაწლს, მის ამ მდგომარეობას შემდეგნაირად ხსნის: „მწერლის ზნეობრიობას, მძაფრი პასუხისმგებლობის განცდას ადამიანის წინაშე, შესაძლოა, მართლაც გამოეწვია ისეთი სულიერი მღელვარება“ (ჩხეიძე, 2005:536).

რაც ყველაზე სამწუხაროა, აღნიშნავს პოეტი, როცა მისი ნაწერები ათასობით იყიდებოდა და საზოგადოება მის თხზულებებს ეწაფებოდა, ის სამხედრო ჰოსპიტალში იწვა ავადმყოფი დიდ გაჭირვებაში. პოეტი დიდი გულისტკივილით საუბრობს ხალხის უსულგულო დამოკიდებულებაზე დიდი ადამიანების მიმართ.

თ-დი გრიგოლ ორბელიანი. აკაკი წერეთელი გრიგოლ ორბელიანის კრიტიკულ, მაგრამ საინტერესო დახასიათებას გვაძლევს. მოცემული პორტრეტის ვერც ერთ შტრიხზე ვერ ვიტყვით, რომ სუბიექტური შეხედულებაა, ვერც იმას ვიტყვით, რომ აკაკის კრიტიკული შეფასება გრიგოლ ორბელიანისა პასუხია „აკაკიები ბაკაკიების“ ავტორისადმი. ახალი თაობის წარმომადგენლის კრიტიკული შეხედულება ძველი თაობის წარმომადგენლის მიმართ, რომ აღარაფერი ვთქვათ მამათა და შვილთა ბრძოლაზე, ბუნებრივიცაა. თუმცა აკაკი წერეთლის შეხედულებას გრიგოლ ორბელიანის პიროვნებისადმი ბევრი მკვლევარი იზიარებს.

აკაკის იზრით, გრიგოლ ორბელიანი ბუნებით ნიჭიერი იყო, მაგრამ მის არც ერთ ღირსებას ნაყოფი არ მოუტანია, ქვეყნისთვის არა გაუკეთებია რა და მწერლობაშიც კვალი არ დაუსვამს, ანათებს ერთხანს და მერე უცბად გაქრება. გრიგოლ ორბელიანი, აკაკის თქმით, მიუღებლად თვლიდა იმას, რომ „მე ყაფლანიშვილს და ვიღაც ცალქალამანიძეს ერთი და იგივე უფლება გვაქვს მინიჭებული“ (წერეთელი, 1989: 111). პოეტი დასძენს, ამ სიტყვებში თავისთავად

იგულისხმება, რა შეხედულებისა ყოფილა ორბელიანი საზოგადო საქმეზეო. ლექსის წერას ისე უყურებდა, როგორც სახუმარო და სალალობო საქმეს. ლექსში „იარალი“ საქართველოს ჭირ-ვარამზე კი არ ფიქრობს, ლხინი აგონდება, ქეიფს ჰნატრობს, როგორც ვორონცოვის პოლიტიკის მიმდევარს, ურუსებოდ ქართველების წარმოდგენა არ შეეძლო, „რუსში ქართველი ჰყავდა განხორციელებული და ქართველი რუსში“, ნიკოლოზ პირველი ცამდე აჰყავს. ბოლოს აკავი წერეთელი გრიგოლ ორბელიანს ბარათაშვილის სიტყვებით აფასებს: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოსო“. დიდმალი ქონება დარჩა, მაგრამ საქველმოქმედო ჩირის ფასიც არ დაუტოვებიაო.

დიმიტრი ყიფიანი. პოეტი გრიგოლ ორბელიანის შემდეგ დიმიტრი ყიფიანის დახასიათებას გვაძლევს და აღნიშნავს, რომ სულ სხვა ბუნების კაცი იყო, ვიდრე გრიგოლ ორბელიანი. ის იყო მაგალითი ნამდვილი ჭეშმარიტი მამულიშვილისა. ქართველობას მისთვის გარდა სიცოცხლისა, არაფერი მიუცია, „ყველაფერი რუსობამ მოახვეჭინა, მაგრამ იმას სამშობლო მაინც არ დავიწყებია. დიდკაცობა იმიტომ უნდოდა, რომ მეტი სარგებლობა მოეტანა საქართველოსთვის. მის წინ ორი გზა იყო - მარცხნივ ბიუროკრატიული, მთავრობისაგან გატკეცილი, ია ვარდით მოფენილი, პირადად საბედნიერო, მარჯვნივ - უსწორმასწორო, სახიფათო და პირადად სავნებელი. ყიფიანი უშიშრად გადავიდა ამ საფეხურზე, ბიუროკრატიას პირდაპირ ბრძოლა გამოუცხადა (იგივე: 114).

სტავროპოლში პატიმრობის დროს მოკლეს: „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰავიქრობდა, თავზე გადაანთხიეს, იმ გულზე, რომელიც სამშობლოსთვის მგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს!“ (იგივე:116).

საბოლოოდ აკავი დასმენს, რომ დღევანდელი ამბოხება, თუმცა უკულმართი და უთანასწორო, მაინც ხალხის გამოღვიძების ნიშანიაო. „სწორედ იმისთანა დევგმირზე ითქმის: „მოვიდა ქვეყნად და ქვეყანას ბევრი რამ არგო!“. ამ დიდმა მამულიშვილმა შთააგონა აკავის დაეწერა უკვდავი ლექსი „განთიადი“, რითაც „მტრის ურჩ“ რაინდს სმარადისო ძეგლი აუგო ქვეყნის სადიდებლად.

ამ პიროვნებების აკაკისეულმა დახასიათებამ დიდი დახმარება გაუწია მკვლევრებს და კვლავაც გაუწევს დახმარებას მომავალში, რეალურად შევაფასოთ

ისინი თავიანთი ნაკლითა და ძლიერი მხარეებით, თავიანთი ზოგადადამიანური თვისებებით, ეს დახასიათება კიდევ ერთხელ მოგვცემს საშუალებას, რეალურად შევაფასოთ და დავაფასოთ ჩვენთვის ძვირფასი ღვაწლმოსილი პიროვნებები.

„ბაში-აჩუკი“. აკაკი წერეთლის პროზაულ ნაწარმოებთა შორის „ბაში-აჩუკს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მოცემულ მოთხოვნაში აკაკი წერეთელმა ლამაზად შეაერთა აღთქმული იდეა და ისტორიული სინამდვილე, რაც გამოთქვა მეტად მოკლედ და ძლიერად. ავტორი ქმნის ისტორიულ გმირთა ტიპს, რომელიც საგმირო საქმეებს სჩადის. „ბაში-აჩუკს“ მწერალი გრიგოლ რობაქიძე ასე აფასებს: „ფანტაზიის მხრით ამ მოთხოვნას ქართულ ლიტერატურაში არა ჰყავს ტოლი, მე მაქვს მხედველობაში სხვადასხვა ხილვის ტეხილები. შემოქმედება აქ უფროა. მე მგონია, ბევრს უცხო განთქმულ ნაწერებსაც გაუტოლდება იგი ამ მხრით“ (რობაქიძე, 1991: 49).

აკაკი წერეთელმა თემად თვალსაჩინო გმირები აიღო, ზოგიერთის აზრით, ნაწარმოებში გადმოცემული ამბავი ზედმეტად გაიდეალებულია, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. საქართველოს ისტორია სავსეა ქართველთა გმირობის მაგალითებით, აკაკი წერეთელმაც ამ ისტორიული ცხოვრების ნიადაგზე ეროვნულ ფორმას იდეალიზაცია მოუხდინა და ფარულად მოგვცა მისაბაძი თვისებები, რაც იმ დროს საჭიროც იყო.

ნაწარმოებში გადმოცემულია 1659 წლის კახეთის აჯანყების ამბები, რაც განპირობებული იყო შემდეგი ისტორიული წინამდლვრებით: „თეიმურაზ მეფის დაუცხრომელი საქმიანობა ირანის წინააღმდეგ, რაც მის რუსეთთან კავშირის გაძლიერებით გამოიხატა, შაჰის მოსვენებას არ ძლევდა, მას გადაწყვეტილი ჰქონდა კახელების აყრა, 15000 თურქმანის ჩამოსახლება და სახანოს შექმნა. „შიდა და გარე კახეთის საუკეთესო მიწები მათთვის უნდა გაენაწილებინათ და ეს მომთაბარე-მეჯოგე მოსახლეობა მიწაზე დაემაგრებინათ, რომ ხვნა-თესვას, შენებასა და დასახლებას შესდგომოდნენ“. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 330).

შაჰი ნელ-ნელა აღწევდა თავის მიზანს: „კახეთის კულტურულ მეურნეობას, ძირითადად მევენახეობას, გადაშენების საფრთხე დაემუქრა. ასეთი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა მთიანეთის მოსახლეობაც, რომელიც ბარის პურითა და ღვინით,

ბარის საზამთრო საძოვრებით ირჩენდა თავს. ამას ემატებოდა ყიზილბაშ მეციხოვნეთა სიმკაცრე და თავხედობა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ (იგივე: 331).

შაპს საშინლად აღიზიანებდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. მოთხოვნაში მოცემულია, რომ ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან გამოგზავნილ წერილებს თეიმურაზ მეფე საგონებელში ჩაეგდო, პირველი რჩევას შეიცავდა, მეორე კი მუქარას, შაპი აფრთხილებდა თეიმურაზს, გადამთიელთან დამეგობრებაზე ხელი აეღო და მათ „მმურ კავშირზე“ ეფიქრა, თუ არა და ჩემს „სამართლიან“ რისხვას თავს ვერ დააღწევო. თეიმურაზმა ბევრი იფიქრა და ბოლოს მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, რომ შაპს წინააღმდეგობას გაუწევდა, ღვთისმშობელის წილხვედრ ქვეყანას ღმერთი არ გასწირავს, „გამოცდა იგივე გამობრძმედააო“. მეფემ დარბაზთან ერთად გადაწყვიტა, რომ „გაეწყვიტა სპარსეთთან კავშირი და მიჰკედლებოდა ჩრდილოეთს“, რამაც შაპის განრისხება გამოიწვია.

შაპი ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა კახეთში, მდინარეებს სისხლის ღვარი ერთვოდაო, ამბობს ავტორი: „უბედურებამ ლენგ თემურის დროსაც კი გადააჭარბა... მძვინვარე შაპმა რაც გასწყვიტა, გასწყვიტა და რაც არა, ათასობით და ათი ათასობით სპარსეთში გადაასახლა!“ (წერეთელი, 1989: 141). შაპი გაოცებული იყო ქართველთა სიმამაცით, ჯერ მარტო პატარა კახეთი ვერ დავიმორჩილე, საქართველოს როგორდა მოვერევიო, „ხალხი, რომელსაც სხეული გაუკაუებია, საშიშია!“ ჯერ სხეული და სული უნდა დაუმდაბლო და შემდეგ შეიძლება მისი მოდრევა, მაგრამ ვერაგმა და გამოცდილმა შაპმა კარგად იცოდა, რომ „იქ, სადაც ლომის ტოტი ვეღარას სთესავს, მელიის კუდმა უნდა მოიმკოს! ...იმ დღიდან დაუტკბა მისგან აოხრებულ ქვეყანას და რისხვა წყალობად შეუცვალა“ (იგივე: 142).

მოთხოვნაში ავტორი იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების მეტად საინტერესო შეფასებას გვაძლევს, რაც ასევე ასახავს და შეესაბამება აკაკისდროინდელ საქართველოს მდგომარეობას, რაც მწერლის, როგორც ჭეშმარიტი ქართველის ყველაზე დიდ სატკივარს წარმოადგენდადა, ხოლო პოეტს სულსა და გულს უღრღნიდა, ეს იყო მშობლიური ენისა და მიწის დაკარგვის საშიშროება. აკაკი ამბობს: „ვინც ქართველობას არ ივიწყებდა, ის იჩაგრებოდა და წინ ნაბიჯის წადგმას ვერ

ახერხებდა, გინდ გმირთაგმირი ყოფილიყო! ...შემოვიდა ხალხში სპარსული ზნე, ჩვეულება, რჯული და კანონი... ქართველს ქართველობა აღარ ეტყობოდა!.. ენა შეიძლალა, დიდ ოჯახებში ქართულად ლაპარაკი კიდევ ერცხვინებოდათ... სამართალი უცხო ენაზე იყო და წირვა-ლოცვის და გალობის კილო შეიცვალა“ (იგივე: 142-143).

საქართველოს თუ ჰყავდა მოღალატე ჯანდიერი, ჰყავდა ისეთი ერთგული მამულიშვილიც, როგორიც იყო ახმეტის მებატონე ბიძინა ჩოლოყაშვილი, სულიერად და ხორციელად წმინდა ადამიანი. ჯანდიერი ურჩევდა ბიძინას, რომ დრო მის სასარგებლოდ გამოეყენებინა და სპარსელების მხარეს დამდგარიყო, რომ სასახლის კარზე მას ბედნიერება მოელოდა. ამაყი და გონიერი ბიძინა ჩოლოყაშვილი ჯანდიერს ასე პასუხობს: „შინ ლუკმას გაცლიან პირიდან და გარედან კი ნასუფრალს გვიყრიან ძალებსავით. ... უწმინდურ სიცოცხლეს მე წმინდა სიკვდილი მირჩევნია და, სანამ მოვცვდებოდე, მანამდე მაინც კიდევ ვეცდები, რომ ჩემი ლუკმა როგორმე დავიბრუნო“ (იგივე: 145).

ბიძინა ჩოლოყაშვილი იმ ქართველთა რიგს მიეკუთვნება, რომელიც მხოლოდ აწმყოზე არ ფიქრობს და შორეული მომავლისკენ იყურება, იქ ხედავს საქართველოს მომავალს, მისთვის მთავარი ქვეყნის კეთილდღეობაა, ხოლო მისი შვილები ვალდებულნი არიან ზვარაკად შეეწირონ ქვეყანას: „რაც ფოთლებია ხისთვის, ჩვენ ისევე ვართ ქვეყნისთვის და, რაც წელიწადია ფოთლებისთვის, ის საუკუნეა ჩვენთვის. ...ჩვენც ერთი ფოთოლთაგანი ვართ, ადრე თუ გვიან დასაცვენი და, და ჩვენი მიზეზით რათ უნდა მიადგეს გაჭირვება სამეფოს?“ (იგივე: 180). ბიძინა ჩოლოყაშვილის ეს სიტყვები აკავი წერეთლის, როგორც უდიდესი პატრიოტი ქართველისთვის, მთავარ სათქმელსაც წარმოადგენს, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახით ნამდვილი პატრიოტი ქართველი კაცის სახე დაგვიხატა.

მოღალალატე მაყაშვილებსა და ჯანდიერებს სამაგიეროს უხდიდა უბრალო ხალხი, „გავარდნილთა გუნდები“, ხალხის წიაღიდან გამოსული ეროვნული გმირია ბაში-აჩუკიც, რომელიც, შეიძლება ვთქვათ, ისტორიული პირის მხატვრულად გარდასახული სახეა, შეუპოვარი და უშიშარი, რომალსაც ღრმად სწამს ქართველთა რაინდობის, მათი დაუმარცხებელი ბუნების: „ორი ათასი ქართველი ხუმრობა არ

გახლავთ, შენი ჭირიმე“, მიუგებს ზაალ ერისთავს და ფიქრობს, რომ ორი ათას დარჩეულ ქართველს შეძლია რიცხმრავალ მტერზე გაილაშქროს.

აკაკი არც იმას ივიწყებს, რომ ქვეყნის მოამაგე ხალხის გვერდით არსებობდნენ მოღალატეებიც, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქვეყნის უკუსვლასა და ამ საქმით ხელს ითბობდნენ, თხზულებაში ასეთ სახეს წარმოადგენს თავადი აბაშიძე, რომელმაც ქართველ მეფეს ათი ერთმანეთზე ულამაზესი ქალიშვილი მიჰვარა საჩუქრად, მისმა მოქიშპე წერეთელმა კი ბაქრაძის ობლად დარჩენილი ტყუპები მიუყვანა ვახტანგ მეფეს.

ქართვლი მამაკაცების მსგავსად, ქვეყნის მტრისაგან გათავისუფლების საქმეში, არანაკლებ როლს ასრულებენ ქართველი ქალებიც, მელანო, პირიშზისა და პირიმთვარისა „ბაში-აჩუკის“ შთამბეჭდავ სახეებს წარმოადგენენ.

ნაწარმოების ერთობ შთამბეჭდავი ნაწილი შალვა და ელიზბარ ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის შაპთან გამგზავრებაა, რაც აკაკის ისტორიული სინამდვილიდან აქვს აღებული, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებას ზვარაკად შეეწირნენ. „ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები შაპს მიუვიდნენ და პატიება ითხოვეს. შაპმა ისინი თურქმანთა იმ ტომებს გადასცა, რომელთა მეტომები კახელებმა გაჟლიტეს 1659 წელს. გმირები საშინელი წამებით დახოცეს - „მახუილებითა დაჭრეს იგინი ასოეულად და დახურიტეს რომელიმე თოფითა და რომელიმე მახუილებითა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 333). თუმცა ქართლის ცხოვრებას ის ცნობების შმოუნახავს, როგორ მამაცურად შეხვდნენ სიკვდილს ქართველი გმირები: „მაშინ დიდიად მხნედ გამოჩნდეს სამნივე ესე მოწამენი და უმეტესად ბიძინა ჩოლოყაშვილი, სუფრაჯი წადიერად იღუწოდა წამებისათვის: განბასრეს მათ და გინებულ ჰყვეს, მაშინ ბიძინა ჩოლოყაშვილი განამხნობდა შალვასა და ელიზბარს და ეტყოდა: „ნუ მოვმედგრდებით, არამედ მივსცეთ თავი ჩუენი ქრისტესთუის სიკუდილსა“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 439).

აკაკი გმირების მიერ შაპთან გამგზავრების ეპიზოდს შემდეგნაირად გადმოგვცემს. შალვა და ელიზბარ ერისთავებმა გადაწყვიტეს: „ჩვენ, უეჭველია, უნდა ვეახლოთ ყეენს და, რაც მოსავალია, მოგვივიდეს“. მათ გვერდით ამოუდგა ბიძინა ჩოლოყაშვილი სიტყვებით: „ამგვარი მსხვერპლის უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა

და დღეს, თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ. (წერეთელი, 1989: 181).

მოცემულ მოთხრობაში ისტორიული თუ გამონაგონი პერსონაჟები არაჩვეულებრივი ოსტატობით დაგვიხატა აკაკი წერეთელმა, ბაში-აჩუკის პერსონაჟები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე და სამარადისოდ რჩებიან მის გონებაში. აკაკი წერეთლის კალამს ეკუთვნის ასევე მცირე მოცულობის პოემები: „წმინდა ნინო“ და „ანდრია პირველწოდებული“.

პოემაში „წმინდა ნინო“ ბაბუა შვილიშვილს, პატარა ნინოს უყვება წმინდა ნინოს მიერ საქართველოს გაქრისტიანების შესახებ, მონათხრობის მიხედვით ძველად ქართველი ტომი ცხოვრობდა კაბადოკიაში, მაგრამ ხშირმა ომებმა ჩვენი ხალხი დაასუსტა და ბოლოს რომმა დაიპყრო. ქართველები გადაჯიშდნენ, გაბერძენ-გარომაელდნენ და შიშით წინანდელ გვარ-ტომობას ვეღარ ამხელდნენ. აი, სწორედ ამგვარ ხალხში დაიბადა წმინდა ნინო, მოციქულთა სწორი,

ნინოს უნდოდა, ის ქვეყანა ენახა, სადაც ქრისტეს კვართი ინახებოდა, ძილში ღვთისმშობელი გამოეცხადა და ვაზის ჯვარი გადასცა. სწორედ ამ ჯვრით გაანათა ნინომ საქართველო

პოემაში „ანდრია პირველწოდებული“ ავტორი დასაწყისში საუბრობს წარმართობისდროინდელ საქართველოზე, ქართველთა კერპებზე და ქურუმებზე, რომლებიც ხალხის მოტყუებითა და მათი უხვი შემოწირულობების წყალობით განცხრომით ცხოვრობდნენ. ხალხი შეწუხებული იყო ქურუმთა თავგასულობით, რომლებიც ღმერთის სახელით ძარცვავდნენ მათ.

სამცხის დედოფალს უფლისწული გარდაეცვალა. მას აცნობეს, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულია ერთი სასწაულმოქმედი კაცი, უცხო ტომის, რომელიც ქრისტეს აღიარებს, თან აქვს ფიცარი, რომელზეც ქალია გამოსახული, უცნობმა შეიძლება შვილი გაგიცოცხლოსო.

უცხომ ჯვრის ძალით უფლისწული გააცოცხლა, შემდეგ აუხსნა, რომ ის იესო ნაზარეველმა აღადგინა და თუ მის სახელს იწამებ, ამ სოფლად სიხარული, იმ ქვეყნად კი ნეტარება მოგელისო. ანდრია მკვდრეთით აღმდგარ უფლისწულთან

ერთად წარსდგა ხალხის წინაშე, დედოფალმა და ხალხმა უცხოს თაყვანი სცა და ჭეშმარიტი ღმერთი აღიარა:

„ღმერთი ის არის, რომელიც ქვეყნად
ამგვარად აჩენს დიდ სასწაულებს
და არა ისა, რომელიც ჩვენგან,
მსხვერპლად თხოულობს უმანკო შვილებს“

(იგივე:32)

ისტორიულ პირთა სახეებს ვხვდებით აკაკი წერეთლის არაერთ მოთხრობასა თუ პუბლიცისტურ ნაშრომში. წერილში „სიტყვა გიორგი სააკაძის შესახებ“, აკაკი წერეთელი საუბრობს ამ დიდებულ პიროვნებაზე, განუმეორებელ პოლიტიკოსსა და პატრიოტ, ქვეყნისათვის თავდადებულ გმირზე. წერილში პოეტი აღნიშნავს, რომ „ზეკაცს თან დასდევს შური, მტრობა და ძრახვა მის თანამედროვეთა“ (წერეთელი: 2010: 126). პოეტის თქმით, ამის მაგალითები ისტორიაში ბევრია. „არ ყოფილა არსად, არც ერთ ქვეყანაში ამისთანა ამაღლებული მამულის შვილი, რომ მასვე თანამედროვე მომმექბს განსაცდელში არ ჩაეგდოთ“ (იგივე: 126). მწერალს მსგავსი მაგალითები მოჰყავს მსოფლიო ისტორიიდან და აღნიშნავს, რომ რა საჭიროა უცხო ქვეყნების მაგალითები, როდესაც ამ პატარა საქართველოშიც გმირებს იგივე განუცდიათ, რაც სხვაგან. აკაკი წერეთელი აღფრთოვანებულია გიორგი სააკაძის პიროვნებით: „ვეფხისტყაოსანი“ იმაზე წინეთ რომ ყოფილიყოს დაწერილი, ის ცოცხალი ტარიელი გვეგონებოდაო“ (იგივე: 126).

წერილში აკაკი წერეთელი მიმოიხილავს საქართველოს ისტორიას ვახტანგ გორგასალის მეფობიდან, რომელმაც აკაკის თქმით, „ბევრი საგანძური შემოიტანა ისტორიაში“, ხოლო მის საისტორიო მემკვიდრეობას ღირსეულად დაუხვდა მეათე საუკუნეში დავით აღმაშენებელი, რომელიც აშენებდა ციხეებს, მონასტრებს, ხიდებს. დავითმა გძლიერებული საქართველო გადასცა თამარ მეფეს, რომელმაც „მოიხმარა და გააწესრიგა მამა-პაპათა მონაგვერი, ხმლით ხელში მრავალი შეკმატა და ამიტომაც ქვეყანამ და ისტორიამ აღიარა ის მამაკაცის წოდებით: თამარ მეფედ და არა თამარ დედოფლად“ (იგივე: 128). თამარის სიკვდილის შემდეგ გაძლიერდნენ მონდოლები და შემოესიენ საქართველოსაც, მაგრამ მარტო ხმლით ვერას გახდებოდნენ, რომ არა

შინაგანი განხეთქილება და მოღალატეობა. ეს პოლიტიკური ხრიკები გაუჯდა ძვალსა და რბილში ქართველობას და ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა. პოეტის თქმით, ერისთავებმა, დიდებულებმა და თვადებმა მე-16 საუკუნეში საქართველო მიიყვანეს უფსკრულის კარამდე. „ის იყო, კინაღამ ბოლო მოეღო სამეფოს! თუ არ სასწაული რამ, ანუ საკვირველება, ვერა გადაარჩენდა რა! და კიდევაც მოევლინა საკვირველება! ეს იყო დიდი მოურავი სააკამე!“ (იგივე: 129).

როგორც პოეტი ამბობს, სააკამე „ჯერ კიდევ ბავშვი, იწვრთნებოდა მეფე სვიმონ დიდის რაზმში და საგმირო საქმეებით აკვირვებდა ქვეყანას და ოცდაორის წლისას ხელთ ეპყრა მთავარსარდლობა“ (იგივე: 129). როცა გვარიშვილობა დღესაც დიდ რამედ მიაჩნიათ, რა იქნებოდა მაშინ, დასძენს პოეტი, როცა სააკამე იმ გაზვიადებულ თავადებს თავში მოექცა და მისი ნებართვის გარეშე დიდებულები მასთან დაჯდომას ვერ ბედავდნენ. სვიმონის სიკვდილის შემდეგ მეფე გიორგიმ ის მიუჩინა მსახურად ახალგაზრდა მემკვიდრეს ლუარსაბს. გიორგი სააკამე ლუარსბის სახელით საოცარი გამჭრიახობით განაგებდა ქვეყანას. დაიმორჩილა ოსები და ვეღარ ბედავდნენ საქართველოზე გამოლაშქრებას, შემდეგ გაილაშქრა დიდებულებზე და ისე ალაგმა, ვეღარ ერჩოდნენ და ემორჩილებოდნენ მეფეს.

როცა ლუარსაბმა სააკამის დაზე ჯვრის დაწერა განიზრახა, შორსმჭვრეტელი მოურევი მიხვდა, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას და და უარზე დადგა, მაგრამ ლუარსაბმა თავისი არ დაიშალა. ისევ გაიღვიძა დიდებულთა შურმა და მტრობამ: „ცოლები და ქალიშვილები ესაყვედურებოდნენ ძმებსა და ქმრებს: ჩვენ არ შეგვიძლია, რომ ვიწამოთ დედოფლად და თაყვანი ვსცეთ უგვაროს შვილსაო“ (იგივე: 131). მეფეს დღითიდღე აწვეთებდნენ მოურავის მტრობას, ყველაზე უფრო შფოთავდა ლუარსაბის გამზრდელი, იმ დროში განთქმული ვერაგი, შადიმან ბარათაშვილი. მტრობამ თავისი გაიტანა და სააკამე იძუებული გახდა თავი სპარსეთისთვის შეეფარებინა, სადაც „მოკლე ხანში ხელთ იგდო მთავარ-სარდლობა, დაუმონავა შაპს მრავალი ქვეყნები, გადიდკაცდა, გაძლიერდა, გამდიდრდა და დაუმეგობრდა თვით დიდებულ შაპ-აბაზს“ (იგივე: 131). მაგრამ სააკამის ერთადერთი საფიქრალი საქართველო იყო.

შაჰმა ვერასგზით ვერ დაიმორჩილა საქართველო, ვერც ლუარსაბის და ქეთევანის წამებამ უშველა, მაშინ გადაწყვიტა ქართველები ამოებირკვა და მათ ადგილას თათრები დაესახლებინა. ეს რომ დიდმა მოურავმა გაიგო, გადაწყვიტა როგორმა ეშველა განწირული საქართველოსთვის, შაჰს პირობა მისცა, მე შეგისრულებ მაგ სურვილსო და სხვა სარდლებთან ერთად საქართველოში გამოემართა, მისი შვილი პაატა კი მძევლად დატოვა. სააკამემ მისწერა წერილი კათალიკოზს ზაქარიას და წილკნელ მირმანოზს, რომ მას უნდოდა საქართველოს ხსნა, მიიმხრო ცოლის ძმა ზურაბ ერისთავიც და საქართცელოსკენ გამოსწია, სააკამემ საქართველოში შემოსული მტრის ჯარი მომხრების დახმარებით ერთიანად ამოწყვიტა. ამ საოცარმა ამბავმა კიდევ უფრო აამაღლა მისი სახელი. „გადმოიყვანა სათათრეთში გადავარდნილი თეიმურაზ მეფე და თვითონ ამოუდგა გვერდში, თეიმურაზის სახელით ადიდებდა საქართველოს“ (იგივე: 135).

განრისხებული შაჰ-აბაზი არ ისვენებდა, ახლა უფრო დიდი ჯარით მოადგა საქართველოს. დიდკაცობამ ისევ ინტრიგებს მიჰმართა. შეუჩნდნენ მეფეს, თქვენ უნდა იყოთ მავარსარდალი, ვინ არის სააკამეო. ბრძოლა გაიმართა მარაბდასთან, სადაც ათი ათასი ქართველი მებრძოლი დაიღუპა. „მეფე გაიხიზნა, დიდებულები ვინც კი გადარჩნენ, განზე გადგნენ და მიატოვეს ასაკლებად საქართველო, არ დამორჩილდა მხოლოდ სააკამე, იმას თან ახლდა სამოცი განთქმული ვაშვაცი. ეცემოდა თავზე ხან აქ, ხან იქ სპარსელებს და არ აძლევდა მოსვენებას“ (იგივე: 136).

შაჰ-აბაზმა მოსჭრა თავი სააკამის შვილს პაატას და გამოუგზავნა მამას, ხოლო მეფეს სამლიქვნელო წერილით მიმართა: „მხოლოდ სააკამეს ვებრძვი, სხვას არას ვერჩიო“. თბილელი მიტროპოლიტი დიონისე ტორფილე მცხეთის მღვდელთან ერთად მივიდა სააკამესთან და სთხოვეს, ნუ ებრძვი სპარსელებს, ნუ იწვევ ჩვენს თავზე მათ მრისხანებასო. სააკამემ უპასუხა: „მაშინ დავანებებ თავს, როცა საქართველოში სპარსელები აღარ იქნებიანო“ (იგივე: 137). წყევლა კრულვით გამობრუნდა მღვდელმთავარი, მოხდა გამხეთქილება, საქართველო ორად გაიყო: ერთ მხარეს იდგა მეფე და დიდკაცობა, მეორე მხარეს სააკამე ხელკეტიანი დაბალი წოდებით, ამან გამოიწვია ბაზალეთის ომი. რამაც აიძულა სააკამე გადახვეწილიყო სათათრეთში. არც იქ შეუწიტვეტია მოურავს ფიქრი საქართველოს გაერთიანებაზე, აქაც გაითქვა უძლეველი მეომრის სახელი, რამაც შური აღუმრა სულთნის

დიდებულებს და მოურავი ღალატით მოკლეს. აი ამისთანა კაცს ვასამართლებთ და მოღალატედ ვნათლავთ, ამბობს წერილის ბოლოს აკაკი წერეთელი, რომელმაც საკუთარი შვილი და სიცოცხლე შესწირე ქვეყნის გაერთიანებას.

როგორც ვიცით, 1887 წელს მეფის აგენტებმა ვერაგულად მოკლეს უდიდესი ეროვნული მოღვაწე დიმირტი ყიფიანი. 1888 წლით არის დათარიღებული ლექსი „ქართველი უცხოეთში“, სადაც სათაურის ქვეშ მინაწერი დ. ყ-ნი მიგვახვედრებს, რომ ლექსი დიმიტრი ყიფიანს ეძღვნება. ლირიკული გმირი უფალს შესთხოვს, მისი სული შეიწიროს ზვარაკად, ოღონდ ქვეყანა იხსნას განსაცდელისგან, მტერმა მძინარე გმირი სიცოცხლეს გამოასალმა:

ქვა დაპკრა!.. თავი გაუპო,

დაიმორჩილა მძინარი

და, სულთამბრძოლი რომ ნახა,

სიამით იწყო ხარხარი!“

(წერეთელი, 1988: 312).

მკვლელობიდან ხუთი წლის შემდეგ, 1892 წელს აკაკი წერეთელმა დიმიტრი ყიფიანის ხსოვნას მიუძღვნა კიდევ ერთი ლექსი „განთიადი“, ქართული პატრიოტული ლირიკის უბრწყინვალესი ქმნილება, რომელშიც პოეტის სევდა, შეერთებული მთელი ერის მწუხარებასთან, გამოხატულია კლასიკური სიდიადით.

ჩაფიქრებულ და გარინდებულ მთაწმინდას მტკვრის დუდუნიც ესმის, ერის გამორჩეულ შვილს ცისკრის ვარსკვლავი დაპნათის, სამყარო ერთ მთლიანად ქცეულა:

„დადუმებულა მთაწმინდა,

ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:

მდინარე ნანას უმღერის

რაინდასა, ურჩსა მტრისასა“

(წერეთელი, 1988: 369).

მგოსანი თავის გულისპასუხს უმღერის ტურფა მხარეს, ლექსის ეს ნაწილი გვაგონებს ილიას პოემა „აჩრდილს“, სადაც მთაზე შემდგარი მოხუცი მიმართავს სამშობლოს.

მშობლიური მიწა მკურნალია რაინდის წყლულებისა, განუსაზღვრელია პოეტის სევდა ქვეყნის საამაყო შვილის დაკარგვის გამო, „სისხლის ცრემლები ვღვარეო“, ამბობს პოეტი და ასე გამოხატავს თავის სულიერ მდგომარეობას. სამშობლოს დაუბრუნდა „მტრის ურჩი რაინდი“, ქვეყნისთვის „თავდადებული“ მამულიშვილი. პოეტი შთამბეჭდავი ეპითეტებით ამკობს ზურმუხტოვან სამშობლოს, რომელიც მფარველია თავისი შვილებისა.

ამრიგად, აკაკი წერეთელმა ისტორიული თემატიკა გამოიყენა, როგორც მძლავრი იარაღი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეის პროპაგანდისათვის. პოეტი უნერგავს მკითხველებს დამონებული სამშობლო ქვეყნის აღდგენის იმედს. ქართველი ხალხის გმირული თავგადასავალი წარსულში - პოეტს ესახება, როგორც საწინდარი სამშობლოს მომავალი აღორძინებისა.

აკაკი წერეთლის შემოქმედება XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული მნიშვნელოვანი მოვლენაა, ეროვნულ გრძნობათა და მისწრაფებათა უკომპრომისოდ და შეუნიღბავად გამოვლინების სამაგალითო ნიმუშია.

თავი III. ისტორიულ პირთა მხატვრული სახეები ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას თხზულებებში

§1. ალექსანდრე ყაზბეგი

ალექსანდრე ყაზბეგმა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მის კალამს ეკუთვნის ლექსები, მოთხრობები და დრამატული თხზულებები. ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა გმირები მკითხველის წინაშე წარმოსდგებიან, როგორც ცხოვრების სინამდვილიდან გამოსული ცოცხალი ადამიანები.

თავისი თხზულებებისათვის ყაზბეგი მასალას იღებს როგორც ძველი, ისე ახალი დროის სინამდვილიდან. მის ნაწერებში მეტწილად მეცხრამეტე საუკუნეა წარმოდგენილი, ამ ფონზეა გაშლილი ისეთი თხზულებები, როგორიცაა „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „მოძღვარი“, „ციცია“ და სხვა.

ალექსანდრე ყაზბეგი თავისუფლებისმოყვარე ხალხის შვილია, მისი შემოქმედების სათავე ხალხის ჭირი და ლხინია, იმისათვის, რომ აესახა ყველაფერი ის დიადი და ამაღლებული, რაც ხალხის სულშია, ყაზბეგი ცდილობს კიდევ უფრო დაუახლოვდეს ხალხს, მიზნის მისაღწევად შვიდი წელი მეცხვარეობაში გაატარა, სწორედ მეცხვარეობისდროინდელი სახეები დალაგდა მის თხზულებებში.

ალექსანდრე ყაზბეგი არის უდიდესი პატრიოტი, ქვეყნის უკეთეს მომავალზე მოტრფიალე მამულიშვილი. კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე წიგნში „ყაზბეგიანა“ წერს: „ალექსანდრე ყაზბეგს მემკვიდრეობთ გადმოსცემოდა ახალი გვარიც, ტიტულიც და გავლენაც, და მხოლოდ უნდა შეეფერებინა პაპის დანატოვარი, ისე, როგორც მამამისმა შეიფერა. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებიც გამოთხოვებოდნენ ადრინდელ იდეალებსა და შეეცდებოდნენ, ახალ ცხოვრებას რაც შეიძლება უმტკივნეულოდ მორგებოდნენ. ახალი თაობა მოქცეულიყო გულისჭიდილში, და, რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო კეთილგონივრული ჩანდა მორჩილება და რუსული კანონების წამძღვარება ცხოვრების გასაკაფავად“ (ჩხეიძე, 2005: 15-160). მაგრამ ყაზბეგს არ უსარგებლია მემკვიდრეობითი პრივილიგიებით, „ძალას

დააწვენდა გაბრიელ ყაზბეგის სამარის ლოდზე, იულონ, ფარნავაზ და ალექსანდრე ბატონიშვილების შურს იძიებდა“ (იგივე:16).

ალექსანდრე ყაზბეგი თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის ჭეშმარიტი შვილი იყო. მისი შემოქმედების მჩქეფარე სათავე ხალხის ჭირი და ლხინია. იმ საერთო სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის პირობებში, იმ მკაცრ და პირქუშ საუკუნეში ყაზბეგის გულწრფელი სიტყვა მთიელმა ხალხმა გამოამზეურა თავისი ნაღველი და ბრძოლის წყურვილი.

ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოების გმირები ცოცხალი პერსონაჟები არიან. როგორც მწერალი უყვება ერთ-ერთ თავის მეგობარს: „თუ ჩემს ნაწერებს კითხულობს ვინმე, თუ ჰპოულობს იმაში რამე გულის გასართობს, არათუ სწყინდება და ბოლომდის ჩადის, ყველა ამის მიზეზი ჩემი წარსულია, ჩემი მეცხვარეობა და თქვენთან ცხოვრება შვიდი წლის განმავლობაში (ყაზბეგი, 1968: 16).

ნაწარმოებში „ხევისბერი გოჩა“ ალექსანდრე ყაზბეგი გვიხატავს მთიელთა ცხოვრებას ისტორიულ წარსულში. ეს ნაწარმოები პირველ რიგში საინტერესოა იმით, რომ ავტორი ამჟღავნებს ისტორიის სავსებით სწორ გაგებას. ავტორმა მოცემულ ნაწარმოებში დაგვიხატა ხევზე გალაშქრება ნუგზარ ერისთავისა, რომლის მიზანი იყო დაემორჩილებინა თვისუფალი მოხევენი და ყმებად ექცია ისინი. ნუგზარ ერისთავი, რომელიც მე-17 საუკუნის დასაწყისში განაგებდა არაგვის ხეობას, ეკუთვნის იმ აღზევებულ ფეოდალთა რიცხვს, რომელნიც შიგნიდან არღვევენ ხელმწიფის ძლიერებას, ეს გავლენიანი თავადი სწერდა და ურევდა არა მარტო ქართლის შინაურ სახელმწიფოებრივ საქმეებს, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც მოქმედებდა.

„მისი ვაჟი ზურაბი ლუარსაბ მეფის დაზე, ხორეშანზე იყო დანიშნული, ეს ნიშნობა ჩაიშალა იმის გამო, რომ იმ ხანებში კახეთის მეფე თეიმურაზი დაქვრივდა და ხორეშანი მას მიათხოვეს, ცხადია, ეწყინა შეურაცყოფა თვისი შვილისა, რომელსაც საცოლე ხელიდან გამოსტაცეს და როგორც განდგომილ ფეოდალს შეეფერებოდა, მან პირადი განაწყენებისათვის მთელ საქართველოზე იძია შური, დაუყოვნებლივ ამხედრდა, ისპაპანის გზას დაადგა და შაპ-აბასს ეახლა, უჩივლა ქართველებს, შაპ-აბასმა ის დიდი საჩუქრებით გამოისტუმრა უკან“ (იგივე: 31).

ნუგზარ და ზურაბ ერისთავებზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში ხალხმა მთელი რიგი ლექსები და თქმულებები შემოინახა. ამ ლექსებში ხალხი წყევლა-კრულვით იხსენებს არაგვის ერისთავებს: „ამ ეპიზოდს მიძღვნილი აქვს 23 ლექსი ვარიანტებითურთ, ...ამას ემატება აგრეთვე ფშაური, მოხევური, მთიულური და თუშური ლექსები იმავე ერისთავებზე“ (მახარაძე, 1989: 297).

კრიტიკოსი აპოლონ მახარაძე ასევე აღნიშნავს: „შეიძლება დაისვას კითხვა, რომელ ისტორიულ წყაროს ემყარება ალ. ყაზბეგი ხევისბერი გოჩას წერის დროს? უნდა იქვას, რომ არც ერთს, არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია ვიფიქროთ, რომ მწერალს ამ თხზულების შექმნის დროს ხელთ ჰქონდა რაიმე ისტორიული დოკუმენტი ნუგზარ ერისთავის ბრძოლებზე მოხევეთა წინააღმდეგ“ (იგივე: 297).

საფიქრებელია, რომ ერთადერთი წყარო, რომელსაც მწერალი „ხევისბერი გოჩას“ შექმნის დროს ემყარებოდა, იყო ხალხური სიტყვიერება, თუმცა მოთხრობის სქოლიოში მწერალი აღნიშნავს: „ეს მოთხრობა სიტყვა-სიტყვამდე მიამბო ფრიად მოხუცმა მოხევემ დინჯა ხულელმა“ (ყაზბეგი, 2009: 565). მწერლის ამ მინაწერზე კრიტიკოსი აპოლონ მახარაძე წერს: „ხევისბერი გოჩა“ ხელოვანი ბელეტრისტის მწერლური კალმის ნაყოფია და მას „სიტყვით-სიყტვამდე“ ვერ გადმოსცემდა ვერც ერთი ხალხური მთქმელი, რაც არ უნდა ნიჭიერი ყოფილიყო იგი“ (მახარაძე, 1989: 2990).

ალექსანდრე ყაზბეგის რომანი „მამის მკვლელი“ მეფის თვითმპურობელობის სახელმწიფო აპარატის მოხელეებისა და ერთგული გადაგვარებული ქართველების წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე იშლება. თხზულებაში პირვალ თავებიდანვე ყალიბდება მოქმედ პირთა ორი ძირითადი ბანაკი: ერთი ზნეწამხდარი მოხელე გირგოლა, რომელსაც მხარს უჭერს ოფიციალური ხელისუფლება, ხოლო მეორე მხრივ იაგო და მისი ძმადნაფიცები, რომელც ხალხის თანაგრძნობით არიან გარემოცულნი.

დაწყებული გლახა გელაშვილის მძიმე თავგადასავლიდან ხალხი არსებული რეჟიმის მძიმე ჩაგვრას განიცდის. თხზულებაში მოცემულია მე-19 საუკუნის 30-იანი წლების მთელი რიგი ისტორიული მოვლენები, იმამ შამილის წინააღმდეგ ვორონცოვის ბრძოლის მომენტები თვალწინ წარმიგვიდგენს იმდროინდელ ეპოქას.

უბრალო ხალხი საშინელ ჩაგვრას განიცდის, სამართალს კი ვერსად პოულობს. დიამბეგის ერთგულმა და მის ძალას ამოფარებულმა გირგოლამ, როცა ოსი ტულას წინამძღოლობით ნუნუსა და იაგოს კვალს მიაგნო, რამდენიმე ყაზახის დახმარებით მისი შეპყრობა განიზრახა. ტყეში იაგოსა და ნუნუს თავს წაადგა. იაგომ პირველსავე სროლაზე ერთი ყაზახი სიცოცხლეს გამოასალმა, სროლის ხმაზე იაგოს კობა, ფარჩო და მისი ამხანაგები მიეშველნენ.

ამ შეხლაშემოხლამ რამდენიმე ყაზახის სიცოცხლე იმსხვერპლა, მაგრამ ყველა დანაშაული შემდეგნაირად გამართლდა: „დიამბეგმა ამისდა კვალად შეადგინა ქაღალდი, სადაც თავის აზრით სავსე განკარგულება ჩაუმატა და გაუგზავნა ნაჩალნიკს; იმან ეს ქაღალდი გადააკეთა თავის გემოვნებაზედ და თავის სახელიც ჩაურთო და გაუგზავნა გუბერნატორს, იმან თავის მხრით დაუმატა თავის განსაცვიფრებელი ქვეშევრდომების მოქმედება და ეს ქაღალდი, ჭეშმარიტებით სავსე მოუვიდა უმაღლეს მთავრობას, რომელმაც ყველას დაჯილდოება იპოვნა საჭიროდ“ (ყაზბეგი, 2009: 368). დამნაშავეს დასჯის მაგივრად დაჯილდოება ერგო წილად, ასეთი ყოფის პირობებში ადვილი წარმოსადგენია, როგორი უნდა ყოფილიყო უბრალო კაცის ხვედრი, რამდენი უსამართლობის ატანა მოუწევდა.

მოთხრობაში მწერალი საინტერესო სურათს ურთავს. დიდი ხნის სახლში ყოფნით შეწუხებულმა კობამ, რომელსაც იაგოსთან ერთად დამალვა უწევდა, გადაწყვიტა სნადიროდ წასულიყო. როცა ტყის სიღრმეში შევიდა, დაინახა კლდის თავზე ორი ჯიხვი ერკინებოდა ერთმანეთს, ხან ერთი მოექცეოდა კლდის თავზე, ხან მეორე, მათი რქების შეჯახება თოფის სროლის ხმასავით ისმოდა, მაგრამ „ღმერთსაც ნუ ექნა, რომ ქვევითს ეღალატნა ზევითისთვის, გამოსცლოდა იმ დროს, როდესაც მეორე მოდიოდა, თორემ ამას აღარ იხსნიდა რა, რამდენიმე ასი საჟენის სიმაღლიდგან გადავარდნილს სული აღარ ჩაჰყვებოდა ხევამდინ, მაგრამ დარწმუნებული ქვევითის უღალატობას, მოდიოდა ეს შნოებით სავსე პირუტყვი და მხოლოდ იმაზედ ჰფიქრობდა, რომ რამდენადაც შეიძლებოდა მალზედ დაკვრა“ (იგივე:382). პოეტს ამ ეპიზოდით იმის თქმა სურს, რომ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ცხოველებიც კი არ იმეტებენ ერთმანეთს სასიკვდილოდ, ამ დროს ადამიანმა ადამიანის შენდობა არ იცის, მმა მმას ვეღარ ნდობია, არავინ იცის, მტერი სად ჩაგისაფრდება და გამოგასალმებს სიცოცხლეს.

ამდენი უსამართლობით შეწუხებული ეფხია კობასა და ჯლუნას შეუერთდა. მის ნათქვამი კარგად აღწერს იმდროინდელ არსებულ უსამართლობას: „ეხლა ვაჟნი ისინი არიან, შენი კვნესა-მე, ვინც მოძმეთ გამყიდავია, მოღალატეა, ვინც მეზობლებზედ მთხრობლად გამოდის, იმათა აქვსთ ძალა, ისინი არიან ბატონები! რაიც უნდათ, იმას სჩადიან“ (იგივე: 393).

ბატონი ნაჩალნიკი და ბატონი დიამბეგი სოფლად ხალხს მოუწოდებდნენ, ჩეჩნების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსულიყვნენ, რისთვისაც ხელმწიფის სახელით დიდ წყალობას ჰპირდებოდნენ. მოსახლეობის უმეტესობამ იცოდა ჩეჩნეთისაკენ როგორი ძნელადსავალი ბილიკები მიდიოდა და როგორ ძნელ საქმეს ავალებდნენ, ხელმწიფის სამსახურში ბევრჯერ ყოფილა აქაური მოსახლეობა ზამთარსა და სიცივეში, მაგრამ ამჯერად ხლხს ვერ გაუგია, რატომ უნდა შეებრძოლონ მეზობელ ჩეჩნებს: „ჩეჩნელებთან საომრად ნუ გაგვგზავნით, ჩვენ მეზობლები ვართ ქისტების სოფლებთან, ერთმანეთში მოყვრობა გვაქვს, მტრებად ნუ გადაგვიდებთ“ (იგივე: 394). მაგრამ ხელმწიფის მოხელეები ჩასძახიან, რომ „ხელწიფის მოწინააღმდეგენი თქვენი მტრები უნდა იყვნენო“. ხალხი „ნებაუნებურად“ უნდა მოგროვილიყო და მათი ნების წინააღმდეგ უნდა მიხმარებოდნენ მეფის მოხელეებს, რომლებსაც შეეცდებოდნენ „ძლიერის იერიშით შამილის გატეხას და ჩეჩნების დაპყრობას“ (იგივე: 394).

ზოგი კიდევ დიდი სიხარულით ასრულებდა ამ დავალებებს. მოთხრობაში ალექსანდრე ყაზბეგი გულისტკივილით აღნიშნავს, როგორი სულმოკლეობით იყო შეპყრობილი ქართველი ხალხის ნაწილი „ვორონცოვის მმართველობის დროს“: „ამან შეაჩვია ევროპიულს, განაზებულს დროსგატარებას ჩვენი მებატონეები და აღუძრა სურვილი იმოდენა სშუალების მოპოებისა, რომ შესძლებოდათ მთავარმართებლის ბალებზედ სიარული და თავიანთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამიტომაც გარბოდნენ ისეთი სიხარულით“ (იგივე: 395). ალექსანდრე ყაზბეგი აღშფოთებას ვერ მალავს რუსეთის დაპყრობლური პოლიტიკური მიზნების მიმართ: „რუსეთი გაიზარდა, გაიწია განზედ, ის ვეღარ მოთავსდა თავის კალაპოტში და მიეშურებოდა სამხრეთისაკენ და, რაც კი გზაზედ ხვდებოდა, უნდოდა დაემორჩილებინა, დაეპყრო. ჩეჩნელები გზაში ეჩხირებოდნენ ამ მდინარებას, და ეს იყო პირველი მიზეზი შატაკებისა“ (იგივე: 399).

რუსეთის მეფის მოხელეები ყოველნაირად ავიწროებდნენ ჩეჩნებს, ყოველ ნაბიჯზე ჩანდა გადაბუგული სოფლები, წვავდნენ თივას და სიმინდს. შამილი ამ ყველაფრით სარგებლობდა და „ხალხს თავგანწირული ბრძოლისკენ მოუწოდებდა“, „აგრეთვე შამილი გულის ხეთქვით და კვნესით უყურებდა რუსებისგან ქართველების მიზიდვას, რომლებთანაც იმას სულით და გულით დაახლოება უნდოდა და ამ აზრით აგზავნიდა კაცებს მთებში“ (იგივე: 401). მაგრამ, როგორც ავტორი ამბობს, შამილს მომხრეებიც ჰყავდა ქართველებში. იაგო და მისი ამხანაგები შეუერთდნენ ჩეჩნებს.

ჩეჩენი ხალხი კარგად ხედავდა, რომ უცხო ტომთა ბატონობას მოჰყვებოდა უსამართლობა, მათ ქვეყანას სხვა გვარ-ტომობა დაეპატრონებოდა, ამიტომ თავს არ ზოგავდნენ მშობლიური მიწის დასაცავად. შეგროვილ ჯარს შეუერთდა შამილი, რომელსაც ალექსანდრე ყაზბეგი ასე ახასიათებს: „გამოჩნდა მშვენიერი შეხედულობის მოხუცი, თეთრის წვერით და თეთრისავე ჩალმით თავზედ. თეთრს გასუქებულს ცხენს, რომელიც გედსავით მოსცურავდა, მაღლა და ამყად თავი აეღო, თითქოს ჰგრძნობდა, თუ რა მხედარი მოჰყვანდა. ეს გახლდათ შამილი, იმამი ჩეჩნისა და დაღესტნისა, რისხვის შემყრელი მტერთა, ერთგული და თავგადადებული თავის მოძმეთა და მამულისთვის“ (იგივე: 430).

ალექსანდრე ყაზბეგის დახასიათებით, შამილი საოცნებო მამულიშვილი, თავისი მიწის უბადლო დამცველი და პატრიოტია, უფრო მეტად თავგანწირული ადამიანი ავტორს ვერც კი წარმოუდგენია. „შამილი მამა იყო, დანარჩენნი იმის შვილები, შამილი გრძნობდა იმას, რასც გრძნობდა მშობელი“, ამბობს ავტორი, მეტიც: „სამშობლოს სიყვარულს, მამულის თავისუფლებას ის მაღლა აყენებდა თავის მშობლიურ გრძნობაზედ, თავის პირად შეხედულებაზედ. შამილი იბრძოდა იმისთვის, რომ თავის სამშობლოს დღეგრძელობას და ბედნიერებას თავისუფლებაში ჰქონდავდა, და დღესვე რომ დაერწმუნებინათ, რომ იმის მოძმეთათვის მეტი საბედნიერო სხვა რიგი მოქმედება იქნებოდა - ის ბრძოლას თავს დაანებებდა, აიღებდა ყავრჯენს და მწყემსად ცხვარს მოუდგებოდა“ (იგივე: 432).

შამილს მოახსენეს, რომ რუსეთის ჯარს „თეთრი ღენერალი“ მოუძღვდა, (ასე ეძახდნენ ვარონცოვს), ისიც გაიგო, რომ რუსის ჯარში ქართველების ბევრნი არიან,

გაკვირვებული შამილი ამბობს: „საკვირველია მაგათი საქმე! მაგათ რაღა უნდათ ჩვენგან?“ (იგივე: 432). შამილი თავის ჯარს მოუწოდებს: „ეცადეთ, რაც შეიძლება ერიდნეთ ქართველებსა და ჩერქეზებს“, შამილის სიტყვებში გამოსჭვივის უკმაყოფილებას ქართველთა მიმართ, რადგან მტერი ერთი გვყავს. ამას არ ამბობს, მაგრამ სიტყვებში „მაგათ რათა უნდათ“, ეს იგულისხმება. სჩანს, მწერალი ფიქრობს, კავკასიელი ხალხის ერთიანობა დიდი ძალა იქნებოდა მტრის წინააღმდეგ.

ალექსანდრე ყაზბეგი ამბობს, რომ რუსების ჯარში სხვადასხვა ტომის ხალხს მოეყარა თავი, აქ იყო: „ჩერქეზი, ოსი, იმერელი, რუსი, თათარი და ყველა ერთმანეთში ირეოდა, ყველა ემზადებოდა ლენერლობის მიღებას, ყველა გამდიდრებას. აქ ყველა საჩუქრის მისაღებად წამოსულიყო, ყველა ბედნიერებას მოელოდა, მნელად იპოვებოდა ისეთი პირი, რომელსაც გულში სამშობლოს სამსახური და სახელი სდებოდა“ (იგივე: 445). სამწუხაროდ, ალექსანდრე ყაზბეგის ეს სიტყვები მწარე რეალობას შეადგენდა იმდროინდელ საქართველოში, რაზეც ავტორი დიდი გულისტკივილით საუბრობს.

„ელგუჯა“ 1881 წელს დაიწერა, ეს რომანი მე-18 საუკუნის მიწურულისა და მე-19 საუკუნის დამდეგის კონკრეტულ ისტორიულ ფონზე იშლება, კერძოდ, თხზულებაში აღწერილია მთიულეთის აჯანყება, რომელიც 1804 წელს მოხდა. ახალი მმართველობის პირობებში ერთმანეთს უპირისპირდება ხალხი თავისი ისტორიული ცხოვრებით და სახელმწიფო აპარატის გულგრილი მოხელეები, ასეთია ნაწარმოების მთავარი თემა.

მთიელი ხალხის ყოფა-ცხოვრება, მათი რუსი მოხელეების მიერ შევიწროება კარგად ჩანს ელგუჯას ცხოვრების მაგალითზე, რომელიც ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირია. ელგუჯა უპირისპირდება რუსი მთავრობის მიერ გაძლიერებულ და გადაგვარებულ გაგი ჩოფიკაშვილს, რომელსაც ზურგს უმაგრებს მმართველობის მთელი სისტემა.

ხევის მმართველი გაგი ჩოფიკაშვილი ერთი მედროვე პერსონაჟია, რომელიც საჭიროების მიხედვით იმ მხარეს დგას, საიდანაც მეტი სარგებლის მიღებას ელის. როდესაც მთიულებმა ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით თავი მოიყარეს, რათა რუსების წინააღმდეგობას წინ აღდგომოდნენ, გაგი ქვეყნის მომავალზე ფიქრს

არ შეუწუხებია, არამედ ფიქრობს, რომელი გზა იყო უფრო ხელსაყრელი მისთვის. როცა რუსის ჯარი სოფლებში კარგად გამაგრდა: „გაგიმ დაინახა თავისი მდგომარეობა, დაინახა საითვენ უფრო სასარგებლო იყო იმისთვის და გადადგა რუსებისაკენ, რომლისთვისაც მისცეს აფიცრობა“ (ყაზბეგი, 1968: 54). გაგი ჩოფიკაშვილი სახეა იმდროინდელი გარკვეული წრის ქართველებისა, რომელთათვისაც საკუთარი კეთილდღეობა ქვეყნის ინტერესებზე მაღლა იდგა.

მოცემულ მოთხრობაში საინტერესო პიროვნებაა სიმონ ჩოფიკაშვილი, ამ პიროვნებაში გაერთიანებულია ზნემაღალი მთიელი ადამიანი, გონიერი მმართველი. მის პერსონაჟში გამოხატულებას პოულობს თავად მწერლის იდეურ-პოლიტიკური შეხედულებანი.

სიმონი უაღრესად სამართლიანი და გონიერი მმართველია, კარგად იცნობს ხევის ხალხს, ჭირშიც და ლხინშიც მათ გვერდითაა, ამიტომაც ხალხში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს, მის სიტყვას თანამომეთა შორის დიდი ფასი აქვს.

ნაწარმოების პერსონაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი ისტორიული პირია, ავტორი ასევე ახსენებს საქართველოს მეფე გიორგი მეთორმეტეს.

სიმონ ჩოფიკაშვილი უაღრესად კეთილშობილი, ამაღლებული და მიმზიდველი პიროვნებაა. მაღლე საინტერესოა სიმონ ჩოფიკაშვილის დამოკიდებულება ალექსანდრე ბატონიშვილთან. ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც სათავეში ედგა რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობას, სვიმონ ჩოფიკაშვილის მიმხრობაც განიზრახა. მან ჩოფიკაშვილს მიციქულები გაუგზავნა და მხარდაჭერა მოსთხოვა. ჩოფიკაშვილმა ბატონიშვილს დახმარებაზე უარი უთხრა, რადგან ფიქრობდა, რომ ეს ნაბიჯი შედეგს ვერ გამოიღებდა, რამდენიმე გაერთიანებული ქართველი რუსეთის ჯარს ვერ დაამარცხებდა. „ბატონიშვილსა? ჩემგან ხვეწნა და მუდარა მოახსენე: მეფეს ნუ ეწინააღმდეგება და საქართველოს ძალას შუაზე ნუ ჰყოფს... თუ ერთად ვიქნებით, რუსები კიდევ ვერას გვიზამენ, მაგრამ თუ შუა გავიყავით, მაშინ ჩვენი საქმე წასულია! ჩავიდეს მეფესთან, მოუდგეს გვერდსა და რაიცა რუსებთან პირობები გვაქვს, ისინი აასრულებინოს!“ (ყაზბეგი, 1968: 84).

აჯანყების ერთ-ერთ მოთავეს აბდიას სიმონი ეუბნება: „ვფიცავ, რაც უფრო ძვირფასად მიმაჩნია ამ ქვეყნად - დღესვე რომ შემეძლოს ჩემი ცოლ-შვილის მსხვერპლად მოტანით მამულის დახსნა, იმათაც კი არ შევიბრალებდი, მე თვითონ ჩემის ხელით ყელებს დავჭრიდი, მაგრამ ეგ არ უშველის მამულს. ასე ნაწილ-ნაწილად მღელვარება და თავის გაწირვა მხოლოდ ხალხს გაწყვიტავს“ (ყაზბეგი, 1968: 144).

„გაბრიელ ყაზბეგის ცხოვრება, მისი მდგომერეობა და საქმეები მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში და ისიც ძალიან მკრთალად წააგავს სვიმონ ჩოფიკაშვილის მდგომარეობას და ამაღლებულ საქმეებს“ (მახარაძე, 1989: 149).

ალექსანდე ყაზბეგი ნაწარმოებში საუბრობს იმ ისტორიულ ფაქტზე, როდესაც მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა გამოცხადდა. ხალხი უკმაყოფილებას გამოთქვამს ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლებიც ამბობენ: „ჩვენ რუსეთისგან მფარველობა გვინდოდა და მოულოდნელად ყმად კი გადავიქეცით... მართლა მეფემ გარდასცა საქართველო, თუ გაგზავნილებმა გამოსცვალეს ქაღალდები და მეფე კი ქალაქში მოწამლეს“ (იგივე: 134). ავტორი გადმოგვცემს მთიელი ხალხის დაუმორჩილებელ ბუნებას, მათ შეუდრევალ ხასიათს მტრის წინააღმდეგ. ხალხმა გადაწყვიტა დარიალის ხეობა შეეკრა, რომ რუსის ჯარი ვერ შემოსულიყო. მთიელები მტრის წინააღმდეგ ბრძოლას წმინდათაწმინდა მოვალეობად მიიჩნევდნენ: „ვაჟკაცი ნამუსისა და ბრძოლისთვის არის გაჩენილი“, ამბობს ელგუჯა. ხალხი ყველაზე მეტად გიორგი მეფის სიკვდილმა ააღელვა, უფრო იმან, რომ ეჭვობდნენ, რომ მეფე მტრის ხელით არის მოკლული, ის მოწამლეს: „მერე როგორ მოუკლავთ უღმერთოებს?.. მოუწამლავთ!“ (იგივე: 139).

მთიელი ხალხი რუსი მოხელეების მხრიდან არნახულ უსამართლობასა და ჩაგვრეს განიცდის, უბრალო ხალხის შევიწროება ნაწარმოების მიხედვით უფრო მაშინ გაძლიერდა, როცა სიმონ ჩოფიკაშვილი გარდაიცვალა და მმართველობა უმაღლესმა მთავრობამ რუს მოხელეს გადასცა, ხალხის ჩაგვრამ კიდევ უფრო მოიმატა. მომაკვდავი სიმონ ჩოფიკაშვილი მომავალ მმართველს, ნაჩალნიკს, ამ უკანასკნელის თხოვნაზე, აჯანყების მოთავეთა სახელები ეთქვა, ასე უპასუხა: „მთის ხალხი გულკეთილია, პატიოსანი, მართალი... დასჯას რას ემართლებით?.. ისინი

იცავდნენ თავიანთ ქვეყანას, რადგანაც თავიანთ ვალად რაცხავდნენ... არ უნდოდათ ღალატი თავის მეფისა, თავიანთ სამეფოს მემკვიდრისა, თავიანთი ეროვნებისა და თვითმყოფელობისა“ (იგივე: 179).

ხალხისადმი მტრული და უსამართლო დამოკიდებილებას კარგად ასახავს ავტორის შემდეგი სიტყვები: „ახალმოსულებს ჩაგონებული ჰქონდათ, რომ ქართველები უზრდელნი, ბრიყვნი, გარეგანი და ბარბაროსები არიანო; რომ მათზედ გავლენა მხოლოდ ძალდატანებით და სიმკაცრით შეიძლებაო; ამისთვის ყოველი რუსი მოხელე საქართველოში, პირველსავე ფეხის შემოდგმაზედ, თავის მოვალეობადა ხდიდა ადგილობრივ მცხოვრებლებს ამ აზრის თანახმად მოქცეოდა, რამდენადაც შეიძლებოდა სიმკაცრე და შეუბრალებლობა გამოეჩინა“ (იგივე: 149).

ავტორის აღნიშნული სიტყვები ისტორიულ სინამდვილეს შეიცავს და სამწუხაროდ, ხალხმა საკუთარ თავზე იწვნია რუსი მოხელეების სისასტიკე და ჩაგვრა.

ისტორიულ პირთა სახეებს ვხვდებით ალექსანდრე ყაზბეგის დრამატულ ნაწარმოებებშიც, ამ მხრივ გამორჩეულია მისი ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა „წამება ქეთევან დედოფლისა“. დრამას საფუძვლად უდევს კონკრეტული ისტორიული ფაქტი, რომელიც ასახავს XVII საუკუნის დამდეგს.

ისტორიულად ცნობილია, რომ 1606 წელს სპარსეთის შაჰმა საქართველოში ყიზილბაშთა ლაშქართან ერთად გამოგზავნა თავის კარზე აღზრდილი გამაჰმადიანებული კონსტანტინე ბატონიშვილი. კონსტანტინემ მოკლა საკუთარი მამა, კახეთის მეფე ალექსანდრე, მოკლა აგრეთვე ღვიძლი ძმა გიორგი, თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა და ქვრივი რძლის, ქეთევანის ცოლად შერთვა განიზრახა. გადაგვარებული ბატონიშვილი ქართველებმა მეფედ აღარ მიიღეს, ომი გაუმართეს და ამ ომში მოკლეს.

ალექსანდრე ყაზბეგმა დრამაში ამ ისტორიულ მოვლენას შეუერთა ქეთევან დედოფლის წამების ფაქტი, რომელიც 1624 წელს მოხდა. დრამაში ქეთევან დედოფლალი ჩანს, როგორც ხალხისთვის თავდადებული დედა. ქეთევანო ორი არჩევანის წინაშე დგას: ან სარწმუნეობა შეიცვალოს და შაჰის ცოლობას დათანხმდეს, ან წამება მიიღოს.

ქეთევანი ბოლომდე ურყევად რჩება იმ გადაწყვეტილებაზე, რომ სიკვდილის მოლოდინში მტერს სულმდაბლად არ ეჩვენოს. ჭეშმარიტად შთამაგონებელია დედოფლის პიროვნება იმ მომენტში, როდესაც იგი მასთან მისულ ქართველებს მტკიცედ უპასუხებს: „მე არ გავიქცევი, შიშს არ ვუჩვენებ... როდესაც მთელი ქრისტიანობის თვალი ჩვენსკენ არის მოქცეული, როდესაც ჩვენგან მოელიან მაგალითს, მე ნება არ მაქვს, რომ შევდრკე ამ სოფლურ სატანჯველის წინაშე და ვეჩვენო სულმოკლედ, არც ვეჩვენები!“.

თხზულებაში გარდა ქეთევან დედოფლისა, სამშობლოსათვის თავდადებასა და თავგანწირვის შესანიშნავ მაგალითს იძლევიან გმირი ვაჟკაცები, ამთგან გამორჩეულია ქაიხოსრო ომანიშვილი, რომელიც ჭაბუკობიდანვე ქეთევანზე ყოფილა შეყვარებული, ქეთევანის გათხოვების შემდეგ ქაიხოსრო კვლავ სათუთად ინახავდა დედოფლისადმი უზადო თაყვანისცემის გრძნობას. იგი ახლა უკვე სახელოვანი სარდალი, ერთგულად ემსახურება როგორც მშობლიურ ქვეყანას, ისე თავის სათაყვანებელ დედოფალს. ქაიხოსრო ომანიშვილი სამშობლოს განსაცდელის უამს თავის პირად გრძნობას ვაჟკაცურად იკავებს და მთელს ძალას და ენერგიას საქვეყნო საქმეს ანდომებს.

უაღრესად დიდია ალექსანდრე ყაზბეგის დამსახურება ქართული ლიტერატურის მიმართ. მისი ყველა ნაწარმოები თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

§2. ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი სარბიელი მრავალმხრივი იყო, ის ლიტერატურის ყველა ჟანრში ეწეოდა მოღვაწობას და ყოველვის ინარჩუნებდა თანასწორ სიძლიერეს ყველა სფეროში. ვაჟა-ფშაველა იყო ამავე დროს დიდი მოაზროვნე XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნი დასაწყისის მიჯნაზე.

ვაჟა-ფშაველამ მოგვცა ფრიად ფილოსოფიური შეხედულება სამყაროზე. მისი შემოქმედება ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად გვანიჭებს ზნეობრივ სიწმინდეს.

ვაჟა-ფშაველას თხზულებათა დიდი ნაწილი წარსულიდან იღებს მასალას, მისი გმირები წარსულიდან მეტყელებენ, მაგრამ აწმყოსთან არიან დაკავშირებულნი, წარსულის გმირული მაგალითების მოხმობით ისინი აწმყოს გაუმჯობესებას ემსახურებიან, სწორედ ამ მიზნით არის წარსული გაცოცხლებული პოემა „ბახტრიონში“, წარსულიდან მეტყველებენ ზეზვას, ლუხუმისა და სუმელჯის სახელები.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება სავსეა პატრიოტული გრძნობით, მის ნაწარმოებებში ჩანს ეროვნული შეგნების მაღალ დონეზე მდგომი პოეტი. ერთ-ერთ წერილში ვაჟა ფშაველა წერს: „როგორ გგონიათ? არა მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩვენი ქვეყნისა ბრწყინვალეთ? ნუთუ ეს არ ჩანს ჩემს ნაწერებიდან? ეს რომ არ მწამდეს, თვენ გგონიათ მე კალამს ავიღებდი ხელში? ურწმუნოთა შრომა ამაოა, შეუძლებელიც მგონია. იმ ხიდს, რომლის დადებაც მუშამ შეუძლებლად ცნო - თავის დღეში არ შეუდგება (ფშაველა, 1979: 624)

ციტირებული ტექსტი ხაზს უსვამს არა მხოლოდ ვაჟას შემოქმედების პატრიოტულ მოტივს, არამედ იმ ფაქტსაც, რომ ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედის მხატრულ ნაწარმოებს თავისი დროისა და ერის ბეჭედი აზის, ამის გარეშე არ არსებობს მაღალი ხელოვნება. ამ ფაქტის დასადასტურებლად ვაჟა ასახელებს პოემა „ბახტრიონს“, მართლაც, ამ ნაწარმოებში ყველაზე უფრო სრულყოფილად გამოჩნდა ვაჟა ფშაველას ეროვნული თვალსაზრისი, უდიდესი სიყვარული თავისი ქვეყნისა და პატივისცემა თავისუფლებისა. დრო, რომელშიც „ბახტრიონი“ გამოისახა, ყველაზე უფრო კონკრეტული იყო ქართველი ერის ისტორიაში. თავისი არსებობის არც ერთ

პერიოდში საქართველოს არ უგრძვნია ყოფნა-არყოფნის ტრაგიკული შეგნება, როგორც XVI საუკუნის დასასრულსა და XVII საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე.

„წყვდიადის განჭვრეტისა“ და ადამიანის მაღალ სულიერ ღირებულებათა ხსნის შესახებ ფიქრმა პოეტი ჩვენი ხალხის დიდ ისტორიასთან მიიყვანა, აწმყო ხიდად გასდო წარსულსა და მომავალს შორის, როცა 1892 წელს ბრწყინვალე „ბახტრიონი“ შექმნა. ამ ნაწარმოების დაწერით ვაჟამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ღირსეული მემკვიდრეა ჩვენი დიდი ისტორიული ხალხური და ლიტერატურული წარსულისა, ეს პოემა, როგორც ცნობილია, საგმირო ისტორიულ პოემათა რანგს განეკუთნება“ (ევგენიძე, 1989:271).

ვაჟა-ფშაველას პოემის მხოლოდ სათაური „ბახტრიონი“ გვაკავშირებს ქართველი ერის ისტორიის განსაზღვრულ სიტუაციასთან. „ბახტრიონის“ უკვდავი გმირების დაუვიწყარი სახელები: შალვა, ელიზბარ და ბიძინა სრულიად არ ჩანან. ვაჟა მათ გვერდს უხვევს იმიტომ, რომ შეენარჩუნებინა ნაწარმოებისათვის, როგორც ხელოვნებითი ქმნილებისათვის, აბსოლიტური ზომადობა ხალხის ეროვნული სულის გამოსახვის დროს“ (ბენაშვილი, 1989: 156).

ბახტრიონის დაწერის ისტორიაზე თავად ვაჟა-ფშაველა გვიყვება წერილში „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, სადაც ამბობს: „ხალხური თქმულება დაწვრილებით მასალას არაფერს იძლევა ბახტრიონის აღებისას, იმ დროს მებრძოლთა სახელებიც დაკარგულია, გარდა ზეზვასი (თუშია); ზეპირგადმოცემა ჰდალადებს, რომ ფშაველებისთვის ამ ღვაწლისთვის ნაჩუქარი აქვთ პანკისი, ალვანი და სხვა“ (ფშაველა, 2011, 256).

ვაჟას თქმით, ბახტრიონის დაწერის მიზეზი ხალხური ლექსების გარდა გამხდარა იოანე ბატონიშვილის ნაწარმოები „კალამასობა“: „წავიკითხე ის ადგილი, სადაც ბერი იოანე ხელაშვილი შეჰვდება ლალისყურისაკე მიმავალ ორ ფშაველს და გაუბამს მათ საუბარს. ამან მუჯლუგუნი წაპკრა ჩემს ფანტაზიას, გაათამამა, როგორც უტყუარმა დოკუმენტმა მთიელთა გმირობისამ და გაბედულად ამაღებინა ხელში კალამი“ (იგივე: 256).

ვაჟას წერილში მოჰყავს იოანეს მონათხრობი შაპ-აბაზის კახეთის აოხრებისა ქეთევან დედოფლის წამების შესახებ. კახეთის აოხრების შემდეგ შაპმა ჯარი თქვენზე

გამოგზავნა, მაგრამ თქვენს ხეობას წმინდა ქეთევანის მადლი იფარავსო, ამბობს იოანე. ვაჟას თქმით, ბერი ხელაშვილი ქება-დიდებას ასხამს თუშებს, „აი, ყველა ის მასალა, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი „ბახტრიონის“ წერის დროს, ხოლო გმირები პოემისა - ლუხუმი, ხოშარეული, სუმელჯი, კვირია, სანათა, გარდა ზეზვასი, ხალხურ ლექსებში ერთიც არ არის ნახსენები, რომ იმათ მიეღოს რაიმე მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლაში და არც კი არიან თანამედროვენი ბრძოლისა“ (იგივე: 256-257).

ვაჟა-ფშაველა წერილში ასევე ამბობს: „კვირია და ლელა არიან საკუთარი ფანტაზიის ნაყოფნი. იმათი ხსენება არც ხალხურ ლექსები და არც ზეპირგადმოცემაში არსად არ მოიპოვება: დედაკაცს რომ რაიმე როლი ეთამაშნოს ბახტრიონის აღებაში, ამაზე არც ლექსები, არც ზეპირგადმოცემა არავითარ ცნობას არ იძლევა“ (იგივე: 258).

პოემის დასაწისში პოეტი უდიდესი ექსპრესიით და პლასტიკურ ფერებში აღწერს ყოველდღიური ვარამით დაღლილი მთების მიძინების პროცესს. დღემ პირბადე ჩამოიხურა და თითქმის მიყუჩდნენ საფლავში გმირების მშფოთვარე ძვალები.

უცხო მხრიდან მოსული კაცი თოფზე დაყრდნობილა და უსმენს დიაცის ქვითინს, რომელსაც საკლავი დაუკლავს, გაუტყავებია და ხატთან შესაწირავი მიუტანია. მთის ტრადიციის თანახმად კი ქალს უფლება არა აქვს, ამ ტაძარში ხატს სანთელი აუნთოს, ამ წესს მამაკაცები ასრულებენ მაგრამ: „ხატიც შეგვინდობს ცოდვასა, რო გნახავს გასაჭირშია“ (ფშაველა, 2011: 59). ვაჟა-ფშაველა წერს: „გამიგონია აგრეთვე ამბად ისიც, ვითომ ფშავში, თათრებთან ბრძოლაში თითქმის სულ გაწყვეტილიყვნენ მამამკაცები და ხატში, სალოცავში დედაკაცებს მოენთოთ სანთელი, ხოლო როდის მოხდა ეს ამბები, ზეპირგადმოცემები არ აღნიშნავს იმ ხანას“ (ფშაველა, 1979: 622).

სანათა მიხვდა, რომ ოც წელს თავის მშობლიურ კერას მოწყვეტილი კაცი შემთხვევით არ მოვიდოდა ფშაველებთან. ნახევრად დაფლეთილ ტანსაცმელში გამოწყობილი კვირიას სახით ჩვენ წინა შედგება ერთი მხრით, უბედურების მაუწყებელი ადამიანი, მეორე მხრით, უდიდესი პატრიოტი. პოემაში მაცნედ მოსულმა კაცმა დაგვავიწყა სანათას უბედურება და უფრო დიდი ეროვნული

ტკივილი გაგრძნობინა, განა შეიძლება უემოციოდ წაიკითხოს მკითხველმა კვირიას მონოლოგი თათრების მიერ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის აოხრების ამბავი!

კვირიას ნაამბობიდან ჩანს, რომ კახელებს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის და მისი დიდებული სახელის დასაცავად სიცოცხლე არ დაუზოგავთ, თავგანწირულმა ბრძოლამ სიცოცხლე წაართვა მამაც მეომრებს. რიცხვმა აჯობა თავგანწირვას. მტერმა ბრძოლის ველზე დაცემულ კახელთა გვამებზე გადაიარა და სახლში უმწეოდ დარჩენილ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს შეესია, განადგურებულ კახელებს თუშები გამოექომაგენ:

„მტერმა დაგვჩაგრა გვიშველეთ,
გაუტეხელნო გულითა,
უბაროდ, განა არ იცით,
მთანიც რო ვერა გვარობენ
გვიშველეთ, ფშაველ-ხევსურნო,
ბარზე თათრები ხარობენ”.

(ფშაველა, 2011:62).

სანათას სახე პოეზიაში მოჩანს, როგორც უწმინდესი დედა საქართველოსი, მაგრამ იგი მარტო მლოცველი არ არის, არამედ მოქმედიცა: „შვილო, დედილამ, მე თვითონ წავალ, შავტირებ ფშაველთა, მე თუ რვა სული შავსწირე, თითოს ვერ გაიმეტებენ? ფშაველნი აიშლებიან, თუ მტერს სამ დაიმედებენ” (იგივე:64). სანათა დაჩოქილი ჩასძახებს გმირების მდუმარე ჩონჩხებს: იძინეთ მშვიდად შვილებო, თქვენი დანთხეული სისხლი აღებული იქნება.

მთიდან ზვავივით დაეშვა თუშ-ფშავ-ხევსურთა რჩეული ლაშქარი. ხევისბერები ზარების გუგუნით აუწყებენ ხალხს სამშობლოს განთავისუფლების მოახლოების ჟამს, აბჯროსან ფშაველებს წინ მოუძღვდათ თეთრ ცხენზე ამხედრებული ბერი ლუხუმი, ხოლო მამაც ხევსურებს სუმუნჯი და ხოშარაული.

სამშობლოს ხსნა ყველაზე წმინდა საქმეა, ხატი ამ წმინდა საქმეს წინ წარუძღვება. ამის შემდეგ ფშავ-ხევსურებმა საღვთოდ დაჰკლეს ხარები ცხვრები, ლუდით სავსე თასებით ადიდებდნენ გმირებს:

„ადიდეს ლაშარის ჯვარი,
თამარის ნაჩუქარია,
ადიდეს დიდი თამარი,
ის ღმერთთან წილნაყარია” (იგივე: 71).

მეომრები განაცვიფრა ქალის, ლელას გამოჩენამ, რომელიც მთაში განთქმული გმირის შანშეს შვილია, ის მოვიდა ქართველთა ლაშქაში, რათა შური იძიოს ბრძოლაში ტრაგიკულად დაღუპული გმირებისათვის.

პოემაში ვაჟას თუშების სარდალი ზეზვა შემოჰყავს, როგორც დასრულებული ხასიათის ადამიანი, რომლის ნაჭრილობევ სახეზე აღბეჭდილია ყველა კეთილშობილი თვისება ქართველი მეომრისა:

„ლაშქრობამ ჩამომაბერა
ძაღლ-უმადურად გდებამა,
სრულ ლაშქარში ვარ, რაც კია,
ძუძუს მამსხლიტა დედამა”. (იგივე: 93-94).

ზეზვას ამ სიტყვებით ქვეცნობიერად ცოცხლდებიან გმირები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე მსხვერპლად მიიტანეს ქართველი ერის საკურთხეველზე და მომავალ თაობებს არსებობის უფლება მიანიჭეს. მხოლოდ ლუხუმისა და ზეზვას მსგავს ადამიანებს შეეძლოთ ერის ცხოვრებაში ყველაზე ტრაგიკულ პერიოდში, როდესაც ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, დაეხსნათ სამშობლო დაღუპვისაგან.

მეომრები ჩამოთვლიან იმ გმირების სახელებს, რომლებმაც თავის ისახელეს ბახტრიონის ბრძოლაში, მაგრამ ზეზვას განსაკუთრებულად გამოყოფენ:

„ისა ყოფილა ვაჟკაცი
ღირსი, წელთ ერტყას ხმალია“ (იგივე: 99).

კაცობრიობის კულტურულ საგანძურში სწორედ ზეზვასნაირ გმირებს შეჰქონდათ წვლილი, მაგრამ მტერი არ ასვენებდა მას, ლამაზსა და მდიდარ ქვეყანას ეცილებოდა. მაგრამ ვაჟამ კარგად იცოდა, რომ ჩვენ მარტო ზეზვასნაირი გმირები არ გვყოლია. ზოგჯერ ლაჩრებიც და სულმოკლეებიც გვყვანდნენ, ისინი ხან ბრძოლის ველიდან გამორბოდნენ, ხან იუდასავით გროშის ფასად ქართველი ხალხის ინტერესებს ჰყიდნენ, ხან მომმეს კეთილ საქმეში ხელს უშლიდნენ. ვაჟამ ბახტრიონში წიწოლას სახით მოგვცა ტიპიური სახე ამგვარი სულმოკლე და ლაჩარი ადამიანისა. თუ ლუხუმის ვაჟკაცურად მოქმედებამ გველსაც კი მოულბო გული, წიწოლას სიმხდალემ ადამიანიც გააბოროტა და გულქვა არსებად აქცია.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს პოემა „გველის მჭამელს“, რომელზედაც კრიტიკულ ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებები არსებობს, მინდია თამარის თანამედროვეა. ამით გამოხატულია მწერლის განწყობა, რომ წარსულის ყველა ღირსსახსოვარი მოვლენა, ხალხური ტრადიციის დარად, თამარის სახეს დაუკავშიროს:

„გვირგვინოსანი თამარი

სულ-მუდამ ამის მთქმელია:

ოღონდ მინდია თან მყვანდეს,

მასთან მთიელი ერია,

რაც უნდ ძალიან ეცადოს,

ვერას დამაკლებს მტერია“.

(ფშაველა, 1011:173).

პოემის მიხედვით, შეუძლებელი იყო თამრის დროს ლეკ-სპარს-ქისტთ და თურქთა შემოსევები მომხდარიყო, ამ დროს მტერი ვერ ბედავს, ქვეყნის შიდა ოლქებში შემოჭრას.

ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი საყვარელი ისტორიული გმირია ერეკლე მეორე. ვაჟა მოთხრობებში და ლექსებში გადმოგვცემს, როგორ უყვართ ერეკლე ხალხს. ვაჟას თქმით, ერეკლეს განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდა ფშაველებთან, რადგან აქ

გაუტარებია ბავშვობა. როგორც კრიტიკოსი გერონტი ქიქოძე წერს: „თურქებისა და ლევების ძალმომრეობამ კახეთის სამეფო ოჯახი იძულებული გახადა ფშავში გახიზნულიყო. ამ დროს ერევლე 4-5 წლისა იქნებოდა. მას თავის დედ-მამასა და ძმასთან ერთად, ციხე სიმაგრეებში, უბრალო მწყემსების ქოხების გვერდით უხდებოდა ცხოვრება, მის მეგობრებში ერივნენ გლეხის ბიჭებიც, მათთან ერთად პატარა უფლისწული ჯარისკაცობდა, თევზებს იჭერდა და ბურთაობდა. ის ადრე შეეჩვია ცხენზე ჯდომას და ყოველ ჯარობაში თავის ბაჩას დააქროლებდა“ (ქიქოძე, 1965: 26).

კრიტიკოსის თქმით, ქართულმა სახალხო პოეზიამ საუცხოოდ ასახა პატარა კახის ეს თავისებური აღზრდა, მისი სიახლოვე ბუნების სტიქიონებთან:

„ბატონიშვილს ერევლესა

ირმის ძუძუ უწოვნია,

საჩალეში გადაეგდოთ,

მონადირეს უპოვნია,

წყალი უსვამს ალგეთისა,

თრიალეთზე უძოვნია“

(ქიქოძე, 1965: 27).

ვაჟა-ფშაველამ ერევლეს სახე დაგვიხატა ლექსებში, მოთხრობებში, ერევლეზე საუბრობს პატარა პოემაში „ძაღლიკა ხიმიკაური“ და სხვა. „ვაჟა-ფშაველა ასეთ გმირებს მოუხმობს ახალ დროში, ისინი საჭირონი არიან მტრის წინააღმდეგ ახალი ბრძოლისათვის“ (ქართ. ლიტ. ისტ., 1974: 434).

პროზაულ ნაწარმოებში „ორი ამბავი მეფე ერევლეზე მთაში დარჩენილი“, ვაჟა-ფშაველა პირველ ნაწილში საუბრობს ერევლეს მიერ ფშაველებთან გამართულ ნადიმზე თეკლა ბატონიშვილთან ერთად. მეორე ნაწილში კი გადმოცემულია, თუ როგორ სთხოვა ერევლემ ასპინძაში ხევსურთა გმირს, ძაღლიკა ხიმიკაურს ხმალი.

ვაჟა-ფშაველა ამბობს, რომ თეკლა ბიჭს ფშაური თქმულება იცნობს „ბოგუნის“ სახელით. თეკლას თვით მამამ ასწავლა „სამამაცონი ზნენია“, ის არც ერთ მოჯირითეს არ ჩამოუვარდებოდა ჯირითსა და თოფოსნობაში.

ერთხელ ლაშქრობიდან დაბრუნებულ ერეკლეს თავისი ლაშქრისთვის ნადიმი გაუმართავს. ვაჟა ამბობს, სუფრაზე ჯარისკაცები თემ-თემად ისხდნენ თუ არევ-დარევით, ამაზე თქმულება დუმს. მეფემ უბრძანა თეკლეს, მერიქიფეს დოქი ჩამოართვი და ფშაველებს ღვინო შენი ხელით დაალევინე სათითაოდო. ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას ფშაველებისადმი ვაჟა-ფშაველა იმით ხსნის, რომ ყრმა ერეკლე ფშავში გაიზარდა. შეზარხოშებულ ფშაველებს თეკლასთვის კაფია უძღვნიათ:

„ღვინოს გვირიგებს ბოგუნი,

შემეჯინჭრება მე გული“

(ფშაველა, 1986: 409).

თეკლას კაფია შეურაცხყოფად მიუღია. ერეკლეს უთქვამს შვილისთვის: „ნუ გწყინს, ფშაველები არიან, რა ვუყოთ, მაგათი წესი ეგ არისო“ (იგივე: 409). თეკლა ბიჭი დამშვიდდა, მაგრამ მერიქიფეობა აღარ იკისრა.

ვაჟა-ფშაველა ამ ამბის შესახებ აღფრთოვანებით ამბობს: „ახლანდელი იუნკერიც არ იკისრებს, თავის ტოლ-ამხანაგს, იუნკერს დაუყენოს თავისი ქალი მერიქიფედ, მაგრამ განა ყველა გმირია?!“ (იგივე: 409). მაგრამ, ვაჟას თქმით, „დიდებულ გმირმა იკადრა მწვერვალიდან დაბლა ჩამოსვლა და, ვინ იცის, სხვა რამდენ რასმე კისრულობდა (მოიგონეთ ტოტლებენს რომ დაუჩოქა) მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ერი გაეერთგულებინა და მათი საქვეყნო საქმე კეთილად წარემართა (იგივე: 410).

II. „ხიმიკაურის ხმალი“. აღნიშნული თხზულების მიხედვთ, ასპინძაში, როცა ერეკლეს ხმლით თავგაჩეხილი კოხტა ბელადი სულს ლევდა, მეფეს გვერდით ახლდა შვიდი ხევსური - ძალლიკა ხიმაკურითურთ. ერეკლე მეფის გამარჯვებით გამხნევებული ჯარი დაერია ლეკ-ოსმალებს და „თიბვა დაუწყო, როგორც ბალახს“, ძალლიკა ხმლის ერთი მოსმით მტერს ძირს სცემდა. მეფეს ძალიან მოსწონებია მისი

ხმალი, მეორე დღეს დაუბარებია და უთქვამს: „შენი ხმალი დამითმე და ფასი რამდენიც გინდა, მიიღო“ (იგივე: 411). ხევსურისთვის ხმლის წართმევა ყველაზე დიდი დასჯა და შეურაცყოფააო, ამბობს პოეტი, ძაღლიკას მეფისთვის უთხოვია, ხმლის წართმევას მირჩევნია ორივე ხელი დამაჭრაო, მაგრამ ბოლოს მეფეს ხათრი ვერ გაუტეხა და ხმალი მისცა, სანაცვლოდ მიუღია სხვა ხმალი და ერთი თოფი. როგორც ვაჟა ამბობს: „დღეს ეს თოფი ინახება ხევსურეთში, ხიმაკაურების ოჯახში, რომელსაც ხევსურები „ბატონიანთ თოფს ეძახიან“ (იგივე: 411).

ომში გამოჩენილი ვაჟკაცობისთვის მეფემ ხიმაკაურს სიგელით დიდი მამულები უბოძა. ვაჟა ამბობს, რომ ეს სიგელები მე თვითონ ვნახე სპილენძის კოლოფში შენახული, პატრონი დავას აპირებდა, რადგან ამ მამულებს სხვები სარგებლობდნენ, ალბათ ძაღლიკამ ხმლის წართმევა იუკადრისა და მამული არ აიღოო. ლაშქრობაში მეფე პირველ რიგში ძაღლიკას კითხულობდა, მაგრამ გაბრაზებული ძაღლიკა ომში არ მიდიოდა და მეფეს უბარებდა: „გადაეცით, ავად არის-თქო ძაღლიკაი“. (იგივე: 411).

ამავე ამბავზეა აგებული ვაჟა-ფშაველას პოემაც „ძაღლიკა ხიმიკაური“, რომელიც პოეტმა უძღვნა ილია ჭავჭავაძეს.

ხევსურებს ბარიდან ერეკლეს წერილი მიუღიათ - მეფე საომრად იწვევდა მტრის წინააღმდეგ. ხევსურები ხმლებს ლესავდნენ, მხცოვნები ჯაჭვის პერანგებს კერავდნენ. მეომრებს შორის არ ჩანდა ძაღლიკა. მეომრები გასძახოდნენ: სად ხარ ძაღლიკავ, გარეთ გამოიხედეო. ძაღლიკა თავის აბჯარს გლოვობდა, ხალხს სახლიდან გამოსძახა: ბატონს უთხარით, ძაღლიკა ვერ წამოვა, რადგან მისი გული მკვდარია, საწოლად არის ჩავარდნილი, სახლსაც ვერ პატრონობსო. განა არ ვიცით, რატომაც ბრაზობ? არ გევადრება ბავშვური ქცევა, უშენოდ ბატონთან მისვლა არ ივარგებს, შენ წინ უნდა წაგვიძლვე, ერთი ხმლის გულისთვის ქვეყანას ხომ არ წავახდენთო. გაბრაზებული ძაღლიკა ხევსურებს პასუხობს: „თუკი ლაშქარში ვუნდოდი, რად გამომართვა ხმალია“ (ვაჟა-ფშაველა, 2011, 74) ძაღლიკა წყენას ვერ ივიწყებს, ბერდიას თხოვნაზე, ჩვენთან ერთად წამოდიო, ასე პასუხობს „განა არ იცი, მე ხმალი, სახლ-კარს და ცოლ-შვილს მერჩივნა?“ (იგივე: 75). ბერდიას დედებმა და ძაღლიკას ცოლმაც აუბეს მხარი, რად გინდა ხმალი, თუ არ მოიხმარ, თუ ქვეყნისთვის გული არ გიძგერს,

ხმლის სიკეთე რას გიშველისო. ძაღლიკა ამ სიტყვებმა გატეხა, ადგა და გამოიყვანა თავისი ნიავქარივით ჩქარი ცხენი, წელზე კი ცუდად გამოჭედილი, ასპინძაში ნაშოვარი ხმალი ჩამოიკიდა.

ჯარი დიდუბეში დაბანაკდა, სასახლის კარი გაიღო და გამობრძანდა მეფე ერეკლე:

„გამოჩნდა მეფე ქარათლისა,

მზე-მთვარის მინაგვარია.

ჯარმა სალამი მიართვა,

მჭებრად ჰყვირიან ამასა

ჩვენს ბატონს გაუმარჯოსო,

მთისა და ბარის მამასა!“

(იგივე: 76-77).

ერეკლეს ბრძოლის წინ ჩვეულებად ჰქონდა მხედრებისთვის ხმლების გასინჯვა. ხიმაკაური უკანა რიგში იდგა თავდახრილი, ერეკლემ თავად ამოსწია ხიმაკაურის ქარქაშიდან ხმალი, ძაღლიკას ქარქაშში რკინისტარიანი ხის ხმალი ჰქონდა, მეფეს ჯერ შუბლი შეეჭმუხნა, ბოლოს გაეღიმა და თქვა:

წადით, აქ ჩამოიტანეთ,

ხიმაკაურის ხმალია“ (იგივე: 78).

მეფემ ძაღლიკას ხმალი მიართვა და უთხრა: „ძაღლიკავ, მაინც იძაღლე, წაიღე გერტყას... შენია“ (იგივე: 79). გახარებული ძაღლიკა მეფეს მუხლებზე მოეხვია, მერე ხმალსაც აკოცა, ახლა ხომ „აღარ ეყოფა ძაღლიკას მტრის ჯარი შესახვრეპადა“ (იგივე:78). ერეკლემ როცა დაინახა როგორ ჰყაფავდა ძაღლიკა თათრის ჯარს, მოოქროვილი თოფიც აჩუქა.

ძაღლიკა ხიმიკაური სახელს ვხვდებით კიდევ ერთ ლექსში „ერეკლეს სიზმარი“, სადაც მეფის ერთგული ყმა ძაღლიკა, ერეკლეს გვერდითაა ასპინძის ომში.

ლექსის მთავარი გმირი ხალხის საყვარელი მეფე ერეკლეა, ძაღლიკა კი მეფის ერთგული მსახური სხვა მეომრებთან ერთად.

ომგადახდილი მეფე ერეკლე ასპინძის ველზე ისე ათენებს, როგორც ყველა რიგითი მეომარი. ტანზე ნაბადგადაფარებულსა და ცხენის უნაგირს თავმიყრდნობილ მეფეს ღია ცის ქვეს სძინავს. მას გვერდით ჰყავს ასპინძის გმირი ხიმიკაური, მეფეს არც შიმშილი აწუხებს, არც წყურვილი, რადგან ლეკ-ოსმალთა ხოცვით გული მოუოხებია, ხმლის ვადას ამოწმებდა და გუნებაში თვლიდა, რამდენი ლეკი და ოსმალო დახოცა, ოცი, ორმოცი თუ კიდევ მეტი.

ერეკლე ძილში ბორგავდა, ქვითინებდა, როცა გაიღვიძა, სწუხდა, ცუდი სიზმარი ვნახეო, ხევსურებმა სთხოვეს, სიზმარი მათთვის ეამბნა.

„მე ის მესიზმრა, რომ საქართველოს,

თავით ბოლომდე ცეცხლი ეკიდა,

თვით ჩემს სრა-სახლსა, სამეფო ტახტსაც,

მტერი სთელავდა ხალხსა ფეხითა,

ჩემი ლაშქარი აბჯარ-აყრილი

იდგა უძრავად და არა სწუხდა“

(იგივე: 149).

ძაღლიკამ და დანარჩენმა ხევსურებმა მეფეს მიმართეს, ჩვენც თუ იქ ვიყავით ხელგაუნძრევლად, მაშინ თავს მივიკლავთო. უფალმა სავალი გზები მოგვისპოს, თუ მტერს არ შევებრძოლეთ, არ გვეღირსოს ჩვენი მთების ნახვაო. თქვენ იქ არ იყავით, მიუგო მეფემ ღიმილით. ვწუხდი, რამ მომიხიბლა ერთგული ერი-მეთქი, რომ გავიღვიძე, ვტიროდიო.

ერეკლე მეფესა და მის ერთგულ მეომრებს მტკიცეთ სჯერათ, რომ საქართველო გადარჩება, უფალი მასზე ხელს არ იაღებს: „რა დავაშავეთ განა ისეთი, ღმერთმა აიღოს ჩვენზე ხელია?“ (იგივე: 50).

ერეკლე მეფე საქართველოს უფალს ავედრებს, მას თავი არ დაუზოგავს ქვეყნის გადასარჩენად, სწუხს, რომ მეტის გაკეთება ვერ შეძლო ქვეყნისთვის:

„გებარებოდეს შენ საქართველო,

დაუსრულებლად მტრისგან გვემული!

მეტი ვერ შევსძელ, ვით ხორციელმა,

მტკიცედ დამეცვა ერი და რჯული,

შენ უპატრონე ტანჯულს ქვეყანას,

არ მოჰკლა მასში გმირული სული“

(იგივე: 151).

ხევსურებს ქუდები მოეხადათ, მეფის ლოცვას გულით იზიარებდნენ, მეფე და ერი ერთ ხორცად გაერთიანებულა, მათი მიზანი ერთია - ქვეყნისათვის ზრუნვა. დილის ცისკარმაც ამოანათა. მეომრებმა ჯორ-აქლემს აჰკიდეს ის ნადავლი, რაც კოხტასგან ჩაიბარეს, მან ერეკლეს თავი შეაკლა და ქართველები გაახარა. დღეს გამარჯვებული ქართველთა ჯარი მეფე ერეკლეს წინამდლოლობით დიდებულებთან ერთად გახარებული ბრუნდება შინ, მაგრამ საკითხავია, რა იქნება ხვალ და რას გვიმზადებს მომავალი, არავინ იცის, როდის ახდება ერეკლე მეფის სიზმარი. ავტორი ასეთი დასასრულით თითქოს გვეუბნება, რომ ოდითგანვე ასეთი იყო ჩვენი ისტორია, ბრძოლებში ხან გამარჯვება, ხან დამარცხება, ასეთ ყოფაში უწევდა ქართველ კაცს ცხოვრება, მან არ იცოდა, რა იყო მშვიდობა და მოსვენება.

ვაჟა-ფშაველას განსაკუთრებულად ხიბლავდა თამარის ეპოქა. ეთნოგრაფიულ წერილებში იგი საგანგებოდ აღნიშნავს ფშავ-ხევსურთა სიყვარულს საქართველოს დედოფლისადმი, ხაზს უსვამს მის კულტს ფშაველთა შორის. პოეტი წერილში „თამარის ცხვარი ფშავში“ ამბობს, რომ ფშაველები არ ივიწყებენ თამარს და ასე მიმართავენ მას: „დიდო თამარო, დედოფალო, საქართველოს დამრიგებელო, შენ მიეც წყალობაო“. თამარი ფშაველებს წმინდანად შეურაცხავთ და მის მოსახსენიებლად 2-3 ივნისი დაუწესებიათ, ხოლო მის სადიდებლად ჰყავთ ცხვრის ფარა, რომელსაც „თამარის ცხვარი“ ეწოდება. „ამ ცხვარს მოსავლელად ჰყავს

მიჩნეული ფშაველი ერთი კაცი, რომელიც ამორჩეულია ხატისაგანვე მკითხავ-ქადაგის პირით, ეს კაცი განაგებს ცხვრის საქმეს“ (ფშაველა, 1986: 601). პოეტის თქმით, მას შეუძლია ცხვრის შემოსავალი თავის ნებაზე ხარჯოს, ზოგს ცხვრის მოსავლელად ხარჯავს, რაც რჩება, დღეობის მოწყობას ანდომებს. მანვე უნდა იყიდოს ღვინო დღეობისათვის. „თამარ მეფე ერთადერთი ხატია ფშავ-ხევსურეთში, რომელსაც ჰყავს მოლოზნები, „ხატის ქალებად წოდებულნი“ (იგივე: 601).

ვაჟა ფშაველა თამარ დედოფალს ხოტბას ასხამს ლექსში „დიდი თამარი“. თუ საქართველო ერთიანი, მთლიანი და ძლიერი იყო, ეს იყო თამარის ეპოქაში, ვაჟა-ფშაველას თავისუფალი ქვეყნის იდეალი თამარის საქართველომ გამოხატა, ამიტომაც უწოდებს პოეტი თამარს „ქართველთა დედას“. ვაჟას თქმით, თამარის ცოცხალი ხატება მუდამ წინ უდგას ქართველ ხალხს. პოეტი დიდი მოწიწებით ახსენებს ამ დიდებული მეფის სახელს: „რუსთველის ქებას ჩვეულო, მეც ქებას გაგიბედაო“ (ფშაველა, 2011: 209). პოეტი თამარს სათნოების საუნჯეს უწოდებს, ეამაყება, რომ მთიელი ხალხი ასე ეთაყვანება მის სახელს, ფშაველების კრება თამარის სალოცავში იმართება, ქალ-ვაჟი ვერ სძლება თამარზე მსხვერპლშეწირვით, მის სახელზე უამრავი ცხვარ-ძროხა იკვლება, მისი სახელი ყველა მათგანის გულში ლამპარივით ანთია. თამართან ერთად პოეტი ქება-დიდებით მოიხსენიებს რუსთაველის სახელს:

„შენ და შოთაის მარჯვენას

ვემთხვიე ზედი-ზედაო.

შენა ხარ ერის სიცოცხლე,

თავი ნუ მომიკვდებაო!

მოწყალედ გვექმენ ქართველთა,

ჩვენო ლამაზო დედაო!

(იგივე: 209).

ლექსში „რუსთაველის ნეშტს“ ვაჟა-ფშაველა მიმართავს დიდ მგოსანს რუსთაველს, რომ გადმოხედოს საქართველოს ჭაბუკებს, რომლებიც ხელზე ეამბორებიან რუსთველს. ვაჟა თვლის, რომ ეს ჭაბუკები „ვეფხისტყაოსანმა“ გაზარდა,

„ვეფხისტყაოსანმა“ ასწავლა მათ თავისუფალების სიყვარული. ქართველი ჭაბუკები და ქალები ჰქამავენ ნესტან-დარეჯანს და ტარიელს, რაც საწინდარი გახდა იმისა, რომ საქართველოს სახელი შორს გავარდნილიყო. პოეტს ეამაყება, რომ საქართველოს ჰყავს გმირები, რომლებიც პირნათლად მივლენ მასთან, აქამდეც ალბათ ბევრი მისულან მისი გულის სამებლად:

„მიიღე როგორც შვილები,

თავ-დადებულნი ქვეყნისთვის

შენი სამშობლოს გმირები.

აკურთხე შენის მარჯვენით

ეგ მარგალიტის ღილები“

(იგივე: 165).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ლექსია „გიორგი სააკაძის სურათზე“. პოეტი ლექსს შემდეგი სიტყვებთ იწყებს: „ცალკერძ შენა ხარ და შენს პირდაპირ მეორე სახე მე მეხატება“ (ფშაველა, 2011, 168). მეორე სახეში ვაჟა-ფშაველა რა თქმა უნდა, გულისხმობს იმ შურს, მტრობას, გაუტანლობას, რაც გახდა მიზეზი გმირთაგმირი პიროვნების, საქართველოს შეუდარებელი მებრძოლის, როგორც ერთგან აკავი წერეთელი ამბობს „ცოცხალი ტარიელის“ საქართველოდან გაძევებისა.

დიდი ემოციითა დატვირთული ლექსის ყოველი ტაეპი: „თუ ვერ ვიგუეთ, ვერ ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება?“ კითხულობს პოეტი. საქართველოს ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ხშირია შემთხვევები, როცა ნამდვილი პატრიოტი და ქვეყნითვის თავდადებული პიროვნება გაუტანლობის მსხვერპლი გამხდარა, რასაც „უკუღმა დაუტრიალებია ქვეყნის ჩარხი“, ვაჟა-ფშაველა ახსენებს რა ქართველ ხალხს ისტორიის ამ მწარე გაკვეთილს, გვეუბნება, რომ ასეთ თითზე ჩამოსათვლელ ქართველ გმირებს სათუთად მოქცევა, გაფრთხილება და დაფასება სჭირდება. „შვილის სიკეთე მშობელს შეჰშურდეს, ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება?“ (იგივე: 168). ამბობს პოეტი და ლექსს შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ გეკადრება!“ (იგივე: 168). პოეტს ეს ლექსი 1910 წლით აქვს დათარიღებული, თითქოს სიმბოლურია, რომ ამავე 2010

წლით არის დათარიღებული ლექსი „ილიას საღამო“, სადაც პოეტი დიდი გულისტკივილით საუბრობს ილიას მკვლელობის შემზარავ ფაქტზე.

პოეტის თქმით, ახლა მის წინ ვიხრით ქედს, ვინც ჩვენი ხელით მოვკალით, ბოლოს კი ვნანობთ, „რად მოვეპყარით ავადაო“, ის იყო ჩვენი მოამაგე და მამა, რომელიც ცდილობდა ჩვენს გამოფხიზლებას. ქართველ მუშაკთა წინამძღვრი, გზა შევუკარით და თოფები ვესროლეთ, როგორც ფირალს. მოვკალით ადამიანი, რომელიც თავადს ურჩევდა, რომ გლეხი ძმად მიეღო, რათა ქვეყანა გაძლიერებულიყო. ილია იყო ადამიანი, რომელმაც საკუთარი სამშობლო ღმერთზე მეტად იწამა, რომლის საქმეებმა პატარა ერი ბევრად აამაღლა:

„ოხ, რა ცუდია, რა ცუდი

გზა-არეულად მსჯელობა,

ცეცხლ-მოდებულის ერისას,

თავისი თავის მტერობა!

დიდხანს იცოცხლებს ჩვენშია,

ნეტავ ასეთი ხელობა?

(ფშაველა, 2011: 170).

თუმცა პოეტი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს სამარცხვინო შავი საქმე დროის ნაყოფია: „შავმა დრომ შავი ნაყოფი ჩამოგვიბერტყა თავზედა“ (იგივე: 170). კარზე დარაჯად გვედგა ცეცხლი და მუქარა. პოეტი ბოლოს კითხულობს, ნუთუ აღარ დადგა დრო „ვმღერდეთ შეწყობილს ხმაზედა?“. სწორედ ეს იყო პოეტის ოცნება, რომ ქართველმა კაცმა მტერ-მოყვარე, კარგი და ავი გაარჩიოს, ილიას ანდერძიც ხომ ეს იყო, ამბობს პოეტი.

ვაჟა ფშაველასა ეკუთვნის ლექსი „დავით გურამიშვილის ხსოვნას“, ლექსს თავად გურამიშვილისავე სიტყვები აქვს ეპიგრაფად წანამძღვარებული: „რა ძალიან გული მტკივა, მაჟრულებს და ტანში მზარავს“. ამ სიტყვებით გოდებდა გურამიშვილი თავის მწარე ბედს, ამ სიტყვებითვე გამოთქვა ვაჟა ფშაველამ მამულის ხვედრისადმი გულისტკივილი. „შემ ჩემო წინამორბედო, უძვირფასესო პაპაო!“

(იგივე: 199). ასე მიმართავს ლექსში ვაჟა-ფშაველა დავით გურამიშვილს და უწოდებს „ნამდვილ მამულიშვილს“, „სამშობლოს ეკლის მკაფავს“.

როგორც მე-18 საუკუნის დიდ მგოსანს უწევდა დიდი გაჭირვების, ტკივილისა თუ სიდუხჭირის ფონზე გაეტანა ლელო და საკუთარი ქნარი მიეტანა ქვეყნის სამსხვერპლოზე, ამავე გზის გავლა უწევს მე-19 საუკუნის პოეტს ვაჟა-ფშაველას: „ტანფეხშიშველა დავდივარ, ცოლს არ მიცვია კაბაო“, შენის ცრემლებით მოვხარშე ჩემის გრძნობების ფაფაო“ (იგივე: 199).

ვაჟა-ფშაველამ იცის, როგორ ძნელია ამ გზაზე სიარული, ამადაც მიმართავს დავით გურამიშვილს, რომელმაც მთელი ცხოვრება ეკლიანი გზით იარა, ეს ტანჯვა „გაუთავებელი გამოდგაო“, ამბობს პოეტი, თითქოს ყველა შემოქმედის ხვედრი ეკლიანი გზით სიარულია, ეს გზა გაუვლია შოთა რუსთაველსაც და დავით გურამიშვილსაც, სწორედ მათი მაგალითი აძლევს პოეტს ძალას, რომელიც კარგად გრძნობს თავის ძალას:

„მიშველეთ, მომავლებინეთ,

ლელო, რაც დამისახაო,

მაშინ თქვენ ნათელ სახეებს,

მეც პირნათლადა ვნახაო“

(იგივე: 200).

ლექსში „წმინდა ნინო“ ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ დიდია ის დღე, რომელიც საქართველოში წმინდა ნინოს ხსენებას ეძღვნება, რადგან სწორედ ნინოს წყალობით საქართველოში სარწმუნეობასთან ერთად ახალი ზნეობა დამკვიდრდა. ქართველმა ხალხმა ჭეშმარიტი ძის, იესო ქრისტეს სახელი იწამა და მის მაღალ მოძღვრებას ეზიარა. პოეტის ყველაზე დიდი სურვილია, ქართველმა ქალმა მაგალითად დაისახოს ნინოს ცხოვრება და მათში ამ წმინდანის სულის სიდიადე სუფევდეს:

„ცამ მიანიჭოს ჩვენს ქალებს

სიდიდე ნინოს სულისა,

რომ შესძლონ ქვეყნის აღდგენა,

განკურნვა იმის წყლულისა,

ობლისა მოვლა გამდლობა,

მოხედვა დაკარგულისა“

(იგივე: 203).

პოეტი ლოცავს ყველა იმ ქართველ ქალს, ვინც ამგვარ ამაგს დასდებს ქვეყანას.

წინაპართა აჩრდილებიდან, როგორც აღვნიშნეთ, ვაჟას იდეალს წარმოადგენდა ერეკლე მეორე, „პატარა კახად“ წოდებული, ამ სახელის ხსოვნისადმია მიძღვნილი ლექსი „1795 წლის სახსოვრად“, ეს წელი ყველაზე უფრო ტრაგიკულია ქართველი ერის ცხოვრებაში, ამიტომ ის მოსაგონი იქნებოდა ვაჟასთვის, როგორც პოეტისათვის და ქართველი კაცისთვის. ამ წელს სპარსეთის ჯარების მთავარსარდალი დიდი ჯარით შემოესია საქართველოს, გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა კრწანისის ველზე, ქართველთა მეომრების გვამებზე გადასვლით სპარსელები შევიდნენ საქართველოს დედაქალაქში, სპარსელმა ჯარისკაცებმა ქვა-ქვაზე არ დატოვეს თბილისში.

ერეკლე დანგრეულ ქალაქში შემოვიდა. მან ხომ მთელი თავისი სიცოცხლე ბრძოლებში გაატარა, სამეფო ლოგინის ნაცვლად უნაგირის ტახტზე იძინებდა ქართველი ერის ეს დიდი მოჭირნახულე:

„აგერ ამოდგა აჩრდილი
აკლდამის კარი გაიღო,
რა ფრიად შეწუხებულა,
ხელში ფრანგული აიღო,
მოჰვარეს ლურჯი ტაიჭი
ნალმა ძგრიალი გაიღო“

(ფშაველა, 2011: 10).

ლექსში ვაჟა იგონებს კრწანისის გმირების პლეადას, სამასი არაგველის სახელით რომ არის ცნობილი. ისინი გაწყდნენ, მაგრამ მტერს ზურგი არ უჩვენეს:

„სადღაა ქართველთ ბიჭები,

ვით გასძლონ ამის მზერანი?

- ვაჰმე, სადა და სადღაა,
კრწანისზედ გასწყდნენ ყველანი,
უხმობს, უწოდებს მხედართა...
დადუმებულან ენანი...“

(იგივე: 11).

ვაჟას ლირიკულმა ლექსმა ერთხელ კიდევ მიგვახედა უკან და უკან გვიჩვენა, თუ რანი ვიყავით გუშინ და რანი ვართ დღეს, მაგრამ ამას ვაჟა აკეთებს არა იმიტომ, რომ აწმყო უარყოს წარსულის სახელით, რა თქმა უნდა, არა, ვაჟამ ისიც კარგად იცოდა, რომ მწერლის აწმყოსადმი სამსახური ერთადერთი სწორი გზაა, რომ ერს შეუქმნა უფრო დიდებული, უფრო სახალისო მომავალი. თუ ხანდახან ვაჟა უკან იხედება, არა იმიტომ, რომ უკან წასულიყო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ აწმყოზე დაყრდნობით უკეთესი მომავალი შეექმნა ხალხისთვის.

ვაჟას აქვს ერთი პატრიოტული ლექსი, რომელსაც „რაინდის ჩივილი“ ეწოდება, სიბერის გამო დავრდომილ რაინდს წყლის მომტანიც აღარ ჰყავს, მან კი ვიდრე შეეძლო, ყველაფერი მისცა თავის სამშობლოს, თავის ხალხს. ერთ დროს სამშობლოზე მტრის გუნდი მარტოდმარტო ხმლით აუკაფავს. ის იცავდა თავისი ქვეყნის დიდებასა და სახელს. ვაჟასთვის ეს მოხუცი სიმბოლური სახეა იმ უსახელო გმირებისა, რომლებმაც კეთილშობილად მოიხადეს ვალი თავიანთი ხალხის წინაშე, მაგრამ შთამომავლობას მათი სახელები არ შემოუნახავს.

ლექსი „ხმა სამარიდამ“ ვაჟა კვლავ პატარა კახის აჩრდილს მიმართავს, აქ პატარა კახი ქართველებს ბრძოლის ველისკენ მოუწოდებს, აფრთხილებს ქართველ ახალგაზრდებს, რომ მტერი გამოჩნდა მთაზე და საჭიროა ალესილი ხმლით დავხვდეთო:

„გალესე, კარგად გალესე,
არ ილეოდეს ძვალზედა,
უფლის კურთხევა ანთია,
სამშობლოს მცველის ფარზედა.
თამარ დედოფლის ნაკოცნი,
ბეჭდად ეხვია ხმალზედა“.

(ფშაველა, 2012: 318).

ისტორიულ პირთა სახეებს ვხვდებით ვაჟა-ფშაველას მოთხრობებშიც, ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოთხრობა „შალვას ნაამბობი“.

ბუთლას ქოხი მარტოდმარტო მოჩანდა ტყეში, ისე პატარა იყო ეს ქოხი, წელში თუ მოიხრებოდნენ მისი მკვიდრნი, თუ არა ფეხზე დგომა არ შეიძლებოდა. ბუთლა ხშირად კვირაობით მიდიოდა სახლიდან, ის შინ იშვიათად ბრძანდებოდა. მოვიდოდა იარაღასხმული, პურს შეჭამდა და ჩქარა მიდიოდა, გასასვლელ გზებს სდარაჯობდა ლეკიანობის დროს.

ამ ქოხში ცხოვრობდა პატარა შალვა. ერთ დღეს პაპამ შალვას დაუძახა და უთხრა, მოდი, შვილო, პაპა გენაცვალოს მაგ ქორივით თვალებში, ზურგი დამფხანეო, შვილიშვილის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა პაპას მტრისგან დაჩეხილ, ხორკლიან ზურგზე უსვამდა ხელს. შვილიშვილი ეკითხება: „ვინ დაგჭრა პაპავ, ან რატომ ეომებოდი მტერს? პაპამ უპასუხა, ჩვენ არ ვეომებოდით, ისინი გვეომებოდნენ, რჯულძალლები შვილო! მიწა-წყალს გვეცილებოდნენ, რჯულს გვართმევდნენ, თქვენც ჩვენსავით თათრები უნდა იყვნეთო (ფშაველა, 1979: 105).

ერთ დღეს შალვამ ტყეში ხატი ნახა, შეშინებული მოვიდა პაპასთან და უამბო ეს ამბავი: „დვაინახე, თეთრწვერა კაცი დაჩოქილი, ორივე ხელები აუშვერია ცისკენ, ლამაზი სახე ჰქონდა, საყდარში კი მინახავს ისეთი სახის კაცი, ტანზე ტყავი ეცვა, თვალებიდან ცრემლი ჩამოსდიოდა“ (იგივე: 107). პაპას ცრემლები მოერია, ღრმად ჩაფიქრდა: „ვიცნობ შვილო, როგორ არ ვიცნობ, იმასთან დავბერდი, მართლა ხატი გინახავს“. პაპა ფიქრებმა გაიტაცა და შალვას საუბარი აღარ ესმოდა, ბიჭი დედასთან მივიდა და ჰკითხა, შენ მაინც მითხარი, ვინ არის ის კაცი, ტყესთან რომ ვნახეო. „ვინ არის და ერეკლეა შვილო! - უპასუხა დედამ. სიტყვა ერეკლე ხვარამზემ მოწიწებით წარმოთქვა და თან ცრემლები გადმოსცვივდა თვალებიდამ - პაპაშენი იმის ჯარში დაბერდა, იმის კარისკაცი იყო შვილო. მტრებმა ისე გაუხადეს საქმე, რომ ახლა ტყეში ცხოვრობს ბერივით და პურ-საჭმელს ჩვენ ვუზიდავთ აქითა, პაპაშენი იქ მიდის საღამ-საღამობით (იგივე:108).

ამ პატარა ესკიზში ნაგრძნობია მთელი ეპოქა და ერის ტრაგედია, პაპა ნინია ძველი ომების მონაწილეა. პატარა ბავშვის, შალვას არსებაში ისტორიის შემეცნება

იბადება. ნინიას ოჯახისთვის ერეკლე მეფის სახე მომავლის რწმენის საგანს წარმოადგენს, მათი მაღალი ეროვნული შეგნება რწმენას უტოლდება. შალვას მიერ ნანახი ერეკლეს ხატი საქართველოსთვის მღლოცველი ერეკლეს წმინდა სულია.

საინტერესო და ამაღლებულია მოხუცის სახე, მან თავი დახარა და ფიქრებს მიეცა, თითქოს მთელი ქვეყანა დასტირის სპარსელებისგან ნანგრევებად ქცეულ ქვეყანას. სწორედ ასეთი ხალხის მოსიყვარულე გული აშენებდა მომავალ საქართველოს. მიმზიდველია პატარა შალვას სახეც, რომელიც აუცილებლად მოინდომებს, მომავალში სამაგიერო გადაუხადოს მტერს, რომელმაც მის საყვარელ ბაბუას სხეული ხმლით დაუსერა და ჩვენი ქვეყნის მიწა ამგვარი უმანკო ადამიანების სისხლით შეღება.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველას მარავალფეროვანი შემოქმედების ძირითადი საფუძველი მაღალი ჰუმანიზმია, ამიტომაც მიიჩნევა იგი ქართულ ლიტერატურაში ჩვენი დიდებული ლიტერატურული წარსულის სულიერ მემკვიდრედ. მან უაღრესად კონკრეტული შინაარსი მისცა პატრიოტულ გრძნობას. ვაჟა-ფშაველას პოეტური გენია დიდხანს დარჩება ქართული ლიტერატურის ამოცანად.

ზოგადი დასკვნები

XIX საუკუნის 20-30-იანი წლები ქართული დაქვეითებული ლიტერატურის ერთგვარი აღმავლობითა და გამოცოცხლებით იწყება, სამოღვაწეო ასრარეზზე გამოდიან რომანტიკოსი პოეტები, რომლებიც ძირითად და განმსაზღვრელ ძალას წარმოადგენენ მთელი ქართული ლიტერატურული ცხოვრებისა მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებამდე.

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ-პატრიოტული მოტივი ვითარდება, ამის მიზეზია ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიც საქართველო ამ საუკუნის დამდეგიდან მოექცა. ეროვნული თავისუფლების მოტივი მთავარი თემაა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება უმთავრესად ამ მოტივებზე დაწერილ თხზულებებს ემყარება.

ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგოჩაში“, გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოში“, ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედი ქართლისაში“, ხოლო შემდგომ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას უამრავ ნაწარმოებში წინაპართა ცხოვრებისა და ბრძოლის წესი გადაიშალა მკითხველის წინაშე. დიდი ქართველი მწერლები აშუქებენ წარსულს, როგორც რეალურ სამყაროს, იძიებენ მის ფესვებს, წინაპართა ზნეობრივ საწყისებს, რათა აწმყოს დაანახონ წარსულის დიდებული მაგალითები და გამოცდილება უკეთესი მომავლის შესაქმნელად.

წარსულის გაუთავებელი იდეალიზაცია დიახაც თრგუნავდა აწმყოს, უმოქმედებასა და სიკვდილისკენ უბიძგებს ერს, ამიტომაც იყო, რომ ქართველმა სამოციანელებმა ილიას სიტყვები „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“, მთავარ ლოზუნგად გაიხადეს, მათ მართალია გააღრმავეს ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში მოცემული მოტივი, რაც ასე მაცოცხლებელ წყაროდ სჭირდებოდა ქართულ ლიტერატურას, ქართველი კაცის სულს, მაგრამ ეს იყო წარსულის, როგორც გამოცდილების, როგორც არსებობის წესისი შეხსენება და არა მისი იდეალიზაცია.

ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს არ გამოპარვიათ წარსულის მთავარი ძარღვის ფეთქვა. მათ შესანისნავად იგრძნეს, სად შეიძლება მოეძებნათ სასიცოცხლო ძალები, რა გზით შეიძლებოდა დაკავშირებოდა დიდი წარსული აწმყოს. ქართულმა მწერლობამ მთელი არსებით შეიგრძნო, რომ ფესვები ცოცოხალი იყო და განახლებისათვის ბრძოლა იყო საჭირო. როგორც აკაკი ამბობს: „ქარსულ ნერგზედ ახალ ნამყნის, ველოდებით შეხორცებას, ან კიდევ: „ნაშთი ძველი დიდებისა, არ გამქრალა ჯერაც ყველა“.

წარსულსა და აწმყოს შორის კავშირის აღდგენა იყო საჭირო. ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში დიდი სევდის გვერდით ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ფასდაუდებელი სიმდიდრე დაინახეს, წარსული თავისი შინაარსით, დედამიწის ზედაპირზე ამოიღეს და ახალი სვლა მისცეს, რადგან XIX საუკუნის ქართველ კაცს საოცრად ესაჭიროებოდა დაკარგული წონასწორობის აღდგენა. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაობამ საომარი საშუალება მომავლის იმედიან შენებასა და წარსულის ღრმად შეცნობაში დაინახეს. ქართველ კაცს სჭირდებოდა თავისი დიდებული წარსულის აღდგენილი ხატი.

საქართველოს ისტორია, უცხოელთა ცნობები სავსეა ქართული სამყაროს ძლიერების დამადასტურებელი ფაქტებით, ქართველ რომანტიკოსებს, ილიას აკაკის, ალექსანდრე ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველას სწორედ ეს უნდათ, რომ პარალელი გაავლონ წარსულსა და აწმყოს შორის, აჩვენონ ქართველ ხალხს, რა შინაგანი ჰარმონიის მფლობელი იყო ქართველი კაცი, რომ ყველაფერი ეს რეალურად არსებობდა, სწორედ ძველი სიძლიერის აღდგენა იყო XIX საუკუნის მწერლებისათვის საოცნებო საგანი.

ქვეყნის უკეთესი მომავლის ასაშენებლად ეს გზა XIX საუკუნის შემოქმედთ ყვალაზე საიმედო გზად მიაჩნდათ, ქართველი კაცის ახალი ენერგიით ავსების უნარი აღმოაჩნდა ჩვენს ისტორიულ ცნობებში მთვლემარე მაგალითებს, მისი ფესვების გაცოცხლებას, ეს გზა დიდ დახმარებას გაუწევდა ქართველ კაცს უკეთესი მერმისის შექმნაში, ძლიერი კულტურული ქვეყნის აშენებაში.

იგივე მოტივი მთავარია აგრეთვე ალექსადრე ორბელიანის შემოქმედებისათვის. მართალია, მათი ნაწარმოებიდან არ გვესმის ისეთი საბრძოლო მოწოდებანი, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებებშია, მაგრამ არსებული სინამდვილისადმი შეურიგებლობა და ისტორიული წარსულიდან სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა გაცოცხლება საბოლოოდ მაინც ეროვნული თავისუფლების იდეას ემსახურება.

რომანტიკოსთა შემოქმედებაში ისტორიულ პირთა მხატვრულ ნაწარმოებებში გაცოცხლება ერთგვარი შემოძახება იყო ეროვნული თვითშეგნების ქართველ ხალხში გაღვიძებისა და ამაღლების საქმეში, ამიტომაც სრულიად ბუნებრივი იყო ჩვენი რომანტიკოსების ძლიერი ლტოლვა ისტორიულ პირთა სახეების ასახვისადმი, სადაც შეიძლებოდა სწორი პასუხი ეპოვათ მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე, სადაც შეიძლებოდა მთელი სისავსით შეეგრძნოთ ეროვნულ ღირსება და სიამაყე, ეპოვათ სულიერი საზრდოცა და ნავსაყუდელიც.

XIX საუკუნის მწერალთა შემოქმედებას შემოუნახავს სახელები ქართველი გმირებისა, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ქართული ისტორიის შექმნაში. ესენი არიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურები თუ უბრალო ადამიანები, ჩვენი სასიქადულო მწერლები და პოეტები აცოცხლებენ მათ თანადროულ ეპოქას, საქართველოს მაღალ სულიერ კულტურას, მის მდიდარ ტრადიციებს.

მათ ნაწარმოებებს შემოუნახავს სახელები, რომელთა შესახებ ისტორიაში ან არაფერია ნათქვამი, ან გაკვრით ვხვდებით მათ სახელებს, მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურამ ასახა და შემოგვინახა მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტები.

იმდროინდელი ცხოვრების გზაზე, როცა ჩამკვდარიყო ქართული სული და ყველაფერი ეროვნული, რუსული პოლიტილის ჩაგვრისაგან მძლავრად დაცემულ ჩვენს ქვეყანას სჭირდებოდა არა მარტო გამხნევება, შემოძახილი, არამედ წარსულის მაგალითების გახსენება, ვინ ვიყავით, როგორი ქვეყნისა და წარსულის ხალხი ვართ, ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები, როგორ იბრძოდნენ ისინი ეროვნული მთლიანობისა და თვითმყოფადი კულტურის განვითარებასა და შენარჩუნებისათვის, რაც მაგალითი იქნებოდა ეროვნული სულიერების ხელოვნური გაღვივების, ფეხზე წამოდგმოისა და საქართველოს დაკარგული სახის აღდგენისა და წინსვლის საქმეში.

რომანტიკოსთა მიერ გადმოცემული აზრები გამორჩეულია გულწრფელობითა და ობიექტურობით, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ შემოქმედებაში თითოეული ისტორიული სახის წარმოჩენას. საინტერესოა ამ შემოქმედთა ნაწარმოებში ასახული ისტორიული მოვლენა, რომელიც ნათელ სხივს ჰქონის ისტორიისათვის ბევრ ორაზროვან და ბუნდოვან საკითხს.

მათ შემოქმედებაში ცნობილი ისტორიული პირებისა და მეფეების გვერდით წარმოჩენილი არიან უბრალო ადამიანები, ჩვენი ქვეყნის უბადლო პატრიოტები, რომლებმაც არანაკლები როლი შეასრულეს ქართული ყოფიერების დამკვიდრების საქმეში, ამიტომ დიდი როლი ენიჭება მათი სახეების შესწავლასა და წარმოჩენას. მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურამ უკვდავყო იმ უბრალო პატრიოტ ადამიანთა სახელები, რომელთა გარემოცვაში უხდებოდათ მათ ცხოვრება და მათი შემოქმედების უშრეტ წყაროს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის ქართველ მწერალთა სევდას თუ პროტესტს საზრდოს აძლევს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა. „ქართლის ბედის“ საკითხი მათი ერთ-ერთი მთავარი თემაა. მათ ნააზრევში ნათლად ჩანს, რომ ისინი ქართველთა ცხოვრების ძნელებების პირობებში არ წყვეტენ ფიქრსა და ოცნებას მშვენიერისა და სილამაზის მარადიულ იდეალებზე, ჩვენი ერის სულიერი ცხოვრების იმ საჭირბოროობო საკითხებზე, რომლებმაც ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის სიცოცხლისუნარიანობა განსაზღვრეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე, 1962 - კიტა აბაშიძე, „ეტიუდები“, თბილისი;
2. ასათიანი, 2008 - ლადო ასათიანი, თბილისი;
3. ასათიანი, 1974 - გურამ ასათიანი, „ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე“, თბილისი;
4. ასათიანი, 1978 - გურამ ასათიანი, ილია ჭავჭავაძე პოეტი და მოაზროვნე, თბილისი;
5. ახალი ქართული ლიტერატურა, 1979 – XIX საუკუნის ქრესტომათია, ტ, I, თბილისი;
6. ბალახაშვილი, 1967 - იაკობ ბალახაშვილი, „ბარათაშვილის ცხოვრება“, თბილისი;
7. ბაქრაძე, 1990 - აკაკი ბაქრაძე, „მწერლობის მოთვინიერება“, თბილისი;
8. ბაქრაძე, 2011 - აკაკი ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე;
9. ბაქრძე, 1986 - აკაკი ბაქრაძე, „სულის ზრდა“, თბილისი;
10. ბარამიძე, 1952 - ალექსანდრე ბარამიძე, „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტომი III, თბილისი;
11. ბალახაშვილი, 1966 - იაკობ ბალახაშვილი, „გრიბოედოვი და ნინი ჭავჭავაძე“, თბილისი;
12. ბენაშვილი, 1989 - დიმიტრი ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა, თბილისი;
13. გრიშაშვილი, 1957 - იოსებ გრიშაშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, თბილისი;

14. გაჩეჩილაძე, 1977 - სიმონ გაჩეჩილაძე, სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორია <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=43&t=466>, მოძიებულია 2020 წლის 25 ნოემბერს.
15. გამეზარდაშვილი, 1960 - დავით გამეზარდაშვილი, ილია და აკაკი, თბილისი;
16. ევგენიძე, 1982 - იუზა ევგენიძე. ქართული რომანტიზმის საკითხები, თბილისი;
17. ევგენიძე, მინაშვილი, 2010 - იუზა ევგენიძე, ლადო მინაშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გამომცემლობა საქართველოს მაცნე, თბილისი;
18. ევგენიძე, 1989 - იუზა ევგენიძე, ვაჟა-ფშაველა, თბილისი;
19. ვარდოშვილი, - ეკა ვარდოშვილი „თამარ მეფის ხატება XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში”
<http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASHfde9cbe961136fb6a5359d;jsessionid=4B815B93BB0040A509321AA664BD4931?ed=1>
20. ზანდუკელი, 1956 - მიხეილ ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, თბილისი;
21. ზანდუკელი, 1972 - მიხეილ ზანდუკელი, თხზულებანი, ტომი I, თბილისი;
22. თოფჩიშვილი, 2005 - როლანდ თოფჩიშვილი „ეთნოისტორიული ეტიუდები”
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D
23. ინგოროვა, 1975 - პავლე ინგოროვა, „ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი“, თბილისი;
24. კეკელიძე, 1974 - კორნელი კეკელიძე, „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტომი XIII, თბილისი.
25. კიკნაძე, 2008 - ზურაბ კიკნაძე, „ქართული ფოლკლორი“, თბილისი;
26. კოტეტიშვილი, 1959 - ვახტანგ კოტეტიშვილი, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, (XIX ს.) თბილისი;
27. კალანდაძე, 1986 - ალექსანდრე კალანდაძე, „გვაქვს საგანძურო“, თბილისი;

28. ლომაძე, 2014 - თამარ ლომაძე, „ქართული რომანრიზმის პოეტიკა“, თბილისი;
29. მახარაძე, 1990 - აპოლონ მახარაძე, „ქართული რომანტიზმი“, თბილისი;
30. მახარაძე, 1989 - აპოლონ მახარაძე, „ალექსანდრე ყაზბეგი“, თბილისი;
31. მაღრაძე, 1975 – ელგუჯა მაღრაძე, „გრიგოლ ორბელიანი“, თბილისი;
32. მინაშვილი, 2010 - ლადო მინაშვილი, ქართული ლიტერატურის
ისტორია, თბილისი;
33. მინაშვილი, 2009 - ლადო მინაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი;
34. ნადარეიშვილი, 2017 - ქეთევან ნადარეიშვილი. „არგონავტების მითოსის და
მედეას სახის ინტერპრეტაცია“, თბილისი;
35. ნატროშვილი, 1947 - გიორგი ნატროშვილი, „ლიტერატურული ეტიუდები“,
თბილისი;
36. ნიკოლეიშვილი, 2014 - ავთანდილ ნიკოლეიშვილი, „ქართველ მწერალთა
ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი“, ტომი I, ქუთაისი;
37. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „საყურე“ შექმნის ისტორია,
<https://artinfo.ge/2019/04/nikoloz-barathashvilis-leqsis-saqhure-sheqmnis-istoria/>
- ატვირთულია - 5 აპრილს 2019, ნანახია - 2019 წლის 1 ნოემბერს.
38. ორბელიანი - ალექსანდრე ორბელიანი, „რუსების დასი ქართველები ჩემზედ“
http://www.lib.ac.ge/index.php?option=com_djcatalog2&view=item&id=5347&cid=300&Itemid=487&prod=1#.YDO7VOj7SU1 ნანახია - 2019 წლის 15 ნოემბერს;
39. ორბელიანი, 1959 - გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული,
თბილისი;
40. ორბელიანი, 1936 – გრიგოლ ორბელიანი, „წერილები“, ტომი I, თბილისი;
41. ორბელიანი, 1937 - გრიგოლ ორბელიანი, „წერილები“, ტომი II, თბილისი;
42. რობაქიძე, 1991 - გრიგოლ რობაქიძე, „აკაკის ქნარი“, თბილისი;
43. როდოსელი, 1975 - აპოლონ როდოსელი, „არგონავტიკა“, 1975, თბილისი;

44. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1979 - ტ. III, თბილისი;
45. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973 - ტ. IV, თბილისი;
46. სირამე, 1987 - რევაზ სირამე, „ლიტერატურულ ესთეტიკური ნარკვები“, თბილისი;
47. სოლომონ ლიონიძე - <http://genia.ge/?p=6905> - ატვირთულია - 2013 – 22 სექტემბერს, ნანახია - 2019 წლის 12 დეკემბერს;
48. უელევი, უორენი, 2010 - რენე უელევი, ოსტინ უორენი, ლიტერატურის თეორია, თბილისი;
49. ფშაველა, 2011 - ვაჟა-ფშაველა, ტომი II, თბილისი;
50. ფშაველა, 2011 - ვაჟა-ფშაველა, ტომი III, თბილისი;
51. ფშაველა, 2011 - ვაჟა-ფშაველა, ტომი V, თბილისი;
52. ფშაველა, 2012 - ვაჟა-ფშაველა, პოეზია, თბილისი;
53. ფშაველა, 1986 - ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 1986, თბილისი;
54. ფშაველა, 1979 - ვაჟა-ფშაველა, მოთხრობები, პიესები, პუბლიცისტური წერილები, ტ. II, თბილისი;
55. ქართული მწერლობა - 1990, ტომი VIII, თბილისი;
56. ქართული მწერლობა - 1992, ტომი IX, თბილისი;
57. ქართული ლიტერატურის ისტორია - 1969, ტომი III, თბილისი;
58. ქართული ლიტერატურის ისტორია - 1974, ტომი IV, თბილისი;
59. ქართული ენა და ლიტერატურა - 2009, ტომი I, თბილისი;
60. ქართლის ცხოვრება, 1959 - ტ. II, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი;
61. ქიქოძე, 1963 - გერონტი ქიქოძე, „ლიტერატურული წერილები და პორტრეტები“, ტომი I, თბილისი;
62. ქიქოძე, 1965 - გერონტი ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტომი III, თბილისი;

63. ქუთათელაძე - 2011, ზურაბ ქუთათელაძე, „პავლე ციციანოვი“
<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000698/>
64. ღვინჯილია, 1990 - ჯანსულ ღვინჯილია, წერილები კლასიკურ და თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე, თბილისი;
65. ღვინჯილია, 1989 - ჯანსულ ღვინჯილია, „პოეტური ენერგია“, თბილისი;
66. ყაზბეგი, 1968 - ალექსანდრე ყაზბეგი, ტ. I, თბილისი;
67. ყაზბეგი, 2009 - ალექსანდრე ყაზბეგი, თბილისი;
68. შარაძე, 1990 - გურამ შარაძე, ილია ჭავჭავაძე, ტ. II, თბილისი;
69. შარაძე, 1940 - გურამ შარაძე, აკაკი წერეთელი, თბილისი;
70. ჩხეიძე, 1996 - როსტომ ჩხეიძე, „ალექსანდრე ორბელიანი“, თბილისი;
71. ჩხეიძე, 2005 - როსტომ ჩხეიძე, ყაზბეგიანა“, თბილისი;
72. წერეთელი, 1989 - აკაკი წერეთელი, მხატვრული პროზა, ტომი III, თბილისი;
73. წერეთელი, 1989 - აკაკი წერეთელი, პოემები, ტ. II, თბილისი;
74. წერეთელი, 1990 - აკაკი წერეთელი, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, ტ. IV, თბილისი;
75. წერეთელი, 1989 - აკაკი წერეთელი, მხატვრული პროზა, ტომი III, თბილისი;
76. წერეთელი, 2010 - აკაკი წერეთელი, უცნობი პუბლიცისტიკა;
77. წმინდა ნინო -
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D
78. წერეთელი, 1892 - აკაკი წერეთელი, „ანდრია პირველწოდებული“, თბილისი;
79. წერეთელი, 1908 - აკაკი წერეთელი, „წმინდა ნინო“, თბილისი;
80. ჭავჭავაძე, 1984 - ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი III, თბილისი;
81. ჭავჭავაძე, 1977 - ილია ჭავჭავაძე, ქართული პოეზია, ტომი VII, თბილისი;

82. ჭავჭავაძე, 1986 - ილია ჭავჭავაძე, „წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ტომი III, თბილისი;
83. ჭავჭავაძე, 2007 - ჭავჭავაძე ილია, თხზულებანი, ტ. IX, თბილისი;
84. ჭავჭავაძე, 1987 - ილია ჭავჭავაძე, მოგონებები გარდასულ დღეთა;
85. ხერხეულიძე, 1989 – „მეფობა ირაკლი მეორისა“, თბილისი;
86. ჯოლოგუა, 16, 2011 - თამაზ ჯოლოგუა, მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის შეფასებისთვის, ჟურნალი „ქართველოლოგი“, N 1.

ნაშრომში გამოყენებულია ვიდეომასალა:

1. ლევან ბერძენიშვილი - გადაცემა „წიგნები”, ნიკოლოზ ბარათაშვილზე.
<https://www.youtube.com/watch?v=yREifPpJF5A>

